

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

გიორგი კეპულაძე

**სიღარიბე როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა და
მისი კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური
თავისებურებანი**

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკონომიკის დოქტორი,
ფილოსოფიის დოქტორი
პროფესორი თამილა არნანია-კეპულაძე

ქუთაისი 2018

შინაარსი

შესავალი	3
თავი 1. სიღარიბე როგორც დისციპლინათაშორისი კატეგორია:	
თეორიული მიდგომების ანალიზი	14
1.1. სიღარიბის პოლიტიკური თეორია	14
1.2. სიღარიბის ფსიქოლოგიური თეორია	22
1.3. სიღარიბის ანთროპოლოგიური თეორია	27
1.4. სიღარიბის სოციოლოგიური თეორია	32
1.5. სიღარიბის პრობლემა ეკონომიკურ თეორიაში	39
თავი 2. სიღარიბის კვლევის ძირითადი პრობლემები და თეორიულ- მეთოდოლოგიური თავისებურებანი	84
2.1. სიღარიბის განსაზღვრის და ტიპოლოგიზაციის პრობლემები	84
2.2. სიღარიბის გაზომვის პრობლემები და მისი თავისებურებანი საქართველოში	115
2.3. სიღარიბის გამომწვევი მიზეზების განსაზღვრის პრობლემა	136
თავი 3. სიღარიბის დაძლევა როგორც მისი კვლევის მიზანი	146
3.1. სიღარიბის დაძლევის გამოცდილება განვითარებულ ქვეყნებში	147
3.2. სიღარიბესთან ბრძოლის ინსტიტუციონალური საფუძვლები საქართველოში და მათი სრულყოფის აუცილებლობა	163
დასკვნები და წინადადებები	177
გამოყენებული ლიტერატურა	188
დანართები	216

შესავალი

თემის აქტუალობა: ადამიანთა სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა ყოველთვის იყო და დღემდე რჩება პრობლემად, რომელიც მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყნისთვის არის დამახასიათებელი და ამგვარად ატარებს გლობალურ ხასიათს. ადამიანთა მატერიალური უთანასწორობა და მასთან უშუალოდ დაკავშირებული სიღარიბე - ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე გამოწვევა, რომელსაც თანამედროვე საზოგადოება უპირისპირდება. სიღარიბე - ეს არის პრობლემა, რომლისთვისაც არ არსებობს ისტორიული თუ ტერიტორიული საზღვრები. გლობალური სიღარიბის აღმოფხვრა - ეს არის თანამედროვე რეალობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც გავლენას ახდენს მსოფლიოს ეკონომიკაზე.

სიღარიბის დაძლევაზე მიმართულია მთელი რიგი მაღალი ავტორიტეტის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევა, რომელთა შორის აღსანიშნავია მსოფლიო ბანკი (World Bank), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (United Nations), ეკონომიკური კოოპერირებისა და განვითარების ორგანიზაცია (Organization of Economic Cooperation and Development), ევროკავშირი (European Union), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (International Monetary Fund), შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა (International Labor Organization) და სხვ.

სიღარიბესთან ბრძოლაზე მიმართული მრავალი პროგრამის მიღება-ამოქმედებისა და გარკვეული დადებითი შედეგების მიღების მიუხედავად, სიღარიბის პრობლემა დაუძლეველი რჩება და უფსკრული ყველაზე მდიდრებსა და ყველაზე ღარიბებს შორის კიდევ უფრო გაღრმავდა.

2017 წლის 17-20 იანვარს დავოსში (შვეიცარია) გამართულ მორიგ 47-ე მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე ექსპერტების მიერ წარდგენილ მოხსენებაში „გლობალური რისკების ანგარიში 2017“ (The Global Risks Report 2017) უახლოესი ათი წლისთვის ძირითად გლობალურ რისკებს შორის გლობალურ ეკოლოგიურ საფრთხეებთან, მოსახლეობის დაბერებასა და ციფრულ ტექნოლოგიებზე დამოკიდებულების

ზრდასთან ერთად დასახელებულია ეკონომიკური უთანასწორობისა და მოსახლეობის სოციალური სტრატეფიკაცია (დიფერენციაცია).

უკიდურეს სიღარიბეში, ანუ მსოფლიო ბანკის ახალი მიდგომის მიხედვით დღეში 1,90 აშშ-ს დოლარზე ნაკლები შემოსავლით 2015 წელს ცხოვრობდა მსოფლიო მოსახლეობის 10,7%. აქედან, უკიდურესად ღარიბი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (47,9%) ცხოვრობდა სამხრეთ საჰარის რეგიონში, ლათინურ ამერიკაში და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებში [192].

ამავე დროს, Oxfam¹-ის მონაცემებით, 2015 წელს მსოფლიოს რვა უმდიდრესი ადამიანი (იგულისხმება ბილ გეიტსი (ფლობს 75 მილიარდ აშშ დოლარს), ამანსიო ორთეგა (ფლობს 67 მილიარდ აშშ დოლარს), უორენ ბაფეთი (ფლობს 60,8 მილიარდ აშშ დოლარს), კარლოს სლიმი (ფლობს 50 მილიარდ აშშ დოლარს), ჯეფ ბეზოსი (ფლობს 45,2 მილიარდ აშშ დოლარს), მარკ ცუკერბეგერი (ფლობს 44,6 მილიარდ აშშ დოლარს), ლერი ელისონი (ფლობს 43,6 მილიარდ აშშ დოლარს) და მაიკლ ბლუმბერგი (ფლობს 40 მილიარდ აშშ დოლარს) ერთობლივად ფლობდა 426 მილიარდ აშშ დოლარს და მათ გააჩნია მეტი ფული, ვიდრე მსოფლიოში მცხოვრებ 3,6 მილიარდ ღარიბ ადამიანს. ანუ, თუ საშუალო სიდიდეების ტერმინებს გამოვიყენებთ, მსოფლიოს რვა უმდიდრესი ადამიანი საშუალოდ ფლობს 53,25 მილიარდ აშშ დოლარს თითოეული, მაშინ როცა 3,6 მილიარდ ღარიბ ადამიანიდან თითოეულს საშუალოდ გააჩნია მხოლოდ 120 აშშ დოლარი [208].

მიუხედავად იმისა, რომ დღეს სამყარო უფრო მდიდარია, ვიდრე ის ორასი წლის წინ იყო [85; 105], ეკონომიკური უთანასწორობა კიდევ უფრო გაიზარდა და დღეს მსოფლიო მოსახლეობის 70% ცხოვრობს ქვეყნებში, რომლებშიც ეკონომიკური უთანაბრობა უკანასკნელ 30 წლის მანძილზე უფრო მეტად გაღრმავდა. ამ ქვეყნებს შორის აღმოჩნდნენ ე.წ. პოსტსოციალისტური ქვეყნები და მათ შორის საქართველო, სადაც გასული საუკუნის 90-ან წლებში განხორციელებულ სოციალურ-ეკონომიკურ

¹ Oxfam - ეს არის 1942 წელს ქალაქ ოქსფორდში ჩამოყალიბებული ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ჩვიდმეტ საერთშორისო ორგანიზაციას და რომელიც მიზნად ისახავს ბრძოლას მსოფლიოში არსებულ სიღარიბესა და მასთან დაკავშირებულ უსამართლობასთან.

და პოლიტიკურ ცვლილებებსა და ლიბერალურ ტრანსფორმაციას მოჰყვა მოსახლეობის დიდი ნაწილის მატერიალური მდგომარეობის გაუარესება და სიღარიბის წარმოშობა. თუ მე-19 საუკუნის დამდეგს დასავლეთი ქვეყნების სიმდიდრე 90%-ით აღემატებოდა სხვა დანარჩენი სამყაროს სიმდიდრეს, 21 საუკუნისთვის ეს განსხვავება სიმდიდრეში 750%-ს მიაღწია [97, გვ.9].

აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ 2017 წლის 18 ივნისიდან 9 ივლისამდე საქართველოს ტერიტორიაზე (აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) განხორციელებული კვლევის თანახმად, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 2261 რესპონდენტმა, სამუშაო ადგილების პრობლემის შემდეგ საქართველოში დღეს არსებული ყველაზე მწვავე პრობლემად სიღარიბე დაასახელა [233].

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ განვითარებული ქვეყნები არ განიცდიან სიღარიბის პრობლემას. მაგრამ ეს ასე არ არის.

მე-20 საუკუნის 60-ან წლებში ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის 20% იმყოფებოდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ. ამ პერიოდში აშშ-ში გამოცხადებული „სიღარიბესთან ომის“ შედეგად ეს მაჩვენებელი 14%-მდე შემცირდა, რაც 30 მილიონ ადამიანი შეადგენდა [229, გვ. 17-18].

2015 წელს აშშ-ში საოჯახო მეურნეობის 12,7% ანუ 15,8 მილიონი საოჯახო მეურნეობა განიცდიდა სურსათის უკმარისობას [75]. USDA (United States Department of Agriculture) მონაცემებით, 2014 წელს ეს საოჯახო მეურნეობები განიცდიდნენ სურსათის არასაკმარისობას წელიწადში 7 თვის განმავლობაში. ამ ადამიანთა 97%-მა განაცხადა, რომ იძულებულნი არიან შეამცირონ მისაღები სკვების მოცულობა ან გამოტოვონ ერთი კვების მიღება იმის გამო, რომ მათ არ გააჩნიათ საჭმელისთვის საჭირო ფული. 27%-მა კი განაცხადა, რომ ამავე მიზეზით საერთოდ დარჩნენ მშვირები მთელი დღის განმავლობაში [115, გვ. 4-11]. აშშ-ს მოსახლეობის აღწერის ბიუროს (United States Census Bureau) თანახმად, 2015 წელს ამერიკის შეერთებულ

შტატებში 43,1 მილიონი ადამიანი ანუ მთელი მოსახლეობის 13,5% იყო ღარიბი [120, გვ.12].

სიღარიბის, როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების, სიღრმისეული და ყოვლისმომცველი გაგების გარეშე შეუძლებელია მისი დაძლევა და საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევა.

რატომ არიან ადამიანები ღარიბები და რატომ არ შეუძლიათ მათ თავი დააღწიონ სიღარიბეს? რა იწვევს სიღარიბეს? რა შედეგები მოჰყვება სიღარიბეს ცალკეული ადამიანისათვის, ოჯახებისათვის და მთლიანად საზოგადოებისათვის? ვინ აგებს პასუხს სიღარიბის არსებობაზე? რამდენად რეალურია სიღარიბესთან ბრძოლა და რამდენად რეალურია მისი დაძლევა? ამ და მრავალ სხვა კითხვაზე პასუხის გაცემას ცდილობდნენ და დღემდე ცდილობენ სხვადასხვა მეცნიერული მიმართულების - პოლიტიკური და ეკონომიკური მეცნიერების, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის და ა.შ. - წარმომადგენლები, მაგრამ სრულად პასუხი დღემდე დარჩა გაუცემელი.

ასეთ ვითარებაში არსებობს მზარდი აუცილებლობა გაერთიანდეს თანამედროვე მეცნიერებაში არსებული ცოდნა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და რთულ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის ირგვლივ, როგორცაა სიღარიბე და ამის საფუძველზე ჩამოყალიბდეს ახალი ხედვა ამ სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენის გაგებასა და მისი დაძლევის მიმართ.

დღეს ყალიბდება სიღარიბის პრობლემასთან დაკავშირებული ცოდნის აკუმულირებისა და განზოგადების მზარდი აუცილებლობა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს სიღარიბესთან ბრძოლისადმი ახალი მიდგომების ჩამოყალიბებას. სხვაგვარად ამ კომპლექსური პრობლემის შესწავლის ნებისმიერი მცდელობა იქნება არასრულყოფილი და წარუმატებელი.

ცნებას „სიღარიბე“ დღემდე არ გააჩნია ცალსახა სამეცნიერო განსაზღვრა. სიღარიბეს ხშირად აკავშირებენ პოლიტიკურ პროცესებთან ან განიხილავენ, როგორც წმინდა ეკონომიკურ მოვლენას. ასეთი შეხედულება ატარებს ცალმხრივ ხასიათს და არ იძლევა ამ სოციალურ-ეკონომიკური მოვლენის სრულყოფილი გაგებისა და

მასთან ბრძოლის ეროვნული თუ გლობალური სტრატეგიების შემუშავების შესაძლებლობას.

სიღარიბესთან ბრძოლა, როგორც წესი, გამომდინარეობს ამ მოვლენის ეკონომიკური გაგებიდან და ეფუძნება ეკონომიკურ მეთოდებს. მაგრამ, როგორც ამას სამეცნიერო კვლევები და საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკა ცხადყოფს, ასეთი მიდგომა არა მხოლოდ ვერ წყვეტს სიღარიბის დაძლევის პრობლემას, არამედ არ იძლევა მეტ-ნაკლებად სრულყოფილ და სრულფასოვან პასუხს სიღარიბის არსებობის მიზეზებისა და მის დაძლევის პერსპექტივებთან დაკავშირებულ კითხვებზე და, მაშასადამე, არ არ მიყვაროთ დადებით შედეგებამდე.

ამასთან, სხვადასხვა სარწმუნო და მაღალი ავტორიტეტის მქონე წყაროები ხშირად იძლევიან სიღარიბესთან დაკავშირებულ განსხვავებულ და, ზოგჯერ, ურთიერთ საწინააღმდეგო მონაცემებს და შეფასებებს.

სიღარიბის პრობლემის კვლევა ეფუძნება მულტიდისციპლინარულ მიდგომას და გამომდინარეობს განსხვავებული შეხედულებიდან. ამის გამო მოცემული კვლევა იწყება იმის შესწავლით, თუ როგორ განიხილავენ სიღარიბის პრობლემას სოციალური მეცნიერების განსხვავებული მიმართულებები.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა: სიღარიბის პრობლემის კვლევას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ეკონომიკურ-მატერიალური უთანაბრობის, სოციალური სტრატეგიკაციისა და საზოგადოების მოწყობის საკითხები არ იყო უცხო ჯერ კიდევ ძველი დროის ისეთი მოაზროვნეებისათვის, როგორცაა პლატონი, არისტოტელე, კონფუცი, ნ. მაკიაველი, თ. ჰობსი და სხვ.

სიღარიბის პრობლემას იკვლევდნენ სხვადასხვა სოციალურ მეცნიერებათა წარმომადგენლები. სიღარიბის ცალკეული მხარეები შესწავლილი იყო ჯერ კიდევ კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სკოლის წარმომადგენლების - თ.რ.მალთუსის, ჯ.ს.მილის, პ.ჟ.პრუდონის, დ.რიკარდოს, ა.სმიტის. კ.მარქსის, ფ.ენგელსისა და სხვათა - მიერ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მე-19 საუკუნეში სიღარიბე განიხილებოდა, როგორც წესი (ამ შემთხვევაში პ.ჟ.პრუდონი გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს), სიმდიდრის კვლევის კონტექსტში.

სიღარიბის პრობლემის უშუალო კვლევა იწყება ინგლისში მე-19 საუკუნის დამლევს და დაკავშირებულია ისეთ სახელებთან, როგორცაა ჩარლს რუტი (Charles Booth, 1840-1916) და ბენჯამინ ს.რაუნტრი (Benjamin Seebohm Rowntree, 1871–1954). მე-20 საუკუნეში სიღარიბის პრობლემის გამოჩენილი მკვლევართა შორის უნდა აღინიშნოს ჯ.ლანელი, ჯ.მაკი (Mack, J.), ჯ.საკსი (Sachs, J.), ა.სენი (Sen, A.), პ.ტაუსენდი (Townscend, P.) და სხვ.

სიღარიბის პრობლემას განიხილავდნენ ნიკო ნიკოლაძე და ილია ჭავჭავაძე, ხოლო ამ პრობლემის სისტემური კვლევა საქართველოში დაიწყო მე-20 საუკუნის 90-ან წლებში, როდესაც ამ მოვლენამ მოიწვა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი და ნათელი გახდა, რომ ამ რთული პრობლემის დაძლევა ესაჭიროება ხანგრძლივი დრო და საფუძვლიანი შესწავლა. სიღარიბის ცალკეული მხარეების კვლევას ახორციელებდნენ ლ.ჩიქავა, გ.პაპავა, რ.ასათიანი, რ.აბესაძე, ც.ანთაძე, რ.სარჩიმელია, თ. ქავთარაძე, ზ.რევიშვილი, თ.ჩხეიძე, რ.ჯავახიშვილი, ვ.ბურდული, მ.კაკულია, ნ.კაპანაძე, ლ.ქურხული და სხვ.

ზემოაღნიშნული უცხოელი და ქართველი ავტორების მიერ განხორციელებული კვლევებისა და მიღებული შედეგების უდაოდ დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, სიღარიბის გაგებასთან დაკავშირებული პრობლემები კვლავინდებურად მოითხოვენ ყურადღებას და ამ რთული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომების სრულყოფას. მიუხედავად იმისა, რომ სიღარიბისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების კვლევას მრავალი ავტორი ახორციელებს და ამ მიმართულებით დიდი რაოდენობის სამეცნიერო ნაშრომი არის შექმნილი როგორც მსოფლიოში, ისევე საქართველოში, ჯერ-ჯერობით არ არის ჩამოყალიბებული მყარი წარმოდგენა და კომპლექსური მიდგომა ამ პრობლემის კვლევის მიმართ.

კვლევის მიზანი და ამოცანები. სადისერტაციო ნაშრომის მიზანია სიღარიბის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენის, კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომების თავისებურებათა შესწავლა და სრულყოფა.

მოცემული მიზნის მიღწევის აუცილებლობიდან გამომდინარე დასახულია შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

- სიღარიბის, როგორც მულტიდისციპლინარული კატეგორიის წარმოჩენა;
- მეცნიერების სხვადასხვა დარგებში, როგორცაა პოლიტიკური მეცნიერებანი, სოციოლოგია, ფსიქოლოგია და ანთროპოლოგია, შემუშავებული სიღარიბის თეორიების შესწავლა;
- ეკონომიკურ მეცნიერებაში სიღარიბესთან დაკავშირებულ შეხედულებათა ევოლუციის გაანალიზება;
- სიღარიბის, როგორც კომპლექსური და მრავალგანზომილებიანი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენის შესწავლა;
- სიღარიბის კვლევის ძირითადი პრობლემების განსაზღვრა და მათი კვლევის მეთოდოლოგიის თავისებურებათა დახასიათება;
- განვითარებული ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და საქართველოში სიღარიბესთან ბრძოლის ღონისძიებათა თავისებურებების დადგენა.

კვლევის ობიექტი: სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს სიღარიბე, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა.

კვლევის საგანი: სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანია სიღარიბის კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური თავისებურებანი.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები: მოცემულ კვლევაში გამოყენებული თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომები განპირობებულია საკვლევი პრობლემის ხასიათით და ეფუძნება ეკონომიკის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, ანთროპოლოგიისა და პოლიტიკური მეცნიერების კლასიკოსების და წამყვან მეცნიერთა შრომებში განვითარებულ შეხედულებებს, რაც წარმოადგენს სიღარიბის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიის კვლევისადმი ინტერდისციპლინარული მიდგომის საფუძველს.

მოცემულ კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია შემეცნების ზოგადი და სპეციალური მეთოდები, როგორცაა ანალიზისა და სინთეზის მეთოდი, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდი, აბსტრაქციის მეთოდი, გრაფიკული მეთოდები,

ფუნქციონალური და შედარებითი ანალიზის მეთოდი, მათემატიკური მოდელირების მეთოდი, სტატისტიკური ანალიზის მეთოდი, დაჯგუფებისა და კლასიფიკაციის მეთოდი, ისტორიულ-ლოგიკური და ქრონოლოგიური მეთოდები.

მეცნიერული სიახლე: მეცნიერების კონკრეტული მიმართულებების ფარგლებში, კერძოდ პოლიტიკურ მეცნიერებაში, ფსიქოლოგიაში, ანთროპოლოგიაში, სოციოლოგიასა და ეკონომიკაში შემუშავებული სიღარიბის თეორიების შესწავლის საფუძველზე მოცემულია ავტორისეული ხედვა სიღარიბის პრობლემის კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ მიდგომებზე და სიღარიბე განხილულია, როგორც ინტერდისციპლინარული კატეგორია, როგორც მოვლენა, რომლის გაგებისა და ყოველმხრივი შემეცნების საფუძველზე შესაძლებელი ხდება ამ პრობლემის დაძლევის პერსპექტიული მიმართულებების განსაზღვრა.

ამრიგად, სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე ზოგადად მდგომარეობს სიღარიბის, როგორც ინტერდისციპლინალური სოციალურ-ეკონომიკური მოვლინის კვლევისადმი თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომების თავისებურებათა კომპლექსურ ანალიზსა და სრულყოფაში.

სადისერტაციო თემაზე მუშაობის პროცესში მიღებული ძირითადი მეცნიერული სიახლეები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

- *სიღარიბე განხილულია, როგორც ინტერდისციპლინარული მოვლენა და შესწავლილია პოლიტიკური, ფსიქოლოგიური, ანთროპოლოგიური, სოციოლოგიური და ეკონომიკური მეცნიერების კონტექსტში;*
- *შესწავლილია განსხვავებული სკოლების წარმომადგენელთა შეხედულებები სიღარიბეზე, მის გამომწვევ მიზეზებზე, გამოვლენის ხასიათსა და შედეგებზე;*
- *სიღარიბის არსებული განმარტებების ანალიზისა და სისტემატიზაციის საფუძველზე გამოყოფილი იქნა სიღარიბის განსაზღვრის შვიდი ჯგუფი;*
- *შემუშავებულია აბსოლუტური სიღარიბის შინაგანი სტრუქტურა და შესწავლილია მის ელემენტებს შორის არსებული ურთიერთკავშირი;*
- *საარსებო მინიმუმში სასურსათო კალათის წილის განსაზღვრის მიზნით შემოღებულია "სასურსათო კალათა-საარსებო მინიმუმის პროპორციის*

კოეფიციენტი" (k), რომლის მეშვეობით განსაზღვრულია თანაფარდობა სასურსათო კალათასა (C) და საარსებო მინიმუმს (M) შორის: $C = kM$;

- საარსებო მინიმუმის საფუძველზე განსაზღვრულია სიღარიბის განსხვავებული დონეები;
- განხორციელდა სიღარიბის ტიპების განსაზღვრა და გამოვლენილია სიღარიბის 33 დასახელების 28 ტიპი; განხორციელდა ამ ტიპების კლასიფიკაცია;
- სისტემატიზებული და გაანალიზებულია სიღარიბის გაზომვის მეთოდები და განხილულია მათი თავისებურებანი;
- დასახელებულია სიღარიბის გამომწვევი მიზეზები და ამ მიზეზების საფუძველზე განსაზღვრულია სიღარიბის განსხვავებული ფორმები.

სადისერტაციო კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა:

სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილია სხვადასხვა მეცნიერული მიმართულების ფარგლებში (ეკონომიკის, პოლიტოლოგიის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის) სიღარიბის კვლევის მიმართ გამოყენებული მიდგომები, განვითარებული თეორიები და კონცეფციები, განხორციელებულია სიღარიბის პრობლემასთან დაკავშირებულ შეხედულებათა ანალიზი, რაც საინტერესო და სასარგებლო იქნება სიღარიბის პრობლემის კვლევის ისტორიით დაინტერესებულ ფართო წრის სპეციალისტებისათვის.

კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები იძლევიან შესაძლებლობას სიღარიბის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენის, ახლებური გაგებისა და, აქედან გამომდინარე, მასთან ბრძოლის გზების უკეთ გაგებისათვის.

სიღარიბის ტიპოლოგიზაცია მისი თავისებურებების მიხედვით, სიღარიბის გაზომვის დღეს მსოფლიოში არსებული მეთოდების შესწავლა და ანალიზი, განვითარებულ ქვეყნებში სიღარიბესთან გამკლავების მეთოდებისა და გზების სიღრმისეული გაგება, სიღარიბის კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომები, ძირითადი ცნებების განსაზღვრა, სიღარიბესთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული დებულებები, კვლევის დასკვნები და კონკრეტული

რეკომენდაციები სასარგებლო იქნება იმ ორგანიზაციებისათვის, რომლების მიზნად ისახავენ სიღარიბესთან ბრძოლას და შეიძლება იყოს გამოყენებული იმ სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურების მიერ, რომლებიც ახორციელებენ სიღარიბის მონიტორინგს და ამ პრობლემის გავრცელება-შეზღუდვის პროგნოზირებას, სიღარიბის დაძლევისა და სოციალური დაცვაზე მიმართული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას. კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს, აგრეთვე, სტუდენტების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების მომზადების პროცესში.

ნაშრომის აპრობაცია:

სადისერტაციო ნაშრომის ცალკეული თავები განხილულია აწსუ-ს ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეკონომიკის დეპარტამენტის სხდომებზე დოქტორანტის კოლოქვიუმებზე. სადისერტაციო კვლევის ძირითადი დებულებები წარმოდგენილია სამეცნიერ-პრაქტიკულ კონფერენციებზე და გამოქვეყნებულია სამეცნიერო გამოცემებში.

დისერტაციის ძირითადი შედეგები ასახულია შემდეგ სამეცნიერო შრომებში:

უცხოეთში გამოქვეყნებული:

- **The Poverty Problem in Villages of Imereti Region of Georgia**, Samara State Academy of Social Sciences and Humanities “Higher Humanities Education in the 21st Century: Challenges and Perspectives”, 2015.
- ***Проблема бедности и перспективы ее преодоления***, Санкт-Петербургский Государственный Университет, XXIII Международная Конференция Молодых Учёных-экономистов, Санкт-Петербург, ISBN 978-5-288-05791-5, 9 декабря 2017 г.
- **The Problem of Poverty: Alternative Views on its Sustainability**, International Journal “Word Science”, ISSN 2414-6404, h-index-9, Poland, N 5(33), 2018.

საქართველოში გამოქვეყნებული:

- **სიღარიბის პრობლემა ნეოკლასიკურ ეკონომიკურ თეორიაში**, ჟურნალი „ეკონომისტი“, N2, 2017, გვ. 22-32.

- *სიღარიბის პრობლემა იმერეთის რეგიონის სოფლებში და ტურიზმის როლი მის დაძლევაში*, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია „ეროვნული ეკონომიკის მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“, ISBN 978-9941-13-435-7, თბილისი 2015, გვ. 361-366. http://pgie.tsu.ge/contentimage/konferenciebi/2015_.pdf
- *სიღარიბე, როგორც თანამედროვე რეალობის გამოწვევა*, აწსუ-თვის უნივერსიტეტის სტატუსის მინიჭების 25 წლის იუბილისადმი მიძღვნილი პირველი რესპუბლიკური კონფერენცია „ახალგაზრდა აგრარიკოსები“, 2016, გვ.41-46.
- *ეკონომიკური უთანასწორობა და სიღარიბე ინდივიდუალურ და გლობალურ კონტექსტში*, პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული, ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები (23-24 ივნისი, 2017), თბილისი 2017, გვ. 201-208.
- *სიღარიბის ტიპოლოგიზაციის პრობლემები: აბსოლუტური და ზომიერი სიღარიბე*, აწსუ 2017, II საერთაშორისო კონფერენციის (29-30 სექტემბერი, 2017, "თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები", <http://atsu.edu.ge/EJournal/BLSS/>
- *განვითარებადი ქვეყნები: ვინ აგებს პასუხს სიღარიბეზე? (ალტერნატიული შეხედულება)*, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე „ეკონომიკა, ბიზნესი და ტურიზმი: აქტუალური პრობლემები, მიღწევები და ინოვაციები“, ქუთაისის უნივერსიტეტი, 2017 წლის 11-12 ნოემბერი.
- *სიღარიბის ფსიქოლოგიური თეორია*, საერთაშორისო კონფერენცია „Globalization 2018“, European University, Tbilisi, Georgia, თბილისი 2018.

დისერტაციის სტრუქტურა: სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, ათი პარაგრაფის, დასკვნებისა და წინადადებებისაგან. ნაშრომი მოიცავს 222 ნაბეჭდ გვერდს, 12 სქემას, 3 ცხრილს, 11 დიაგრამას და 3 ნახაზს. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია 258 დასახელებით და 4 დანართი.

თავი 1. სიღარიბე როგორც ინტერდისციპლინარული კატეგორია: თეორიული მიდგომების ანალიზი

სიღარიბის პრობლემის კვლევა არ უნდა იყოს დაყვანილი მხოლოდ მისი არსებობის ფაქტის უბრალო კონსტატაციასა და აღწერამდე, არამედ უნდა ატარებდეს კომპლექსურ ხასიათს და ითვალისწინებდეს ყველა იმ მიღწევას, რომელსაც ადგილი აქვს როგორც ეკონომიკურ, ასევე სხვა მეცნიერულ მიმართულებებში, როგორცაა პოლიტიკური მეცნიერებანი, სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური და სხვა, რაც სიღარიბის კვლევას ინტერდისციპლინარულ ხასიათს აძლევს.

მოცემულ თავში განხორციელებულია იმ თეორიული მიდგომების ანალიზი, რომლებიც დაკავშირებულია სიღარიბის პრობლემის კვლევასთან.

1.1. სიღარიბის პრობლემა პოლიტიკურ მეცნიერებაში

სიღარიბის პოლიტიკური თეორიები გამოდიან იმ ვარაუდიდან, რომ არსებობს უშუალო კავშირი სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობისა და პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილებების მიღებას შორის, რომ პოლიტიკას შეუძლია ჩამოაყალიბოს კომპლექსური წარმოდგენა იმის თაობაზე, თუ რა რეაგირება უნდა მოახდინონ სახელმწიფო სტრუქტურებმა სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებზე და გაატარონ შესაბამისი რეფორმები.

სიღარიბის პოლიტიკური თეორია ეფუძნება განსხვავებულ შეხედულებებს, რომლებსაც ავითარებენ განსხვავებული მიმართულების პოლიტიკური პარტიები. სიღარიბის პოლიტიკურ თეორიაში შეიძლება გამოყოფილი იქნას სამართლიანობის თეორია, რომელიც მოიცავს, ერთის მხრივ, განაწილებისა და აღიარების დოქტრინებს და, მეორეს მხრივ, ხელშეწყობისა და ტრანსფორმაციის პოლიტიკას. გარდა ამ თეორიებისა, მოცემულ პარაგრაფში განიხილება პოლიტიკური მონაწილეობის თეორია და სიღარიბის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა. მაგრამ თავდაპირველად ზოგადად დავახასიათებთ სიღარიბის პოლიტიკურ თეორიებს.

ზოგადი დახასიათება: კონსერვატორები და ლიბერალები

პოლიტიკური მეცნიერება ფოკუსირებულია პოლიტიკური სისტემებისა და პოლიტიკური ქცევის შესწავლაზე და ამის საფუძველზე ახორციელებს სიღარიბის მიზეზებისა და შედეგების ახსნას.

პოლიტიკური მეცნიერება გამომდინარეობს იმ გაგებიდან, რომ სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის დალწევა და სიღარიბესთან ბრძოლა ხელს უწყობს კეთილდღეობის დამკვიდრებას. ამ მიზნით მუშავდება განსხვავებული პოლიტიკური ღონისძიებები და პროგრამები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ისეთ კითხვებზე პასუხის გაცემასთან, როგორცაა: ვინ აგებს პასუხს სოციალურ-ეკონომიკურ უთანასწორობაზე და სიღარიბეზე? ვინ არის პასუხისმგებელი სოციალურ სოლიდარობზე, ეკონომიკურ სტაბილურობასა და საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევაზე? განსხვავებული იდეოლოგიისა და პოლიტიკური ძალების წარმომადგენლები განსხვავებულ პასუხს გასცემენ ამ კითხვებს. პოლიტიკურ მეცნიერებაში გამოიყოფა ორი განსახვავებული მიდგომა ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად - კონსერვატორული და ლიბერალური. ლიბერალური მიმართულების მკვლევარები [128; 129] სიღარიბეზე პასუხისმგებლობას აკისრებენ თვით ღარიბებს, ხოლო კონსერვატორული მიმართულების მეცნიერები თვლიან, რომ სიღარიბეზე პასუხი უნდა აგოს საზოგადოებამ და სხვადასხვა დონის სახელმწიფო ორგანოებმა [98; 99; 100; 101; 134; 179]. გარდა ამისა, პოლიტიკურ მეცნიერებაში ფართოდ არის გავრცელებული მოსაზრება, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება შეიძლება იყოს განპირობებული გავლენიანი ჯგუფების ინტერესებით და ვინაიდან კანონმდებლობის მიღება დამოკიდებულია პოლიტიკოსებზე, ამ კანონმდებლობას პოლიტიკოსები საკუთარ და გავლენიან პირთა ინტერესებს არგებენ [143].

სიღარიბის პოლიტიკური თეორიების ზოგად პრობლემას წარმოადგენს სამართლიანობის მიღწევის პრობლემა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ხდება იმის გაგება, თუ რას ეწოდება „სამართლიანობა“, როგორ განიხილება

სამართლიანობის პრინციპი პოლიტიკურ მეცნიერებაში და რა წარმოადგენს სამართლიანობის მიღწევის ძირითად პრინციპებს.

სამართლიანობის თეორია: განაწილების დოქტრინა და აღიარების დოქტრინა

პოლიტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული ე.წ. სამართლიანობის თეორია გამოხატავს „სახელმწიფოს ფუნდამენტურ როლს მოსახლეობის კლასიფიკაციაში ადამიანთა მსგავსებისა და განსხვავებების მიხედვით“ [93, გვ. 420]. სამართლიანობის თეორია ეფუძნება სოციალური და ეკონომიკური თანასწორობის მიღწევის იდეას და წარმოდგენილია ორი დოქტრინით: **განაწილების დოქტრინით** და **აღიარების დოქტრინით**.

სოციალური და ეკონომიკური თანასწორობის მიღწევის მიზნით ყველაზე ხშირად გამოიყენება **განაწილების დოქტრინა**, რომლის საფუძველზე ხდება განაწილების (დისტრიბუციის) პოლიტიკის (politics of distribution) შემუშავება და გავრცელება. განაწილების პოლიტიკა მიმართულია განსხვავების შემცირებაზე მდიდარ და ღარიბ მოსახლეობას შორის ღარიბთა სასარგებლოდ შემოსავლების გადანაწილების საფუძველზე. ამერიკული პოლიტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და ცნობილი წარმომადგენელია **ჯონ როლზი** (Rawls John, 1921-2002). ის მორალური ეთიკის საფუძველზე ამუშავებდა სამართლიანობის ძირითად საკითხებს და განიხილავდა სამართლიანობის თეორიას სამართლიანი განაწილების თვალსაზრისით და ცდილობდა „გარკვეული განაწილებითი პრინციპების განმარტებას საზოგადოების ფუძემდებლური სტრუქტურისათვის“ [156, გვ.9]. ჯ.როლზის შეხედულებებში სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში სამართლიან განაწილებასთან დაკავშირებით შეიძლება გამოვყოთ შემდეგი პრინციპები:

- ყველა ინდივიდს უნდა გააჩნდეს თანასწორი უფლებები;
- ნაკლებად წარმატებულ ინდივიდებს უნდა ჰქონდეს მეტი დახმარების მიღების შესაძლებლობა;

- ყველას უნდა ჰქონდეს თანამდებობის დაკავების ერთნაირი შესაძლებლობა.

ჯ.როლზის და დისტრიბუციის დოქტრინის მომხრეთა შეხედულებებით, ადამიანთა თანასწორობას და თანაბარ თავისუფლებას განაწილების პოლიტიკა უნდა დაედოს საფუძვლად.

სამართლიანობის კონცეფციის აღიარების დოქტრინა ეფუძნება ე.წ. აღიარების პოლიტიკას (politics of recognition), რომელიც გამომდინარეობს სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის, როგორც პრობლემების, აღიარებიდან. იგი მიზნად ისახავს ღარიბ და მომუშავე ადამიანებისათვის ხელისშეწყობას მათ მცდელობაში მიაღწიონ სამართლიანობას. აღიარების პოლიტიკის მნიშვნელობა გამომდინარეობს იმ ვარაუდიდან, რომ ამგვარ პოლიტიკას შეუძლია დახმარება გაუწიოს ღარიბ ადამიანებს მათ ბრძოლაში მიაღწიონ ეკონომიკურ და სოციალურ სამართლიანობას გადანაწილების პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე [156, გვ.24; 94, გვ.8].

ამგვარად, აღიარების პოლიტიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული განაწილების პოლიტიკასთან და ეფუძნება სოციალური უზრუნველყოფის სისტემის რეფორმებს. მაგრამ აღიარების პოლიტიკასა და განაწილების პოლიტიკას შორის ურთიერდამოკიდებულება არ არის პირდაპირი და მარტივი. ზოგი ავტორი [94] ცდილობს ფილოსოფიურ-პოლიტიკურ ჭრილში დაადგინოს, თუ რომელ პოლიტიკას უჭირავს პირველობა „აღიარება-განაწილების პოლიტიკის“ დილემაში და თვლიან, რომ აღიარება არის ფუნდამენტური მორალური (ზნეობრივი) კატეგორია, მაშინ როცა განაწილება აღიარებიდან წარმოშობილ კატეგორიას წარმოადგენს.

ამასთან, არსებობს სხვა შეხედულებებიც, რომლებიც არ ეთანხმებიან „აღიარება-განაწილების“ პოლიტიკის განხილვას პირველობის დადგენის საფუძველზე. მეცნიერთა ნაწილი [94] აყალიბებს საკუთარ ხედვას, რომელიც ეფუძნება სამართლიანობის თეორიის ორგანოზომილებიან გაგებას მისი ანალიზის დუალისტური პერსპექტივის საფუძველზე. ასეთი გაგებიდან გამომდინარე, აღიარება და განაწილება განიხილება, როგორც ერთგვაროვანი მოვლენები და თანაბარმნიშვნელოვანი კატეგორიები.

განაწილების პოლიტიკასთან დაკავშირებული კვლევების საფუძველზე იყო აღმოჩენილი ფაქტები, რომლებსაც შეუძლიათ წინასწარ განსაზღვრონ ამ პოლიტიკის შედეგები და ამ ფაქტორებს შორის დასახელებილია ისეთი ფაქტორები, როგორცაა უთანასწორობის თავდაპირველი დონე, შრომის ბაზრის სტრუქტურა, კონსტიტუციური სტრუქტურა და სხვ. [165].

სამართლიანობის თეორია: ხელშეწყობის პოლიტიკა და ტრანსფორმაციის პოლიტიკა

სამართლიანობის დამკვიდრებისა და განაწილება-აღიარების პოლიტიკის განვითარებისათვის გამოიყენებენ ორ მსხვილ სტრატეგიას - **ხელშეწყობის პოლიტიკას** (politics of affirmation) და **ტრანსფორმაციის პოლიტიკას** (politics of transformation) [94, გვ.73].

ხელშეწყობის პოლიტიკა წარმოადგენს ლიბერალურ ღონისძიებათა სისტემას, რომელიც მიმართულია სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური უთანასწორობის შემცირებასა და საზოგადოების სოციალურად დაუცველი იმ ჯგუფების ხელშეწყობაზე, ვინც მოკლებულია წვდომას რესურსებთან, არ გააჩნია წინსვლისა და განვითარების შესაძლებლობა.

ხელშეწყობის პოლიტიკის საწინააღმდეგოდ, **ტრანსფორმაციის პოლიტიკა** ვარაუდობს უფრო მკვეთრი ზომების მიღებას სამართლიანობის დამკვიდრებისათვის. ტრანსფორმაციის პოლიტიკა მიზნად ისახავს სოციალური უსამართლობისა და უთანასწორობის, მათ შორის სიღარიბის, დაფიქსირებას და შესწორებას ამ მოვლენების ძირითადი გამომწვევი მიზეზების გამოვლენისა და აღმოფხვრის საფუძველზე. ტრანსფორმაციის პოლიტიკა ვარაუდობს სოციალური სტრუქტურისა და საზოგადოების ეკონომიკური სისტემის (კერძოდ, საკუთრების ფორმების, სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობებისა და ა.შ.) გადასინჯვას, რათა დაიცვან გარკვეული კლასების ინტერესები. ტრანსფორმაციის პოლიტიკა

მიმართულია ღარიბების, მომუშავე ადამიანების და საზოგადოების სხვა გაჭირვებული ჯგუფების ხელშეწყობაზე მათ ბრძოლაში სოციალური და ეკონომიკური სამართლიანობის დამკვიდრებისათვის [156, გვ. 24]. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური ტრანსფორმაციის სოციალისტური იდეა ითვლება მოძველებულად, მკვლევარები აგრძელებენ ამ კონცეპტის განხილვას [94, გვ.75] და განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ხელშეწყობის ლიბერალური პოლიტიკისა და ტრანსფორმაციის სოციალისტური პოლიტიკის გაერთიანებაზე იმ მიზნით, რომ ხანგრძლივ პერსპექტივაში მოხდეს ძალაუფლების გადანაწილება და სოციალური გარდაქმნების ხელშეწყობა. თანაფარდობა ხელშეწყობის პოლიტიკასა და ტრანსფორმაციის პოლიტიკას შორის დამოკიდებულია იმ მიზნებზე, რომლებიც ყოველ კონკრეტულ მომენტში დგას საზოგადოების წინაშე.

განსხვავება ხელშეწყობის პოლიტიკასა და ტრანსფორმაციის პოლიტიკას შორის არის შეფარდებითი და კონკრეტულ სიტუაციაზე დამოკიდებული, რის გამო ხელშეწყობის რეფორმებმა შეიძლება მიიღონ რადიკალური ფორმები და გარდაიქმნან ტრანსფორმაციულ ღონისძიებებში.

არსებობს მოსაზრება, რომ უსამართლობის უკუგდებისათვის საუკეთესო საშუალებაა ხელშეწყობის პოლიტიკისა და ტრანსფორმაციის პოლიტიკის დიქტომიის დაძლევა და ორივესი საუკეთესო მახასიათებლების - ხელშეწყობის პოლიტიკის პრაქტიკულობისა და ტრანსფორმაციის პოლიტიკის რადიკალური პათოსის - გაერთიანება [94, გვ.80, 82].

სიღარიბის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა

სიღარიბის პოლიტიკურ თეორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სიღარიბის საწინააღმდეგოდ მიმართულ პოლიტიკას, რომელიც ხორციელდება ორი მიმართულებით, რის გამო გამოყოფენ ადამიანებზე დაფუძნებულ პოლიტიკას (people-based policies) და ადგილზე დაფუძნებულ პოლიტიკას (place-based policies) [125; 177]. განსხვავება სიღარიბის დაძლევაზე მიმართული პოლიტიკის ამ ორ

მიმართულებას შორის გამომდინარეობს ამ პოლიტიკის ბენეფიციარების განსაზღვრაში ან საინვესტიციო პოლიტიკის მიზანში: ადამიანებზე დაფუძნებული პოლიტიკა ორიენტირებულია ინდივიდებსა და შინამეურნეობებზე, მოიცავს შემწეობებს ღარიბებისათვის და სხვ., ხოლო ადგილზე დაფუძნებული პოლიტიკა მიმართულია იმ სივრცეზე, სადაც არის კონცენტრირებული სიღარიბე ანუ ღარიბ ადგილებზე, რაიონებზე და რეგიონებზე, რომლებშიც იქმნება ხელსაყრელი პირობები ბიზნეს-საქმიანობის განხორციელებისათვის [179].

სიღარიბის საწინააღმდეგო პოლიტიკის დუალიზმი (გაორება) და მიზანმიმართულობა ან ღარიბ ადამიანებზე და ან ღარიბ ადგილებზე, ზოგიერთი მეცნიერის შეხედულებით, იწვევს სიღარიბის საწინააღმდეგო პოლიტიკის არასრულყოფილებას და ფრაგმენტალობას, რის გამოც ეს პოლიტიკა ვერ ფუნქციონირებს ეფექტიანად და მას არ შეუძლია დასახული მიზნების მიღწევა. ცალ-ცალკე აღებული არც ადამიანებზე დაფუძნებულ პოლიტიკას და არც ადგილზე დაფუძნებულ პოლიტიკას არ ძალუძთ სიღარიბის ამოფხვრა [177]. აუცილებელი ხდება ამ ორი პოლიტიკის მჭიდრო ურთიერთდაკავშირება [125] და მხოლოდ ამის საფუძველზე გახდება შესაძლებელი გარკვეული შედეგების მიღება.

პოლიტიკური მონაწილეობის თეორია

პოლიტიკური მონაწილეობის თეორია (The theories of political participation) ეფუძნება სიღარიბის ახსნას ღარიბთა პოლიტიკური აქტივობის დონის თვალსაზრისით.

2004 წელს ამერიკის პოლიტიკურ მეცნიერებათა ასოციაციამ გააჟღერა მათ მიერ ჩატარებული კვლევის ორი ძირითადი და მნიშვნელოვანი აღმოჩენა, რომელიც დაკავშირებული იყო უთასწორობასა და ამერიკის დემოკრატიის შესწავლასთან. ეს აღმოჩენა ეხებოდა, ერთის მხრივ, ლობირებით გამოწვეულ არათანაბარ პოლიტიკურ მონაწილეობას და, მეორეს მხრივ, არათანაბარ სამთავრობო ყურადღებას

ამომრჩეველთა განსხვავებული კატეგორიის მიმართ, ვინაიდან განსაკუთრებული პირობები იყო შექმნილი არჩევნების და პოლიტიკური კამპანიის მთავარი (მ.შ. მონეტარული) მონაწილეებისათვის. არჩევნებისა და სხვა კამპანიების მსხვილი მონაწილეები კამპანიის წარმატებული დასრულების შედეგად ჯილდოს სახით იღებენ წვდომას კანონმდებლობასთან, რითაც მათ შესაძლებლობა ეძლევათ გაატარონ თავისი ინტერესები [119, გვ.227]. მოსახლეობის ღარიბ ნაწილს და მათ წარმომადგენლებს ასეთივე შესაძლებლობა არ ეძლევათ და ღარიბი მოსახლეობა ხშირ შემთხვევაში ნაკლებად მონაწილეობს ამგვარ კამპანიებში.

პოლიტიკური მონაწილეობის თეორიის თანახმად, მოსახლეობის ღარიბი ფენები ანუ ე.წ. ანდერკლასები (underclass) გამოირჩევა პოლიტიკური აქტივობის დაბალი დონით. ღარიბთა პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის დაბალი დონე აიხსნება რიგი მიზეზით, კერძოდ, როგორც ამას უკანასკნელი პერიოდის დაკვირვების მეთოდზე დაფუძნებული კვლევები ადასტურებენ, პოლიტიკური სივრცე ხასიათდება პროფესიული კავშირების, ნებაყოფლობითი ასოციაციების და სხვა ორგანიზაციების პოლიტიკური აქტივობის დაცემით, რომლებიც ტრადიციულად ღარიბი სოციალური ჯგუფების ინტერესებს გამოხატავენ. ამ მიზეზთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვა მიზეზიც, რომლის თანახმად ღარიბი მოსახლეობა ცუდად არის ორგანიზებული, რის გამოც ისინი ვერ ახერხებენ თავისი ინტერესების გამოხატვას და დაცვას.

როგორც ამას მკვლევარები ამტკიცებენ, სიღარიბის საწინაარმდეგო პოლიტიკის გატარებას შეუძლია გაზარდოს პოლიტიკური აქტივობა, რაც გარკვეულ უპირატესობებს აძლევს მოსახლეობის ფართო მასებს და აგრძნობინებს მათ, რომ ისინი იმსახურებენ მხარდაჭერას საზოგადოების მხრიდან და ამით აძლევს მათ პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის გაფართოების სტიმულს.

1.2. სიღარიბის ფსიქოლოგიური თეორია

სიღარიბის პრობლემის სიღრმისეულ კვლევებს იძლევა სიღარიბის ფსიქოლოგიური თეორია, რომელიც განიხილავს ამ ფენომენის ფსიქოლოგიურ თავისებურებებს.

ზოგადი დახასიათება

სიღარიბის ფსიქოლოგიური თეორიის განვითარებაში შეიძლება გამოყოფილი იქნას სულ მცირე სამი პერიოდი: მე-20 საუკუნის 80-ან წლებამდე ფსიქოლოგები ეფუძნებოდნენ სიღარიბის ინდივიდუალურ ახსნას; 1980-2000 წლებში სიღარიბის ინდივიდუალურ გაგებას დაემატა სიღარიბის სიტუაციური (ანუ სოციალურ გარემოზე დაფუძნებული) გაგება, ხოლო 2000 წლიდან ფსიქოლოგებმა გააფართოვეს სიღარიბის კვლევის მეთოდოლოგია და მივიდნენ სიღარიბის მულტიდისციპლინურ გაგებამდე, როდესაც სიღარიბის გამომწვევ ფაქტორებად იქნა აღარებული ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ფაქტორები.

მიუხედავად იმისა, რომ სიღარიბის გამომწვევ მიზეზებზე ფსიქოლოგთა შეხედულებებმა გასული პერიოდის მანძილზე მნიშვნელოვანი ევოლუციური ცვლილებები განიცადეს, სიღარიბის ფსიქოლოგიური თეორიები უმეტესწილად არიან ფოკუსირებულნი ინდივიდებზე და მათ შორის არსებულ განსხვავებებზე. სიღარიბის ზოგიერთი ფსიქოლოგიური თეორია, მაგალითად ე.წ. ინტელექტზე დაფუძნებული ფსიქოლოგიური თეორიები (Intelligence-based psychological theories), სიღარიბეს განიხილავენ, როგორც კოგნიტიური დეფიციტის ანუ მეხსიერების, ყურადღების, შემეცნებითი უნარის უკმარისობის, დაბალი ინტელექტის შედეგს [146; 103]. სხვა თეორიები გამოდიან იმ ვარაუდიდან, რომ ფსიქოლოგიური დაავადებები, ფსიქოლოგიური დარღვევები და მორალური გადახრები [106; 153] შეიძლება იყოს სიღარიბის გამომწვევი მიზეზები. მაგალითად, გამომდინარე ზ.ფროიდის სწავლებიდან [95; 96], ადამიანის ეგო წარმოადგენს ადამიანის ფსიქიკის ნაწილს, რომელიც აღიქვამს გარე სამყაროს, როგორც შიდა და გარე კონფლიქტების ზეწოლას,

სიღარიბის ფსიქოლოგიური თეორიები ხსნიან ღარიბ ადამიანთა დამოკიდებულებას სახელმწიფოზე, როგორც სოციალური დახმარების მიმღებთა ფსიქიკურ გადახრას, რომელიც ტოვებს ღარიბებს სიღარიბეში [79].

სიღარიბის ფსიქოლოგიურ თეორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ადამიანის ქცევაზე დაფუძნებულ სიღარიბის ახსნას.

ატრიბუციის თეორია

სიღარიბის ფსიქოლოგიური თეორიების მიხედვით სხვადასხვა ფაქტორებს შეუძლია მოახდინონ ზეგავლენა სიღარიბეში მცხოვრებ ადამიანების ქცევაზე. აღნიშნული შეხედულებები ეფუძნება ატრიბუციის თეორიას (Attribution Theory), რომელიც აღიარებს ატრიბუციის ორ ტიპს: შიდა ანუ დისპოზიციურ ატრიბუციას, რომელიც ხსნის ადამიანთა ქცევას ინდივიდის პერსონალური მახასიათებლებითა და შესაძლებლობებით და გარე ატრიბუციას ანუ სიტუაციურ ატრიბუციას, რომელიც ეფუძნება ადამიანის ქცევის სიტუაციურ ახსნას.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში მკვლევარ-ფსიქოლოგები განიხილავდნენ სიღარიბეს დისპოზიციური ატრიბუციის თვალსაზრისით და აკავშირებდნენ სიღარიბის წარმომშობ მიზეზებს უმეტესად ცალკეულ ადამიანებთან და მათ პირად თავისებურებებთან [136].

სიღარიბის ერთ-ერთი ფსიქოლოგიური ახსნა გამომდინარეობს მოტივაციის თეორიიდან. სიღარიბის ფსიქოლოგიური თეორიები მნიშვნელოვან წილად აღმოცენდნენ და განვითარდნენ მოტივაციის განსხვავებული იდეებიდან, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჯონ ატკინსონის (John Atkinson, 1946-2017), დავიდ მაკკლელანდის (David McClelland, 1917-1998) და სხვათა შეხედულებებსა და იდეებს.

ჯონ ატკინსონი [57; 58] ვარაუდობდა, რომ ადამიანთა ინდივიდუალური განსხვავებები განაპირობებენ ადამიანთა სწრაფვას წარმატების მიღწევისკენ, რომელსაც მან „წარმატების მიღწევის მოტივი“ (“motive for success”) უწოდა და

წარუმატებლობის არიდებისკენ სწრაფვას ანუ „წარუმატებლობისაგან თავის დაღწევის მოტივი“ (“motive to avoid failure”).

დ.მაკკლელანდი აღიარებდა მოტივაციური მოთხოვნის სამ სახეს, როგორცაა მოთხოვნა ძალაუფლებაში (ძალაუფლებისკენ სწრაფვა), მოთხოვნა ცნობადობაში (სწრაფვა პოპულარობისკენ) და წარმატების მოთხოვნა (სწრაფვა წარმატებისკენ). დევიდ მაკკლელანდის შეხედულებით, წარმატებისკენ სწრაფვა წარმოადგენს მოტივატორს წარმატებული ადამიანებისთვის, მაშინ როცა ადამიანებს, რომლებიც სიღარიბეში ცხოვრობენ, ნაკლებად არიან დაინტერესებული ამ მოტივატორით და ამჟღავნებენ ნაკლებ მოთხოვნას წარმატების მიღწევის აუცილებლობაში. მათთვის უფრო დიდ მოტივატორს წარუმატებლობის შიში წარმოადგენს.

ამგვარი მიდგომა სიღარიბეში მყოფ ადამიანთა ცხოვრებისა და მათი ქცევის გასაგებად განეკუთვნება შიგა ან დისპოზიციურ ატრიბუციას, რომელიც აიგივებს ადამიანთა ქცევას მათ პირად მახასიათებლებთან. ამ თვალსაზრისით ღარიბ ადამიანთა ცხოვრება - ეს არის მათი პირადი მახასიათებლების თავისებურებათა და ჩვევების შედეგი: ღარიბ ადამიანებს არ გააჩნიათ სწრაფვა წარმატებისკენ და არ აქვთ მოთხოვნა, რათა ქონდეთ გარკვეული მიღწევები, რის გამო ისინი ვერ აღწევენ თავს სიღარიბეს.

ღარიბ ადამიანთა ქცევის თავისებურებების შემდგომი ახსნა უკავშირდება *სიტუაციურ ატრიბუციას*, რომელიც გულისხმობს, რომ ადამიანები ლეზულობენ გადაწყვეტილებებს განსხვავებულ ვითარებაში და ღარიბი ადამიანები ცხოვრობენ არახელსაყრელ პირობებში, რაც გავლენას ახდენს მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

სიტუაციურ ატრიბუციის თეორიასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ამოწურვადი თვითკონტროლის თეორია.

ამოწურვადი (გამოფიტვადი) თვითკონტროლის თეორია

სიტუაციური ატრიბუციის თეორიის თავისებურ გაგრძელებას და გაღრმავებას წარმოადგენს, ე.წ. *ამოწურვადი (გამოფიტვადი) თვითკონტროლის თეორია* (“depletable’ self-control theory), რომელიც, აგრეთვე, აღიარებს გარემოს ზეგავლენას ადამიანთა ქცევაზე და მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღებაზე.

სოციალური ფსიქოლოგიის წარმომადგენლებმა განავითარეს ამოწურვადი (გამოფიტვადი) თვითკონტროლის თეორია მე-20 საუკუნის 90-ან წლებში. ეს თეორია გამომდინარეობს იმ ვარაუდიდან, რომ ადამიანები განიცდიან განსხვავებულ სურვილთა და წინააღმდეგობრივ მისწრაფებათა ზეგავლენას. ეს სურვილები და მისწრაფებები ხშირად წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებენ, ერთი მეორეს პირისპირ გამოდიან და ადამიანები იძულებულნი არიან აკონტროლონ საკუთარი სურვილები და გააკეთონ არჩევანი საკუთარ მისწრაფებებს შორის. ფსიქოლოგები განიხილავენ ამგვარ არჩევანს, როგორც შინაგან კონფლიქტს [141], რომელიც უნდა იქნას გადაჭრილი კომპრომისული ან ურთიერთდამთმობი გადაწყვეტილებების მიღების საფუძველზე. სწორი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვს ნებისყოფის გამოყენებას. მაგრამ, როგორც ეს ექსპერიმენტული კვლევის საფუძველზე იყო აღმოჩენილი მეცნიერ-ფსიქოლოგების ჯგუფის (Roy Baumeister, Ellen Bratslavsky, Mark Muraven, and Dianne Tice) [64; 137] მიერ, თვითკონტროლის განხორციელებისას და ნებისყოფის გამოყენებისას ადამიანს რჩება ნაკლები ძალა, რათა მიმართონ თვითკონტროლი სხვა პრობლემების გადასაწყვეტად და შეეწინააღმდეგონ ცდუნებებს.

ეს ფსიქოლოგიური აღმოჩენა იყო გამოყენებული სიღარიბის ფენომენის და ღარიბ ადამიანთა ქცევის გაგებისათვის. ფინანსური სირთულეების არსებობისას, ღარიბი ადამიანები ხარჯავენ დიდ ძალისხმევას ფინანსური პრობლემების გადასაწყვეტად, რაც აიძულებს მათ აკონტროლონ თავიანთი მრავალი სურვილი და მიიღონ კომპრომისული გადაწყვეტილებები. სიღარიბეში მცხოვრები პირები იძულებულნი არიან გამოიჩინონ ნებისყოფა ისეთი ყოველდღიური და

ცხოვრებისათვის ჩვეულებრივი საკითხების გადაჭრისათვის, რომლებზეც უფრო შეძლებული ადამიანები საერთოდ არ ფიქრიბენ².

ღარიბი ადამიანების ძალისხმევა ჩვეულებრივი ფინანსური გადაწყვეტილების მიღებისას იღებს ფსიქოლოგიური ან გონებრივი ხარჯების სახეს ყოველდღიური ფინანსური მოთხოვნებს შორის არჩევანის გაკეთებისათვის. ამგვარი ძალისხმევა არის დამლელი, გამოფიტვადი ადამიანისათვის, იწვევს თვითკონტროლის შესუსტებას (ამოწურვას) და შეცდომების დაშვებას: ადამიანები ხდებიან ნაკლებად უნარიანი აღუდგნენ ცდუნებებს და ამის გამო იღებენ ყოველ მომდევნო გადაწყვეტილებას (განსაკუთრებით, როცა ეს გადაწყვეტილება ეხება მომავალს) იმპულსიურად და დაუდევრად, ხშირად რეალური აუცილებლობის საწინააღმდეგოდ.

თვითკონტროლის თეორია აღიარებულია, როგორც ფსიქოლოგების უდიდესი წვლილი ადამიანთა კეთილდღეობისა [63, გვ.1] და სიღარიბის კვლავწარმოების, უკვდავყოფის გაგებაში.

ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის (APA) მტკიცებით, მე-20 საუკუნის დამდეგს სიღარიბისა და კეთილდღეობის აღქმა ატარებდა სტერეოტიპიურ ხასიათს, როცა სიღარიბის არსებობა მიეწერება ღარიბ ადამიანთა პირად თვისებებს და არა სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურებსა და სისტემებს“ [53, გვ. 2].

დისტანცირების თეორია

თუ მე-20 საუკუნის დამდეგს სიღარიბის ფსიქოლოგიური თეორიების ჩარევა სიღარიბესთან ბრძოლის პრობლემებში მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანთა ქცევასა და მის პირად მახასიათებლებთან და არა რაიმე პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ პროცესებთან, 21-ე საუკუნის დამდეგს მდგომარეობა შეიცვალა და სიღარიბე გახდა უფრო ყოვლისმომცველი პრობლემა, რომელიც ეფუძნება განსხვავებულ ახსნას. ამ პერიოდში ყალიბდება ე.წ. **დისტანცირების თეორია**,

² მაგალითად, ღარიბი ადამიანი ფიქრობს უყიდოს თუ არა შვილს ნაყინი (ან სათამაშო, ან სხვა რამ) და რაზე უნდა თქვას უარი, რომ ეს გააკეთოს, მაშინ როცა მდიდარი ადამიანისათვის ასეთი არჩევანი არ დგას საერთოდ.

რომელიც განიხილავს სიღარიბეს, როგორც გამოცალკავებული კლასის ფსიქოლოგიურ პრობლემას. კლასიზმის ფსიქოლოგიური თეორია (psychological theory of classism) სიღარიბის დაუსრულებელ ციკლს ხსნის სამი ნეგატიური მიზეზით, როგორცაა სტერეოტიპები, ცრურწმენა და დისტანცირება [130]. კლასიზმის ფსიქოლოგიური თეორიის თანახმად, მაღალი კლასის წარმომადგენლები ემოციურად და ფიზიკურად მიჯნავენ საკუთარ თავს ანუ დისტანცირებას ახდენენ დაბალი კლასის წარმომადგენლებისაგან ანუ ღარიბი ადამიანებისაგან, აგებენ ბარიერებს, რომლებიც აძლიერებენ კლასობრივ უთანასწორობას, ზღუდავენ რესურსებისადმი წვდომას და ხელს უწყობს სიღარიბის გაღრმავებას. კლასიზმის ფსიქოლოგიური თეორია ეფუძნება იდეას, რომ შეძლებულები/მდიდრები შეგნებულად ყოფენ ადამიანებს განსხვავებულ კატეგორიებად, როგორცაა დაბალი, საშუალო და მაღალი კლასები და მიზანდასახულად ზღუდავენ დაბალი კლასების წარმომადგენლების წვდომას რესურსებისადმი [130]. ამგვარად, მდიდრები გააზრებულად ტოვებენ ღარიბ ადამიანებს სიღარიბეში და უზრუნველყოფენ საკუთარ კონტროლს და ძალაუფლებას ეკონომიკაზე.

ამრიგად, სიღარიბე არ არის მხოლოდ შემოსავლისა და სხვა მატერიალური რესურსების, განათლებისა და სამოქალაქო უნარების უკმარისობა, არამედ ეს არის ამავედროულად გადაწყვეტილების მიღების გონებრივი (მენტალური) მოდელი და სოციალური ჩართულობის თუ იზოლირების საფუძველი.

1.3. სიღარიბის ანთროპოლოგიური თეორია

სიღარიბის ანთროპოლოგიური თეორია იღებს სათავეს მე-20 საუკუნის 60-ან წლებში ანუ მაშინ, როცა ანთროპოლოგიური მეცნიერების წარმომადგენლები შეეცადნენ შეესწავლათ სიღარიბე, როგორც გამოცალკავებული მოვლენა. ანთროპოლოგ-თეორეტიკოსები შეეცადნენ განეხილათ სიღარიბე, როგორც ადაპტიური, თვითშენარჩუნებადი სისტემა, რომელიც უკვდავყოფს საკუთარ მდგომარეობას.

სიღარიბის ანთროპოლოგიური თეორია ეფუძნება სხვადასხვა სოციალურ დისციპლინებს და ადგენს კავშირს ადამიანთა ქცევისა და ადამიანის არსებობის კულტურული (ხელოვნური³) გარემოს შორის. ის შეისწავლის სიღარიბეს სხვადასხვა გარემოცვის პირობებში ადამიანთა შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობებიდან გამომდინარე. სიღარიბის ანთროპოლოგიური თეორია ეფუძნება სხვადასხვა კულტურების ურთიერთშედარებას და ცალკეული კულტურების პირობებში სიღარიბის თავისებურებათა ანალიზს.

ანთროპოლოგიური მიდგომის ზოგადი დახასიათება

ანთროპოლოგიური კვლევები იძლევიან მნიშვნელოვან ინფორმაციას სიღარიბის მიზეზების შესახებ და იკვლევენ სიღარიბესთან დაკავშირებულ განსხვავებულ გამოცდილებას. ანთროპოლოგიური მეცნიერება ადგენს სიღარიბის სტრუქტურას და განიხილავს მას, როგორც აზროვნების კატეგორიას და როგორც სოციალურ კატეგორიას, რომლის შესწავლა ხორციელდება სიღარიბის ეთნოგრაფიული კვლევისა და კლასიფიკაციის საფუძველზე.

სიღარიბის ანთროპოლოგიური კვლევა ეფუძნება განსხვავებულ კულტურულ პირობებში ადამიანთა ქცევაზე დაკვირვებას და ურთიერთშედარებას, ეთნოგრაფიულ შესწავლასა და ადამიანთა მიერ მიღებულ გამოცდილებაზე დაკვირვებას რთულ სოციალურ-პიროვნულ ურთიერთობათა საფუძველზე და, ამ ურთიერთობებიდან გამომდინარე, ადამიანთა მდგომარეობის (მ.შ. მატერიალური) გაანალიზებასა და გაგებას.

ანთროპოლოგიური მეცნიერების მიერ შემუშავებულ კონცეფციებზე დაყრდნობით სიღარიბის ანთროპოლოგიური თეორია ყურადღებას ამახვილებს ადამიანის ქცევაზე განსხვავებულ სოციალურ-კულტურულ გარემოში, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან მიდგომას სიღარიბის პრობლემის გაგებისათვის და

³ კულტურულ გარემოში იგულისხმება არა ბუნებრივი გარემო, არამედ ადამიანთა მიერ ხელოვნურად შექმნილი გარემო, რომელიც ატარებს გარკვეული საზოგადოების ნიშან-თვისებებს.

ხელს უწყობს სხვა სოციალურ მეცნიერებებს სიღარიბესთან დაკავშირებულ პრობლემების შესწავლაში.

ანთროპოლოგიური კვლევები გამომდინარეობენ სიღარიბის არა აბსოლუტური შეფასებიდან, არამედ განიხილავენ სიღარიბეს, როგორც სოციალურ ურთიერთობას. სიღარიბისადმი ანთროპოლოგიური მიდგომისათვის მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ როგორ მივიდნენ ადამიანები სიღარიბის მდგომარეობამდე და როგორ ხდება სიღარიბის კლასიფიკაცია, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ორგანიზაციებისათვის, რომლების მიზნად ისახავენ სიღარიბესთან ბრძოლას [107].

ანთროპოლოგიურ კვლევებში სიღარიბე არის ადამიანთა შორის სოციალური ურთიერთობები, რომლებიც ცვალებად ხასიათს ატარებენ და არა აბსოლუტური მდგომარეობა, რომელიც არ ექვემდებარება ცვლილებებს [107; 163].

სოციალური ურთიერთობებისა და განსხვავებული საზოგადოებების, როგორცაა განსხვავებული სოციალური ჯგუფები, კასტები, სოფლის საზოგადოებების და სხვ., ეთნოგრაფიული კვლევები იძლევიან ადამიანთა უთანასწორობისა და სიღარიბის მრავალმხრივ გაგებას [109; 139].

ანთროპოლოგების კვლევის არეალში მოქცეულია ქონებრივი ურთიერთობათა ჩამოყალიბების პრობლემები, ადამიანთა შორის უფლებების განაწილების საკითხები და სხვ. ანთროპოლოგიური კვლევები თანმიმდევრულად ავლენენ მოვლენების, და მათ შორის სიღარიბის, სოციალურ ბუნებას და სოციალური ურთიერთობების მნიშვნელობას საზოგადოებაში უთანაბრობის განვითარების შემცირების მიზნით [81; 82; 112].

სიღარიბე, როგორც მდგომარეობა და როგორც სტატუსი, ეს არის სოციალურ ურთიერთობათა გამოვლენა და მეცნიერული კატეგორია, რომლის მეშვეობით სოციალური აგენტები ახორციელებენ სიღარიბის კლასიფიკაციასა და სამყაროზე ზემოქმედების შესწავლას.

ანთროპოლოგები განიხილავენ კატეგორია „სიღარიბის“ გენეალოგიას ადამიანთა განსხვავებული კატეგორიებისა და განსხვავებულ ისტორიულ და სოციალურ პირობებთან მჭიდრო კავშირში.

სიღარიბის ანთროპოლოგიური თეორია იძლევა პასუხს კითხვებზე თუ ვინ არის ღარიბი, რატომ არის ის ღარიბი და რა შეიძლება გაკეთდეს სიღარიბის შემცირებისათვის [67, გვ.1].

ემიკური და ეთიკური მიდგომა, როგორც ანთროპოლოგიური მიდგომის მეთოდოლოგიის საფუძველი

ანთროპოლოგიური მიდგომა ხასიათდება კარგად განვითარებული ტერმინოლოგიით და მნიშვნელოვანწილად ეფუძნება ე.წ. ემიკურ მიდგომას (emic standpoint) და ეთიკურ მიდგომას (etic standpoint) [149, გვ.8].

„ემიკური მიდგომა“ ანუ „ხედვა, შეფასება შიგნიდან“ დამახასიათებელია ისეთი შეხედულებებისათვის, რომელთა წარმომადგენლები უშუალოდ არიან ინტეგრირებული გარკვეულ სოციალურ-კულტურულ სივრცეში, ხოლო „ეთიკური მიდგომა“ ანუ „ხედვა, შეფასება გარედან“ დამახასიათებელია სოციალურ-კულტურულ სივრცის გარეთ მყოფ პირებისთვის და ვარაუდობს შეხედულებების ობიექტურობას, ნეიტრალურობასა და უნივერსალურობას. ემიკური და ეთიკური მიდგომა წარმოადგენენ სოციალური გამოცდილების განსხვავებულ მხარეებს, რომელთა შორის ურთიერთობები წარმოადგენენ ეთნოგრაფიული მიდგომის ამოსავალ წერტილს. სწორედ ასეთი მიდგომების საფუძველზე ავითარებს სიღარიბის კულტურის თეორიას ცნობილი ამერიკელი ანთროპოლოგი ოსკარ ლუისი.

სიღარიბის (სუბ)კულტურის ანთროპოლოგიური თეორია

ტერმინი „სიღარიბის კულტურა“ მეცნიერების ცნებათა აპარატში შემოიღო ამერიკელმა ანთროპოლოგმა ოსკარ ლუისმა (*Oscar Lewis, 1914-1979*) 1959 წელს. თავის ცნობილ ნაშრომში „ხუთი ოჯახი: მექსიკური საქმის კვლევა სიღარიბის კულტურის საკითხებში“ (*Oscar Lewis, Five Families: Mexican Case Studies in the Culture of Poverty*) [128; 129], რომელიც იყო გამოქვეყნებული 1969 წელს, ო.ლუისის განიხილავს ღარიბებს, როგორც სამართლის სუბიექტს, რომელთა ცხოვრებამ (და

ხასიათმა) სიღარიბის ზეგავლენით განიცადა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია. ო.ლუისის შეხედულებით, ღარიბი ადამიანები მუდმივად განიცდიან სიღარიბის ზეწოლას, რაც ქმნის კულტურის განსაზღვრულ ტიპს ანუ ავტონომიურ კულტურას⁴. ეს იმიტომ ხდება, რომ ადამიანები იბადებიან ან/და იზრდებიან სიღარიბის პირობებში და ითვისებენ სიღარიბისთვის დამახასიათებელ ქცევის ნორმებს. ამასთან, ო.ლუისი აღნიშნავს, რომ ფიზიკური სიღარიბის დამლევა არ არის საკმარისი სიღარიბის კულტურის დამლევსათვის და, ამგვარად, სიღარიბის კულტურა გარდაიქცევა დამოუკიდებელ ძალად, რომელიც არ არის დამოკიდებული მისი წარმოშობის მიზეზებთან და ავლენს თვითშენარჩუნების უნარს.

ო.ლუისის შეხედულებით „სიღარიბე ავითარებს მექანიზმებს, რომლებიც მიისწრაფიან მის კვლავწარმოებისკენ, განსაკუთრებით იმის გამო, თუ როგორ უყურებენ სიღარიბეში მცხოვრები ადამიანები მსოფლიოს და ცხოვრებას, რა ფასეულობებს ირჩევენ, რისკენ მიისწრაფიან, როგორ ზრდიან შვილებს [129, გვ. 199], ვინაოდან ინგლისელი კიტ ს. ჟოზეფის (*Keith Sinjohn Joseph, 1918-1994*) შეხედულებით, მშობლებს, რომლებმაც თვითონ ვერ მიაღწიეს წარმატებას ცხოვრებაში, არ შეუძლიათ განუვითარონ შვილებს წარმატებაზე მიმართული ქცევა.

ო.ლუისმა დაადგინა სიღარიბის კულტურის სამოცდაათი მახასიათებელი. მისი შეხედულებით, ადამიანები, რომლებიც დაქვემდებარებულნი არიან სიღარიბის კულტურას, განიცდიან მარგინალობის (ანუ ცხოვრების პერიფერიაზე ყოფნის), დაუცველობის, დამოკიდებულების, გარიყულობის და ა.შ. გრძნობას. ეს ადამიანები შეიგრძნობენ მხოლოდ საკუთარ გაჭირვებას და მათთვის უცხოა სხვისი პრობლემების გაზიარება, ისინი არ უკავშირებენ თავის გასაჭირს სხვა ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ ადამიანთა მდგომარეობას.

ამგვარად, „სიღარიბის კულტურის“ თეორიის თანახმად, სიღარიბის პირობებში არსებობა დროთა განმავლობაში კვალს ტოვებს ღარიბ ადამიანთა ცხოვრების წესზე

⁴ მომდევნოში ო.ლუისი ტერმინს „კულტურა“ შეცვლის ტერმინით „სუბკულტურა“.

და აყალიბებს განსაკუთრებული პრიორიტეტების, ფასეულობების, ჩვევებისა და ქცევის სისტემის მქონე გარემოს, რომელშიც მუდმივად ცხოვრობენ ღარიბები.

„სიღარიბის კულტურის“ თეორიის კრიტიკოსი ანთროპოლოგი **ქეროლ სტეკი** (*Carol Stack, დაბ. 1940წ.*) თავის 1974 წელს გამოცემულ კრიტიკულ ნაშრომში „*All Our Kin*“ [180] აცხადებს, რომ სიღარიბის კულტურის თეორია არ უნდა სწამდეს პირველ რიგში თავად ღარიბ ადამიანებს, ვინაიდან ეს თეორია „მუშაობს“ მდიდრების ინტერესებში და გამოხატავს პოლიტიკური ჯგუფებისა და მეცნიერების იდეებს.

სიღარიბის კულტურის (სუბკულტურის) თეორია ვითარდება, როგორც ანთროპოლოგიურ, ასევე სოციოლოგიურ მეცნიერების მიერ. აქედან გამომდინარე ამ თეორიის სხვა მხარეები იქნება განხილული აგრეთვე „სიღარიბის სოციოლოგიური თეორიის“ ფარგლებში⁵.

1.4. სიღარიბის სოციოლოგიური თეორია

სიღარიბის პრობლემა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სოციოლოგების კვლევებში და ის დიდწილად დაახლოებულია სიღარიბის ანთროპოლოგიურ თეორიასთან.

სოციოლოგიაში სიღარიბე წარმოდგენილია, როგორც სოციო-კულტურული ფენომენი, როგორც ადამანის მიერ დაკავებული ცხოვრებისეული პოზიცია, როგორც ადამანის მიერ მიღებული ფასეულობათა სისტემა.

სოციოლოგების მიერ სიღარიბის პრობლემის გააზრება ფოკუსირდება, ერთის მხრივ, საზოგადოების სტრუქტურასა და სოციალურ-ეკონომიკურ ორგანიზაციაზე და, მეორეს მხრივ, ამ საზოგადოებაში ინდივიდის როლის გაგებაზე. სხვაგვრად, სოციოლოგები იკვლევენ სიღარიბის სტრუქტურირების პრობლემას და გამოყოფენ სიღარიბის პიროვნულ და სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტს ანუ განიხილავენ

⁵ ამაზე იხ. მოცემული ნაშრომის პირველი თავის მეორე პარაგრაფის მეხუთე ქვეპარაგრაფი (1.4.5.).

სიღარბეს, როგორც ინდივიდუალურ ან/და საზოგადოებრივ (სახელმწიფოებრივ) კონსტრუირების შედეგს.

სიღარბის სოციოლოგიური პარადიგმის ფარგლებში შემუშავებულია ე.წ. სიღარბის (სუბ)კულტურის კონცეფცია, რომელიც ჩამოყალიბდა სიღარბის კვლავწარმოებითი ხასიათის, მისი მუდმივობის მიზეზების შესწავლის საფუძველზე.

სოციოლოგიური მიდგომის ზოგადი დახასიათება: ისტორიული ასპექტი

სიღარბის სოციოლოგიური თეორია დიდწილად ატარებს საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების ნიშანს და ასახავს სახელმწიფო პოლიტიკისა და საზოგადოების არსებული მდგომარეობის თავისებურებებს.

ისტორიულ ასპექტში სიღარბის სოციოლოგიური თეორიის განვითარებაში შეიძლება გამოყოფილი იქნას სხვადასხვა პერიოდები.

მე-20 საუკუნის 60-ნი წლები ხასიათდება ეკონომიკური აღმავლობით, რამაც დიდწილად განაპირობა სოციოლოგების შეხედულებები სიღარბეზე. ამ პერიოდში ღარიბები განიხილებოდნენ, როგორც სოციალურად გარიყული ადამიანები, როგორც „საჭიროებას მოკლებულ პროლეტარიატის მემკვიდრეები“ [212]. სიღარბეზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრებოდა თავად ღარიბებს, ხოლო საზოგადოება და სახელმწიფო არ განიხილებოდა რაიმე კავშირში სიღარბის არსებობასთან. ამ პერიოდში განვითარებული შეხედულებები ძალიან ახლოს დგანან ჰ.სპენსერის მიერ განვითარებულ იდეებთან⁶.

მე-20 საუკუნის 70-ნი წლებში სოციოლოგების შეხედულებები იცვლება. ამ პერიოდში სიღარბე უკვე განიხილება, როგორც ადამიანთა ადაპტირების გაძნელების შედეგი ისეთი საზოგადოებრივი ცვლილებებისადმი, როგორიცაა სწრაფად განვითარებადი ურბანიზაცია, თაობებს შორის კავშირისა და ურთიერთგაგების დამკვიდრების პრობლემის გაძლიერება, განათლებისა და

⁶ იხ. მოცემული ნაშრომის პირველი თავის მესამე პარაგრაფის მესამე ქვეპარაგრაფი (1.3.3.).

სამედიცინო მომსახურებისადმი ხელმისაწვდომლობის უთანაბრობა, აღზრდა-განათლების არასრულყოფილება და სხვა. მნიშვნელოვანია ის, რომ ამ პერიოდში სოციოლოგების მიერ სიღარიბე აღიქმება არა როგორც ადამიანთა ცალკეული ფენების პრობლემა, არამედ როგორც საზოგადოებაში დაგროვებული სირთულეების შედეგი, რომელიც ვრცელდება ადამიანთა სულ უფრო ფართო წრეებზე.

მე-20 საუკუნის 80-ნი წლებში ვითარდება ახალი შეხედულებები სიღარიბესთან დაკავშირებით და სოციოლოგები ყურადღებას ამახვილებენ სიღარიბის მერყეობაზე, მის ცვალებადობაზე, რომელიც განპირობებულია საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესებით. ამის გამო სიღარიბე განიხილება არა როგორც ცალკეული ადამიანის ან ჯგუფებისთვის იმანენტური თვისება, არამედ როგორც გარემოს ნეგატიური ცვლილების შედეგი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს დასაქმების კრიზისი და დასაქმებულთა უმუშევრად გადაქცევა. ასეთ ვითარებაში სიღარიბეზე პასუხისმგებელია როგორც ინდივიდი, ისე საზოგადოება. ანუ ამ ეტაპზე სიღარიბე წარმოადგენილია, როგორც ინდივიდუალური და სახელმწიფოებრივი კონსტრუირების პროდუქტი.

რაც შეეხება უფრო ადრეულ პერიოდს, ანუ მე-18 საუკუნიდან მე-20 საუკუნის 50-ან წლებამდე, სოციოლოგიურ მეცნიერებაში დომინირებდა სიღარიბისადმი ორი ძირითადი მიმართულება - სოციალურ-დარვინისტული და ეგალიტარისტული.

სიღარიბე, როგორც სოციალური სიკეთე: სოციალ-დარვინისტული მიდგომა

სიღარიბისადმი სოციალ-დარვინისტული მიდგომა ეფუძნება ჩ.დარვინის შეხედულებებს ბუნებრივი გადარჩენისა და არსებობისთვის ბრძოლის შესახებ და სწორედ ამ თვალსაზრისით განიხილავს საზოგადოებაში მიმდინარე ყველა სოციალურ მოვლენას და მათ შორის სიღარიბეს.

სიღარიბისადმი სოციალ-დარვინისტული მიდგომა წარმოადგენილია ინგლისელი სოციოლოგისა და ფილოსოფოსის, სოციოლოგიის ინგლისური სკოლის დამაარსებლის **ჰერბერტ სპენსერის** (*Herbert Spencer, 1820-1903*) მიერ. ჰერბერტ

სპენსერი თვლიდა, რომ სიღარიბე არის სრულად კანონზომიერი და ბუნებრივი მოვლენა. მისი შეხედულებებით, სიღარიბე და საზოგადოების დიფერენცია იზრდება საზოგადოებრივი წარმოების ზრდასთან ერთად. ვინაიდან საზოგადოებრივი წარმოების ზრდა შეუქცევადი პროცესია, მაშასადამე, ჰ.სპენსერი აკეთებს დასკვნას, რომ სიღარიბეც გარდაუვალი მოვლენაა [244]. ამასთან, ჰ.სპენსერისთვის სიღარიბე არის არა საზოგადოებრივი, არამედ თითოეული ადამიანის პირადი პრობლემა. ადამიანები არასრულყოფილნი არიან და ცხოვრებისეულ პრობლემებს სხვადასხვანაირად ხვდებიან, ზოგი მათგანი პოულობს მისთვის სასარგებლო გამოსავალს, ხოლო სხვები ვერ უძკლავდებიან ამ პრობლემებს. ჰ.სპენსერისთვის ღარიბი ადამიანები წარმოადგენენ სოციალურ და პოლიტიკურ მარგინალებს, რომლებიც სოციალური ევოლუციის ფარგლებს გარეთ იმყოფებიან. ის უარყოფდა სახელმწიფოს მხიდან ღარიბებისათვის შემწეობებისა და დახმარების გაწევის აუცილებლობას [244, გვ. 357], ვინაიდან ასეთი ქმედებები ზღუდავენ, მისი აზრით, ადამიანთა თავისუფლებას.

ჰ.სპენსერი აფასებდა სიღარიბეს, როგორც დადებით მოვლენას, რომელიც აძლევს ადამიანს თვითგანვითარების შესაძლებლობას და წარმოადგენს მნიშვნელოვან წინაპირობას ამისათვის.

ჰ.სპენსერზე თითქმის ერთი საუკუნით არდე სიღარიბის დადებით როლზე საუბრობდა პარტიკ კოლხაუნი (*Patrick Colquhoun, 1745-1829*). თავის ნაშრომში „ბრიტანული იმპერიის რესურსები“ [76] პ.კოლხაუნი ამბობს, რომ სიღარიბის მნიშვნელოვანი გავრცელების გარეშე ვერც ერთი ქვეყანა ვერ იქნებოდა მდიდარი, ვინაიდან სიმდიდრე იქმნება შრომით, ხოლო შრომა შეიძლება იყოს მხოლოდ სიღარიბის არსებობის შედეგი, ვინაიდან სიღარიბე - ეს არის ადამიანის ისეთი საზოგადოებრივი მდგომარეობა, როდესაც მას (ადამიანს) არ გააჩნია არავითარი საკუთრება და არავითარი სხვა არსებობის წყარო გარდა საკუთარი შრომისა. ამიტომ პ. კოლხაუნი ასკვნიდა, რომ „სიღარიბე არის საზოგადოებრივი მოწყობის აბსოლუტურად აუცილებელი ელემენტი, რომლის გარეშე ვერ იარსებებდა ვერც ერთ ცივილიზაცია“ [76, გვ.173].

სიღარიბის სასარგებლო თვისებებზე მსჯელობა არ არის უცხო არც თანამედროვე სოციოლოგებისათვის. ასე, თანამედროვე სოციოლოგი, კოლუმბიის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორი და თავისი დროის ერთ-ერთი გავლენიანი მეცნიერი **ჰერბერტ განსი** (*Herbert J. Gans*, დაბ. 1927 წ.) ასევე პოზიტიურად აფასებს სიღარიბის არსებობას. თავის შრომებში ჰ.განსი გამოდიოდა სიღარიბის ზოგიერთი კონცეფციის (მაგალითად, „სიღარიბის კულტურის“, „ანდერკლასის“, „კონცენტრირებული სიღარიბის“ კონცეფციების) მძაფრი კრიტიკით [98; 99; 100; 101] და თავის ყველაზე ხშირად გამოცემულ ნაშრომში „სიღარიბის პოზიტიური ფუნქციები“ („The Positive Functions of Poverty“) ასახელებს ღარიბთა არსებობის „თხუთმეტ ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციას, რაც არის საკმარისი იმის დასაბუთებისათვის, რომ სიღარიბე ინარჩუნებს თავს, რადგან ის სასარგებლოა...“ [101, გვ. 284].

სიღარიბის არსებობის მნიშვნელობას ჰ.განსი იმაში ხედავს, რომ ღარიბები „ბინძურ სამუშაოებს ასრულებენ“. სიღარიბის არსებობა გამართლებულია ჰ.განსის მიხედვით, აგრეთვე იმ თვალსაზრისით, რომ ღარიბები იძენენ მოძველებულ და ნახმარ ნივთებს, სიღარიბე უზრუნველყოფს მდიდართა სოციალურ სტატუსს და საზოგადოების სოციალურ სტრუქტურის შენარჩუნებას, რის საფუძველზე შესაძლებელი ხდება შთამომავლობით მდიდართა გამოყოფა ახლად გამდიდრებულ ადამიანებისაგან, სიღარიბე ხელს უწყობს შეძლებულ და განათლებულ ადამიანებს დაიკავონ უკეთესი სამსახურებრივი პოზიციები, სიღარიბის არსებობის წყალობით არისტოკრატებს შეუძლიათ გახდნენ ფილანტროპები და ამით ხაზი გაუსვან თავის მაღალ მდგომარეობას და სხვ. [101, გვ. 278-284].

კოლუმბიის უნივერსიტეტის სხვა წარმომადგენელი, მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სოციოლოგი **რობერტ კინგ მერტონი** (*Robert King Merton*, 1910-2003) ამართლებს სიღარიბის არსებობას იმით, რომ, ევროპაში, სადაც ღარიბები უმცირესობას წარმოადგენენ ანუ „სიღარიბე დეფიციტს წარმოადგენს“, ბინძური საქმეების გასაკეთებლად ღარიბებს „იწერენ“ სხვა ქვეყნებიდან, სადაც სიღარიბე ჭარბად არის წარმოდგენილი. რ.კ.მერტონი სიღარიბეს დაბალ ხელფას უკავშირებს,

რაც, თავის მხრივ, ამლევს „სხვებს“ (იგულისხმება მოსახლეობის შეძლებული ნაწილი) საშუალებას მიიღონ მაღალი შემოსავალი და განახორციელონ მედიცინისა და განათლების სუბსიდირება.

ამასთან, სოციოლოგები (და მათ შორის რ.კ.მერტონი) აღიარებენ სიღარიბის გარკვეული ნეგატიური თვისებების (მხარეების) არსებობასაც, რის საფუძველზე ჩამოყალიბდა სიღარიბის ეგალიტარული მიდგომა.

სიღარიბე, როგორც სოციალური ბოროტება: ეგალიტარული მიდგომა

სოციოლოგიის ეგალიტარული მიმართულების წარმომადგენლები ქადაგებენ საყოველთაო გათანაბრების იდეას, როგორც ადამიანთა საზოგადოების არსებობის ძირითად ორგანიზაციულ პრინციპს. ეგალიტარული მიმართულების მომხრეებისთვის სიღარიბე წარმოადგენს ბოროტებას.

რობერტ კინგ მერტონი, რომელიც განიხილავდა სიღარიბეს, როგორც დადებით მოვლენას, აღნიშნავს აგრეთვე მის დისფუნქციებს ანუ ნეგატიურ მხარეებს. კერძოდ, ის ამბობს, რომ ღარიბები თავისი მარტივი შრომით აფერხებენ შრომითი პროცესის ავტომატიზაციას და ახალი პროფესიების ჩამოყალიბებას. მაგრამ ამით არ შემოიფარგლება სიღარიბის არსებობის დისფუნქციები. სიღარიბე არის დანაშაულის და კრიმინალის წყარო, ის არის საზოგადოების რადიკალური ცვლილებების პოტენციური საფუძველი ანუ, სხვა სიტყვებით, ღარიბი ადამიანები საფრთხეს წარმოადგენენ საზოგადოებისათვის.

ამერიკული სოციოლოგიის ფსიქოლოგიური მიმართულების ერთ-ერთი უმსხვილესი წარმომადგენელი **ფრანკლინ გიდინგსი** (Franklin Henry Giddings, 1855-1931) გამოდის იმ მოსაზრებიდან, რომ ღარიბები საკუთარი ნება-სურვილით ხდებიან საზოგადოების პარაზიტები, ვინაიდან ცდილობენ იარსებონ მდიდართა და, ზოგადად, საზოგადოების ხარჯზე. ფ.გიდინგსს არ სწამს, რომ შესაძლებელია სიღარიბის დაძლევა და აღიარებდა სიღარიბეს, როგორც გარდაუვალ ბოროტებას [206].

ამგვარად, ეგალიტარული მიმართულების სოციოლოგებისთვის სიღარიბე მხოლოდ და მხოლოდ ბოროტებაა, რომელიც არის საზოგადოებაში გაბატონებული ურთიერთობების შედეგი და საზოგადოების არსებობის საფრთხე.

სიღარიბის (სუბ)კულტურის სოციოლოგიური თეორია

ცნება „სიღარიბის კულტურა“ ფართოდ გამოიყენება და შეისწავლება არა მხოლოდ ანთროპოლოგიურ, არამედ სოციოლოგიურ მეცნიერებაშიც.

სიღარიბის კულტურის სოციოლოგიურმა თეორიამ განიცადა მნიშვნელოვანი გავლენა „სიღარიბის კულტურის“ ანთროპოლოგიური თეორიის მხრიდან.

„სიღარიბის კულტურა“ სოციოლოგიაში მჭიდროდ არის დაკავშირებული „სიღარიბის მანკიერი წრის“ იდეასთან და ცდილობს გასცეს პასუხი კითხვას, თუ რატომ არსებობს სიღარიბე მის დაძლევაზე მიმართული ღონისძიების განხორციელების მიუხედავად.

„სიღარიბის კულტურისა“ და „სიღარიბის მანკიერი წრის“ პრობლემების გაძლიერებული განხილვა სოციოლოგიურ მეცნიერებაში (ისევე, როგორც ანთროპოლოგიაში) დაიწყო 1970-ან წლებში. მაგრამ მე-20 საუკუნის 80-ანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება ამ შეხედულებების მძაფრი კრიტიკა, ხოლო 21-ე საუკუნეში მეცნიერები კვლავ დაუბრუნდნენ სიღარიბის კულტურის იდეას და დაიწყეს მისი ინტენსიური შემუშავება.

სოციოლოგიური მეცნიერება განასხვავებს ერთმანეთისაგან ტერმინებს „კულტურა“ და „სუბკულტურა“ და გამოდის იმ გაგებიდან, რომ ტერმინი „სუბკულტურა“ წარმოადგენს „კულტურის“ ნაწილს.

ამასთან, „კულტურის“ საფუძვლად სოციოლოგებს [74 და სხვ.] უდევთ საზოგადოების სოციალური სტრატეფიკაციის პრინციპი, ხოლო სუბკულტურაში მათ ესმით ადამიანთა ქცევაზე მოქმედი წესებისა და ნორმების ერთობლიობა. ანთროპოლოგებისგან განსხვავებით, სოციოლოგები განიხილავენ კულტურას

ნორმატიულ ტერმინებში, ხოლო სუბკულტურას - როგორც გადახრას გარკვეული ნორმებიდან.

მე-20 სუკუნის 70-80-ან წლებში მოღვაწე სოციოლოგთა ნაწილი სიღარიბის არსებობის მიზეზად აღიარებდნენ ადამიანთა ისეთ ფსიქოლოგიურ თვისებებს, როგორცაა მათი მორალური არასრულყოფილება, დაბალი შედეგიანობა, კულტურული გარემოს ზემოქმედება და სხვ.

სოციოლოგები სულ უფრო ხშირად განიხილავენ სიღარიბეს, როგორც კანონზომიერ მოვლენას, რაც გამოისახა „სიღარიბის სტრუქტურის“ ცნებაში და სიღარიბის, როგორც საზოგადოების შემადგენელი ნაწილის აღიარებაში.

სოციოლოგიური მიდგომიდან გამომდინარე, სიღარიბე წარმოდგენილია, როგორც სოციო-კულტურული მოვლენა, როგორც მიღებული ფასეულობების შედეგი, როგორც საზოგადოებაში ჩამოყალიბებული მაკრო- და მიკრო-ურთიერთობების შედეგი და, მაშასადამე, განიხილება, როგორც ინდივიდუალური ან/და საზოგადოებრივი (სახელმწიფოებრივი) კონსტრუირების შედეგი.

1.5. სიღარიბის პრობლემა ეკონომიკურ თეორიაში

სიღარიბის პრობლემა პირველ რიგში გულისხმობს მის ეკონომიკურ გააზრებას. სიღარიბის კვლევას ცალკეული ეკონომიკური სკოლები ახორციელებენ საკუთარი მეთოდოლოგიის საფუძველზე და, მაშასადამე, განსხვავებული ეკონომიკური სკოლები და მიმართულებები ავითარებენ საკუთარ შეხედულებებს სიღარიბეზე. ამასთან, თითოეული ეკონომიკური სკოლის ფარგლებში მეცნიერთა წარმოდგენა და სიღარიბისადმი დამოკიდებულება შეიძლება იყოს მნიშვნელოვნად განსხვავებული.

სიღარიბის ეკონომიკური თეორია ეფუძნება სიღარიბის მატერიალურ კომპონენტს ანუ ადამიანთა მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

მთელ რიგ მეცნიერთა შეხედულებით სწორედ ეკონომიკური მეცნიერება და უფრო ზუსტად - პოლიტიკური ეკონომია - წარმოადგენს სიღარიბის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის, გააზრების ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან მამოძრავებელ ძალას [258].

სიღარიბის პრობლემა კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიაში და კარლ მარქსის შეხედულებებში

კლასიკური ეკონომიკური სკოლა, რომელიც მე-18 და მე-19 საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა, თავისი მეთოდოლოგიით ეფუძნება ისეთ პრინციპებს, როგორცაა ინდივიდუალიზმი, რაციონალურობა, ეფექტიანობა და წონასწორული მიდგომა. ამ პრინციპებიდან გამომდინარე, საბაზრო გაცვლა, მათ შორის გაცვლა შრომის ბაზარზე, არის ეფექტიანი და, მაშასადამე, ხელფასი ზუსტად გამოხატავს ინდივიდუალურ შრომის ნაყოფიერებას და ასახავს შრომაზე მოთხოვნა-მიწოდების შედეგს. ამ პრინციპებმა გავლენა მოახდინეს სიღარიბეზე კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენელთა შეხედულებების ჩამოყალიბებაზე.

- **სიღარიბის პრობლემა ადამ სმიტის და დავიდ რიკარდოს შეხედულებებში**

კლასიკური ეკონომიკური სკოლის ლიდერის ადამ სმიტის (Adam Smith, 1723-1790 წწ.) თანახმად, ეკონომიკური უთანასწორობა და განსხვავება მდიდრებსა და ღარიბებს შორის ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ უძველესი დროს, მაშინ როცა ხდებოდა „მსხვილი და წვრილი პირუტყვის მითვისება“, საკუთრების უფლებების და რეგულარული მთავრობის ჩამოყალიბება მდიდრების ღარიბებისაგან დაცვის მიზნით [172, გვ.16].

ა.სმიტი გამოყოფს სიღარიბის სხვადასხვა მიზეზს, როგორცაა საკუთრების არსებობა და სამოქალაქო ხელისუფლება, რომელიც უზრუნველყოფს საკუთრების დაცვას [172, გვ.8], ფულის მიწოდების ზრდას [172, გვ.191], შრომის მიწოდებისა და მოთხოვნას შორის არსებულ დისპროპორციებს [173, გვ.249], სამომხმარებლო საქონლის სიჭარბეს ან სიმცირეს [173, გვ.398], ოქროსა და ვერცხლის სიმწირეს [173,

გვ.398], სიმდიდრის განაწილების არათანაბრობას ქვეყნებს შორის [173, გვ.460] და სხვ.

ა.სმიტი ავითარებს საკუთარ წარმოდგენას ადამიანის ბუნებაზე და ანიჭებს ინდივიდს გედონისტურ თვისებებს. იგი ამტკიცებს, რომ ყველა ადამიანი მიისწრაფვის სიმდიდრისკენ და გაურბის სიღარიბეს [174, გვ.49]. ა.სმიტისთვის სიღარიბე არ არის ფატალური გარდუვალობა და ის შეიძლება იყოს თავიდან აცილებული მაქსიმალური ძალისხმევის მეშვეობით [174, გვ. 182, 244], ა.სმიტისთვის „მაქსიმალური ძალისხმევა“ შრომასთან არის დაკავშირებული [174, გვ.263]. სმიტი ხაზგასმით მიუთითებს სიღარიბისა და ხელფასის დონეს შორის უშუალო კავშირის არსებობაზე [174, გვ.70] და განიხილავს სიღარიბეს, როგორც დაბალი ხელფასის შედეგს, ხოლო დაბალი ხელფასი წარმოდგენილია, როგორც შრომის მიწოდებისა და მასზე მოთხოვნას შორის არსებულ დისპროპორციის წარმონაქმნი. ამასთან დაკავშირებით ა.სმიტი აღნიშნავს თავის „გამოკვლევაში“ [173], რომ როცა გამოსაყენებელი შრომის რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება, ხელფასი მცირდება იმდენად, რომ ძლივს ხდება საკმარისი მომუშავის ოჯახის შენარჩუნებისა და „მუშების რასის“ გაგრძელებისათვის. ამასთან დაკავშირებით ა.სმიტი წერს: "ადამიანს ყოველთვის უნდა შეეძლოს თავისი შრომით არსებობა და მისი ხელფასი ყოველ შემთხვევაში საკმარისი უნდა იყოს მის სარჩენად. ეს კი არა, უმრავლეს შემთხვევაში იგი საკმარისზე მეტიც უნდა იყოს რაოდენობით: წინააღმდეგ შემთხვევაში მისთვის (მუშისთვის)* შეუძლებელი იქნება ოჯახის შენახვა და ამ მუშის შთამომავლობა ამოწყდებოდა პირველივე მოდგმის შემდეგ" [173, გვ.249]. ანუ, ა.სმიტის აზრით, მომუშავის ხელფასი სულ მცირე საკმარისი უნდა იყოს მისი არსებობისათვის.

ხელფასის სიდიდეს ა.სმიტი განსაზღვრავდა მუშისა და მისი ოჯახის წევრების საარსებო საშუალებათა ღირებულებით, რომელიც საჭიროა ადამიანთა გამრავლებისა და, მამასადამე, სამუშაო ძალის მუდმივი კვლავწარმოებისათვის.

ა.სმიტის აზრით, არსებობს უშუალო კავშირი სიმდიდრესა და ხელფასის დონეს შორის, თუ იზრდება სიმდიდრე, ხელფასიც იზრდება, ხოლო სიმდიდრის შემცირე-

* ავტორი

ბისა ან მისი უცვლელობის დროს ხელფასი მცირდება და მუშის ცხოვრების პირობები უარესდება.

სიმდიდრის (საზოგადოებაში შექმნილი პროდუქტის რაოდენობა) გაზრდა-შემცირებას ა.სმიტი, როგორც მანუფაქტურული პერიოდის ეკონომისტი, უკავშირებს შრომის ნაყოფიერებას, ხოლო ამ უკანასკნელს - შრომის დანაწილებას.

ა.სმიტის ლოგიკის თანახმად, ხელფასი იზრდება ეროვნული სიმდიდრის ზრდასთან ერთად და შრომის ანაზღაურება განისაზღვრება სამართლიანობითა და ეკონომიკური მიზანშეწონილობით. მაღალი ხელფასი უბიძგებს მომუშავეს იყოს მეტად აქტიური, შრომისმოყვარე და სწრაფი [173, გვ.84], რაც ხელს უწყობს კეთილდღეობის ზრდას და, მაშასადამე, წარმოადგენს სიღარიბის დაძლევის საშუალებას.

ადამ სმიტი განიხილავს სიღარიბეს არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ მორალური თვალსაზრისით და აფასებს სიღარიბეს, როგორც „დამამცირებელ“ („mortifying“), „არასასიამოვნო მოვლენას“ („disagreeable circumstance“) და „დიდი სირცხვილის“ („greater shame“), „ტანჯვის“ („suffering“), „ტკივილის“ („pain“), „სოციალური გარიყვის“ („social exclusion“), „ფსიქოლოგიური ღელვის“ („psychic unrest“) მიზეზს, რომელიც არის ბევრად უფრო საძულველი და საზიზღარი, ვიდრე „მანკიერება და შეშლილობა“ („vices and follies“) [174, გვ.48, 49, 58, 244, 263]. ამგვარი გაგება წარმოადგენს იმ საკვანძო მომენტს, რომელიც საფუძვლად უდევს ღარიბთა საზოგადოებრივ სტიგმატიზაციას და მიმართულია სიღარიბეში მყოფ ადამიანთა შერცხვენაზე.

ა.სმიტისთვის მნიშვნელოვანია არა მარტო ინდივიდუალურ სიღარიბეზე მსჯელობა, არამედ მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის განსხვავების მიმზეზების გაგებაც. ა.სმიტი თვლის, რომ სიღარიბე და სიმდიდრე - შეფარდებითი ცნებებია და ის, რაც ერთ ქვეყანაში ითვლება სიღარიბედ, მეორეში შეიძლება სიმდიდრედ ჩაითვალოს. ამასთან, ღარიბი და მდიდარი ქვეყნების არსებობას ა.სმიტი ქვეყანაში გარკვეული დარგების განვითარებას უკავშირებს და ამბობს, რომ ვინაიდან სოფლის მეურნეობასთან შედარებით მრეწველობა უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა

სპეციალიზაციისათვის და, მამასადამე, შრომის დანაწილებასა და მწარმოებლურობის ზრდისთვის, სწორედ ის ქვეყნები არიან მდიდრები, სადაც მწერველობაა განვითარებული, ხოლო ქვეყნებში, რომლებშიც მეტწილად სოფლის მეურნეობაა განვითარებული - არიან ღარიბები [173].

ადამ სმიტი ვარაუდობდა, რომ ეროვნული სიმდიდრის ზრდასთან ერთად იზრდება ხელფასიც, რაც განპირობებულია, როგორც „უბრალო სამართლიანობით“, ასევე ეკონომიკური მიზანშეწონილობით, ვინაიდან ზრდის შრომისმოყვარეობას და ამცირებს „შეფარდებით სიღარიბეს“ [173, გვ. 30, 66-69, 73-75].

კლასიკური ეკონომიკური სკოლის სხვა თვალსაჩინო წარმომადგენელი **დავიდ რიკარდო** (*David Ricardo, 1772-1823*) ასევე ანიჭებს ხელფასს დიდ მნიშვნელობას [236]. მაგრამ ა.სმიტისაგან განსხვავებით, თვლიდა, რომ ხელფასს შემცირების ტენდენცია ახასიათებს. დ.რიკარდოს მტკიცებით, ხელფასის დონე ფიზიკური მინიმუმის მკაცრ ჩარჩოებში უნდა მოთავსდეს, ვინაიდან თუ ხელფასი ოდნავ მაინც გადააჭარბებს მუშისა და მისი ოჯახის საარსებო საშუალებათა მინიმალურ ღირებულებას, მუშები მეტ ბავშვებს გააჩენენ. ეს კი გაზრდის მუშების მიწოდებას ბაზარზე, გააძლიერებს მათ შორის კონკურენციას, რაც, საბოლოო ჯამში, შეამცირებს მათ ხელფასს. ანუ, დ.რიკარდოს ხელფასი ფიზიოლოგიურ მინიმუმამდე დაჰყავს. ასეთი პოზიციიდან გამომდინარე, დ.რიკარდო ამართლებს სიღარიბეს და განიხილავს მას, როგორც მოსახლეობის ზრდისა და საარსებო საშუალებათა თანაფარდობის მარეგულირებელს [173, გვ. 16]. დ.რიკარდოს ამგვარი პოზიცია ნიშნავს სიღარიბის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოლენის მუდმივობის აღიარებას და მისი არსებობის გამართლებას.

- **სიღარიბის პრობლემა თომას რობერ მალთუსის შეხედულებებში**

თომას რობერ მალთუსის (Thomas Robert Malthus, 1766-1834 წწ.) მიერ ჩამოყალიბებული სიღარიბის თეორია ეფუძნება „მოსახლეობის რაოდენობასა და საარსებო საშუალებათა რაოდენობის დაპირისპირების“ აღიარებას.

როგორც კლასიკური ეკონომიკური სკოლის წარმომადგენელი, თ.რ.მალთუსი ეფუძნება წონასწორობის იდეას და აკეთებს დასკვნას, რომლის თანახმად

მოსახლეობის სწრაფი ზრდისა და საარსებო საშუალებათა შედარებით ნელ ბუნებრივ გადიდებას შორის ბალანსის დარღვევა იწვევს იმას, რომ მოსახლეობის სულ უფრო დიდი ნაწილი სულ სიღარიბეში უნდა არსებობდეს. ამგვარად, თ.რ.მალთუსი ასკვნის, სიღარიბე და სიღატაკე საზოგადოების დაბალ ფენებს შორის წარმოადგენს აბსოლუტურად გამოუსწორებელ მოვლენას [132, *vols.2*].

თ.რ.მალთუსისთვის უპირველეს ამოცანად სიღარიბის მიზეზების გაგება წარმოადგენს, რომლის აუცილებლობას ის ხსნით იმით, რომ ეს ცოდნა „უნდა იყოს განსაკუთრებულად სასარგებლო სამოქალაქო თავისუფლების არსებობისათვის“ [132, *vols.2*].

თავის ნაშრომში „ცდა ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ საზოგადოების მომავალ სრულყოფასთან დაკავშირებით“ (1805) თ.რ.მალთუსი ცდილობს ახსნას სიღარიბის ფენომენის არსებობა ბუნებრივი კანონების მოქმედებით, სოციალური განვითარებისა და ბუნების კანონებს შორის არსებული წინააღმდეგობის საფუძველზე. ის თვლის, რომ სწორედ საარსებო საშუალებების შეზღუდული ხასიათისა და მოსახლეობის სიჭარბით გამოწვეული დისპროპორციით არის გამოწვეული საზოგადოების ღარიბი ფენების არსებობა. ანუ თ.რ.მალთუსისთვის სიღარიბე და სიღატაკე გამოწვეულია არა საზოგადოების სოციალური წესრიგით, არამედ ადამიანთა რასის არსებობის უნივერსალური თვისებით, რომელიც ადამიანთა სწრაფ გამრავლებაში გამოიხატება [132, *vols.2*]. ამის გამო მალთუსი „ადამიანებს მოუწოდებს ნებაყოფლობითი თავშეზღუდვისკენ, თავის ცხოვრებაში ზნეობრივი სიწმინდის შენარჩუნებისა და ადრეული ქორწინებისაგან თავის შეკავებისკენ“ [219, *გვ.194*].

მალთუსის ნაშრომმა „ცდა ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ“ დიდი გავლენა იქონია მომდევნო პერიოდის ეკონომიკური აზრის განვითარებაზე და სოციალურ-ეკონომიკურ პრქატიკაზე (საკმარისია გავიხსენოთ ღარიბების კანონების რეფორმა ინგლისში 1834 წელს და ფულადი დახმარების სისტემის ე.წ. „allowance system“ გაუქმება და სხვ.) [258].

- **სიღარიბის პრობლემა პიერ-ჟოზეფ პრუდონის შეხედულებებში**

თუ ზოგადად სიღარიბის პრობლემა არ იკავებდა წამყვან ადგილს კლასიკური ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლების შეხედულებებში და მათ კვლევის ცენტრში იდგა კეთილდღეობის მიღწევის საკითხი, თავისებურ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს პოსტმანუფაქტურული პერიოდის კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკული სკოლის წარმომადგენლის პიერ-ჟოზეფ პრუდონის (Pierre-Joseph Proudhon, 1809-1865) შრომები. სიღარიბის და სიღატაკის პრობლემას უკავია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი პ.ჟ. პრუდონის შეხედულებებში, რომლებსაც ის აყალიბებს ცნობილ შრომებში „რა არის საკუთრება“ (1840) და „ეკონომიკურ წინააღმდეგობათა სისტემა ან სიღატაკის ფილოსოფია“ (1846) [152]. სიღარიბისა და სიღატაკის პრობლემებს პ.ჟ.პრუდონი ეხება, აგრეთვე, 1853 გამოქვეყნებულ ნაშრომში „პროგრესის ფილოსოფია“ [151].

სიღარიბესთან დაკავშირებული საკითხების განხილვას პ.ჟ.პრუდონი ახორციელებს შრომის დანაწილებასთან კავშირში და თვლის, რომ შრომის დანაწილებას გააჩნია ორი მხარე: კარგი მხარე, რომელიც ხელს უწყობს სიმდიდრის ზრდას და ცუდი მხარე, რომელიც ხელს უწყობს უმუშევრობის, სიღარიბისა და სიღატაკის გადიდებას. ის მოითხოვდა შრომის დანაწილების კარგი მხარეების შენარჩუნებას და ცუდი მხარეების აღმოფხვრას. პ.ჟ.პრუდონი თვლის, რომ შრომა უნდა იყოს თავისუფალი და ამ თავისუფლებაში მას ესმოდა შრომის საყოველთაობა, ყველას ვალდებულება იშრომოს.

პ.ჟ.პრუდონი გამოყოფდა სიღარიბის არსებობის რამოდენიმე მიზეზს და, მაშასადამე, აღიარებდა სიღარიბის დამღევის განსხვავებულ გზებს. სიღარიბის არსებობის ძირითად მიზეზად პ.ჟ.პრუდონი თვლიდა წინააღმდეგობას ადამიანთა უსაზღვრო მოხმარებასა და წარმოების შეზღუდულ შესაძლებლობებს შორის. პრუდონის შეხედულებით, ცივილიზებულ სამყაროში ადამიანი საკუთარი შრომის მეშვეობით იღებს სწორედ იმას, რაც აუცილებელია მისი სხეულისა და სულისთვის. წარმოებისა და მოხმარების ამგვარი „ურთიერთშეზღუდვა“, პ.ჟ.პრუდონის

შეხედულებით, არის სიღარიბე, ხოლო სიღატაკე წარმოიშვება ჭარბი მოხმარების და სიზარმაცის გამო.

პ.ჟ.პრუდონის შეხედულებით, სიღარიბის დაძლევისთვის აუცილებელია საყოველთაო ეკონომია და შრომა. ის დარწმუნებულია, რომ მხოლოდ შრომის მწარმოებლურობის ზრდის საფუძველზე იქმნება რეალური პირობები სიღარიბის დაძლევისათვის.

სიღარიბის კიდევ ერთ მიზეზს პ.ჟ. პრუდონი ხედავდა ეკონომიკური წყობის არასრულყოფილებაში. მისი შეხედულებით, არსებული ეკონომიკური სისტემა შედგება მთელი რიგი წინააღმდეგობებისაგან, რომლებიც ქმნიან სიღარიბის არსებობის პირობებს. ამ წინააღმდეგობებში უმთავრესს, მისი აზრით, წარმოადგენს სამართლიანობის დამყარება, რომელშიც მას ესმოდა მომუშავისა და „პატრონის“ შორის „ნაცვალგების“ დამყარება, რომლის მიღწევა შესაძლებელია მაშინ, როცა „პატრონი“ მისცემს „მომუშავეს“ იმდენივეს, რამდენსაც „მომუშავე“ აძლევს „პატრონს“. პ.ჟ. პრუდონის რწმენით, სამართლიანობის საფუძველს ფასეულობების თანაბარი (ეკვივალენტური) გაცვლა წარმოადგენს.

პ.ჟ.პრუდონისთვის სიღარიბე - ადამიანთა საზოგადოების არსებობის განუყოფელი ნაწილია, სიღარიბე არის სოციალური სიკეთე.

პ.ჟ.პრუდონი განიხილავდა სიღარიბის ორ ფორმას: შედარებით (შეფარდებით) სიღარიბეს და აბსოლუტურ სიღარიბეს. შედარებითი (შეფარდებითი) სიღარიბე არის წარმოების გაფართოებისა და მოხმარების ზრდის შედეგი. პ.ჟ.პრუდონის ლოგიკის მიხედვით, წარმოების გაფართოებისას იზრდება ადამიანთა მოთხოვნილებები და ფართოვდება „ძირითადი მოთხოვნილებების“ გაგება, რომელშიც პ.ჟ.პრუდონს შეჰყავს გარდა სიცოცხლისათვის აუცილებელი ნივთებისა ის ნივთებიც, რომლებიც შეესაბამება მოცემულ საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ ცხოვრების სტანდარტებს [151; 152].

აბსოლუტურ სიღარიბეს პ.ჟ.პრუდონი განიხილავს, როგორც საზოგადოებაში არსებულ განაწილებით ურთიერთობების შედეგს. პ.ჟ.პრუდონი მხარს უჭერდა საზოგადოებრივი სიკეთის თანაბარ განაწილებას და თანასწორული განაწილებითი

ურთიერთობების დამკვიდრებას. ამ ურთიერთობების დარღვევა კი, პ.ჟ.პრუდონის აზრით, იწვევს სიღარიბეს და მის უკიდურეს ფორმას - სილატაკეს.

- **სიღარიბის პრობლემა კარლ მარქსის შეხედულებებში**

კლასიკური პოლიტიკური ეკონომიისა და მისი ინდივიდუალისტური მიდგომის საწინააღმდეგოდ მარქსისტური მიდგომა ავითარებს კლასობრივ ხედვას სიღარიბის კვლევისადმი. სიღარიბის მარქსისტული გაგება ეფუძნება კლასობრივ მსოფლმხედველობას, რომელიც კაპიტალისა და შრომის დაპირისპირებიდან გამომდინარეობს.

კარლ მარქსისთვის (Karl Heinrich Marx, 1818—1883) სიღარიბე წარმოადგენს ექსპლუატაციის შედეგს, კაპიტალის დაგროვებისა და სიმდიდრის განაწილების პროდუქტს. კაპიტალიზმი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური სისტემა და როგორც სპეციფიკური წარმოებითი ურთიერთობათა ერთობლიობა, წარმოქმნის გარკვეულ შედეგს - სიღარიბეს.

კ.მარქსი განიხილავს სიღარიბეს, როგორც წარმოების საშუალებების ნაკლებობას მათთვის, ვინც მუშაობს და ვისაც არაფერი გააჩნია გასაყიდად საკუთარი სამუშაო ძალის გარდა და ვინც ამ წარმოების საშუალებების მეშვეობით უშუალოდ აწარმოებს საქონელს, მაშინ როცა სიმდიდრე თავმოყრილია მცირე ჯგუფის ხელში, რომელიც უკვე დიდი ხანია აღარ მუშაობს [131, გვ.507].

კ.მარქსი აღიარებს ორი სახის სიღარიბის არსებობას: აბსოლუტურ სიღარიბეს და ფარდობით სიღარიბეს. იგი განსაზღვრავს აბსოლუტურ სიღარიბეს, როგორც პროლეტარიატის ცხოვრების დონის დაცემას იმ დონესთან შედარებით, რაც მას ადრე გააჩნდა („ისტორიის წინა პერიოდთან შედარებით“), ხოლო ფარდობითი სიღარიბე წარმოიშვება, როდესაც კაპიტალისტების მიერ მითვისებული ეროვნული სიმდიდრის წილი იზრდება, მაშინ როცა ეროვნული სიმდიდრის წილი, რომელსაც იღებს პროლეტარი - შედარებით მცირდება [131, გვ.455].

კ.მარქსის გაგებით, კაპიტალისტური საზოგადოების კლასობრივი ხასიათი თავს ავლენს კლასობრივ პოლარიზაციაში. სხვა სიტყვებით, კაპიტალისტური

სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში ხდება კაპიტალისა და სიმდიდრის დაგროვება ერთ პოლუსზე, მაშინ როცა მეორე პოლუსზე ხდება ტანჯვის, სისასტიკის, ფსიქიკური დეგრადაციის აკუმულირება [131, გვ.45]. კ.მარქსი ამტკიცებს, რომ კაპიტალიზმის პირობებში ეროვნული კეთილდღეობა ხალხის სიღარიბის იდენტურია [131, გვ.513], ვინაიდან მის წარმოდგენაში კაპიტალისა და ეროვნული კეთილდღეობის დაგროვების კვალობაზე, იმისდამიუხედავად ხელფასი იზრდება თუ მცირდება, მუშა კლასის მდგომარეობა ყოველთვის და აუცილებლად უარესდება.

აქ კ.მარქსი ერთმანეთისაგან ასხვავებს აბსოლუტურ და შეფარდებით სიღარიბეს და ხაზს უსვამს, რომ შეფარდებითი სიღარიბე იზრდება შრომის მწარმოებლურობის ზრდის პროცესში, როცა მცირდება მომუშავეთა წილი მათ მიერ წარმოებული წლიური პროდუქტის მოხმარებაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კ.მარქსისა და მისი მიმდევრებისთვის სხვადასხვა კლასებს სხვადასხვა დონით შეუძლიათ ისარგებლონ ეროვნული სიმდიდრის ზრდით და ეკონომიკური ზრდა თავისთავში არ არის საკმარისი სიღარიბის დაძლევისათვის. კ.მარქსი და მისი მიმდევრები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური სისტემის რადიკალურ ცვლილებას შეუძლია სიტუაციის გაუმჯობესება.

მაშასადამე, კლასიკურ ეკონომიკურ მეცნიერებაში სიღარიბის გაგების არსებული მოსაზრებების მრავალსახეობის მიუხედავად შესაძლებელია გამოყოფილ იქნას ორი ძირითად მიმართულება, სადაც ერთ-ერთი განიხილავს სიღარიბეს, როგორც ადამიანთა არსებობის ბუნებრივ პირობას და გამოყოფს სიღარიბის არსებობის ეკონომიკურ მხარეს (რომელიც განიხილავს სიღარიბეს, როგორც შემოსავლის ნაკლებობას, რაც გამოწვეულია შრომის მიწოდებასა და მასზე მოთხოვნას შორის არსებული დისპროპორციით და სიღარიბის არსებობა დაჰყავს მოსახლეობის ზრდასა და საარსებო საშუალებათა შორის უბრალო თანაფარდობამდე) და მორალურ მხარეს (რომელსაც სიღარიბე გამოჰყავს ადამიანის ბუნების ნაკლოვანებებიდან და რომელიც იწვევს პიროვნების მორალურ-ფსიქოლოგიურ დეგრადაციას), ხოლო მეორე მიმართულება ეყრდნობა მოსაზრებას, რომ სიღარიბის

წარმოშობისა და შენარჩუნების მიზეზს სოციალური სისტემის მანკიერება წარმოადგენს.

საკმარისი შემოსავლის არ არსებობისა და სიღარიბის მატერიალურ კეთილდღეობასთან მჭიდრო და უშუალო კავშირის იდეა რჩება დომინირებად იდეად სიღარიბის არსებობის ეკონომიკური თვალსაზრისით ახსნისათვის. ამგვარი გაგებიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში განასხვავებდნენ სიღარიბის ორ სახეს (დონეს): აბსოლუტურ და შეფარდებით სიღარიბეს (პ.პრუდონი, კ.მარქსი).

კლასიკური ეკონომიკური სკოლის მიერ შემუშავებული და გამოყენებული წონასწორული მიდგომისა და ბაზრების ფუნქციონირების ეფექტიანობიდან გამომდინარე, მომუშავის ხელფასი წარმოადგენს მისი მწარმოებლურობის ადეკვატურ გამოხატვას. ამგვარი მიდგომიდან გამომდინარე, სიღარიბე წარმოდგენილია, როგორც არასწორი ინდივიდუალური არჩევანის შედეგი.

სიღარიბის პრობლემა ნეოკლასიკურ ეკონომიკურ თეორიაში

- **სიღარიბის პრობლემა უილიამ სტენლი ჯევონსის შეხედულებებში**

უილიამ სტენლი ჯევონსი (*William Stanley Jevons*, 1835-1882) იყო პირველი ეკონომისტი, რომელიც წარმატებით გამოვიდა იმ დროს გაბატონებული კლასიკური ეკონომიკური თეორიების წინააღმდეგ და შეეცადა შეექმნა სრულიად ახალ საფუძვლებზე აგებული, ორიგინალური ეკონომიკური თეორია, რომელიც, ზუსტ მეცნიერებების მსგავსად, დაეფუძნებოდა ეკონომიკურ კანონზომიერებათა შესწავლას ჰიპოთეზების ჩამოყალიბებისა და შემოწმების მკაცრი მათემატიკური მეთოდების გამოყენებით. პოლიტიკური ეკონომიის ზუსტ მეცნიერებად გადაქცევისა და მისთვის უფრო კონკრეტული სახის მიცემისათვის საჭირო იყო, უ.ჯევონსის აზრით, მხოლოდ სტატისტიკური მონაცემების შეგროვება-შესწავლა, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი იქნება აუცილებელი გაანგარიშების განხორციელება და მომავლის ზუსტი პროგნოზირების გაკეთება.

უ.ჯევონსის მოსაზრებით, სიღარიბე ბადებს „უღირსობის გრძნობას“ [123, გვ.215], ხოლო სიღარიბის და სიღატაკის არსებობაში უ.ჯევონსი უშალოდ მომუშავეებს ადანაშაულებდა და თვლიდა, რომ მატერიალური უთანაბრობა ადამიანთა ინდივიდუალური შესაძლებელობების განსხვავებიდან გამომდინარეობს.

უ.ჯევონსი პირდაპირი გადასახადების მომხრეა და მხარს უჭერს შემოსავლების პროპორციული გადასახადების სისტემას. საქონლის ირიბი გადასახედებით დაბეგვრა, მისი შეხედულებით, უნდა იყოს განსაზღვრული ისე, რომ არ დააზარალოს საზოგადოების შეძლებული ფენები და არ გააუარესოს მათი მდგომარეობა [122, გვ.203].

უ.ჯევონსის შეხედულებებით, საქველმოქმედო ორგანიზაციები ბადებენ მოსახლეობის ღარიბ ფენებში მდიდრებზე დამოკიდებულობის გრძნობას [122, გვ.190], რომ რეალურ ცხოვრებაში საქველმოქმედო საქმიანობისათვის გამოყოფილი თანხა „ძირს უთხრის ყველაზე ძვირფას მახასიათებელს - თვითუზრუნველყოფას“ და ამით ქმნის პირობებს სიღატაკისა და პაუპერიზმისათვის [122, გვ.190]. უ.ჯევონსი განსაკუთრებულად უარყოფითად იყო განწყობილი საქველმოქმედო საქმიანობის ისეთი ფორმის მიმართ, როგორცაა სამედიცინო დახმარება, რომელსაც თვლიდა ყველაზე მეტად არასასურველ ღონისძიებად, ვინაიდან, მისი მოსაზრებით, უფასო სამედიცინო მომსახურება და უფასო სამედიცინო დახმარება აძლიერებს საზოგადოების დაბალი ფენების მუქთახორობას, ვინაიდან უფასო დისპანსერიზაცია ავითარებს დასვენების და უქმად ყოფნის ჩვევებს.

უ.ჯევონსი გამოთქვამს მოსაზრებას და აცდილობს დაასაბუთოს, რომ შემწეობის გაწევა ღარიბებისთვის ხშირად „გამხრწნელ გავლენას“ [122, გვ.193] ახდენს შემწეობის მიმღებზე ანუ ღარიბ მოსახლეობაზე, შემწეობებს შეუძლია გაავრცელონ გაყალბებები, თაღლითობა, როცა შემწეობის მიმღებ პირებს გააჩნია არსებობისათვის საკმარისი სახსრები [122, გვ.198], რის გამო ღარიბები უყურებენ გაწეულ შემწეობებს და სხვა სახის დახმარებებს, როგორც ბუნებრივ მოვლენას, როგორც საკუთარ უფლებას [122, გვ.191]. უ.ჯევონსი დარწმუნებულია, რომ შემწეობაზე დახარჯული

ფული არა უბრალოდ ტყუილად იხარჯება, არამედ ზიანი მოაქვს [122, გვ.193] და ხელს უწყობს სიღარიბეში მცხოვრებ კლასის შენარჩუნებას [122, გვ.198].

უ.ჯევონსი პირდაპირ აცხადებს, რომ მას „არ ჯერა, რომ ადამიანები რეალურად არიან სიღარიბის ასეთ უიმედო მდგომარეობაში“ [122, გვ.191] და სვამს კითხვას, თუ რატომ უნდა მიმართონ ღარიბმა კლასებმა მდიდრებს დახმარებისთვის ცხოვრების ყველაზე „გავრცელებულ“ (ყოველდღიურ) სიტუაციაში, მითუმეტეს მაშინ, როცა ადამიანები არ იმყოფებიან უკიდურეს მდგომარეობაში და მათ საკმარისი ხელფასიც გააჩნიათ, რომელიც სავსებით საკმარისია ცხოვრებისთვის, თუ კი ის „გონივრულად“ იქნა დახარჯული.

ამასთან, მისთვის სრულიად მისაღებად და სასარგებლოდ არის მიჩნეული განათლების სახელმწიფო სისტემის არსებობა, ვინაიდან განათლების მიღების მეშვეობით ღარიბები უფრო გონივრულები ხდებიან.

უ.ჯევონსი აღიარებს იმ გარემოებას, რომ თავისი შემოსავლებით მომუშავეებს არ შეუძლიათ დააგროვონ დანაზოგები და, მაშასადამე, მათ არ შეუძლიათ უზრუნველყონ საკუთარი თავი წარმოების საშუალებებით. ამ პრობლემის გადაჭრა არც ხელფასის ზრდას და არც მაღალი ხელფასის არსებობას შეუძლია, ვინაიდან მომუშავე გამოირჩევა ზედმეტობისადმი მიდრეკილებით და ცუდად არის ინფორმირებული არსებულ პირობებსა და შესაძლებლობებზე [124].

უ.ჯევონსს ხიბლავს მოგებაში მომუშავეების მონაწილეობის იდეა, რადგან ამგვარი მონაწილეობით დაქირავებული მუშა შეიძლება წვრილ კაპიტალისტად გარდაიქცეს.

მიუხედავად იმისა, რომ უ.ჯევონსი არ იკვლევს სიღარიბის პრობლემას და განიხილავს მას მხოლოდ სხვა საკითხების კონტექსტში, ის ცალსახად გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას სიღარიბის მიზეზების თაობაზე და პირველ რიგში, თ.რ.მალთუსის ანალოგიურად, მოსახლეობის ზრდას ასახელებს, რომელიც, მისი მოსაზრებით, შეუზღუდავი ქორწინების ჩვევის („habits of unrestricted marriage“) შედეგს წარმოადგენს [121, გვ.189, 191]. ერთადერთი გამოსავალი, რომელსაც ხედავს უ.ჯევონსი ჭარბი მოსახლეობისა და, მაშასადამე, სიღარიბის დაძლევისათვის

ექსტრაორდინალური გამოსავალის გარდა [121, გვ.189] არის „მიგრაცია მწარმოებელ ქალაქში ანდა წარმატებულ კოლონიებში“ [121, გვ.217].

- **სიღარიბის პრობლემა ალფრედ მარშალის შეხედულებებში**

ნეოკლასიკური სკოლის ტრადიციებიდან გამომდინარე, ალფრედ მარშალი (*Alfred Marshall*, 1842-1924 წწ.) სიღარიბეს განიხილავს შემოსავლის მიღების თვალსაზრისით და სიღარიბეზე მსჯელობის დროს ზღვრულ სიდიდეებს ეფუძნება. ა.მარშალი მსჯელობს ფულის ზღვრულ სარგებლიანობაზე მდიდარი და ღარიბი ადამიანისათვის და აჩვენებს, რომ ფულის ერთი და იგივე რაოდენობის ზღვრული სარგებლიანობა გაცილებით უფრო დიდია ღარიბებისთვის, ვიდრე მდიდრებისთვის [221, გვ.131, 137,159,162 სხვ.].

ა.მარშალი არ ეთანხმება მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე ინგლისელი ეკონომისტების, კერძოდ კი რ.მალთუსის, მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომლის თანახმად სიღარიბის გამომწვევი მიზეზი მოსახლეობის სწრაფი ზრდით არის გამოწვეული, თუმცა აღიარებს იმ ფაქტს, რომ ამგვარ შეხედულებებს გარკვეული ობიექტური მიზეზები გააჩნია. ა.მარშალისთვის მოსახლეობის სწრაფი ზრდა წარმოადგენს სიღარიბის ახსნის მხოლოდ ერთ-ერთ მიზეზს. თუმცა მისთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ღარიბი მოსახლეობის „ხარისხი“ [221, გვ.203], რომელიც განათლების მიღებით არის განპირობებული.

ა.მარშალი უშუალო კავშირში აყენებს ეროვნული ეკონომიკის კეთილდღეობას სასკოლო განათლების სრულყოფასთან და მოითხოვს სტიპენდიების ფართო სისტემის დაწესებას, რაც ხელს შეუწყობს „ღარიბი მოსახლეობის ნიჭიერ შთამომავლობას“ მიიღოს „საუკეთესო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, რომელიც გააჩნია ჩვენს ეპოქას“ [221, გვ.220].

ა.მარშალის შეხედულებებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შრომაზე მოთხოვნისა და მისი მიწოდების საკითხს [221, გვ.452]. ა.მარშალი ცდილობს განსაზღვროს ის „უდაბლესი შემოსავალი“, რომლის გარეშე შეუძლებელია მომუშავეისა და მისი ოჯახის არსებობა. ამასთან, ამ პრობლემას ა.მარშალი

განიხილავს კულტურულ კონტექსტში და აღიარებს იმ ფაქტს, რომ განსხვავებულ კულტურულ გარემოში ადამიანთა არსებობისათვის აუცილებელი საგნები მნიშვნელოვნად განსხვავებულია, რომ ზოგიერთ ადგილებზე გარკვეული სამოხმარებლო საგნები არის იქ მცხოვრები ხალხის ყოფიერების განუყოფელი და ტრადიცილი ნაწილი, თუმცა არ წარმოადგენენ აუცილებლობას ადამიანთა არსებობისთვის [221, გვ.454]. ამის გამო, ა.მარშალის მოსაზრებით, დანახარჯების შემცირების მიზნით სასურველია უარის თქმა ძვირიან ტრადიციულ საარსებო საშუალებებზე [221, გვ.453].

სიღარიბის დაძლევის მიზნით ხელფასის ზრდის პროცესს ა.მარშალი არაერთგვაროვნად აფასებს. მიუხედავად იმისა, რომ ხელფასის ზრდა თითქმის ყოველთვის ზრდის მომუშავის შთამომავლობის მატერიალურ, ფიზიკურ, გონებრივ და სულიერ შესაძლებლობებს, ა.მარშალი ხაზგასმით მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ ხელფასის ზრდასთან ერთად იზრდება არა იმდენად მომუშავის მოხმარების ხარისხი, რამდენადაც ძლიერდება მოსახლეობის ზრდის ტემპები, რაც, თავის მხრივ, იწვევს ბაზარზე შრომის მიწოდების გადიდებას და ხელფასის დონის შემცირებას. ამგვარი ლოგიკიდან გამომდინარე, ა.მარშალი მიდის დასკვნამდე, რომ ხელფასი და მისი რაოდენობა არის სიღარიბის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი. ის განიხილავს, თუ როგორ ყალიბდება შრომის ბაზარზე ხელფასის დონე და აცხადებს, რომ ხელფასის ჩამოყალიბებაში ერთნაირად მნიშვნელოვანია, როგორც მოთხოვნა, ისეც მიწოდება და არც ერთ მათგანს არ შეუძლია მიენიჭოს უპირატესობა. ხელფასი შრომის წმინდა პროდუქტის ტოლია, ხოლო შრომაზე მოთხოვნა რეგულირდება შრომის ზღვრულ მწარმოებლურობით. ა.მარშალის მიხედვით, ეს არის შრომის ფასის ფორმირების მხოლოდ ერთი მხარე. მეორეს მხრივ კი, ხელფასი იმყოფება მჭიდრო, თუმცა არაერთგვაროვან და რთულ კავშირში წარმოების დანახარჯებთან. შრომის ფასის წარმოქმნის მექანიზმის ეს ორი მხარე განაპირობებს ერთი მეორეს და უბიძგებს შრომის მიწოდებისა და შრომაზე მოთხოვნის ფასებს წონასწორობისკენ. მამასადამე, ა.მარშალის მიხედვით, ხელფასი რეგულირდება მიზეზთა ერთობლიობით,

რომლებიც ზემოქმედებენ შრომის მიწოდება-მოთხოვნაზე და ამგვარად შეუძლიათ გავლენის მოხდენა მომუშავეთა მატერიალურ მდგომარეობაზე.

ა.მარშალი აღიარებდა იმ ფაქტს, რომ სიღარიბე, ისევე როგორც სიმდიდრე, თავისი ხარისხის მიხედვით არ არის ერთგვაროვანი და შეიძლება იქნას გამოყოფილი სიმდიდრისა და სიღარიბის განსხვავებული დონეები [221, გვ.138].

ა.მარშალი არ უკავშირებს სიღარიბეს ღარიბ ადამიანთა სიზარმაცეს. პირიქით, ის მრავალჯერ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ღარიბი ადამიანები იძულებულნი არიან ბევრი („მრავალი საათის განმავლობაში“) იმუშაონ, რომ ისინი დაკავებულნი არიან მძიმე ფიზიკური შრომით, მაგრამ მათ არ შეუძლიათ გამოიმუშაონ ბევრი პროდუქტი, ვინაიდან თავისი სიდუხჭირის გამო ღარიბები ცუდათ იკვებებიან, მათ არა აქვთ თავისუფალი დრო დასვენებისათვის და ა.შ. [221, გვ.531].

ამავე დროს ა.მარშალი სიღარიბეს განიხილავს, როგორც საზოგადოების უდიდესი ნაწილის დეგრადაციის პროცესს. მისი აზრით, იმ პირობებს, რომლებიც თანახლავს სიღარიბეს, შეუძლიათ გაანადგურონ ადამიანთა საუკეთესო თვისებები და სწორედ ამიტომ, რომ ღარიბებისათვის არის დამახასიათებელი ფიზიკური, მორალური და გონებრივი ნაკლოვანებები. ღარიბებს გააჩნია დაბალი სოციალური კაპიტალი (მისი სიტყვებით „მწირი შესაძლებლობა მეგობრობისთვის“), მათთვის უცხოა წესიერება და პატიოსნება, შეთანხმებულობა ოჯახში.

- **სიღარიბის პრობლემა ჯონ ბეიტს კლარკის შეხედულებებში**

ჯონ ბეიტს კლარკის (*John Bates Clark, 1847-1938 წწ.*), ინგლისურ-ამერიკული ეკონომიკური სკოლის აღიარებული ლიდერი, უმთავრეს პრობლემად აღიარებს სიმდიდრის განაწილებას და პასუხის გაცემას კითხვაზე: არსებობს თუ არა ბუნებრივი კანონი, რომლის მიხედვით საზოგადოების სიმდიდრე იყოფა ხელფასზე, მოგებასა და პროცენტზე. სწორედ ამ კითხვის დასმით იწყებს ჯ.ბ. კლარკი თავის ცნობილ წიგნს „სიმდიდრის განაწილება“ (*The Distribution of Wealth, 1899*), რომელსაც ი.შუმპეტერმა „გამორჩეული მეცნიერული შრომა, ხელოვნების ნიმუში...რომელმაც დააარსა ამერიკული თეორიის ერთიანი სკოლა“ უწოდა [256].

ჯ.ბ.კლარკი არ განიხილავს პირდაპირ სიღარიბეს. მისთვის, ისევე, როგორც ზოგადად კლასიკური ეკონომიკური სკოლისათვის, უფრო მნიშვნელოვანია სიმდიდრის პრობლემის კვლევა. სიმდიდრე, ჯ.ბ.კლარკის გაგებით, წარმოდგენს ადამიანთა კეთილდღეობის იმ წყაროს, რომელიც არის მატერიალური ფასეულობების მატარებელი, არსებობს შეზღუდული რაოდენობით და ექვემდებარება გასხვისებას.

ჯ.ბ.კლარკი აღიარებს იმ ფაქტს, რომ ადამიანთა უმრავლესობა თავს ირჩენს შრომიდან მიღებული შემოსავლით, რომელიც ხელფასის ფორმას იღებს და ამ ხელფასის სიდიდეზეა დამოკიდებული „მომუშავის შვილების კულტურის, ჯანმრთელობის და კეთილდღეობის დონე“ [215, თავი I] და ხელფასის დონეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მომუშავისა და მისი ოჯახის მატერიალური მდგომარეობისათვის, ვინაიდან ხელფასის დონის გავლენას მომუშავის ოჯახის კეთილდღეობაზე გააჩნია „კუმულაციური ხასიათი“, რომელიც იზრდება ერთი თაობის მეორე თაობით შეცვლის კვალობაზე. ხელფასის სახით მიღებულ ფულს ჯ.ბ.კლარკი განიხილავს, როგორც მატერიალურ ფორმაში კონცენტრირებულ პოტენციურ სიმდიდრეს, პოტენციურ კეთილდღეობას, რომელზეც ბევრად არის დამოკიდებული მომუშავის მომავალი თაობების მატერიალური მდგომარეობა და, მათსადამე, სიღარიბის დაძლევის ან არდაძლევის შესაძლებლობა. ამგვარი შეხედულებების საფუძველზე ჯ.ბ.კლარკს გამოჰყავს ე.წ. „ხელფასის კანონის ბუნება“, რომელიც, მისი გაგებით, განსაზღვრავს, თუ რა ტენდენცია ექნება მომავალში მომუშავის ცხოვრების დონეს - ზრდის თუ შემცირების.

ჯ.ბ.კლარკი ხედავს პირდაპირ კაშვირს მომუშავის (ისევე, როგორც კაპიტალისტის და მიწათმფლობელის) შემოსავალსა და მისი შრომის მწარმოებლურობის, მის მიერ წარმოებული პროდუქტის რაოდენობას შორის [215, თავი II].

სიმდიდრეზე თავის შეხედულებებს ჯ.ბ.კლარკი აყალიბებს „ფასეულობის თეორიის“ და „კლებადი სარგებლიანობის“ თეორიის საფუძველზე [215, თავი XIV]. „ფასეულობის თეორიას“ ჯ.ბ.კლარკი საყოველთაო კანონის ხასიათს ანიჭებს და

აზოგადებს სამომახმარებლო სიმდიდრის ყველა ფორმაზე [215, თავი XIV]. ჯ.ბ.კლარკის შეხედულებით, რაც უფრო მდიდარი ხდება ადამიანი, მით უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს მისთვის მის სიმდიდრეს და სიმდიდრის ყოველი ახალი ერთეული არის სულ უფრო ნაკლებად სასარგებლო ანუ ჯ.ბ.კლარკი განიხილავს სიმდიდრეს კლებადი ზღვრული სარგებლიანობის საფუძველზე.

- **სიღარიბის პრობლემა ირვინგ ფიშერის შეხედულებებში**

ისევ, როგორც ა.სმიტი და ჯ.ბ.კლარკი, ნეოკლასიკური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ამერიკელი მათემატიკოსი-ეკონომისტი, რომელსაც ი.შუმპეტერმა თავისი ქვეყნის უდიდესი თეორეტიკოსი-ეკონომისტი უწოდა [256, გვ.306-307] **ირვინგ ფიშერი (Irving Fisher, 1867-1947)** არ იკვლევს სპეციალურად სიღარიბეს და მისი მეცნიერულ ინტერესის სფეროში სხვა პრობლემებთან ერთად (ფული, ფასი, შემოსავალი, სარგებლიანობა, ფასეულობა და სხვ.) [88; 89; 90; 91; 92] მოქცეულია სიმდიდრე. ამასთან, ყოველ კონკრეტულ მომენტისათვის არსებული სიმდიდრის მარაგი მას წარმოდგენილი აქვს, როგორც კაპიტალი, რომლის კვლევას ი.ფიშერი ახორციელებს კაპიტალიდან მიღებულ შემოსავალთან - პროცენტთან - უშუალო კავშირში. სწორედ სიმდიდრის, კაპიტალისა და პროცენტის შესწავლის საფუძველზე განიხილავს ი.ფიშერი სიღარიბის პრობლემას.

ი.ფიშერისთვის სიმდიდრე წარმოადგენს მატერიალურ ნივთებს, რომლებიც ადამიანის საკუთრებაში არიან. ი.ფიშერი გამოყოფს სიმდიდრის ორ აუცილებელ ატრიბუტს: სიმდიდრის მატერიალურობას და სიმდიდრის მითვისების შესაძლებლობას. ის ცდილობს სიმდიდრის ბუნების გაგებას და კაპიტალის მნიშვნელობას ხედავს მის უნარში მოიტანოს შემოსავალი [90]. ამასთან, რეალური კაპიტალისა და კაპიტალის ღირებულებას შორის კავშირს ი.ფიშერი ადგენს შემოსავლის მოცულობისა და საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით. ი.ფიშერის მიერ პროცენტის პრობლემის კვლევა ჯერ მოცემული იყო 1907 წელს გამოცემულ „კლასიკურ ნაშრომში“ [202, გვ.488] „The Rate of Interest“, რომელშიც ის ცდილობდა ახლებურად მიდგომოდა პროცენტის პრობლემას. შემდგომში ეს წიგნი იქნა

გადამუშავებული ავტორის მიერ და 1930 წელს გამოვიდა სახელწოდებით „პროცენტის თეორია“ და, ი.შუმპეტერის შეფასებით, წარმოადგენს შესანიშნავ ნაწარმოებს და საუკეთესო ნაშრომს, რომელიც დაიწერა ეკონომიკურ ლიტერატურაში პროცენტის თაობაზე [256, გვ.317].

ი.ფიშერის მიერ განხორციელებული პროცენტის ანალიზი არის გარკვეული გაგებით შემოსავლის ანალიზი [88; 89, გვ.320], ვინაიდან პროცენტი წარმოდგენილია არა როგორც ფაქტორული შემოსავალი, არამედ როგორც ყველა სახის შემოსავლის საფუძველი. ამასთან, ი.ფიშერი განასხვავებს მიმდინარე პერიოდის შემოსავლებს და მომავლის შემოსავლებს, რომელშიც იგულისხმება მიმდინარე პერიოდის შემოსავლების ინვესტირებიდან მიღებულ შემოსავალს. სწორედ შემოსავლების ამ სახეების არსებობას უკავშირებს ი.ფიშერი სიღარიბის პრობლემას და სიღარიბეს განიხილავს „ადამიანის მოუთმენლობის“ (person's impatience) [88] ან „სურვილის“ (willingness) [89] პრინციპის საფუძველზე⁷.

ი.ფიშერის წარმოდგენით „მოუთმენლობის პრინციპი“ ან „სურვილის პრინციპი“ ნიშნავს, რომ ადამიანები არ არიან განწყობილნი გადადონ მომავლისთვის ის სიამოვნება, რომელიც მოაქვს შემოსავალს და ამჯობინებენ დაიკმაყოფილონ თავისი მიმდინარე (ანუ ამწუთიერი) სურვილები თუ კი მათ არ გააჩნიათ საკმარისი მიზეზი მოიქცნენ სხვაგვარად. იმ „მიზეზებში“, რომლებსაც შეუძლიათ არ დაუშვან შემოსავლის იმწუთიერი მოხმარება, ი.ფიშერს აქვს დასახელებული შემდეგი: თუ კი ცნობილია მომავალი შემოსავლის მოცულობა, შემოსავლის შემადგენლობა (სტრუქტურა), შემოსავლის განაწილება დროში და შემოსავლის მიღების ალბათობა (შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული რისკი). ამ „მიზეზების“ გათვალისწინებით შესაძლებელია იმ ვარაუდის გაკეთება, თუ რას მიენიჭება უპირატესობა და, მათსადამე, რა იქნება უფრო მიმზიდველი ადამიანისათვის - „მოუთმენლობა“ დღეს თუ „მოთმინება“ მომავლისთვის, ანუ მიმდინარე

⁷ ტერმინი „მოუთმენლობა“ (impatience) ი.ფიშერმა გამოიყენა 1907 წელს გამოცემულ ნაშრომში „The Rate of Interest“, ხოლო 1930 წელს გამოსულ წიგნში „The Theory Of Interest, As Determined by Impatience to Spend Income and Opportunity to invest it“ მან გამოიყენა ტერმინი „სურვილი“ (willingness).

მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სურვილი თუ მომავალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა [88, გვ.94-95; 91, გვ. 30]. ირვინგ ფიშერი იკვლევდა, თუ როგორ არის დამოკიდებული ადამიანის მოუთმენლობა მის შემოსავლის დონეზე, შემოსავლის შემადგენლობაზე და შემოსავლის მიღების რისკზე და ამის საფუძველზე ხსნის სიღარიბის არსებობას.

განიხილავს რა შემოსავლის მოცულობისა და შემოსავლის მიღების დროის ეფექტს ამ შემოსავლის მიმღებზე, ი.ფიშერი მიდის დასკვნამდე, რომ დაბალი შემოსავლის მქონე პირები გაცილებით უფრო მგრძობიარე არიან შემოსავლის მიღების დროსა და მოცულობის მიმართ, ვიდრე შედარებით უფრო მაღალი შემოსავლების მქონე პირები [91, გვ.31].

ი.ფიშერს ნათლად აქვს წარმოდგენილი, რომ ცხოვრების ყოველ ეტაპზე ადამიანი შეიძლება სიღარიბის წინაშე აღმოჩნდეს და ამის გამო მისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიმდინარე შემოსავალი იძენს. მისი შეხედულებით, უშუალო მოხმარების შესაძლებლობა ზრდის მიმდინარე შემოსავლის სარგებლიანობას. ამ გარემოების გამო ადამიანთა ქცევა, რომლებიც ამჯობინებენ უშუალო (მიმდინარე ან ამწუთიერ) მოხმარებას მომავალ შესაძლებლობასთან შედარებით, შეიძლება რაციონალურად ჩაითვალოს, მაგრამ, ამავე დროს, ამგვარი ქცევა შეიძლება შეფასდეს, როგორც ნაწილობრივ ირაციონალური, ვინაიდან მიმდინარე მოთხოვნილებების ზეწოლა ზღუდავს მომავალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას [88, გვ.94-95].

ამასთან, „მოუთმენლობა-მოთმინების“ პრობლემის გადაჭრა უშუალოდ არის დაკავშირებული შემოსავლის დონესთან ანუ „მოუთმენლობა-მოთმინების“ დილემის გადაჭრა უშუალო კავშირშია სიღარიბესთან. ი.ფიშერი ამბობს, რომ სიღარიბე ასუსტებს წინდახედულობას და თვითკონტროლს⁸ და გადაწყვეტილების მიღება ეფუძნება „იღბლისადმი ნდობას“ ("trust to luck") ანუ ადამიანის წარმატება-

⁸ ეს იდეა მომდევნო პერიოდში (მე-20 საუკუნის 90-ან წლებში) იყო დადასტურებული სოციალური ფსიქოლოგიის წარმომადგენლების ექსპერიმენტალური კვლევებით და აისახა ამოწურვადი (გამოფიტვადი) თვითკონტროლის თეორიაში (იხ. ამ ნაშრომის პარაგრაფი 1.2.3.).

წარუმატებლობა აიხსნება ბედის (იღბალის) წყალობით ან არწყალობით. ასეთი გაგებით ფიშერი ძალიან ახლოს დგას იმ იდეებთან, რომლებიც განვითარებულია ფსიქოლოგების მიერ.

ამასთან ი.ფიშერი აღიარებს, რომ მიმდინარე შემოსავალი აბსოლუტურად აუცილებელია, როგორც ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნებისათვის, ასევე მომავალი შემოსავლების მიღებისათვის, ვინაიდან წარმოადგენს მომავალი შემოსავლების მიღების წინაპირობას. მაგრამ, რაც უფრო დაბალია შემოსავალი, მით უფრო მეტად ენიჭება უპირატესობა მის გამოყენებას მიმდინარე პერიოდში მომავალი შემოსავლის საზიანოდ ანუ არასაკმარისი მიმდინარე შემოსავლების პირობებში ადამიანი ამჯობინებს „გამარცვოს მომავალი“ („to rob the future“) აწმყოს სასარგებლოდ [88, გვ.95]. ი.ფიშერი ცდილობს დაამტკიცოს, რომ იქ, სადაც ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მომავლის მოთხოვნებს, კაპიტალი ავლენს „გაქრობის ტენდენციას“, ხოლო სიღარიბე „ზრდისა და ცუდიდან უარესობისკენ გადასვლის“ ხასიათს ამჟღავნებს [88, გვ.295].

ი.ფიშერის აზრით კაპიტალის განაწილებისა და, მაშასადამე, შემოსავლების მიღების უთანაბრობის გამო, ხდება ადამიანთა მატერიალური მდგომარეობის უკვდავყოფა. ი.ფიშერი განიხილავს მემკვიდრეობას, როგორც ფაქტორს, რომელსაც შეუძლია შეინარჩუნოს და გაზარდოს ან, პირიქით, შეამციროს სიმდიდრე, ვინაიდან მომჭირნეობის ჩვევა არ გადადის მემკვიდრეობით, ხოლო ფუფუნებაში და სიუხვეში ცხოვრების ჩვევას შეუძლია გამოიწვიოს მიმდინარე სიამოვნების მიღებისკენ მუდმივი სწრაფვა, რამაც დროთა განმავლობაში შეიძლება მიიყვანოს ადამიანი სიღარიბამდე [88, გვ.233-234].

რაში ხედავს ი.ფიშერი სიღარიბის მიზეზს? ის ამბობს, რომ პირადი და ბუნებრივი თვისებები და შეძენილი ჩვევები, ცხოვრების წესი და ქვეყნის ადათ-წესები [88, გვ.124], მენტალური მახასიათებლები [88, გვ.294-295], დღევანდელი სურვილების დაკმაყოფილებისა თუ მომავალი შემოსავლების მიღებას შორის არჩევანის გაკეთება და მათგან ერთ-ერთისთვის უპირატესობის მინიჭება [88, გვ.231],

არის ის მიზეზები, რომლებსაც შეუძლია გაზარდოს ან შეამციროს როგორც სიღარიბე, ისევე კეთილდღეობა.

- **სიღარიბის პრობლემა არტურ სესილ პიგუს შეხედულებებში**

ინგლისელი ეკონომისტის, კემბრიჯის სკოლის წარმომადგენლის და ალფრედ მარშალის მოსწავლის, რომელიც ეკონომიკური აზრის ისტორიაში შევიდა, როგორც კეთილდღეობის ნეოკლასიკური თეორიის დამასრულებელი, **არტურ სესილ პიგუს** (*Arthur Cecil Pigou*, 1877—1959) მეცნიერული ინტერესის სფეროში მოქცეულია საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობა, მისი ზრდის შესაძლებლობები და გავლენა საზოგადოების წევრებზე. ამ პრობლემას ა.პიგუმ მიუძღვნა 1912 წელს გამოცემული წიგნი „სიმდიდრე და კეთილდღეობა“, რომელმაც შემდგომში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა და 1932 წელს გამოვიდა სახელწოდებით „კეთილდღეობის ეკონომიკა“⁹. ამ ნაშრომში ა.პიგუ ამუშავებს კეთილდღეობის უზრუნველყოფის პრაქტიკულ საკითხებს, რისთვისაც ეფუძნება ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის ისეთ მიდგომებს, როგორცაა კლებადი ზღვრული სარგებლიანობის თეორია, უტილიტარიზმის პრინციპი და ეკონომიკური დოვლათის სუბიექტური და ობიექტური შეფასება. ამ მიდგომების სფუძველზე ა.პიგუ აყალიბებს გადასახადებისა და დოტაციების თეორიას, რომელიც გამოჰყავს ე.წ. „ყველაზე მცირე ერთობლივი მსხვერპლის“ პრინციპიდან, როცა მიიღწევა საზოგადოების ყველა წევრის მიერ გაწეული „ზღვრული მსხვერპლის“ წონასწორობა. ამასთან, „მსხვერპლი“ დაკავშირებულია „შემოსავლის საერთო სარგებლიანობასთან“ და გადასახადთან შემოსავლის საერთო სარგებლიანობაზე [202, გვ.314]. ა.პიგუს ამგვარი მიდგომა წარმოადგენს იმ იდეების თავისებურ განვითარებას, რომელთა მომხრენი იყვნენ ჰენრი სიჯვიკი (Henry Sidgwick, 1838-1900), ალფრედ მარშალი (Alfred Marshall, 1842—1924), არნოლდ ჯაკობს კოენ-სტიუარტი (Arnold Jacob Cohen Stuart, 1855-1921), ფრენსის ეჯუორტი (Francis Ysidro Edgeworth, 1845-1926) იმ განსხვავებით,

⁹ იხ. Pigou Arthur Cecil, 1932(1920), *The Economics of Welfare*, Fourth Edition, Macmillan And Co., Limited, London.

რომ „მსხვერპლის“ სიდიდე არის განხილული მისი აბსოლუტური (ჰ. სიჯვიკი, ა. მარშალი), პროპორციული (ა. ჯ. კოენ-სტიუარტი) და ზღვრული (ფ. ეჯუორტი და ა.პიგუ) მოცულობის თვალსაზრისით.

„მსხვერპლის“ აბსოლუტური სიდიდის დროს გადასახადები ნაწილდება იმგვარად, რომ თითოეული ინდივიდის შემოსავლის საერთო სარგებლიანობიდან ამოღებული იქნას ერთნაირი აბსოლუტური სიდიდე.

„მსხვერპლის“ პროპორციული სიდიდე ვარაუდობს გადასახადების განაწილებას იმგვარად, რომ თითოეული ინდივიდის შემოსავლის საერთო სარგებლიანობიდან ამოღებული იქნას ერთნაირი წილები, რომლებიც შეესაბამებინან ინდივიდის შემოსავლის საერთო სარგებლიანობის მოცულობას. ანუ, „მსხვერპლის“ აბსოლუტური სიდიდესთან შედარებით „მსხვერპლის“ პროპორციული სიდიდის პირობებში ღარიბები გადაიხდიან უფრო ნაკლებს, ხოლო მდიდრები - უფრო მეტს.

რაც შეეხება „ზღვრულ მსხვერპლს“, ის ეფუძნება ზღვრული სარგებლიანობის თეორიას და მიმართულია „მსხვერპლის“ საერთო მოცულობის მინიმიზებაზე, როდესაც ინდივიდები კარგავენ ზღვრული სარგებლიანობის ერთნაირ რაოდენობას [202, გვ.314].

ა.პიგუ განიხილავს სიღარიბეს, როგორც მოცემულობას, როგორც არსებულ ფაქტს და არ ამახვილებს ყურადღებას მის განსაზღვრაზე. მისი ინტერესი მთლიანად არის გადატანილი საზოგადოების კეთილდღეობის მიღწევის პრობლემაზე და სწორედ ამ თვალსაზრისით განიხილავს სიღარიბის საკითხს.

ა.პიგუსთვის მნიშვნელოვანია მდიდრებისა და ღარიბებს შორის ეროვნული სიმდიდრის ანუ, მისივე სიტყვებით, „ეროვნული დივიდენდის“ (National dividend)¹⁰ [148, გვ.43] განახილების პრობლემის გაგება. ეროვნული დივიდენდის სიდიდე განიხილება ა.პიგუს მიერ, როგორც კეთილდღეობის ინდიკატორი და ამიტომ არის, რომ მისი ზრუნვის საგანს ეროვნული დივიდენდის მაქსიმიზირება წარმოადგენს. ა.პიგუ აყალიბებს შეხედულებას მდიდრებიდან ღარიბების სასარგებლოდ

¹⁰ „...national dividend or national income ... is that part of the objective income of the community, including, of course, income derived from abroad, which can be measured in money“ [148, გვ.43].

სიმდიდრის გადანაწილების აუცილებლობის შესახებ და, მისი შეხედულებით, თუ ამგვარი გადანაწილება არ შეამცირებს ეროვნულ შემოსავალს, მან უნდა გაზარდოს საზოგადოების კეთილდღეობა.

ეროვნული დივიდენდის გადანაწილება ღარიბების სასარგებლოდ შესაძლებელია რამოდენიმე გზით, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია მდიდართა შემოსავლების გადანაწილება [148, გვ.10,80].

კლებადი ზღვრული სარგებლიანობის თეორიის საფუძველზე ა.პიგუს გამოჰყავს პროგრესული საგადასახადო დაბეგვრის დანერგვის აუცილებლობა, რასაც ხსნის იმ გარემოებით, რომ ფულის ზღვრული ფასეულობის შემცირების პირობებში ღარიბების მიერ მდიდრებიდან მიღებული ტრანსფერული შემოსავლები გაზრდიდნენ საერთო კეთილდღეობას [148, გვ.81-82].

ა.პიგუს შეხედულებების თანახმად, კეთილდღეობის მაქსიმიზირება ვარაუდობს როგორც პროგრესული საგადასახადო სისტემის არსებობას, ასევე გარე ეფექტების (ექსტერნალიების) და შემოსავლების გადანაწილებას სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით.

კეთილდღეობის მისაღწევად ა.პიგუს საჭიროდ თვლიდა ყველა რესურსის ზღვრული კერძო და ზღვრული საზოგადოებრივი დანახარჯების გათანაბრებას. ამ მიდგომას მ.ბლაუგმა „პიგუს კეთილდღეობის მაქსიმიზაციის ოქროს წესი“ [202, გვ.549] უწოდა.

არტურ პიგუსთვის მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ როგორ გრძნობენ თავს ადამიანები, როდესაც ეროვნული დივიდენდის გადანაწილების საფუძველზე ისინი გადადიან მათთვის შეჩვეული შედარებითი სიღარიბის მდგომარეობიდან მათთვის უჩვეულ შედარებით მდიდარ მდგომარეობაში, იღებენ თუ არა ისინი რეალურად უფრო მეტ სიამოვნებას შეცვლილი მდგომარეობიდან ადრინდელ და შეჩვეულ მდგომარეობასთან შედარებით, ვინაიდან შეცვლილ პირობებში მათთვის ჩვეულებრივი ცხოვრება, მოლოდინები და ჩვევები აგრეთვე უნდა შეიცვალოს. ანუ იზრდება თუ არა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებიდან მიღებული

სარგებლიანობა და, მაშასადამე, ა.პიგუს გაგებით - საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობა.

ღარიბ ადამიანთა სასარგებლოდ მდიდრების შემოსავლების გადანაწილების საფუძველზე გაჭირვებულთა სწრაფი („უეცარი“) გამდიდრება უბიძგებს მათ გაუაზრებელი, არალოგიკური ქმედებების განხორციელებისაკენ, ხოლო თუ გაჭირვებულთა მატერიალური მდგომარეობა უმჯობესდება თანდათანობით, თანმიმდევრულად, ეს მისცემს ღარიბ ადამიანებს განვითარების შესაძლებლობას განათლების მიღების ანდა საკუთარი ბუნებრივი თვისებების დახვეწის საფუძველზე რათა შეეგუოს თავის გაზრდილ შემოსავლებს მათი უფრო გონივრული გამოყენებისათვის. ყოველივე ამას კი, გრძელვადიან პერსპექტივაში შეუძლია გამოიწვიოს გაჭირვებულ და შეძლებულ ადამიანთა გემოვნებათა შორის განსხვავების წაშლა [148, გვ.78].

ადამიანის კეთილდღეობა გამოხატავს ცხოვრებით ამ ადამიანის კმაყოფილების შეგრძნებისა და მისი მოთხოვნილებების გაჯერების დონეს.

ა.პიგუ განასხვავებს პირველადი სიღარიბის მდგომარეობას, რომელსაც, მისი გაგებით, ახასიათებს იმდენად დაბალი შემოსავლები, რომ „აბსოლუტურად ბრძნული ხარჯვის“ შემთხვევაშიც კი ეს შემოსავალი ვერ უზურუნველყოფს ადეკვატურ საარსებო მინიმუმს [148, გვ.83]. მიუხედავად იმისა, რომ ა.პიგუ უეჭველად თვლის, რომ უკიდურესი სიღარიბე შეიძლება იყოს და ხშირად არის კიდევაც უპასუხისმგებლო ხასიათის, ფიზიკური დაავადებებისა და სხვა "ცუდი" თვისებებს შედეგი, მისთვის მიუღებელია ის მოსაზრება, რომლის თანახმად არსებობს აშკარა კავშირი სიღარიბისა და თანდაყოლილ არაეფექტურობას, ღარიბ ადამიანთა "ცუდი" თვისებებს შორის. უფრო მეტიც, ა.პიგუ დარწმუნებულია იმაში, რომ "ცუდი" თვისებები არის არა თავდაპირველი და თანდაყოლილი ცუდი მახასიათებლების, არამედ ცხოვრების ცუდი თავდაპირველი პირობების შედეგი [148, გვ.99].

ა.პიგუ განასხვავებს ერთმანეთისაგან სიღარიბეს და სიღატაკეს ანუ პაუპერიზმს (pauperism). ამასთან, ღარიბებში დომინირებს დაპირისპირების გრძნობა და სწრაფვა

დამოუკიდებლობისკენ, მაშინ როცა ლატაკები არ გრძნობენ თავს უბედურად, მათ არ რცხვენიათ თავისი მდგომარეობისა და ისინი არ მიისწრაფიან დამოუკიდებლობისკენ [148, გვ.359].

დიდი რაოდენობის წყაროებზე დაყრდნობით, ა.პიგუ იძლევა ღარიბებისა და ლატაკ ადამიანთა ჩვეულებრივად მოსალოდნელი ქცევის დახასიათებას.

ა.პიგუ განიხილავს სიღარიბეს დაქირავებით მომუშავეთა ხელფასის სიდიდისა და მასთან დამოკიდებულ მომუშავეს ექსპლუატაციასთან უშუალო კავშირში. დაბალი ხელფასით, ა.პიგუს შეხედულებით, დაქირავებული „ინდუცირებს“ ანუ წარმოშობს სიღარიბეს და აიძულებს მომუშავეებს გაზარდონ სამუშაო დღის ხანგრძლივობა, რამაც უნდა გამოიწვიოს დადებითი ეფექტი ეროვნული დივიდენდის ზრდის სახით. მაგრამ მიღებული ეფექტი, ა.პიგუს აზრით, არ იქნება დადებითი, ვინაიდან დამატებითი სამუშაო საათები იწვევენ მომუშავეების გადაღლილობას, რაც, თავის მხრივ, ამცირებს მათ შრომის შედეგიანობას და საერთო ეფექტიანობას [148, გვ.320].

ამგვარად, ა.პიგუსთვის მნიშვნელოვანია არა სიღარიბისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლა, არამედ იმის გაგება, თუ როგორ იმოქმედებს ღარიბ ადამიანთა სასარგებლოდ ეროვნული დივიდენდის გადანაწილება და, აქედან გამომდინარე, როგორ იმოქმედებს ღარიბთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე.

როგორც ნეოკლასიკური ეკონომიკური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლების შეხედულებათა კვლევამ ცხადყო, ეკონომისტ-ნეოკლასიკოსების სამეცნიერო ინტერესის სფეროში მოქცეულია საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობის პრობლემა და მისი მიღწევის გზების გამოვლენა. სიღარიბე განიხილება, როგორც რეალურად არსებული ფაქტი, რომელიც გამოდის საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევის ხელისშემშლელ ფაქტორად და სწორედ ამ თვალსაზრისით განიხილება ნეოკლასიკოსების მიერ. ნეოკლასიკური თეორია ეფუძნება სიღარიბის ბუნებრივი წარმოშობის იდეას, რომელიც გამომდინარეობს წარმოდგენიდან ადამიანთა განსხვავებული ბუნებრივი შესძლებლობების შესახებ.

ნეოკლასიკოსები ხაზს უსვამენ ადამიანთა პიროვნული მახასიათებლების არაერთგვაროვნებას, განსხვავებას მათ უნარებში, განათლებაში და ა.შ., რაც განაპირობებს ადამიანთა საქმიანობის შედეგიანობას და, შესაბამისად, შემოსავლის დონეს. გარდა ამისა, ნეოკლასიკური ეკონომიკის ზოგიერთი წარმომადგენელი (მაგალითად, იხ. ა. მარშალი და სხვ.) თ.რ.მალთუსის მსგავსად სიღარიბის ბუნებრივი წარმოშობის იდეის ფარგლებში სიღარიბის გამომწვევ მიზეზთა შორის აღინიშნავენ მოსახლეობის სწრაფ ზრდას და მის გავლენას შრომის მიწოდებასა და, შესაბამისად, ხელფასის დონეზე. ნეოკლასიკური ეკონომიკური სკოლის ფართო დისკუსიის საგანს წარმოადგენს საგადასახადო პოლიტიკისა და საქველმოქმედო საქმიანობის მეშვეობით ღარიბების სასარგებლოდ შემოსავლების გადანაწილების შესაძლებლობა და ღარიბების მიერ მათი შემოსავლების გონივრული ხარჯვის პრობლემა.

სიღარიბის პრობლემა კეინზენელთა შეხედულებებში და განვითარების ეკონომიკაში

• სიღარიბის პრობლემა ჯონ მეინარდ კეინზის შეხედულებებში

„დიდი დეპრესიის“ სახელწოდებით ცნობილი 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, რომელიც, სხვა პრობლემებთან ერთად, ხასიათდებოდა სიღარიბის მასობრივი ზრდით, ახალი ეკონომიკური მიმართულების ფუძემდებელი და ლიდერი **ჯონ მეინარდ კეინზი** (*John Maynard Keynes, 1883-1946*) გამოვიდა რეგულირებადი კაპიტალიზმის თეორიით. მას არ სწამდა საბაზრო ეკონომიკის “თვითმკურნალობის” შესაძლებლობების, რომელსაც ასე იცავდნენ ნეოკლასიკოსები, და მოითხოვდა ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას. ჯ.მ.კეინზმა უარყო ნეოკლასიკური ეკონომიკური სკოლის თეზისი რესურსების შეზღუდულობის შესახებ და მის საწინააღმდეგოდ ატარებდა შეხედულებას ჭარბი რესურსების არსებობის თაობაზე, რის დასტურად საბაზრო ეკონომიკის პირობებში უმუშევრობის მაღალ დონეს ასახელებდა. ასეთი გაგებიდან გამომდინარე, ჯ.მ.კეინზი აყალიბებს „სიუხვის პირობებში სიღარიბის არსებობის პარადოქსს“ [213, გვ. 13].

ჯ.მ. კეინზის შეხედულებებში სიღარიბის პრობლემა არ იკავებს რამდენადმე მნიშვნელოვან ადგილს. მისი მიზანია კრიზისის და უმუშევრობის მიზეზების გაგება, ახსნა და დაძლევა. მაგრამ, ამავე დროს, უმუშევრობისა და დაბალი შემოსავლების არსებობას უშუალო კავშირში აყენებს სიღარიბის არსებობასთან. ჯ.მ.კეინზი ცდილობდა ეპოვა პასუხი ისეთ კითხვებზე, როგორცაა, თუ რა უნდა გაკეთდეს მასობრივი უმუშევრობის დაძლევის, ჭარბი წარმოებისა და არასრული დასაქმების აღმოფხვრის, საწარმოო სიმძლავრეების სრული გამოყენებისათვის. კრიზისის და უმუშევრობის არსებობას ჯ.მ.კეინზი სამომხმარებლო მოთხოვნის არასაკმარისი ეფექტიანობით ხსნის და აცხადებს, რომ სწორედ ეფექტიანი მოთხოვნა ასრულობს განმსაზღვრელ როლს წარმოების სტიმულირებასა და განვითარების საქმეში.

სიღარიბის არსებობას ჯ.მ.კეინზი განიხილავს მის მიერ ჩამოყალიბებული ეფექტიანი მოთხოვნის, მოხმარებისადმი მიდრეკილების, ძირითადი ფსიქოლოგიური კანონისა და მულტიპლიკატორის თეორიებთან უშუალო კავშირში.

როგორც ცნობილია, ჯ.მ.კეინზის თეორიაში ეფექტიანი მოთხოვნის, ანუ ერთობლივი გადახდისუნარიანი მოთხოვნის, ზრდისთვის აუცილებელია ისეთი ბერკეტების ამოქმედება, რომლებიც ხელს შეუწყობენ საზოგადოებრივი (ერთობლივი) მოთხოვნის, ანუ სამომხმარებლო და საინვესტიციო საქონელზე მოთხოვნის ზრდას.

კეინზურ თეორიაში ერთობლივი მოთხოვნის ძირითადი კომპონენტებია მოხმარება, ინვესტიციები და სახელმწიფო ხარჯები, ხოლო ერთობლივ მოთხოვნაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორებია მოხმარებისადმი მიდრეკილება, ინვესტიციების მოსალოდნელი მომგებიანობა და ლიკვიდურობის უპირატესობის მინიჭება [5, გვ. 147-168].

თუ ერთობლივი მოთხოვნა, ანუ სამომხმარებლო ხარჯებისა და ინვესტიციების ჯამი, აღემატება მიწოდებას, მოქმედებაში შედიან წარმოების ზრდის ფაქტორები. ამ შემთხვევაში ერთობლივი მოთხოვნა ეფექტიანი ხდება და ხელს უწყობს საწარმოო სიმძლავრეების უფრო სრულყოფილ გამოყენებასა და დასაქმების მაღალი დონის უზრუნველყოფას.

ჯ.მ.კეინზის ეფექტიანი მოთხოვნის თეორიის თანახმად, ერთობლივი მოთხოვნის (საერთო მსყიდველუნარიანობის) გააქტიურებისა და სტიმულირების მეშვეობით შესაძლებელია წარმოებაზე და საქონლისა და მომსახურების მიწოდებაზე ზემოქმედება, დასაქმების დონის ამაღლება.

ეფექტიანი მოთხოვნის სტიმულირებისათვის ჯ.მ.კეინზი სთავაზობდა საბიუჯეტო პოლიტიკის გატარებას და სახელმწიფო ხარჯების ზრდას. მისი მოსაზრებით, სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ინვესტიციების ორგანიზაციაზე.

გარდა ამისა ჯ.მ.კეინზის მოდელში გათვალისწინებული იყო შემოსავლების გადანაწილება მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი სოციალური ჯგუფების სასარგებლოდ. ასეთი პოლიტიკის განხორციელება მიმართული იყო ამ სოციალური ჯგუფების მოთხოვნის გადიდებაზე. ამ პოლიტიკის საფუძველზე უნდა გაიზარდოს მათი მსყიდველუნარიანობა და მოთხოვნა მასობრივი მოხმარების საგნებზე, რაც სტიმულს მისცემს წარმოების ზრდას.

ყოველივე ამის შედეგად, კეინზის აზრით, მოხდება წარმოების გაფართოვება, გაიზრდება დასაქმება, შემცირდება უმუშევრობა და, მაშასადამე, სიღარიბე.

ჯ.მ.კეინზი აღნიშნავს, რომ თუ მდიდარ საზოგადოებებში უფრო ძლიერია დაზოგვისადმი მიდრეკილება, ღარიბი საზოგადოებები მოიხმარენ შექმნილი პროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილს, რის გამო ინვესტიციების საკმაოდ უმნიშვნელო მოცულობას შეუძლია უზრუნველყოს სრული დასაქმება.

სიღარიბის პრობლემას ჯ.მ.კეინზი უშუალო კავშირში აყენებს დასაქმებასთან და უმუშევრობასთან. მისი გაგებით, სწორედ განსხვავება დასაქმების დონეში არის ის მიზეზი, რომელიც განასხვავებს ერთ ღარიბ ქვეყანას ნაკლებად ღარიბისაგან. გარდა ამისა, სიღარიბე, ჯ.მ.კეინზის აზრით, შეიძლება იყოს გამოწვეული მომუშავეთა დაბალ კვალიფიკაციით, წარმოების ცუდი ტექნიკური აღჭურველობით და მწირი ინვესტიციებით [213, გვ. 58].

დაზოგვა აღარიბებს საზოგადოებას, ამცირებს დასაქმებას და ხელფასს და ხელს უწყობს დეპრესიებისა და საზოგადოებაში სიღარიბის გავრცელებას. ჯ.მ.კეინზის

მოდელში გათვალისწინებული იყო შემოსავლების გადანაწილება მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი სოციალური ჯგუფების სასარგებლოდ. ასეთი პოლიტიკის განხორციელება მიმართული იყო ამ სოციალური ჯგუფების მოთხოვნის გადიდებაზე. ამ პოლიტიკის საფუძველზე უნდა გაიზარდოს მათი მსყიდველუნარიანობა და მოთხოვნა მასობრივი მოხმარების საგნებზე, რაც სტიმულს მისცემს წარმოების ზრდას.

- **სიღარიბის პრობლემა ახალ კეიზელობაში: ჯოზეფ სტიგლიცი**

ახალი კეიზელობის ლიდერი, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი, 2001 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი, ამერიკელი ეკონომისტი **ჯოზეფ ე. სტიგლიცი** (*Joseph Eugene Stiglitz*, დაბ. 1943 წ.), რომელიც სამი წლის მანძილზე იყო მსოფლიო ბანკის ჯერ წამყვანი ეკონომისტი და მერე მსოფლიო ბანკის პრეზიდენტის უფროსი მოადგილე, წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა მანჩესტერის უნივერსიტეტის ბრუკსის სიღარიბის მსოფლიო კვლევის ინსტიტუტს, 2002 წელს გამოაქვეყნა თავისი ნაშრომი „Globalisation and its discontents“ [180], რომელშიც აკრიტიკებდა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის (IFA) და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) პოლიტიკას.

ინტერვიუში, რომელიც იყო გამოქვეყნებული 2005 წლის „Optima“ს მე-8 ნომერში სახელწოდებით „A shilling in the meter and a penny for your thoughts“ [36, გვ. 13], ჯ.ე.სტიგლიცმა აღნიშნა, რომ გლობალიზაციამ გამოიწვია კითხვები ზოგიერთ ორთოდოქსალურ შეხედულებებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ. მსოფლიო ბანკში მუშაობისას, ჯ.ე.სტიგლიცი მიზნად ისახავდა განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარების გაწევას, მათ შორის სიღარიბესთან ბრძოლის თვალსაზრისით. მაგრამ, როგორც ამას ჯ.ე.სტიგლიცი აღნიშნავს თავის წიგნში და ინტერვიუში, აღმოაჩინა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოლიტიკა აღმოსავლეთ აზიისა და საბაზრო ეკონომიკის მშენებარ ქვეყნებში ხშირ შემთხვევაში იყო ეკონომიკურად არასაიმედო და საეჭვო, ხოლო რეკომენდაციების უმრავლესობა, ჯ.ე.სტიგლიცის შეხედულებით, მცდარი და არაეფექტიანი.

ნაშრომში „უთანასწორობის ფასი: რით ემუქრება ჩვენს მომავალს საზოგადოების დღევანდელი დაყოფა“ („The price of inequality: how today's divided society endangers our future“) მრავალი ემპირიული კვლევის ანალიზის საფუძველზე ჯ.ე.სტიგლიცი მიდის დასკვნამდე, რომ ამერიკის ისტორიის მანძილზე „მდიდრები კიდევ უფრო მდიდრდებიან, ყველაზე მდიდრები მდიდრდებიან კიდეც უფრო მეტად“, ხოლო „ღარიბები ღარიბდებიან იმდენად, რამდენად ეს საერთოდ შესაძლებელია“ [182; 247, გვ.51]. ამგვარი დასკვნის მიღების საფუძველზე ის ცდილობს გასცეს პასუხი კითხვას, თუ რატომ მდიდრდებიან მდიდრები კიდევ უფრო მეტად, რატომ არის არამყარი საშუალო კლასის პოზიციები და რატომ ღარიბდებიან ღარიბები კიდევ უფრო მეტად [182; 247, გვ.37]. სიღარიბისა და სიმდიდრის პოლარიზაციის მთავარ მიზეზს ჯ.ე.სტიგლიცი ხედავს შემოსავლების უთანაბრობის ზრდაში¹¹.

ჯ.ე.სტიგლიცი განიხილავს უთანასწორობის გავლენას ეკონომიკაზე, დემოკრატიაზე და ეროვნულ პოლიტიკაზე, საფუძვლიანად შეისწავლის აშშ-ის, ევროპის განვითარებული ქვეყნების და მსოფლიოს სხვა განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მდიდარ და ღარიბ ფენებს შორის უფსკრულის გაღრმავების მიზეზებს როგორც 2008 წლის ფინანსური კრიზისის წინა, ასევე მის შემდგომ პერიოდში. ჯ.ე.სტიგლიცი აღნიშნავს, რომ მდიდარ ქვეყნებში მიღებული პოლიტიკურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებები ნეგატიურ გავლენას ახდენენ ღარიბ ქვეყნებზე და, პირველ რიგში, მათი მოსახლეობის ყველაზე ღარიბ ფენებზე [182; 247, გვ. 23].

როგორც ჭეშმარიტი კეინზიანელი, ჯ.ე.სტიგლიცი გამოდის ბაზრის წონასწორობისა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში რესურსების სრული გამოყენების კლასიკური ეკონომიკური იდეის წინააღმდეგ და ამ პოზიციიდან აფასებს სიღარიბის და უმუშევრობის პრობლემებს, განიხილავს მათ, როგორც ბაზრის ყველაზე საშიშ ჩავარდნას და უსამართლობისა და არასტაბილურობის ყველაზე

¹¹ ჯ.ე.სტიგლიცის მონაცემებით, უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე დაბალი შემოსავლების მქონე პირთა ანუ მოსახლეობის 90%-ის შემოსავალი გაიზარდა 15%, მაშინ, როცა ყველაზე მდიდარი ადამიანთა ანუ მოსახლეობის 0,1%-ის შემოსავალი გაიზარდა 300% [246, გვ.51-52].

მთავარ მიზეზს [247, გვ. 28]. მისი შეხედულებით, მაშინაც კი თუ სმიტის უხილავი ხელის თეორია არის მისაღები წარმატებულ ინდუსტრიულ ქვეყნებისათვის, იგი სრულიად უსარგებლოა განვითარებადი ქვეყნებისთვის [181; 247, გვ. 74]. ჯ.ე.სტიგლიცისთვის ცალსახაა, რომ ეკონომიკის ლიბერალიზაციას და თავისუფალი ვაჭრობის გავრცელებას მოჰყვება სიღარიბის ზრდა და სოციალური და პოლიტიკური ქაოსის დამკვიდრება [181, გვ.17, 18, 48, 69].

ჯ.ე.სტიგლიცი აღიარებს, რომ სიღარიბის დაძლევა შეუძლებელია მდგრადი ეკონომიკური ზრდის გარეშე, მაგრამ მას კარგად ესმის, რომ ეკონომიკურ ზრდით სარგებლობა ყველას ერთნაირად არ შეუძლია და ამ ზრდით მოსახლეობის ღარიბი ფენები ნაკლებად ისარგებლებენ [181; 247, გვ.78, 79]. ამიტომ მსოფლიო სიღარიბის დაძლევა დაკავშირებულია კონკრეტული ნაბიჯების გადადგმასთან, ეკონომიკურ ზრდასა და სიღარიბის შემცირებაზე მიმართული სპეციალური სტრატეგიების შემუშავებასთან და განვითარებადი ქვეყნების მთავრობებთან მჭიდრო კავშირის საფუძველზე ამ სტრატეგიების ცხოვრებაში გატარებასთან [181; 247, გვ.25, 82]. ანუ, „კარგი ეკონომიკური პოლიტიკის“ შემუშავების საფუძველზე შესაძლებელი ხდება სიღარიბეში მცხოვრებ ადამიანთა და საზოგადოებების ცხოვრების შეცვლა.

- **სიღარიბის პრობლემა განვითარების ეკონომიკაში**

განვითარების ეკონომიკის ფარგლებში განვიხილავთ თანამედროვე ნორვეგიელი მეცნიერ-ეკონომისტის ერიკ ს. რაინერტის (*Erik Steinfeldt Reinert*, დაიბადა 1947 წლის 15 თებერვალს) შეხედულებებს, რომლებიც მას ჩამოყალიბებული აქვს 2007 წელს ლონდონში გამოცემულ ცნობილ ნაშრომში „როგორ გამდიდრდნენ მდიდარი ქვეყნები და რატომ რჩებიან ღარიბი ქვეყნები ღარიბად“¹². ამ ნაშრომში ე.ს.რაინერტი გამოდის კლასიკური ეკონომიკური სკოლისა და, უწინარეს ყოვლისა, დავიდ რიკარდოს ისეთი ფუძემდებლური პოსტულატის წინააღმდეგ, როგორცაა შედარებითი უპირატესობის თეორიაზე დაფუძნებული

¹² იხ. Reinert E. S., *How Rich Countries Got Rich ... and Why Poor Countries Stay Poor*, 2007, London: Constable.

თავისუფალი ვაჭრობის პრინციპი [235, გვ. 24, 25, 35, 46, 53,.. 98 და ა.შ.] და აცხადებს, რომ მდიდარი ქვეყნები გამდიდრდნენ სახელმწიფოს მიერ ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩარევისა და პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებისა და სტრატეგიული ინვესტირების განხორციელების წყალობით. სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკის ისტორიის გაანალიზების საფუძველზე ერიკ ს. რაინერტი მიდის დასკვნამდე, რომ სწორედ სახელმწიფოს მხრიდან სწორი პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება და მიზანდასახული სტრატეგიული ინვესტირება წარმოადგენს იმ ქვაკუთხედს, რომელსაც ეყრდნობა ეკონომიკური წარმატება და განვითარება. მისი აზრით ასეთ პოლიტიკას ახორციელებდა აღორძინების პერიოდის იტალია და შუა საუკუნეების ინგლისი, რომელმაც პროტექციონისტული პოლიტიკუს გატარება დაიწყო 1485 წელს [235, გვ. 24]. ერიკ ს. რაინერტი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს თანამედროვე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებზე, რომლებმაც აგრეთვე მიმართეს პროტექციონისტულ პოლიტიკას და აანალიზებს ამ პოლიტიკის უკუგებას [235, გვ. 33, 106, 116, 148]. ე.ს.რაინერტი გამოდის „ბაზრის თავისუფალი ძალების“, ე.წ. laissez-faire პრინციპისა და თავისუფალი ვაჭრობის წინააღმდეგ [235, გვ. 19] და აცხადებს, რომ ასეთი ვაჭრობა სასარგებლოა მხოლოდ მისი „სიმეტრიულობის“ პირობებში, ანუ როდესაც თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები ყალიბდება ეკონომიკური განვითარების ერთ საფეხურზე მდგარ ქვეყნებს შორის. ხოლო „არასიმეტრიული“ თავისუფალი ვაჭრობა, ანუ ვაჭრობა მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის, იწვევს იმას, რომ მდიდარი ქვეყნები “სპეციალიზდებიან სიმდიდრეზე”, ხოლო ღარიბი ქვეყნები “სპეციალიზდებიან სიღარიბეზე” და იმისათვის, რომ თავის სასარგებლოდ გამოიყენონ თავისუფალი ვაჭრობა, ღარიბმა ქვეყნებმა ჯერ უნდა დაძლიონ „საერთაშორისო სიღარიბეზე სპეციალიზაცია“ [235, გვ.149].

ერიკ ს. რაინერტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბერლინის კედლის ნგრევამ 1989 წელს წარმოშვა „თითქმის რელიგიური ეიფორია“ [235, გვ.18,26] თავისუფალი ბაზრების ყოვლისშემძლეობის შესახებ, რომელსაც შეუძლია საზღვრების გარეშე ეკონომიკის განვითარების საფუძველზე გაათანაბროს ქვეყნებსა და რეგიონებს შორის მდგომარეობა. სწორედ ეს ხედვა დაედო საფუძვლად მე-20 საუკუნის 90-ანი

წლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და სხვა საფინანსო ორგანიზაციების იდეოლოგიას და პოლიტიკას, რომელსაც ეს ორგანიზაციები გეგმავდნენ და ახორციელებდნენ რიგ დარბ ქვეყნების მიმართ და რომლებმაც ბიძგი მისცეს პროგრესისა და განვითარების საწინააღმდეგო მოვლენებს და ეს ქვეყნები რეგრესამდე, პრიმიტივიზმამდე და კრახამდე მიიყვარეს [235, გვ.18,26].

ეკონომიკურ საკითხებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის თანაშემწის კ.ს.ჯომოს შეფასებით, ერიკ ს. რაინერტი აფართოვებს ჩვენს წარმოდგენას ეკონომიკურ განვითარებასა და მისი მიღწევის გზებზე, რომლებიც უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ საზოგადოებრივ წყობილების სიღრმისეულ და ხარისხობრივ ცვლილებებს [235, გვ. 12-13].

სიღარიბე ინსტიტუციურ ეკონომიკურ თეორიაში

ინსტიტუციონალურ ეკონომიკურ თეორიაში სიღარიბე წარმოადგენს ეკონომიკურ ინსტიტუტს, რომელიც წარმოიშვება, როგორც საარსებო საშუალებათა განაწილების ხარვეზების შედეგი.

- *სიღარიბის პრობლემა ინსტიტუციურ ეკონომიკურ თეორიაში: ჯონ როჯერს კომონსი*

ინსტიტუციონალიზმის სამართლებრივი ვარიანტის ფუძემდებელი ამერიკელი მეცნიერი ჯონ როჯერს კომონსი (*John Rogers Commons, 1862-1945*) თავის ერთ-ერთ ცნობილ ნაშრომს „რასები და ემიგრანტები ამერიკაში“¹³ იწყებს „დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ ერთ-ერთი ავტორის, განმანათლებლობის პერიოდის გამოჩენილი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და ფილოსოფოსის, მომავალში აშშ-ს მესამე პრეზიდენტის თომას ჯეფერსონის (*Thomas Jefferson, 1743-1826*) სიტყვებით „ყველა ადამიანი იბადება თანასწორი“ [77, გვ.1] და სწორედ ამ „თანასწორობის“ დარღვევა ან

¹³ იხ. **Commons John R.**, 1907, *Races and Immigrants In America*, New York, The Macmillan Company, London: Macmillan and Company.

არ არსებობა განსხვავებულ რასებს შორის და მისი მიზეზების გაგება იკავებს ცენტრარულ ადგილს ჯ.რ.კომონსის წიგნში.

ჯ.რ.კომონსი ავითარებს მალთუსის სულისკვეთების მატარებელ წარმოდგენას სიღარიბეზე და აცხადებს, რომ ადრეული ქორწინება და დიდი ოჯახები წარმოადგენენ როგორც სიღარიბის მიზეზს, ასევე სიღარიბის შედეგს, რომ სიღარიბე და სიღატაკე, რომელთაც თან ახლავს გაუნათლებლობა და წერა-კითხვის უცოდინარობა, ზრდის გამრავლებისადმი მიდრეკილებას და მხოლოდ სიღარიბითა და ანტისანიტარიით გამოწვეული მაღალი სიკვდილიანობა გარკვეულ წილად ამცირებს მოსახლეობის ზრდას [77, გვ.76].

ჯ.რ.კომონსმა შეისწავლა აშშ-ში ევროპისა და აზია-აფრიკიდან მიგრაციის მიზეზები და მივიდა დასკვნამდე, რომ მიგრაცია არის გამოწვეული ამ რეგიონებში არა მოსახლეობის სიჭარბით, არამედ ამ რეგიონებში გავრცელებული სიღარიბით, უთანასწორობით, უიმედობით, რომლებიც წარმოშობენ მოსახლეობის მოჩვენებით სიჭარბეს [77, გვ.87]. ჯ.რ.კომონსის შეხედულებით, სიღარიბე დამახასიათებელია მხოლოდ არაპრივილეგირებული კლასებისათვის [77, გვ.167].

მსხვილ ქალაქებში სიღარიბისა და სიღატაკის (პაუპერიზმის) სტატისტიკური მონაცემების კვლევის საფუძველზე, ჯ.რ.კომონსი მიდის დასკვნამდე, რომ უკიდურესი სიღარიბის საგანგაშო მაჩვენებლები გამოწვეულია ემიგრანტებისა და მათი შთამომავლების ძალზე დიდი რაოდენობის დასახლებით ამერიკულ მეგაპოლისებში [77, გვ.167].

ჯ.რ.კომონსი არ ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ მოსახლეობის ღარიბი ფენები აუცილებლად პარაზიტულ ცხოვრების წესს ეწევიან. ის თვლის, რომ ღარიბები შუალედურ მდგომარეობას იკავებენ საზოგადოებაში „სამრეწველო“ და „პარაზიტულ“ კლასებს შორის. მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანი სიღარიბეში ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე იმყოფება, ის შეიძლება გახდეს ნამდვილი პარაზიტი, ზარმაცი მოხეტიალე, მანკიერი ღატაკი და დანაშაულის ჩამდენი, რომელიც მსხვილი ქალაქებისკენ მიისწრაფვის და იქ პაუპერიზმს ავრცელებს.

ჯ.რ.კომონსისთვის ღარიბი მიგრანტების დასახლება აშშ-ში არ წარმოადგენს ფატალურ საშიშროებას. სოციალური მშვიდობის იდეაზე დაყრდნობით, რომელიც წარმოადგენს ჯ.რ.კომონსის ეკონომიკური შეხედულებათა საფუძველს და დომინირებს მის მიერ შემოთავაზებულ კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებულ რჩევებში, ჯ.რ.კომონსი ცდილობს ამ საკითხის გადაჭრას. მისი რწმენით აშშ-ს შეუძლია სხვადასხვა რასის მილიონობით ადამიანის მიღება და ამერიკაში მიღებულ ცხოვრების მაღალი სტანდარტებთან მათი დაახლოება თუკი მიგრანტებისთვის გამოიძებნება ადგილი ფერმელორ მეურნეობებში [77, გვ.167-168].

- ***გუნარ მურდალი: სიღარიბეზე ალტერნატიული ხედვა ინსტიტუციურ ეკონომიკაში***

ინსტიტუციონალურ-სოციოლოგიური მიმართულების წარმომადგენელი, - სტოკჰოლმის მაკროეკონომიკური სკოლს შემქმნელი, შვედი ეკონომისტი, სოციალური კეთილდღეობის სახელმწიფო თეორიის ერთ-ერთი ავტორი **გუნარ მიურდალი** (Myrdal, Gunnar, 1898–1987) ზრუნვას იჩენდა საზოგადოებაში კეთილდღეობის ჩამოყალიბებაზე. გ.მიურდალი გამოდის იმ გაგებიდან, რომ ინდუსტრიულმა ქვეყნებმა უკვე მიაღწიეს ეკონომიკურ კეთილდღეობას, ხოლო სხვა ქვეყნები აუცლებლად მიაღწევენ მას მომავალში. გ.მიურდალის მეცნიერული მსოფლმხედველობა, რომლის საფუძველები მას ჩამოყალიბებული ჰქონდა 1933 წელს გამოცემულ ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიის მიზნები და საშუალებები“, გამომდინარეობს იმ წარმოდგენიდან, რომ სოციალური კეთილდღეობის მიღწევა ხორციელდება პოლიტიკის ისეთი კოორდინაციის საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის განვითარებას საზოგადოებაში მცხოვრებ ყველა ადამიანის ინტერესების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნებისა და ამ მიზნების მიღწევისათვის გზების განსაზღვრა.

გ.მიურდალისთვის აბსოლუტურად ნათელია, რომ მიზნები და საშუალებები უშუალოდ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კვალობაზე ხდება მათი დაზუსტება და კორექტირება, რისი გათვალისწინება ძალზე მნიშვნელოვანი და აუცილებელია განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის.

თავის ერთ-ერთ ცნობილ ნაშრომში „აზიური დრამა: ხალხთა სიღარიბის გამოკვლევა“ (*Asian Drama: An Inquiry into the Poverty of Nations*, 1968) [138] გ.მიურდალი ავითარებს აზიური ქვეყნების ეკონომიკური ჩამორჩენილობის, დაბალი ცხოვრების დონის მიზეზების კონცეფციას და აღნიშნავს, რომ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის ანალიზისათვის ორთოდოქსური ეკონომიკური თეორიის მიერ შემუშავებული მიდგომები მიუღებელია, რომ ეს მიდგომები მხოლოდ განვითარებული ქვეყნებისათვის არიან მისადაგებულნი. გ.მიურდალის მტკიცებით სახელმწიფოს ჩაურევლობა ანუ სმიტისეული „უხილავი ხელის“ პოლიტიკის გატარება განვითარებად ქვეყნებში იწვევს არა ეკონომიკის განვითარებას, არამედ ამ ქვეყნებში ეკონომიკური ჩამორჩენის შენარჩუნებას [225]. აქედან გამომდინარე, განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ ცვლილებებს საფუძვლად უნდა დაედოს არა საბაზრო მექანიზმის ამოქმედება-განვითარება, არამედ ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მიზნად უნდა ისახავდეს სოციალურ-ეკონომიკური, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელებას დაგეგმარების საფუძველზე. მაგრამ ამ ცვლილებების განხორციელება, გ.მიურდალის მიხედვით, შეუძლებელია ისეთი საზოგადოებრივი ინსტიტუტების რადიკალური ცვლილებების გარეშე, როგორცაა წესები, ტრადიციები, დამოკიდებულება შრომისადმი და სხვ.

თუ დ.რიკარდო [6, გვ.15], თ.რ.მალთუსი [219], უ.ჯევონსი [121, გვ.189, 191], ა.მარშალი [221, გვ.195], ფ.ჰაიეკი [252; 255, გვ.194, გვ.202] და ლიბერალური ორთოდოქსიის სხვა წარმომადგენლები სიღარიბის ძირითად მიზეზად ასახელებენ მოსახლეობის სწრაფ ზრდას და მოითხოვდნენ კონტროლის დაწესებას ამ პროცესზე, გ.მიურდალი გამოდის ამ შეხედულებების აპოლოგეტიკით. აზიური ქვეყნების ეკონომიკური ჩამორჩენილობის კონცეფციაში გ.მიურდალი ავითარებს მოსაზრებას,

რომ მოძველებული ინსტიტუტები წარმოადგენენ ამ ქვეყნების უბედური მდგომარეობის მიზეზს და მიდის დასკვნამდე, რომ განვითარებადი ქვეყნების წარმატებული ეკონომიკური განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ მოსახლეობის მატების კონტროლის სიღრმისეულ რეფორმებს, გარეუბნების მიწების განაწილებას და ა.შ., არამედ (და უპირველეს ყოვლისა) მოძველებული სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების, მოსახლეობის აზროვნებაში დამკვიდრებული მოძველებული წარმოდგენებისა და დრომოჭმული შეხედულებების შეცვლას.

გ.მიურდალი განსაკუთრებულ ყურადღებას ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში შრომასთან დამოკიდებულების საკითხს უთმობს. იგი მიდის დასკვნამდე, რომ აზიური ქვეყნების ინდუსტრიალიზაციის პრობლემები დაკავშირებულია არა კაპიტალის ნაკლებობასთან, როგორც ამას ხშირად ამტკიცებენ გარკვეული მეცნიერული და პოლიტიკური ძალები, არამედ სამუშაო ძალის გამოყენებასთან, როდესაც ადგილი აქვს ერთდროულად როგორც სამუშაო ძალის სიჭარბეს, ასევე მის დეფიციტს. გარდა ამისა, გ.მიურდალი აღნიშნავს, რომ აუცილებელია შრომის ბაზრის ინსტიტუტების სრულყოფა, რათა შეცვლილ იქნეს შრომის ანაზღაურების სისტემა და შემცირდეს უთანასწორობა საზოგადოებაში. მაგრამ ცუდი კვების, ჯანმრთელობის და არსებობის გაუსაძლისი პირობების გამო, მომუშავეები ვერ ახერხებენ შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას და არ არიან დაინტერესებულნი თავისი შრომის შედეგებით, რის გამო ისინი მუშაობენ ძალზე ცუდად. გამოსავალს გ.მიურდალი ხედავს შემოსავლების ზრდის ხელშეწყობაში, რომლის საფუძველზე, მისი აზრით, უნდა მოხდეს მშრომელთა შრომისუნარიანობისა და ეფექტიანობის ზრდა.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელზეც მიუთითებს გ.მიურდალი, როგორც განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ეკონომიკური ჩამორჩენილობის მიზეზზე, არის „იდეალებსა და რეალობას“ შორის არსებული შეუსაბამობა ანუ ამ ქვეყნებში მიღებულ პროგრესულ ლოზუნგებსა და კონსერვატორული პრაქტიკას შორის ჩამოყალიბებული უფსკრული. გ.მიურდალის შეხედულებით ძალაუფლებაში მყოფი პირების მიერ შემუშავებული და

გაჟღერებული რადიკალური განაცხადები ნიღბავენ რეალურად არსებულ სურათს - სახელმწიფო აპარატის კორუმპირებას, ანგარებიანობას, მსხვილი კაპიტალის ინტერესების დაცვას, და გამოიყენებენ პოლიტიკურ ძალაუფლებას საკუთარი პრივილეგირებული მდგომარეობის დასაცავად. ასეთი შეხედულებებიდან გამომდინარე, გ.მიურდალი მიდის დასკვნამდე, რომ ეკონომიკური და სოციალური რევოლუციების მოთხოვნები, როგორც წესი, ატარებენ მოჩვენებით ხასიათს [გვ. 192, 193].

ამრიგად, ეკონომიკურ მეცნიერებაში განვითარებად ქვეყნებში სიღარიბესთან ბრძოლისა და სიღარიბის პრობლემის დაძლევის პერსპექტივებს არ გააჩნია ცალსახა და უდაო ახსნა. მოყვანილი შეხედულებების გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სიღარიბის პრობლემის დასაძლევად არ არის საკმარისი მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევა, არამედ უნდა იქნას მიღებული კარგად შემუშავებული ეკონომიკურ განვითარებაზე მიმართული ეროვნული პოლიტიკა, რომელშიც იქნება გათვალისწინებული არა ცალკეული, არამედ საზოგადოების ყველა ჯგუფის ინტერესი, რაც ხელს შეუწყობს სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

სიღარიბე ნეოლიბერალურ ეკონომიკურ თეორიაში

- *სიღარიბის პრობლემა ფრიდრიჰ ფონ ჰაიეკის შეხედულებებში*

ლიბერალური ეკონომიკური სკოლა ანუ ეკონომიკის თვითრეგულირებისა და თავისუფალი კონკურენციის პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკური მეცნიერებისა და სამეურნეო საქმიანობის მიმართულება, რომელიც ჩამოყალიბდა 1930-იან წლებში და ფართოდ გავრცელდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, ნაწილობრივ ინარჩუნებს კლასიკური ლიბერალური პოლიტიკური ეკონომიის ფასეულობებს და მოითხოვს ინდივიდუალური საქმიანობის მაქსიმალურ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კერძო თავისუფლებას სახელმწიფოს ყოველგვარი ზეგავლენისაგან, შეუზღუდავი კონკურენტული ურთიერთობების განვითარებას,

რამაც უნდა უზრუნველყოს სოციალური სამართლიანობა და საყოველთაო კეთილდღეობის ზრდა [5, გვ 194-106]. (ნეო)ლიბერალების მტკიცებით, როგორც კი გაუქმდება ბაზრების მუშაობაზე კონტროლი, სამყაროში მაშინვე დამკვიდრდება კეთილდღეობა და ეკონომიკური პროგრესი [235, გვ. 19-20].

ეკონომიკური ლიბერალიზმის და თავისუფალი საბაზრო ძალების მომხრე, ახალი ავსტრიული სკოლის წარმომადგენელი, ნეოლიბერალი **ფრიდრიხ ავგუსტ ფონ ჰაიეკი** (*Friedrich August von Hayek, 1899-1992*) გამოდიოდა იმ მოსაზრებდან, რომ იძულებითი ხერხებით შეუძლებელია სიღარიბის დაძლევა და მხოლოდ საყოველთაო კეთილდღეობის ამალგების საფუძველზე მიიღწევა სიღარიბის სიმწვავისა და მასშტაბების შემცირება.

ფ.ა.ჰაიეკი არის კაპიტალიზმის მხურვალე დამცველი და თვლის, რომ კაპიტალისტებს უნდა უმაღლოდნენ საზოგადოების ღარიბი ფენები თავის არსებობას, ვინაიდან კაპიტალიზმი ქმნის დასაქმების შესაძლებლობას საზოგადოების ღარიბი ფენებისათვის. ანუ, კაპიტალისტურმა სისტემამ შექმნა პირობები, სადაც ადამიანები, რომლებმაც მემკვიდრეობით თავისი მშობლებიდან ვერ/არ მიიღეს წარმოების საშუალებები და მიწები, საკუთარი ცხოვრებისა და თავისი შთამომავლობის არსებობის უზრუნველყოფისათვის იღებენ ყველა აუცილებელ პირობებს (იგულისხმება წარმოების საშუალებები დასაქმებისა და შემოსავლის მიღებისათვის) „უცხო პირებისგან“ (ანუ კაპიტალისტებისგან) და ამის წყალობით არსებობენ და ზრდიან თავის შვილებს. რომ არა კაპიტალისტები და მათ საკუთრებაში არსებული წარმოების საშუალებები და მიწა, მომეშვეები შეიძლება საერთოდ ვერ მიაღწევდნენ ზრდასრულ ასაკს და ვერ გააჩენდნენ საკუთარ შთამომავლობას. მაშასადამე, ფ.ა.ჰაიეკი აკეთებს დასკვნას, მდიდრების (ანუ იმ ადამიანების, ვინც დააგროვა კაპიტალი) გარეშე ღარიბები იქნებოდნენ გაცილებით უფრო ცუდ მდგომარეობაში თუ კი საერთოდ შეძლებდნენ გადარჩენას და არსებობას [254].

ფ.ა.ჰაიეკი ხაზს უსვამს სიღარიბის არსებობის კანონზომიერებას და განიხილავს სიღარიბეს, როგორც რეალობას, რომელზეც პირადად აგებენ პასუხს ისინი, ვინც ამ

მდგომარეობაში იმყოფება. ის თვლის, რომ სიღარიბის მასშტაბების შემცირება სავსებით შესაძლებელია და ამისათვის საკმარისია საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევა, თუმცა სიღარიბეს განიხილავდა, როგორც საზოგადოებისათვის სასარგებლო მოვლენას [255, გვ. 226].

ფ.ა.ჰაიეკი აკავშირებს სიღარიბის გავრცელებას მოსახლეობის ზრდასთან და ამბობს, რომ მოსახლეობის სწრაფი ზრდა დამახასიათებელია ღარიბ ადამიანთა წრეებისთვის, ხოლო განვითარებისა და კეთილდღეობის გარკვეულ დონეს მიღწეული საზოგადოებები და ადამიანთა ჯგუფები ხასიათდებიან შობადობის შემცირების ტენდენციით.

ფ.ა.ჰაიეკი ღარიბების სასარგებლოდ ეროვნული შემოსავლის განაწილების კატეგორიული წინააღმდეგია, ვინაიდან, მისი აზრით, ღარიბების პირველი რეაქცია შემოსავლის გადიდებაზე არის შვილების შვილების გაჩენისაკენ მისწრაფება [254; 255, გვ.194, გვ.202]. ამის გამო ჰაიეკს მიზანშეწონილად მიაჩნია სიღარიბის დაძლევა არა ეროვნული შემოსავლის გადანაწილებით ღარიბთა სასარგებლოდ, არამედ ეროვნული შემოსავლის საერთო გადიდებით [255, გვ. 202].

განვითარებული და განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში მცხოვრებ ღარიბებთა მდგომარეობის ურთიერთშედარებისას, ფ.ა.ჰაიეკი, როგორც ეკონომიკური ნეოლიბერალიზმის მომხრე და დამცველი, გამოდის ეკონომიკური საქმიანობის დაგეგმის პრინციპების წინააღმდეგ და ამტკიცებს, რომ ეკონომიკური საქმიანობის დაგეგმის პირობებში ღარიბი ერები იქნებიან დარწმუნებულნი, რომ მათ შეუძლიათ გაიუმჯობესონ საკუთარი მდგომარეობა, თუ კი მათ შეეძლება თავად განსაზღვრონ თავისი ქმედებები ანუ თუ კი მათ მიეცემათ შესაძლებლობა იმოქმედონ არა გარკვეული გეგმის ფარგლებში, არამედ დამოუკიდებლად, „ზემოდან“ ნაკარნახები გეგმების გარეშე. მხოლოდ მაშინ, როცა ერებს შეეძლება დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება და ისინი არ იქნებიან დამოკიდებულნი რესურსებისა და გასაღების ბაზრების ცენტრალიზებულ განაწილებაზე, იქნება დაცული სამართლიანობა და შეიქმება პირობები ეკონომიკური განვითარებისათვის [255, გვ.215-217].

- **სიღარიბის პრობლემა მილტონ ფრიდმანის შეხედულებებში**

ნეოლიბერალური ეკონომიკური შეხედულებების ერთ-ერთი წარმომადგენელი, რომელიც აღიარებულია, როგორც მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ყველაზე გავლენიან ეკონომისტი, არის **მილტონ ფრიდმანი** (*Milton Friedman, 1912-2006*) [133], რომლის პოლიტიკური ფილოსოფია ეფუძნება თავისუფალი ბაზრისა და სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში მინიმალური ჩარევის იდეას.

მ.ფრიდმანი გამოდის ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ისეთი გავრცელებული მეთოდების წინააღმდეგ, როგორცაა მინიმალური ხელფასის დაწესება, ღარიბების სასარგებლოდ მდიდართა შემოსავლების პირდაპირი გადანაწილების პოლიტიკის გატარება, საბაჟო გადასახადებზე კონტროლის დაწესება და სხვა.

მ.ფრიდმანის შეხედულებით, მინიმალური ხელფასის კანონი აუარესებს დაქირავებით დასაქმებულთა მდგომარეობას და ზრდის სიღარიბეს, ვინაიდან დაკანონებული მინიმალური ხელფასი ვერ აიძულებს დამსაქმებელს გადაუხადოს უფრო მაღალი ხელფასი იმ პირებს, ვინც მინიმალურზე ნაკლებ ხელფასს იღებდა და უბიძგებს დამქირავებელს გაანთავისუფლოს ეს პირები სამსახურდან. შედეგად, პირები კარგავენ სამსახურს და შემოსავალს.

მ.ფრიდმანი თვლის, რომ სიღარიბესთან ბრძოლის ერთ-ერთ ფორმას საქველმოქმედო საქმიანობა წარმოადგენს და სახელმწიფოს საქველმოქმედო ღონისძიებებთან შედარებით უპირატესობას კერძო პირების ქველმოქმედებას ანიჭებს. ის ამბობს, რომ კერძო ქველმოქმედება სხვადასხვა მიზეზების გამო არის ქველმოქმედების ყველაზე ოპტიმალური ფორმა [133, გვ.219].

მ.ფრიდმანი მსჯელობს ღარიბების სასარგებლოდ საქველმოქმედო ღონისძიებების გატარების სარგებლობაზე, რომელიც, მისი აზრით, ღარიბებისთვის ცხოვრების მინიმალურად გარანტირებულ დონეს უნდა უზრუნველყოფდეს, და სვამს ორ კითხვას: რამდენად „მინიმალური“ უნდა იყოს ეს დონე და როგორ შეიძლება ამის განხორციელება. თუ პირველ კითხვაზე მ.ფრიდმანი პასუხობს, რომ ეს

მინიმალური დონე განისაზღვრება იმ გადასახადებით, რომლის გადახდაზე თანხმდებიან გადასახადების გადამხდელები სიღარიბის დამლევს მიზნის მისაღწევად, მეორე კითხვასთან დაკავშირებით პასუხი ფართო მსჯელობის საგნად მიაჩნია და აცხადებს, რომ სიღარიბესთან ბრძოლისათვის საჭიროა არსებობდეს ღარიბების დახმარების პროგრამები და ეს პროგრამები უნდა იყოს მიმართული ზოგადად ღარიბი ადამიანების და არა ადამიანთა რომელიმე კონკრეტული (პროფესიული, ასაკობრივი და სხვ.) ჯგუფის დასახმარებლად. ამასთან, ეს პროგრამა უნდა მოქმედებდეს ბაზრის მეშვეობით და არ უნდა შეიტანოს დეზორგანიზაცია ბაზრის ფუნქციონურებაში ფასებზე კონტროლის, მინიმალური ხელფასების დაწესების, საბაჟო გადასახადების რეგულირებისა თუ სხვ. ღონისძიებების განხორციელებით [133, გვ. 220].

მ.ფრიდმანი სთავაზობს სიღარიბესთან ბრძოლის კონკრეტულ პროგრამას, რომელიც ეფუძნება უარყოფით გადასახადების დაწესებას. ამ პროგრამის განხილვას მ.ფრიდმანი ახორციელებს იმ დროს (მე-20 საუკუნის შუა პერიოდის) აშშ-ში არსებული მდგომარეობის საფუძველზე. უარყოფითი გადასახადების პოლიტიკა ვარაუდობდა, რომ თუ პიროვნების შემოსავალი ნაკლებია გადასახადს არ დაქვემდებარებულ თანხაზე, ამ პიროვნებამ უნდა გადაიხადოს უარყოფითი გადასახადი ანუ უნდა მიიღოს სუბსიდია, რომელიც უნდა შეადგენდეს გადასახადს არ დაქვემდებარებულ თანხისა და მისი შემოსავლის სხვაობის 50%-ს.

მ.ფრიდმანის შეფასებით, მის მიერ შემოთავაზებული მიდგომა ატარებს საყოველთაო ხასიათს და პირდაპირ მიმართულია სიღარიბის დამლევაზე არა ცალკეულ ჯგუფებში, არამედ ზოგადად მთელ საზოგადოებაში. მისი შეხედულებით, შემოთავაზებული სისტემა არის ნაკლებად ხარჯიანი და გაცილებით უფრო თავისუფალი სახელმწიფოს ჩარევისაგან, ვიდრე მოქმედი სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები.

მაგრამ მ.ფრიდმანი აღიარებს, აგრეთვე, მის მიერ შემოთავაზებული პროგრამის უარყოფით მხარეებს. ის აღნიშნავს, რომ უარყოფითი გადასახადების მთავარი ნაკლი დაკავშირებულია, მ.ფრიდმანის სიტყვებით, მის პოლიტიკურ ასპექტებთან [133,

გვ.223], როცა მოსახლეობის ერთი ნაწილი იძულებულია გადაიხადოს გადასახადები იმისათვის, რომ მეორე ნაწილმა მიიღოს სუბსიდიები.

მაშასადამე, კლასიკური და ნეოკლასიკური ეკონომიკური სკოლებისთვის უფრო მნიშვნელოვანია საზოგადოების კეთილდღეობის მიღწევა და სწორად ამ ამოცანის გაგებასა და გადაწყვეტაზე არის მიმართული მათი კვლევა-ძიება. სიღარიბე, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა და როგორც ეკონომიკურ-თეორიული კვლევის გამოცალკავებული პრობლემა, მათთვის არის მხოლოდ ის ხელისშემშლელი ფაქტორი, რომელიც უნდა იქნას უკუგდებული საყოველთაო საზოგადოებრივი კეთილდღეობის მისაღწევად.

სიღარიბის პრობლემების კვლევისას ეკონომისტები თავის სამეცნიერო ინტერესს მიმართავენ წარმოების წილების და განაწილების საკითხებზე და არა რესურსების განაწილების უთანაბრობაზე, და თუ კი განიხილავდნენ ამ უკანასკნელს, ისინი შემოიფარგლებოდნენ ხელფასის შესწავლით [188, გვ.61].

სიღარიბის პრობლემას იკვლევენ განსხვავებული მეცნიერული მიმართულებები - ანთროპოლოგები, პოლიტიკური მეცნიერებათა წარმომადგენლები. სოციოლოგები, ეკონომისტები და სხვ., და თავის მეცნიერული დისციპლინის ფარგლებში ავითარებენ განსხვავებულ თეორიებს და კონცეფციებს. სიღარიბესთან დაკავშირებული დისკუსიები, რომელთაც ადგილი ჰქონდა მე-19 საუკუნეში, მიმდინარეობდნენ სიღარიბის შეფასების ოთხი განსხვავებული მიმართულებით: სიღარიბე, როგორც საზოგადოებისათვის სასარგებლო ფენომენი (ა.სმიტი, თ.რ.მალთუსი, გ.სპენსერი, ჯ.ბენტამი, პ.პრუდონი და სხვ.); სიღარიბე, როგორც საზოგადოების სენი (ფ.ლე-ფლე, ჩ.ბუტი, ს.რაუნტრი, ტ.პეინო და სხვ.); სიღარიბე, როგორც ბოროტება (ე.რეკლიუ, ე.ბელამი, ჩ.ჰოლლი, პ.კოლკხანი, ც.გულდვინი და სხვ.) და სიღარიბე, როგორც ექსპლუატაციის შედეგი (მარქსისტები).

განსხვავებული მეცნიერული მიმართულებები და მათ ფარგლებში განვითარებული სიღარიბის კონცეფციები ეფუძნებიან სიღარიბის კვლევისადმი განსხვავებულ მეთოდოლოგიურ მიდგომებს, ავითარებენ სიღარიბესთან ბრძოლის განსხვავებულ რეკომენდაციებს. მაგრამ არც ერთი მათგანი ცალკე ვერ აყალიბებს

სიღარიბის სრულ და ყოველმხრივ სურათს, ვერ ავითარებს სიღარბის ყოველმომცვლელ თეორიას და, მაშასადამე, სიღარიბის კვლევა არ შეიძლება იყოს განხორციელებული რომელიმე ცალკე აღებული მეცნიერული დისციპლინის თუ თეორიის ფარგლებში და უნდა განხორციელდეს ინტერდისციპლინარულ მიდგომიდან გამომდინარე განსხვავებული მეცნიერული კონცეფციების ინტეგრირებისა და სიღრმისეული გააზრების საფუძველზე.

თავი 2. სიღარიბის კვლევის ძირითადი პრობლემები და თეორიულ-მეთოდოლოგიური თავისებურებანი

სიღარიბის პრობლემის კვლევა უკავშირდება რიგ სირთულეებს, რომელთა წინაშე დგებიან მეცნიერები აღნიშნული პრობლემის შესწავლის დროს.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი სამი ათწლეულის განმავლობაში სიღარიბის კვლევასთან დაკავშირებით დაგროვდა დიდი რაოდენობის თეორიული და ემპირიული მასალა, შემუშავებულ იქნა ფართო მეცნიერული ლიტერატურა, მრავალი საკითხი კვლავინდებურად დღის წესრიგში დგას და მოითხოვს დაზუსტებას.

რა არის სიღარიბე? როგორია მისი ბუნება? რა არის სიღარიბის მიზეზი? რა ღონისძიებებს უნდა მივმართოთ სიღარიბის პრობლემის დაძლევისათვის? ვინ აგებს პასუხს სიღარიბეზე - ინდივიდები თუ საზოგადოება? არის თუ არა სიღარიბე მრავალ განზომილებიანი მოვლენა? როგორ ხასიათს ატარებს სიღარიბე - ობიექტურს თუ სუბიექტურს? რაზე უნდა იმსჯელოთ მეცნიერებმა - სიღარიბის ზღვარზე თუ სიღარიბის ზღვრებზე, ანუ რამდენი ზღვარი აქვს სიღარიბეს - ერთი თუ რამოდენიმე? ვინ უნდა იზრუნოს სიღარიბის დაძლევაზე?

მოცემული თავში გაკეთებულია მცდელობა გაეცეს პასუხი ზოგიერთ ზემოდჩამოთვლილ კითხვას და განხორციელდეს სიღარიბეზე არსებული შეხედულებების სისტემატიზაცია ამ სოციალურ-ეკონომიკური ფენომენის კვლევის სრულყოფის მიზნით.

2.1. სიღარიბის განსაზღვრის და ტიპოლოგიზაციის პრობლემები

სიღარიბის კვლევის ერთ-ერთ სირთულეს წარმოადგენს ამ მოვლენის განსაზღვრის მრავალსახეობა. აკადემიურ წრეებში მიმდინარეობს დაუსრულებელი დებატები იმის თაობაზე, თუ რა არის სიღარიბე და როგორ უნდა იყოს ის

განსაზღვრული. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მეცნიერული ინტერესის დაკმაყოფილების თვალსაზრისით, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე ამ მოვლენის დაძლევაზე მიმართული პოლიტიკის შემუშავებისათვის. არსებობს მოსაზრება, რომ სწორედ სიღარიბის, როგორც მოვლენის, ცალსახა განსაზღვრის არარსებობა დიდწილად განაპირობებს მასთან ბრძოლის რამდენადმე მნიშვნელოვანი შედეგის მიღწევის სირთულეს [191, გვ. 1].

სხვადასხვა ავტორები (Watts Harold, Гордих და სხვ.) [191; 209] ახორციელებენ სიღარიბის მრავალრიცხოვანი გაგებისა და განმარტებათა დაჯგუფებას სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით და გამოყოფენ ორ, სამ ან მეტ ჯგუფს.

მეცნიერულ ლიტერატურაში არსებული შეხედულებების, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების თუ სხვა წყაროების მიერ მოცემულ სიღარიბის განმარტებათა ანალიზისა და სისტემატიზაციის საფუძველზე, განვახორციელებთ სიღარიბის განსაზღვრის დაყოფა შემდეგი ჯგუფის მიხედვით:

1. სიღარიბის განსაზღვრის პირველი (და ძირითადი) ჯგუფი გამომდინარეობს სიღარიბის *მონეტარული* გაგებიდან ანუ განსაზღვრავს სიღარიბეს დაბალი შემოსავლით, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ელემენტარულ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. სიღარიბის ცნების ამგვარი განსაზღვრა, როგორც წესი, წარმოდგენილია ე.წ. აბსოლუტური სიღარიბის კონცეფციით (პ.ჟ.პრუდონი, კ.მარქსი, ჯ.დ.საქსი, პ.გ.ფ.ლე-ფლე, ს.რაუნტრი, ს.რაუნტი, რ.თ.მალთუსი, მსოფლიო ბანკი, ლ.ა.გორდონი, ვერკანოვი გ.ს., სტიგლიცი და სხვ.)¹⁴;
2. სიღარიბის განსაზღვრის მეორე ჯგუფი განიხილავს სიღარიბეს *მოსახლეობისა და რესურსებს შორის თანაფარდობის საფუძველზე* ანუ *მოსახლეობის სწრაფი*

¹⁴ ასე, გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებათა კომიტეტის 25-ე სესიაზე სიღარიბე განისაზღვრა, როგორც არასაკმარისი შემოსავალი საქონლისა და მომსახურების მინიმალური კალათის შეძენისათვის (“insufficient income to buy a minimum basket of goods and services“, [181, გვ.2]. სესიაზე ასევე აღინიშნა, რომ დღეს ტერმინი „სიღარიბე“ განისაზღვრება უფრო ფართოდ, როგორც ღირსეულად ცხოვრების საბაზისო პირობების არ არსებობა (ანუ „lack of basic capabilities to live in dignity“ [181, გვ. 6]. მსოფლიო ბანკი იძლევა სიღარიბის უფრო კონკრეტულ განსაზღვრას და 2015 წლიდან აბსოლუტურ (უკიდურეს) სიღარიბეს უკავშირებს ადამიანის ერთ დღეში 1.9 აშშ დოლარზე ნაკლებ არსებობას [<http://www.vsemirnyjbank.org/ru/understanding-poverty>].

ზრდისა და რესურსების სიმცირეს შორის არსებული დისპროპორციის საფუძველზე (პ.ჟ.პრუდონი, რ.თ.მალთუსი და სხვ.);

3. სიღარიბის განსაზღვრის მესამე ჯგუფი განიხილავს სიღარიბეს, როგორც გარკვეული *სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების შემადგენელ ნაწილს*, რაც აისახება სიღარიბის *სოციალურ-ეკონომიკური სისტემის კონცეფციებში* (კ.მარქსი,, პ.ტაუნსენდი, ე.რაინერტი, და სხვ.);
4. სიღარიბის განსაზღვრის მეოთხე ჯგუფი ეფუძნება წარმოდგენას კონკრეტული საზოგადოების საყოველთაოდ მიღებული ცხოვრების *სტანდარტებთან შეუსაბამობის* გაგებას. სიღარიბის ამგვარ განსაზღვრას ეფუძნება ფარდობითი სიღარიბის კონცეფცია (პ.სპენსერი, პ.ტაუნსენი, პ.სოროკინი და სხვ.);
5. სიღარიბის განსაზღვრის მეხუთე ჯგუფი ეფუძნება ადამიანთა *თვითიდენტიფიკაციის* პრინციპს, ანუ როცა სიღარიბის ცნების განსაზღვრა გამომდინარეობს ინდივიდის ან ინდივიდთა ჯგუფების მიერ საკუთარი მდგომარეობის თვითშეფასებიდან (ს.რაუნტი, ჩ. ბუტი და სხვ.);
6. სიღარიბის განსაზღვრის მეექვსე ჯგუფი განიხილავს სიღარიბეს, როგორც ფასეულობების გარკვეულ სისტემაზე დაფუძნებულ *ცხოვრების წესს*, რომელიც ხელს უშლის სიღარიბეში მყოფ ადამიანებს ან ადამიანთა ჯგუფებს სიღარიბის მდგომარეობიდან თავის დაღწევაში (არისტოტელე, პლატონი, კონფუცი, ჯ.ბენტამი, მ.ვებერი, ო.ლუსი და სხვ.);
7. სიღარიბის განსაზღვრის მეშვიდე ჯგუფი განიხილავს სიღარიბეს *ადამიანის შესაძლებლობების* ტერმინებში, როდესაც ადამიანები მოკლებულნი არიან რესურსებისადმი წვდომას, რის გამო ისინი არიან გარიყულები საზოგადოებიდან, რომელშიც ცხოვრობენ (ა.სენი, ნ.ნიკოლაძე და სხვ.).

სიღარიბის ცნების განსაზღვრის თითოეული სახე გამოხატავს ამ ერთიანი და მრავალწახნაგოვანი ფენომენის - სიღარიბის - განსხვავებულ ასპექტს, განსხვავებულ მხარეს. ამასთან, სიღარიბის ცნების განსაზღვრა და, მაშასადამე, გაგება, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სიღარიბის სახეების მრავალფეროვნებაზე.

მეცნიერულ და ნორმატიულ ლიტერატურაში გამოყოფენ სიღარიბის განსხვავებულ სახეებს, რომელთა შორის აბსოლუტური, ფარდობითი და ზომიერი სიღარიბე წარმოადგენენ სიღარიბის საბაზისო (ძირითადი) ტიპოლოგიზაციის საფუძველს.

მაგრამ მეცნიერულ ლიტერატურაში, სხვადასხვა საზოგადოებრივ თუ სხვა ორგანიზაციების დოკუმენტებში (მაგ., სტატისტიკურ კრებულებში, საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანოების მიერ მიღებულ დებულებებსა თუ დამუშავებულ მეთოდოლოგიებში და სხვ.) მსჯელობა მიმდინარეობს სიღარიბის სახეების გაცილებით უფრო დიდი რაოდენობაზე.

ნიუ იორკის სენტ ჯონის უნივერსიტეტის (St. John's University) პროფესორი ეკონომიკსტი **ჩარლზ მ.ა.კლარკი** (Charles M. A. Clark) ავითარებს საკუთარ ხედვას სიღარიბეზე და მისი ხედვა ეფუძნება სიღარიბის რელიგიურ, კერძოდ კი - კათოლიკურ, გაგებას. მას არ დაყავს სიღარიბე მხოლოდ მის ეკონომიკურ-მონეტარულ შინაარსამდე და გარდა ეკონომიკურისა განიხილავს აგრეთვე სიღარიბის ისეთ სახეებს, როგორცაა სოციალური სიღარიბე, პოლიტიკური სიღარიბე, კულტურული სიღარიბე და სულიერი სიღარიბე [73, გვ.8].

სიღარიბის განსხვავებული სახეების შესწავლა-განაალიზებისა და სისტემატიზაციის საფუძველზე შეიძლება განვახორციელოთ სიღარიბის სახეების ტიპოლოგიზაცია. ამასთან, სიღარიბის განსხვავებული სახეების განსაზღვრისას უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა ეს სახე ეხება ერთი ფენომენის - სიღარიბის - განსხვავებულ მხარეებს, რომელთა შორის ზოგჯერ საკმაოდ რთულია კონკრეტული ზღვარის გავლება. ამით არის განპირობებული ის გარემოება, რომ სიღარიბის ზოგიერთი სახე შეიძლება გარკვეულ წილად იქნან ურთიერთგადაკვეთილი.

სიღარიბის კვლევისას მეცნიერ-ეკონომისტები, სოციოლოგები და პოლიტიკურ მეცნიერებათა წარმომადგენლები, პოლიტიკოსები და საჯარო მოხელეები ყველაზე ხშირად ამახვილებენ ყურადღებას აბსოლუტურ სიღარიბეზე, რომელიც სიღარიბის სხვა სახეებთან შედარებით ისტორიულად ყველაზე ადრე აღმოცენდა და ყველაზე ადრე მიიპყრო მეცნიერთა და პოლიტიკოსთა ყურადღება.

აბსოლუტური სიღარიბე განიხილება, როგორც სიღარიბის უკიდურესი ფორმა და სიღარიბის მეტად რთულად დასაძლევ სახე. ამასთან, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული შეხედულებების ანალიზმა გვიჩვენა, რომ არსებობს აბსოლუტური სიღარიბის ვიწრო და ფართო გაგება.

აბსოლუტური სიღარიბის ვიწრო გაგება გამომდინარეობს იქედან, არის თუ არა ადამიანი მშვიერი ან თუ რამდენად არის ის მშვიერი.

მაგრამ მსოფლიო ბანკი და სიღარიბის პრობლემის მკვლევართა უმრავლესობა იზიარებს აბსოლუტური სიღარიბის ფართო გაგებას და განიხილავს მას, როგორც მდგომარეობას, როდესაც ადამიანები მოკლებულნი არიან არა მარტო საკვებს, არამედ სუფთა წყალს, სანიტარულ პირობებს, ჯანდაცვას, თავშესაფარს, ინფორმაციას [170, გვ.20].

აბსოლუტური სიღარიბე (Absolute poverty), რომელსაც აგრეთვე უკიდურეს სიღარიბეს (Extreme poverty) [170, გვ.20] ან „საარსებო სიღარიბეს“ (Subsistence poverty) [50, გვ. 181] უწოდებენ, განისაზღვრება, როგორც მდგომარეობა, რომლის პირობებში ინდივიდს, ინდივიდთა ჯგუფს ან შინამეურნეობას თავისი შემოსავლით არ შეუძლიათ დაიკმაყოფილონ საბაზისო ანუ ყველაზე აუცილებელი და ელემენტარული მოთხოვნილებები საკვებზე, ტანსაცმელზე, საცხოვრებელზე, სიტბოზე ანუ დაიკმაყოფილონ ბიოლოგიური გადარჩენისათვის საჭირო მინიმალური მოთხოვნილებები [14; 50, გვ.181; 170; გვ.20; 194, გვ.151;].

აბსოლუტური სიღარიბის კრიტერიუმები არ არის დამოკიდებული ადამიანის ცხოვრების ადგილზე და კონკრეტულ ისტორიულ პერიოდზე, ვინაიდან განპირობებულია ადამიანის ბიოლოგიური საჭიროებებით. ამასთან, აბსოლუტური სიღარიბე განიხილება, როგორც მოვლენა, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ განვითარებად ქვეყნებისათვის [171, გვ.20].

აბსოლუტური სიღარიბე არ არის ერთგანზომილებიანი სიდიდე და მასში შეიძლება გამოიყოს ცალკეული შემადგენელი ელემენტები ანუ აბსოლუტურ სიღარიბეს გააჩნია საკუთარი შინაგანი სტრუქტურა.

ზოგიერთი ავტორის შეხედულებით [209], აბსოლუტური სიღარიბის სტრუქტურაში გამოიყოფა სიღატაკე, ანუ „ყველაზე ღრმა და მწვავე სიღარიბე“; გაჭირვება, ანუ საშუალო სიმწვავის სიღარიბე და ზომიერი სიღარიბე, ანუ არასაკმარისი მატერიალური უზრუნველყოფა.

ამგვარი მიდგომიდან გამომდინარე, ზომიერი სიღარიბე წარმოდგენილია აბსოლუტური სიღარიბის შემადგენელ ნაწილად, რაც წინააღმდეგობაში მოდის მსოფლიო ბანკის მიერ აბსოლუტური და ზომიერი სიღარიბის დეფინიციებთან, რომლებიც განიხილავენ აბსოლუტურ და ზომიერ სიღარიბეს, როგორც სიღარიბის განსხვავებულ სახეებს. ამასთან, აბსოლუტური სიღარიბის, ისევე როგორც ზომიერი სიღარიბის სტრუქტურაში, ცალკეული შემადგენელი ელემენტების გამოყოფა მართებულად მიგვაჩნია, თუმცა მოითხოვს გარკვეული დაზუსტებებისა და კორექტირების შეტანას.

ვინაიდან აბსოლუტური სიღარიბის რაოდენობრივი განსაზღვრა ეფუძნება სასურსათო კალათასთან და საარსებო მინიმუმთან მოსახლეობის (ცალკეული ინდივიდების ან/და შინამეურნეობების, კონკრეტული რეგიონის მოსახლეობის) შემოსავლებისა და მოხმარების შედარებას [183, გვ.2; 78, გვ.153, 175; 194; 218, გვ.9], სწორედ ასეთ მიდგომას დავეყრდნობით მოცემულ კვლევაში აბსოლუტური სიღარიბის შინაგანი სტრუქტურისა და ზომიერი სიღარიბის განსაზღვრისას.


აღსანიშნავია, რომ სიღარიბის ზღვარი დგინდება საარსებო მინიმუმის საფუძველზე [194, გვ.151]. ამასთან, ჩვენი აზრით, საარსებო მინიმუმის საფუძველზე აბსოლუტური სიღარიბის ფარგლებში შეიძლება დადგინდეს არა ერთი, არამედ სიღარიბის რამოდენიმე ზღვარი.

ცნობილია, რომ საარსებო მინიმუმი წარმოადგენს ადამიანის ორგანიზმის ფუნქციონირებისა და მისი ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის საკმარისი სასურსათო და არასასურსათო საქონლისა და მომსახურების მინიმალურ ღირებულებით მაჩვენებელს. საქართველოს “საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ” კანონის თანახმად, „საარსებო მინიმუმი არის ერთ სულ მოსახლეზე სამომხმარებლო საქონლის ღირებულებითი გამოხატულება, რომელიც ქვეყნის

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის შესაბამისად უზრუნველყოფს ადამიანის მინიმალური ფიზიოლოგიური და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას“ [25, მუხლი 1]. სხვაგვარად შეიძლება ითქვას, რომ საარსებო მინიმუმი (M) მოიცავს ორ ელემენტს - მინიმალურ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებების (C) დაკმაყოფილებას და მინიმალურ სოციალურ მოთხოვნილებების (H) დაკმაყოფილებას ანუ $M=C+H$ (იხ. სქემა 2.1.1.):

საარსებო მინიმუმის სტრუქტურა

სქემა 2.1.1.



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ [25] საფუძველზე

მინიმალური ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები წარმოადგენს სასურსათო პროდუქტების მინიმალურ ნაკრებს, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ფიზიკურ არსებობას და მისი ორგანიზმის ნორმალურ ფუნქციონირებას, ხოლო მინიმალური სოციალური მოთხოვნილებები წარმოადგენს არასასურსათო საქონლისა და მომსახურების მინიმალურ ნაკრებს და უზრუნველყოფს პიროვნების ძირითად სოციალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას [207, გვ.60].

საარსებო მინიმუმი დგინდება მინიმალური სამომხმარებლო კალათის საფუძველზე, რომელიც მოიცავს სასურსათო კალათას და არასასურსათო საქონელსა და მომსახურებას. თავის მხრივ სასურსათო კალათა (ანუ კვების პროდუქტების განსაზღვრული ნორმატიული კალათა) [17, გვ.8; 23; 25] შედგება ენერგიაზე და ძირითად საკვებ ნივთიერებებზე ადამიანის ფიზიოლოგიურად აუცილებელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებელი საკვები პროდუქტების ოპტიმალური ჩამონათვალისაგან. ეს ჩამონათვალი დგინდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული გაერთიანებული კომიტეტის FAO/WHO რეკომენდაციების საფუძველზე [25, თავი I, მუხლი 1; 23, თავი I, მუხლი 1].


საარსებო მინიმუმის ღირებულებაში სასურსათო ხარჯების წილი საქართველოში განისაზღვრება 70%-ით, შესაბამისად, არასასურსათო ხარჯების წილი განისაზღვრება 30%-ით [45]. სხვა ქვეყნებში ეს თანაფარდობა შეიძლება იყოს მნიშვნელოვნად განსხვავებული და რაც უფრო მდიდარია ქვეყანა, შინამეურნეობა ან ადამიანი, მით ნაკლებია სასურსათო ხარჯებისა და, მაშასადამე, მოხმარების წილი საარსებო მინიმუმის მოცულობაში.

აბსოლუტურ სიღარიბეზე უფრო სრულყოფილი წარმოდგენის შესაქმნელად მიზანშეწონილად მიგვაჩნია ისეთი ელემენტების (დონეების) გამოყოფა, როგორცაა უკიდურესი სიღატაკე, სიღატაკე, უკიდურესი გაჭირვება და გაჭირვება.

ამგვარი მიდგომიდან გამომდინარე, აბსოლუტური სიღარიბის შინაგან სტრუქტურაში შეიძლება გამოყოფილ იქნას სხვადასხვა სტრუქტურული ელემენტები, რომლებიც წარმოადგენენ სიღარიბის განსხვავებულ დონეებს და, მაშასადამე, შეიძლება განხილულ იქნას, როგორც სიღარიბის განსხვავებული ზღვრების საფუძველი (იხ. სქემა 2.1.2.):

აბსოლუტური სიღარიბის შინაგანი სტრუქტურა

სქემა 2.1.2.



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

უკიდურესი სიღატაკე წარმოდგენილია იმ ადამიანებით, ადამიანთა ჯგუფებით ან შინამეურნეობებით, რომლებიც იმყოფებიან სოციალური იზოლაციის, სოციალური ექსკლუზიის (გარიყვის) მდგომარეობაში და რომლებიც მოკლებულნი არიან ყოველგვარ შემოსავალს, სოციალურ რესურსებს, მყარ სოციალურ კავშირებს, რომლებმაც დაკარგეს სოციუმში ცხოვრების უნარ-ჩვევები, ვერ ან/და არ იზიარებენ სოციუმში არსებულ ელემენტალურ ფასეულობებს. მათ ფაქტიურად შეწყვიტეს სწრაფვა საკუთარი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ და მხოლოდ ამწუთიერი გადარჩენის პრობლემით არიან დაკავებული.

უკიდურესი სიღატაკე (E) - ეს არის სიღატაკის უძლიერესი, ზღვრული (მარგინალური) ფორმა. უკიდურეს სიღატაკეში მყოფ ადამიანთა შემოსავლები და მოხმარება სასურსათო კალათაზე ნაკლებია და ნულისკენ მიისწრაფვის:

$$C > E \rightarrow 0, \quad (2.1.1.)$$

სადაც

E - არის უკიდურესი სილატაკე,

C - სასურსათო კალათა.

შემოსავლების უქონლობის ან მათი კატასტროფულად დაბალი დონის გამო, ახლობლების ან არ არსებობის, ან მათ მხრიდან დახმარების გაწევის შეუძლებლობის გამო, უკიდურეს სილატაკეში მცხოვრებმა ადამიანებმა (უსახლკაროები, მაწანწალები და სხვ.) თავის გადასარჩენად შეიძლება მიმართონ მათხოვრობას, წვრილ ქურდობას ან სხვა ასოციალურ ქმედებებს.

სილატაკე არის სიტუაცია, რომლის დროს ადამიანს არ გააჩნია საშუალება დაიკმაყოფილოს მინიმალური ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები და მუდმივად განიცდის შიმშილს.

ვინაიდან სილატაკე წარმოადგენს აბსოლუტური სიღარიბის მეორე უკიდურეს ფორმას, უფრო მიზანშეწონილი იქნება სილატაკის განსაზღვრა არა საარსებო მინიმუმის, არამედ მინიმალური სასურსათო კალათის საფუძველზე. ამრიგად, **სილატაკე** არის სიტუაცია, როდესაც პიროვნების (ადამიანთა ჯგუფის, კონკრეტული რეგიონის მოსახლეობის) შემოსავალი და, მაშასადამე, მოხმარება ვერ უზრუნველყოფს სასურსათო კალათით გათვალისწინებული მინიმალური ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, რის გამო ადამიანები მოკლებულნი არიან ცხოვრებისათვის საჭირო ელემენტარულ პირობებს და მუდმივ შიმშილს განიცდიან.

ამგვარი განმარტებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სილატაკის (D) განსაზღვრა შემდეგი უტოლობით:

$$D < C, \quad (2.1.2.)$$

სადაც,

D - სილატაკე;

C - სასურსათო კალათა.

საარსებო მინიმუმში სასურსათო კალათის წილის განსაზღვრის მიზნით შემოვიღოთ "სასურსათო კალათა-საარსებო მინიმუმის პროპორციის კოეფიციენტი" (k), რომლის მეშვეობით განვსაზღვროთ თანაფარდობა სასურსათო კალათასა (C) და საარსებო მინიმუმს (M) შორის:

$$C = kM, \quad (2.1.3.)$$

სადაც,

M - საარსებო მინიმუმი,

k ($0 < k < 1$) - კოეფიციენტი, რომელიც განსაზღვრავს სასურსათო კალათის წილს საარსებო მინიმუმში,

C - სასურსათო კალათა.

აქედან, სილატაკე შეიძლება განვსაზღვროთ აგრეთვე შემდეგი უტოლობით:

$$D < kM, \quad (2.1.4.)$$

სადაც,

D - სილატაკე;

M - საარსებო მინიმუმი;

k - კოეფიციენტი, რომელიც განსაზღვრავს სასურსათო კალათის წილს საარსებო მინიმუმში;

ვინაიდან საქართველოში საარსებო მინიმუმის ღირებულებაში სასურსათო ხარჯების წილი შეადგენს 70%-ს, ეს ნიშნავს, რომ "სასურსათო კალათა-საარსებო მინიმუმის პროპორციის კოეფიციენტი" k უდრის 0,7 ($k=0,7$). აქედან, სასურსათო კალათა (C) განისაზღვრება განტოლებით $C=0,7M$ და საქართველოს პირობებისთვის სილატაკეს დონის გამსაზღვრელი უთანასწორობა გამოიხატება შემდეგი უტოლობით:

$$D < 0,7M, \quad (2.1.5.)$$

ამის საფუძველზე¹⁵ შეიძლება განვსაზღვროთ სილატაკის ფარგლები საქართველოში (იხ.ხცრილი 2.1.1.):

სილატაკის ფარგლები საქართველოში

ცხრილი 2.1.1.:

	2016 წლის ივნისი (M, ლარი)	2017 წლის ივნისი (M, ლარი)	სასურსათო კალათა (C, ლარი)		სილატაკე (D < C, ლარი)	
			2016 წელი	2017 წელი	2016 წელი	2017 წელი
საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი	139,1	154,4	97,37	108,08	< 97,37	< 108,08
საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი	263,5	292,4	184,45	129,15	< 184,45	< 129,15

წყარო: შედგენილია და გაანგარიშებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

იმის გამო, რომ უკიდურესი სილატაკე და სილატაკე წარმოადგენენ სიღარიბის უკიდურესს (მარგინალურ) დონეს, მათი გამიჯვნისას ძალზე მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინება, თუ რა გზით მოიპოვება საარსებო საშუალებები ანუ შემოსავლის წყარო არის განმსაზღვრელი ინდიკატორი, რომელიც მიჯნავს უკიდურეს სილატაკეს და სილატაკეს.

უკიდურესი გაჭირვება ეს არის სიღარიბის საშუალო დონე, რომელიც განისაზღვრება, როგორც სიტუაცია, რომლის დროს ადამიანები (ადამიანთა ჯგუფი/ჯგუფები, კონკრეტული რეგიონის მოსახლეობა) მინიმალურ დონეზე იკმაყოფილებენ საკუთარ ძირითად, ყველაზე მარტივ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს და არ განიცდიან შიმშილს, მაგრამ ვერ ახერხებენ სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უკიდურესი

¹⁵ საქართველოში მიმდინარეობს ხანგრძლივი დებატები საარსებო მინიმუმის მოცულობასთან დაკავშირებით. ამ ნაშრომის ფარგლებში ჩვენ არ ვერთვებით ამ დისკუსიაში და საარსებო მინიმუმს ვიღებთ იმ ფორმით, როგორც ის არის მოწოდებული საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ.

გაჭირვება არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ადამიანის შემოსავალი და მოხმარება შეესაბამება ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ანუ უტოლდება სასურსათო კალათის მოცულობას, მაგრამ არასაკმარისია სოციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

თუ მივუსადაგებთ ზემოდ გამოყენებულ მდგომას, უკიდურესი გაჭირვება (N) შეიძლება განვსაზღვროთ შემდეგი განტოლებით:

$$N = kM, \quad (2.1.6.)$$

სადაც,

N - გაჭირვება;

M - საარსებო მინიმუმი;

k - სასურსათო კალათის წილი საარსებო მინიმუმში;

kM - სასურსათო კალათა (C)

ან, სხვაგვარად,

$$N = C, \quad (2.1.7.)$$

გაჭირვება - ეს არის ისეთი სიტუაცია, როდესაც დაკმაყოფილებას ექვემდებარება როგორც მინიმალური ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები, ასევე მთლიანად ან ნაწილობრივ კმაყოფილდება მინიმალური სოციალური მოთხოვნილებებიც. გაჭირვების პირობებში ადამიანები არ შიმშილობენ, ისინი საკმარისად იკვებებიან, თუმცა კვების რაციონი არ არის დაბალანსებული და ჯანმრთელობისათვის სარგებლობის თვალსაზრისით რაციონალური, მათ შეუძლიათ მეტ-ნაკლებად შეიძინონ ტანსაცმელი, ელემენტარულ დონეზე მიიღონ სამედიცინო მომსახურება და დაისვენონ [209; 239].

სხვაგვარად რომ ვთქვათ, გაჭირვება არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ადამიანის შემოსავალი და მოხმარება სასურსათო კალათაზე მეტია, მაგრამ არ აღემატება საარსებო მინიმუმს. ამგვარი სიტუაცია შეგვიძლია გამოვსახოთ შემდეგი უტოლობით:

$$kM < S \leq M, \quad (2.1.8.)$$

სადაც,

S - გაჭირვება;

M - საარსებო მინიმუმი;

k - სასურსათო კალათის წილი საარსებო მინიმუმში; kM - სასურსათო კალათა

(C)

ან, სხვაგვარად,

$$C < S \leq M, \quad (2.1.9.)$$

ამასთან აღსანიშნავია, რომ სიღარიბის სტატუსის მინიჭება არ შემოიფარგლება საარსებო მინიმუმით და ვრცელდება იმ ინდივიდებსა და შინამეურნეობებზე, რომელთა შემოსავალი რამოდენიმე ჯერ მაინც¹⁶ არ აღემატება სასურსათო კალათის ღირებულებას. ასე, აშშ-ის მოსახლეობის აღწერის ბიუროს (U.S. Census Bureau) თანახმად, სიღარიბის სტატუსი ენიჭება იმ პირებს, რომელთა შემოსავალი გადასახადების გადახდამდე მინიმუმ სამჯერ აღემატება სასურსათო კალათის ღირებულებას [116]. დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ასეთ სიღარიბეს *ზომიერი სიღარიბე* ვუწოდოთ, მითუმეტეს, რომ ეს დაშვება არ ეწინააღმდეგება ზომიერი სიღარიბის შესახებ მსოფლიო ბანკისა და მეცნიერულ ლიტერატურაში არსებულ შეხედულებებს [111; 162, გვ. 20, და სხვ.].

ზომიერი სიღარიბის პირობებში ადამიანები და შინამეურნეობები იკმაყოფილებენ ძირითად მოთხოვნილებებს, მაგრამ მათთვის ხელმიუწვდომელი რჩება შედარებით უფრო მაღალი დონის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, როგორცაა შვილებისთვის ხარისხიანი განათლების მიღება და მომავალისთვის დაზოგვა, არსებობის პირობების გაუმჯობესება და სხვ. ზომიერი სიღარიბე არ ხასიათდება მუდმივი ბრძოლით გადარჩენისათვის, მაგრამ წარმოადგენს მდგომარეობას, როცა ძალზე გართულებულია წინსვლა და რაიმე პროგრესის მიღწევა [111].

იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანის ან შინამეურნეობის შემოსავალი და მოხმარება აღემატება ზომიერ სიღარიბეს, ასეთი ადამიანი ან შინამეურნეობა

¹⁶ ამ მოცულობას ადგენს სახელმწიფო.

იმყოფება „არაღარიბ“ მდგომარეობაში და ასახავს კეთილდღეობის გარკვეულ დონეს¹⁷.

ასეთი მდგომარეობა შეგვიძლია გამოვსახოთ ფორმულით

$$W > P, \quad (2.1.10.)$$

სადაც,

P - ზომიერი სიღარიბე,

W - შემოსავალი და მოხმარება, რომელიც შეესაბამება კეთილდღეობის გარკვეულ დონეს.

აქედან გამომდინარე, ზომიერი სიღარიბის (და ზოგადად სიღარიბის) ფარგლების განსაზღვრისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ფორმულა:

$$nC < P < W, \quad (2.1.11.)$$

სადაც,

P - ზომიერი სიღარიბე,

C - სასურსათო კალათა,

W - შემოსავალი და მოხმარება, რომელიც შეესაბამება კეთილდღეობის გარკვეულ დონეს,

n - სასურსათო კალათის ჯერადობის კოეფიციენტი, რომელსაც განსაზღვრავს სახელმწიფო.


ანუ, ზომიერ სიღარიბეს ადგილი აქვს მაშინ, როცა ადამიანის ან შინამეურნეობის შემოსავალი და მოხმარება რამოდენიმე (**n**) ჯერ აღემატება სასურსათო კალათის ღირებულებას (**C**), მაგრამ რჩება საკმაოდ მწირი კეთილდღეობის (**W**) მიღწევისათვის.

¹⁷ ვინაიდან ჩვენი საკვლევის თემა არის სიღარიბე, ჩვენ აქ არ განვიხილავთ კეთილდღეობის გრადაციას.

საარსებო მინიმუმის საფუძველზე სიღარიბის დონეების ზემოდ მოცემული განსაზღვრა განზოგადებული სახით წარმოდგენილია სქემაზე 2.1.3.

სიღარიბის დონეების განსაზღვრა საარსებო მინიმუმის საფუძველზე

სქემა 2.1.3.



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

ამრიგად, საარსებო მინიმუმის საფუძველზე აბსოლუტური სიღარიბის განხილვისას გამოვლენილი იქნა სიღარიბის ამ სახის შინაგანი სტრუქტურის ისეთი ელემენტები, როგორცაა უკიდურესი სიღატაკე, სიღატაკე, უკიდურესი გაჭირვება და გაჭირვება, რაც ზომიერ სიღარიბესთან ერთად განსაზღვრავს სიღარიბის განსხვავებულ დონეებს.

აბსოლუტური სიღარიბის სტრუქტურული ელემენტები ისევ, როგორც ზომიერი სიღარიბე, შეიძლება იყოს განხილული, როგორც სიღარიბის განსხვავებული დონეები, რომელთა მიხედვით შეიძლება განისაზღვროს სიღარიბის განსხვავებული ზღვრები. ასეთი მიდგომა ემთხვევა სიღარიბის მრავალი ზღვრის (სიღარიბის ზღვართა სიმრავლის) არსებობაზე დაფუძნებულ შეხედულებებს.

ფარდობითი¹⁸ (დეპრივაციული) სიღარიბე განისაზღვრება მოცემულ საზოგადოებაში მიღებული ცხოვრების სტანდარტების (ცხოვრების „ნორმალური“ პირობების) შედარებით ადამიანის რეალურ მდგომარეობასთან¹⁹.

ცნობილი ინგლისელი მეცნიერი პ.ტაუნსენდი თავის ცნობილ წიგნში „სიღარიბე ბრიტანეთში“, რომელიც გამოქვეყნდა 1979 წელს, აძლევს ფარდობითი სიღარიბის განზოგადებულ განმარტებას და განიხილავს მას, როგორც ისეთ მდგომარეობას, როცა ინდივიდები, ოჯახები თუ სოციალური ჯგუფები მოკლებულნი არიან მოცემულ საზოგადოების ცხოვრებაში სრულყოფილი მონაწილეობისათვის საჭირო რესურსებს [188, გვ. 31]. ანუ, თუ პიროვნების საარსებო პირობები ჩამორჩება მოცემულ საზოგადოებაში მიღებულ ცხოვრების სტანდარტებს, ეს პიროვნება იმყოფება ფარდობითი სიღარიბის პირობებში²⁰.

თუ აბსოლუტური სიღარიბე დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნების ან/და მოსახლეობის ღარიბი ფენებისათვის, ფარდობითი სიღარიბე უპირატესად

¹⁸ ქართულ მეცნიერულ ლიტერატურაში, სტატისტიკურ და საკანონმდებლო წყაროებში გამოიყენება სიღარიბის ამ სახის (ინგლისურად relative poverty) აღსანიშნავი ორი მსგავსი ტერმინი - „ფარდობითი სიღარიბე“ და „შეფარდებითი სიღარიბე“. ამასთან, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოყენებულია ტერმინი „ფარდობითი სიღარიბე“ და ეს ტერმინი არის გამოყენებული მოცემულ ნაშრომში.

¹⁹ ლიტერატურაში გვხვდება დეპრივაციული სიღარიბის განსხვავებული განსაზღვრა, კერძოდ, დეპრივაციული სიღარიბე განიხილება, როგორც არამონეტარული სიღარიბე, „როდესაც საკვები და მინიმალური არასასურსათო საქონლითა და მომსახურებით უზრუნველყოფის პრობლემა მეტ-ნაკლებად მოგვარებულია, მაგრამ ჰორიზონტზე ახალი ორიენტირები იკვეთება, რომლებიც განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა მომსახურებისა და საქონლის მისაწვდომობას გულისხმობს“ [13, გვ. 8].

²⁰ არსებობს ფარდობითი სიღარიბის განსხვავებული გაგებაც. მაგალითად, ჯ.დ.საქსი განიხილავს ფარდობით სიღარიბეს, როგორც პირობებს, როდესაც ადამიანებისთვის ხელმიუწვდომელი რჩება კულტურული ფასეულობები, ხარისხიანი ჯანდაცვა და განათლება, ხარისხიანი დასვენება და სხვა [219]. ასეთი გაგებით, ჩვენი აზრით, ჯ.საქსი ფარდობით სიღარიბეს ზომიერ სიღარიბესთან აიგივებს.

დამახასიათებელია ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნების ან/და მოსახლეობის შეძლებული ფენებისათვის, რის გამო მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დადგენილია ფარდობით სიღარიბის ზღვარი, რომელიც შეესაბამება შემოსავლის ისეთ დონეს, რომელიც იმყოფება გარკვეულ თანაფარდობაში მოსახლეობის პირად მედიანურ შემოსავალთან²¹.

სიღარიბის აბსოლუტურ და ფარდობით სახეებად დაყოფას გააჩნია მნიშვნელოვანი სტრატეგიული მნიშვნელობა, რაც, პირველ რიგში, მათ დაძლევისათან არის დაკავშირებული. თუ აბსოლუტური სიღარიბის დაძლევა შესაძლებელია ეკონომიკური ზრდის, მთლიანი ეროვნული პროდუქტისა და ეკონომიკური კეთილდღეობის გადიდების საფუძველზე, რაც ზოგადად ზრდის შემოსავალს მოსახლეობის ერთ სულზე და, მაშასადამე, ხელს უწყობს აბსოლუტური სიღარიბის დაძლევას, ფარდობითი სიღარიბის დაძლევა გაცილებით უფრო რთულია, ვინაიდან დაკავშირებულია არა შექმნილი პროდუქტის მოცულობასთან, არამედ ამ პროდუქტის საზოგადოების წევრებს შორის განაწილებასთან, რაზეც მიუთითებდნენ კ.მარქსი, ფ.ენგელსი, პ.ტაუნსენდი და სხვები და რაც აისახება სიღარიბის *სოციალურ-ეკონომიკური სისტემის კონცეფციებში*²². ფარდობითი სიღარიბის შემთხვევაში ძალაში შედის და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამართლიანობისა და ეფექტიანობის დილემა და, აგრეთვე, სოციალური სამართლიანობის პრობლემა.

სიღარიბის კვლევის მეთოდოლოგიისათვის დამახასიათებელია ორ განსხვავებულ მიდგომაზე - სუბიექტურსა და ობიექტურზე - დაფუძნება.

სიღარიბის კვლევისადმი **ობიექტური მიდგომა** გამომდინარეობს სიღარიბის მონეტარული გაგებიდან და სიღარიბეს განიხილავს მცირე ან არასაკმარისი შემოსავლის პოზიციიდან ანუ ეფუძნება სიღარიბის ფულად-მატერიალურ შემადგენელს, მაშინ როცა სიღარიბის კვლევისადმი **სუბიექტური მიდგომა**

²¹ ამაზე უფრო დაწვრილებით იხ. მოცემული ნაშრომის მეორე თავის მეორე პარაგრაფი.

²² იხ. მოცემული ნაშრომის გვ.88.

გამომდინარეობს პიროვნების საკუთარი მატერიალური მდგომარეობის, საკუთარი კეთილდღეობის პირადი შეფასებიდან.

სიღარიბის კვლევისადმი სუბიექტური მიდგომიდან გამომდინარე გამოიყოფა ე.წ. სუბიექტური სიღარიბე.

სუბიექტური სიღარიბე წარმოადგენს ინდივიდის ან შინამეურნეობის საკუთარი მატერიალური მდგომარეობისა და ცხოვრების დონის სუბიექტურ შეფასებას. სიღარიბის სუბიექტური მიდგომა გულისხმობს სიღარიბის ზღვარის დადგენას მოხმარებისათვის მინიმალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი რესურსების მოცულობაზე ინდივიდების ან/და შინამეურნეობების წარმოდგენის საფუძველზე [228, გვ. 78-87; 218, გვ. 7].

სიღარიბის კვლევისადმი ობიექტური მიდგომის საფუძველზე შესაძლებელია სიღარიბის დაყოფა პირველად და მეორად სიღარიბედ [159; 160; 161].

პირველადი სიღარიბე განისაზღვრება, როგორც პირველადი მოთხოვნილების საგნებზე (საკვები, ტანსაცმელი და სხვ.) მინიმალურ დონეზე დაკმაყოფილების და ფიზიოლოგიური ეფექტიანობის შენარჩუნებისათვის არასაკმარისი შემოსავალი ამ შემოსავლის რაციონალური ხარჯვის პირობებში.

მეორადი სიღარიბე განისაზღვრება, როგორც ფინანსური რესურსების საკმარისი მოცულობის პირობებში ამ რესურსების არარაციონალური (არაყაირათიანი) ხარჯვის გამო არსებობისათვის აუცილებელი საგნების მოხმარების არასაკმარისობა.

სიღარიბის პირველად და მეორად სიღარიბედ დაყოფის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ღარიბების დაყოფა ორ ჯგუფად: ვინც მართლა ღარიბია (პირველადი სიღარიბე) და ვინც არარაციონალურად იყენებს არსებულ მატერიალურ რესურსებს და არის მფლანგველი (მეორადი სიღარიბე).

გარდა ზემოდაღნიშნულისა, მეცნიერულ ლიტერატურაში და სხვა წყაროებში განიხილება სიღარიბის სხვა სახეებიც.

რეგისტრირებული ანუ ოფიციალური სიღარიბე - ეს არის სიღარიბე, რომელიც განისაზღვრება ქვეყანაში ოფიციალურად დადგებილი სიღარიბის ზღვრის შესაბამისად.

მდგრადი სიღარიბე, რომელსაც აგრეთვე უწოდებენ **ტრადიციულ** სიღარიბეს - ეს არის სიტუაცია, როცა სიღარიბე წარმოშობს სიღარიბეს. სხვაგვარად, ეს არის მემკვიდრეობითი სიღარიბე ანუ სიღარიბის მუდმივი მდგომარეობის „შთამომავლობით“ გადაცემა ერთი თაობიდან მეორე თაობაზე ოჯახის ან ქვეყნის მასშტაბით. მდგრადი სიღარიბე ახასიათებს საზოგადოების გარკვეული ფენების [202, გვ. 266] და გარკვეული ქვეყნების ცხოვრების წესს, რომელიც მუდმივად იწარმოება და წარმოშობს „სიღარიბის მანკიერი წრის“ ფენომენს.

მეცნიერულ (ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციოლოგიურ) ლიტერატურაში ფართოდ არის გავრცელებული მოსაზრება (ჰ.ლიბენშტეინი [126], რ.ნურქსე [140] და სხვ.), რომ სიღარიბის გამომწვევი მიზეზების მიუხედავად, მას თვითწარმოების თვისება ახასიათებს. ითვლება, რომ რაც უფრო ღარიბია ქვეყანა, მით მეტია იმის ალბათობა, რომ ის „სიღარიბის მანკიერ წრეში“ აღმოჩნდება. მაკროეკონომიკურ დონეზე ამგვარი მტკიცებულება გამომდინარეობს იმ ლოგიკიდან, რომ რაც მეტად ღარიბია ქვეყანა, მით ნაკლები საქონლისა და მომსახურების შეძენა შეუძლია მის მოსახლეობას, რაც ნაკლებია მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა, მით მეტად დაბალია საწარმოო ინვესტირების დონე. საწარმოო ინვესტირების დაბალი დონე იწვევს ეკონომიკის განვითარების შეფერხებას, რასაც მოჰყვება უმუშევრობის შენარჩუნება ან ზრდა და, მაშასადამე, მოსახლეობის შემოსავალევის შემცირება, რაც კიდევ უფრო ამძიმებს სიღარიბეს (იხ. სქემა 2.1.4.).

შინაარსობრივად მდგრად სიღარიბესთან ძალიან ახლოს დგას სტრუქტურული სიღარიბე.

სიღარიბის მანკიერი წრე

სქემა 2.1.4.:



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ [74; 126; 140; 203] საფუძველზე

სტრუქტურული სიღარიბე - ეს არის სიღარიბე, რომელიც განიხილება, როგორც საზოგადოების ცხოვრებისა და საზოგადოებრივი სტრუქტურის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი, რომლის დაძლევა შეუძლებელია მხოლოდ საზოგადოებრივი პროგრესის საფუძველზე და რომელიც არა მხოლოდ განვითარებადი, არამედ დასავლეთის განვითარებული ქვეყნების აუცილებელი შემადგენელი ელემენტია [198]. ეს არის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მუდმივი მდგომარეობა, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა, რომელიც არ არის დაკავშირებული ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის პირად თვისებებთან, მათ შრომით აქტიურობასთან. სტრუქტურულ სიღარიბეს მიეკუთვნება ღარიბი ადამიანები ან ღარიბე ოჯახებია, რომელთა შესაძლებლობა დაძლიონ სიღარიბე მინიმუმამდე არის დაყვანილი. ეს მდგომარეობა შეიძლება განისაზღვროს აგრეთვე, როგორც **მდგრადი** სიღარიბე ან როგორც **ტრადიციული** სიღარიბე [248, გვ. 181].

სტრუქტურული სიღარიბე გამოწვეულია საზოგადოებრივი ცხოვრების სტრუქტურით ან საზოგადოების მართვით [185, გვ. 25] და განიხილება, როგორც საზოგადოების ცხოვრების კანონზომიერი მოვლენა, რომლის გადაჭრა შეუძლებელია მხოლოდ საზოგადოებრივი პროგრესის საფუძველზე. სტრუქტურული სიღარიბე ხშირად განიხილება [228, გვ.80; 238, გვ.144; 248, გვ. 181], როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელი და სასარგებლო ნაწილი, როგორც მაგალითი, თუ როგორ ცხოვრობს საზოგადოებიდან გარიყული ადამიანები და თუ როგორ არ უნდა იცხოვროს ადამიანი.

აღსანიშნავია, რომ სტრუქტურული სიღარიბე ზოგი ავტორის მიერ განხილულია, როგორც „ინფრასტრუქტურაზე წვდომის ნაკლებობით, ასევე კანონმდებლობის არასრულყოფილებით გამოწვეული სიღარიბე“ [13, გვ.8].

შინაარსობრივად მდგრად სიღარიბესთან ძალიან ახლოს დგას აგრეთვე ქრონიკული სიღარიბე.

ქრონიკული სიღარიბე - ეს არის სიტუაცია, როდესაც ხდება გარკვეულ ჯგუფებში ან რეგიონებში ლოკალიზებული სიღარიბის სისტემატური კვლავწარმოება ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, როდესაც მოსახლეობის რამოდენიმე თაობას არ ძალუძს სიღარიბის გამომწვევი მოზეზების დაძლევა, რაც სიღარიბეს შეუქცევად სახეს აძლევს და მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევს მოსახლეობის ცხოვრების წესში, ადამიანთა ფსიქოლოგიაში, ქცევის ნორმებში, აზროვნებაში და ა.შ.

მცურავი სიღარიბე - სიტუაცია, როდესაც ღარიბთა ნაწილი პოულობს შესაძლებლობას გადავიდეს მატერიალურად უკეთეს მდგომარეობაში, ხოლო საშუალო ფენის ან შეძლებული მოსახლეობის წარმომადგენელთა ნაწილი კოტრდება და ხდება ღარიბი. მცურავი სიღარიბე ახასიათებს, აგრეთვე, სხვა მდგომარეობას. კერძოდ, როდესაც ინდივიდის ან შინამეურნეობის მატერიალური მდგომარეობა რაღაც მიზეზების გამო ხან უარესდება და ეს ინდივიდი ან შინამეურნეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოდ იწევს, ხან კი უმჯობესდება და ინდივიდი ან

შინამეურნეობა გადადიან ე.წ. შეძლებულების მდგომარეობაში. მდგრადი სიღარიბესთან შედარებით მცურავი სიღარიბე გაცილებით უფრო იშვიათი მოვლენაა.

ციკლური სიღარიბე დაკავშირებულია ეკონომიკის ციკლურ მერყეობასთან და ეკონომიკური ციკლის დაქვეითების ფაზასთან. ანუ, ციკლური სიღარიბე წარმოიშობა ეკონომიკური კონიუნქტურის გარკვეულ პირობებში და მოსალოდნელია, რომ ის შეწყვეტს თავის არსებობას ამ პირობების შეცვლასთან ერთად.

ციკლურ სიღარიბესთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ენდემული (ფართო) და ეპიზოდური (დროებითი) სიღარიბე.

ენდემური სიღარიბე, რომელიც, აგრეთვე, ცნობილია სახელწოდებით **ფართო ან კოლექტიური სიღარიბე**. ამ სახის სიღარიბე ჩნდება მაშინ, როდესაც ქვეყნის ეროვნული შემოსავლის მოცულობა იმდენად დაბალია, რომ ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის სათანადო არსებობის პირობებს და ხასიათდება ისეთი აგრეგირებული მაჩვენებლებით, როგორცაა მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი ეროვნული პროდუქტის დაბალი დონე, საბოლოო მოხმარების დაბალი დონე, სიცოცხლის დაბალი ხანგრძლივობა, სიკვდილიანობის მაღალი დონე და ა.შ.

ლოკალური სიღარიბე წარმოადგენს სიღარიბეს, რომლის მოიცავს ცალკეულ გეოგრაფიულ რეგიონებს, ცალკეულ სოციალურ თუ დემოგრაფიულ ჯგუფებს.

ინდივიდუალური სიღარიბე - ეს არის ცალკეული ინდივიდის დონეზე (Person-Equivalent Poverty) განხილული სიღარიბე [142; 164], რომლის განსაზღვრა გამომდინარეობს მატერიალური (მ.შ. მონეტარული) და არამატარიალური გაგებიდან.

გლობალური სიღარიბე განიხილება, როგორც თანამედროვეობის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორც მსოფლიოს მასშტაბით, გლობალური მასშტაბით გავრცელებული სიღარიბე [142], რომლის უდიდესი ნაწილი კონცენტრირებულია განვითარებად ქვეყნებში [184, გვ. 1, 8]. გლობალური სიღარიბე ხშირად განიხილება, როგორც მორალური პრობლემა [141, გვ.8]. გლობალური სიღარიბე უშუალოდ არის დაკავშირებული აბსოლუტურ სიღარიბესთან და მისი ზღვარი გადის დღეში აშშ-ს 1,9 დოლარის შემოსავალზე [62; 86, გვ.4, 5].

ეპიზოდური სიღარიბე, რომელსაც აგრეთვე უწოდებენ **დროებით სიღარიბეს** - ეს არის გარკვეული ფაქტორებით გამოწვეული სიღარიბე, რომელიც შედარებით მოკლე პერიოდის მანძილზე გრძელდება და სრულდება ამ ფაქტორების დაძლევის (გადალახვის) შემდეგ.

ეპიზოდურ (დროებით) სიღარიბესთან ძალიან ახლოს დგას სიტუაციური სიღარიბე.

სიტუაციური სიღარიბე დამახასიათებელია ძირითადად განვითარებული ქვეყნებისათვის და წარმოადგენს ინდივიდის ან შინამეურნეობის საკმაოდ მოკლე დროის მონაკვეთით გადასვლას ღარიბთა მდგომარეობაში სხვადასხვა შემთხვევითი გარემოებების ან თვით ინდივიდის ან შინამეურნეობის ქცევის ან ცხოვრებისეული გარემოებების (ავადმყოფობა, ოჯახური პრობლემები და ა.შ.) ზეგავლენის გამო. ითვლება, რომ სიტუაციური სიღარიბის ყველაზე ხშირი მიზეზია სამსახურის და, მაშასადამე, შემოსავლების დაკარგვა. ამის გამო განვითარებულ ქვეყნებში განიხილავენ პირდაპირ კავშირს სიტუაციური სიღარიბისა და უმუშევრობის დონის შორის.

თუ **მონეტარული სიღარიბე** გულისხმობს ფულადი სახსრების არასაკმარისობას ან არარსებობას, **მატერიალური სიღარიბე** წარმოადგენს ადამიანთა ყოველდღიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი მატერიალური რესურსების უკმარისობას [51; 52; 113]. ანუ, თუ მონეტარული სიღარიბე დაკავშირებულია შემოსავლებთან, მატერიალური სიღარიბე დაკავშირებულია მოხმარებასთან.

სოციალური სიღარიბე დამახასიათებელია დაუცველი და მატერიალურად ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობის ნაწილისათვის, როგორცაა უმუშევარი პენსიონერები, მარტოხელა ინვალიდები, მრავალშვილიანი ოჯახები, არასრული ოჯახების წევრები და სხვ., რომელთაც თავისი მდგომარეობის გამო არ ძალუძთ საკუთარი თავის მატერიალური უზრუნველყოფა [192, გვ. 74; 211, გვ. 68; 214, გვ. 130; 250, გვ.318]. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სოციალური სიღარიბე არის „სუსტი“, თავისი

სოციალური მდგომარეებიდან გამომდინარე უმწეო ადამიანების სიღარიბე ანუ ეს არის „უმწეოთა სიღარიბე“.


ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური სიღარიბე წარმოადგენს სიღარიბის ტიპოლოგიზაციის ერთ-ერთ რთულ კომპონენტს, რომლის მიმართ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა შეხედულებები საკმაოდ განსხვავდება. გარდა ზემოთ აღნიშნული მიდგომისა, ზოგი ავტორი სოციალურ სიღარიბეს განიხილავს, როგორც გარიყვას, გამორიცხვას (exclusion) იმ საზოგადოებიდან, რომელშიც პიროვნება ცხოვრობს [73, გვ.8], როგორც კეთილმოწყობისა და ოჯახის მხრიდან მხარდაჭერის ნაკლებობას [69] და ამგვარად, აყენებს სოციალურ სიღარიბეს პირდაპირ კავშირში სოციალური კაპიტალის (საზოგადოებაში სოციალური კავშირების, როგორცაა ნათესაური კავშირები, მეგობრული კავშირები და სხვ.) სიმწირესთან ან მის არარსებობასთან [174].

გარდა ამისა, სოციალური გარიყვის, საზოგადოებრივი განყენების თვალსაზრისით, სოციალური სიღარიბე შეიძლება იყოს განსაზღვრული, როგორც საზოგადოების ასოციალური ელემენტების (უსახკაროები, ლოთები, ნარკომანები და სხვები) სიღარიბე. ამ თვალსაზრისით უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა სიღარიბის ამ ტიპს ვუწოდოთ **ასოციალური სიღარიბე**.

რომ განვაზოგადოთ ყოველივე ზემოთ თქმული, **სოციალური სიღარიბე** - ეს არის საზოგადოებაში გარკვეული ჩვევების, ტრადიციების, უნარების, შესაძლებლობების, ფასეულობების, ქცევის ნორმების უკმარისობა, რაც იწვევს ადამიანთა შესაბამისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებასა და საკუთარი ვალდებულებებისა და საქმიანობისადმი დამოკიდებულებას, რაც განაპირობებს ამ ადამიანის მატერიალურ მდგომარეობას ანუ სოციალური მდგომარეობა ქმნის სოციალურ სიღარიბეს, რომელიც, თავის მხრივ, წარმოშობს მატერიალურ სიღარიბეს (იხ. სქემა 2.1.5.):

მატერიალური და სოციალური სიღარიბის ურთიერთდამოკიდებულება

სქემა 2.1.5.:



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ [69; 73; 174] მიხედვით

ეკონომიკური სიღარიბე - ეს არის ცნება, რომელიც გამოიყენება შრომისუნარიან მოსახლეობის მიმართ, რომელთაც შრომის ბაზარზე შექმნილი კონიუნქტურის ან სხვა მიზეზების გამო (დაბალი ხელფასი ან ხელფასის გაუცემლობა, დასაქმების დაბალი დონე, უმუშევრობის არსებობა და სხვა), არ შეუძლიათ საკუთარი თავი უზრუნველყონ ცხოვრების სათანადო პირობებით. ეკონომიკური სიღარიბის დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, ხელფასების სისტემის დახვეწის, საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფისა და სხვა ღონისძიებების განხორციელებაზე მიმართული ეკონომიკური პოლიტიკის გატარების საფუძველზე. ეკონომიკური სიღარიბე - ეს არის შრომისუნარიანი მოსახლეობის სიღარიბე [210; 211, გვ. 68], ეს არის წარმოების პროცესისა და ეკონომიკური დოვლათის მოხმარებისაგან გარიყვა [73, გვ.8]. ამგვარად, ეკონომიკური სიღარიბე არის უფრო ფართო ცნება, ვიდრე მხოლოდ ფინანსების უკმარისობა, და მოიცავს დასაქმებისა და, მაშასადამე, რესურსების განაწილებისა და მითვისების ნაკლებ შესაძლებლობას.

სიღარიბის კიდევ ერთ ნაირსახეობას წარმოადგენენ ე.წ. „ახალი სიღარიბე“, რომელიც თავისი შინაარსით ახლოს დგას ეკონომიკურ სიღარიბესთან.

ახალი სიღარიბე - ეს არის შედარებით ახალი ტერმინი და დაკავშირებულია „ახალი ღარიბების“, როგორც მოვლენის და როგორც ცნების, წარმოშობასთან.

„ახალი ღარიბები“ გამოჩნდნენ 1970-1980-იან წლებში დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში გასული საუკუნის 70-ანი წლების სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის შემდეგ. ახალი ღარიბები მოიცავენ ორი კატეგორიის ადამიანებს: ერთი მხრივ, ეს არიან ადამიანები, რომლებიც წარსულში, სამუშაოს დაკარგვამდე, იყვნენ კარგად ანაზღაურებადი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები [217, გვ. 279], ხოლო მეორე მხრივ, ღარიბთა ამ კატეგორიას ხშირად მიაკუთვნებენ შედარებით შეძლებული ოჯახების შვილებს, რომლებიც სკოლის ან უმაღლესი დაწესებულების დამთავრების შემდეგ ვერ პოულობენ სამსახურს და ცხოვრობენ მშობლების ხარჯზე. ახალი ღარიბები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ჩვეულებრივ უმუშევრებისაგან იმით, რომ, როგორც წესი, ისინი ნაკლები სიმწვავეით განიცდიან მატერიალური შემოსავლის დაკარგვას, მაგრამ მათთვის სამსახურისა და შემოსავლის დაკარგვა წარმოადგენს ძლიერ ფსიქოლოგიურ დარტყმას, რის გამოც ღარიბების ამ კატეგორიისათვის დამახასიათებელია ლოთობა და ნარკომანია, გახშირებული თვითმკვლელობის ფაქტები.

ახალი სიღარიბის გაგება ვრცელდება არა მხოლოდ ინდივიდებზე ანუ ცალკეულ პირებზე, არამედ ოჯახებზეც. ახალი სიღარიბის განმასხვავებელი და განმსაზღვრელია მატერიალურად და სტატუსის მიხედვით სტაბილური მდგომარეობიდან არასტაბილურ მდგომარეობაში გადასვლა

„ახალი სიღარიბე“ და „ახალი ღარიბები“, როგორც მოვლენა და ცნებები შეიძლება გავავრცელოთ პოსტსოციალურ სივრცეზეც, როცა გასული საუკუნის 90-ან წლებში ადრე არსებული ეკონომიკური კავშირების გაწყვეტისა და საწარმოთა ან სხვადასხვა ორგანიზაციების უმრავლესობის დახურვის ანდა რეორგანიზაციის შედეგად გამწვავდა დასაქმების პრობლემა და მაღალკვალიფიციური კადრების დიდი რაოდენობა (ფაბრიკებში და ქარხნებში მომუშავე ინჟინრები და ტექნოლოგები,

უმაღლესი და საშუალო საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე პედაგოგები და სხვები) დარჩნენ სამუშაოსა და შემოსავლების გარეშე.

გარდა ამისა, გასული საუკუნის 90-ანი წლების პოლიტიკური, ეკონომიკურ-სტრუქტურული და სოციალური ცვლილებების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა დასაქმების საერთო დონე და ადრე სტაბილური დასაქმებისა და შემოსავლების მქონე მოსახლეობის ძირითადი ნაწილი უმუშევარი და შემოსავლების გარეშე აღმოჩნდა, რასაც მრავალი ნეგატიური შედეგი მოჰყვა. თანამედროვე ეტაპზე პოსტსოციალისტური ქვეყნებისა, და მათ შორის საქართველოს, „ახალი სიღარიბე“ იმ სიღარიბის იდენტურია, რომელიც გაჩნდა დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში 1970-იან წლებში.

მეცნიერულ ლიტერატურაში მოცემული სიღარიბის სახეები ზოგ შემთხვევაში რთულად დასაკავშირებელია სიღარიბის ცნებასთან და უფრო ახლოს დგანან სიღარიბით გამოწვეულ შედეგებთან. მიუხედავად ამისა, სიღარიბის პრობლემის კვლევით დკავებული მეცნიერები განიხილავენ მათ, როგორც სიღარიბის გამოცალკევებულ სახეებს.

სიღარიბის ერთ-ერთ სპეციფიკურ სახედ გვევლინება პოლიტიკური სიღარიბე.

პოლიტიკური სიღარიბე განისაზღვრება, როგორც გამორიცხვა საზოგადოებრივ და სამოქალაქო გადაწყვეტილებების მიღების პროცესიდან [73, გვ.8], რაც განპირობებულია ადამიანთა უთანასწორობის ნეგატიური ზემოქმედებით [216].

ამერიკელი პოლიტიკური ფილოსოფოსის, სანტ-ლუისის უნივერსიტეტის პროფესორის *ჯეიმს ბოჰმანის* (James Bohman) განმარტებით, პოლიტიკური სიღარიბე მდგომარეობს მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების შეუძლებლობაში ეფექტიანად მიიღონ მონაწილეობა დემოკრატიულ პროცესებში“, განახორციელონ „მათთვის საჭირობოროტო საკითხების განხილვის ინიცირება“, რაც „დაუცველად აქცევს მათ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგების წინაშე“ [66, გვ.125]. პოლიტიკურ სიღარიბეს „გამოჰყავს“ ადამიანები საჯარო სფეროდან და ისინი კარგავენ შესაძლებლობას გავლენა მოახდინონ ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე და დაიცვან საკუთარი ინტერესები. ეს ადამიანები იკავებენ

„დამკვირვებლების“ პოზიციას, ხოლო მათი სამოქალაქო და საზოგადოებრივი პასიურობა მოქმედ ძალაუფლებით აღიქმება, როგორც მათ მიერ გატარებული პოლიტიკის გაზიარება და მიმდინარე პროცესებთან თანხმობა [66]. ამასთან აღინიშნება, რომ ასეთ პასიურ პოზიციას იკავებენ არა მარტო უკიდურესად დარბილ მარგინალები, უსახლკაროები ანდა დაბალი კვალიფიკაციისა და დაბალი შემოსავლების მქონე პირები, არამედ ქვეყნის ინტელექტუალური ელიტის უდიდესი ნაწილი, როგორცაა მასწავლებლები და ექიმები, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების პედაგოგები, მეცნიერ-თანამშრომლები და სხვ., [197; 253] რომლებიც შეიძლება მიკუთვნდნენ იყვნენ ან „ეკონომიკური სიღარიბის“ ან „ახალი სიღარიბის“ წარმომადგენლებს, რომლებიც დაბალი შემოსავლების ან მათი უქონლობის პირობებში უფრო დაკავებულნი არიან „გადარჩენის“ პრობლემის გადაჭრით და ამის გამო სრულყოფილად არ და ვერ მონაწილეობენ საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ვერ ატარებენ მათთვის სასარგებლო გადაწყვეტილებებს და ამით კიდევ უფრო ამყარებენ თავიანთ არასახარბიელო მდგომარეობას, ვინაიდან გადაწყვეტილების მიღების ბერკეტები სულ უფრო მეტად კონცენტრირდება პოლიტიკური ელიტის ხელში, რომელიც იყენებს ამ შესაძლებლობას საკუთარი ინტერესების გასატარებლად. პოლიტიკურ სიღარიბეს უშუალოდ უკავშირდება სიღარიბის პოლიტიკური თეორიები²³.

კულტურული სიღარიბე - ეს არის სიღარიბე, რომელიც იქმნება გარკვეულ საზოგადოებრივ სივრცეში და ატარებს ამ სივრცისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს.

ტერმინი „კულტურული სიღარიბე“ პირველად იყო გამოყენებული 1960 წელს ოსკარ ლუსის (Oscar Lewis) მიერ. მისი განმარტებით კულტურული სიღარიბე - ეს არის მდგრადი სიღარიბით წარმოქმნილი რწმენის, დამოკიდებულების, ფასეულობებისა და პრაქტიკების ერთობლიობა, რომელიც იზრდება დროთა განმავლობაში და არ იცვლება სტრუქტურული პირობების შესაბამისად [128; 129].

²³ იხ. მოცემული ნაშრომის გვ.15-22.

ოსკარ ლუისის რწმენით, სიღარიბე ცვლის იმ ადამიანთა ზნე-ჩვეულებებს და ბავშვები, რომლებიც სიღარიბეში ჩნდებიან და იზრდებიან, ითვისებენ მათი წრისთვის დამახასიათებელ ჩვევებსა და ქცევის თავისებურებებს, მათი წრის „ლოკალური (ადგილობრივი) კულტურის“ (ხშირად „ნეგატიური კულტურის“ სახელით ხსენებულის) ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა სიზარმაცე, გაუფრთხილებლობა, წინდაუხედაობა, უდისციპლინობა, ბედოვლათობა, მფლანგველობა და სხვ., რის გამოც სიღარიბეში დაბადებულ-გაზრდილ ბავშვებისთვის მომავალში რთული ხდება ამ გარემოდან თავის დაღწევა.

ამგვარად, კულტურული სიღარიბე გადაიქცევა მომავალი თაობების სიღარიბის საფუძვლად [83, გვ. 26; 160; 190, გვ. 26; 184, გვ. 725] და ქმნის პირობებს სიღარიბის უკვდავყოფისთვის.

კულტურული სიღარიბე წარმოადგენს ეკონომიკური სიღარიბის შედეგს [201] და განიხილება, როგორც სიღარიბის კულტურის ნაწილი, რომელიც, თავის მხრივ, არის უფრო მასშტაბური პრობლემის - ზოგადი სიღარიბის - შემადგენელი ელემენტი [71].

სულიერი სიღარიბე - წარმოადგენს სიღარიბის სპეციფიკურ სახეს, რომელიც მოცემულ შემთხვევაში გულისხმობს არა ადამიანის მორალურ თვისებას, მისი სულიერი და ზნეობრივი განვითარების დაბალ დონეს, არამედ დაკავშირებულია ადამიანთა უუნარობასთან, შეუძლებლობასთან სხვა, მდიდარი ადამიანების ანდა საქველმოქმედო ორგანიზაციების დახმარების გარეშე უზრუნველყოს საკუთარი არსებობა.

ამრიგად, განხილული და განსაზღვრულია სიღარიბის 33 დასახელების 28 განსხვავებული ტიპი. ყველა ეს ტიპი გამოხატავს ერთი ფენომენის, ერთი მოვლენის - სიღარიბის - განსხვავებულ მხარეებს, შესწავლისა და დახასიათების განსხვავებულ მიდგომას. სიღარიბის აღნიშნულ ტიპებს შორის არსებობს საკმაოდ რთული და არაერთგვაროვანი ურთიერთდამოკიდებულება.

სიღარიბის განსხვავებული ტიპების ანალიზის საფუძველზე მოვახდინეთ მათი კლასიფიკაცია ისეთი კრიტერიუმების მიხედვით, როგორებიცაა სიღარიბის

წარმოშობის ხასიათი, სიღარიბის გამოვლენის ხასიათი, სიღარიბის აღქმის ხასიათი, სიღარიბის სიმყარე, სიღარიბის გავრცელების მასშტაბი, სიღარიბის წარმოშობის ფორმა და სიღარიბის სპეციფიკური სახეები (იხ.ცხრილი 2.1.2.):

სიღარიბის ტიპების კლასიფიკაცია

ცხრილი 2.1.2.

კრიტერიუმები	სიღარიბის ტიპი	
კლასიკური (საბაზისო) სახეები	- აბსოლუტური სიღარიბე - ზომიერი სიღარიბე - ფარდობითი (დეპრივაციული) სიღარიბე	
სიღარიბის წარმოშობის ხასიათი	- პირველადი სიღარიბე - მეორადი სიღარიბე	
სიღარიბის გამოვლენის ხასიათი	რეგისტრირებული/ სიღარიბე	ოფიციალური
სიღარიბის აღქმის ხასიათი	- სუბიექტური სიღარიბე - ობიექტური სიღარიბე	
სიღარიბის სიმყარე	- ქრონიკული სიღარიბე - მდგრადი სიღარიბე - ციკლური სიღარიბე - სტრუქტურული სიღარიბე - მცურავი სიღარიბე - დროებითი სიღარიბე - ეპიზოდური სიღარიბე - სიტუაციური სიღარიბე	
სიღარიბის გავრცელების მასშტაბი	- ენდემური სიღარიბე/ ფართო ან კოლექტიური სიღარიბე, - ლოკალური სიღარიბე - გლობალური სიღარიბე - ინდივიდუალური სიღარიბე	
სიღარიბის გამოვლენის ფორმა	- მატერიალური სიღარიბე - მონეტარული სიღარიბე - ეკონომიკური სიღარიბე	
სიღარიბის სპეციფიკური სახეები	- სოციალური სიღარიბე - ახალი სიღარიბე - პოლიტიკური სიღარიბე - კულტურული სიღარიბე - სულიერი სიღარიბე	

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

სიღარიბის ტიპების მრავალსახეობა დიდწილად დამოკიდებულია ამ რთული სოციალურ-ეკონომიკური მოვლენის წარმოშობის მიზეზების მრავალსახეობასთან²⁴, სიღარიბით გამოწვეული შედეგებითა და სხვა მიზეზებით.

2.2. სიღარიბის გაზომვის პრობლემები და მისი თავისებურებანი საქართველოში

სიღარიბის კვლევის კიდევ ერთი სირთულე დაკავშირებულია მისი გაზომვის პრობლემასთან, რომელიც წარმოადგენს სიღარიბის შემეცნების მეთოდოლოგიის ერთ-ერთ მთავარ საკითხს.

როგორც წინა პარაგრაფში იყო ნაჩვენები, სიღარიბის განსაზღვრის მიდგომებიდან გამომდინარე, სიღარიბე სხვადასხვა სახეს იღებს და გამოიხატება განსხვავებული ნიშნებით. ამის გამო სიღარიბის გაზომვა ხორციელდება მრავალი განსხვავებული მაჩვენებლის საფუძველზე.

სიღარიბის გაზომვის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და გავრცელებულ მაჩვენებელს სიღარიბის ზღვარი წარმოადგენს.

გამოიყოფა სიღარიბის ზღვარის განსაზღვრის მეთოდების ოთხი ჯგუფი: ნორმატიული მეთოდი, სტატისტიკური მეთოდი, სოციოლოგიური მეთოდი და შერეული მეთოდი [242]:

- *ნორმატიული მეთოდი* გულისხმობს ექსპერტების რეკომენდაციებისა და კონკრეტულ ქვეყანაში არსებული რესურსებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მხრიდან მოხმარების ნორმების დადგენას;
- *სტატისტიკური მეთოდის* საფუძველზე ხდება მოსახლეობის ფაქტიური შემოსავლების დონის შესწავლა და მოსახლეობის გრადაციის დონის შეფასება;

²⁴ იხ. მოცემული ნაშრომის მეორე თავის მესამე პარაგრაფი.

- *სოციოლოგიური მეთოდის* მეშვეობით ხორციელდება მოსახლეობის აზრის შესწავლა საკუთარი მატერიალური მდგომარეობის თაობაზე და მიღებული მონაცემების დამუშავება;
- *შერეული მეთოდი* აერთიანებს ზემოთაღნიშნულ სამივე მეთოდს ან ახორციელებს მათ კომბინირებას.

სიღარიბის ზღვარი - ეს არის ოფიციალურად დადგენილი მინიმალური შემოსავალი, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდის ან ოჯახის მოთხოვნას საკვებ პროდუქტებზე, ტანსაცმელზე, საცხოვრებელზე და სხვ. [243] სიღარიბის ზღვარი განისაზღვრება ორი პარამეტრის - შემოსავლების და მოხმარების - საფუძველზე და განიხილება, როგორც სიღარიბის გაზომვის ინსტრუმენტი, რომელიც, როგორც წესი, გამოიანგარიშება შემოსავლებისა და მოხმარების მონაცემთა მიხედვით. ადამიანი ან საოჯახო მეურნეობები არიან ღარიბი, თუ მათი შემოსავალი ან მოხმარება ამ ზღვარზე დაბალია.

გარდა სიღარიბის ფარდობითი და აბსოლუტური ზღვრებისა (იხ. მეორე თავის პირველი პარაგრაფი) გამოიყენება ისეთი მაჩვენებლები, როგორებიცაა სიღარიბის საერთაშორისო ზღვარი და სიღარიბის ეროვნული ზღვარი.

სიღარიბის საერთაშორისო ზღვარი - წარმოადგენს მსოფლიო ბანკის მიერ დადგენილ ფულად შემოსავალს ერთ დღეში მოსახლეობის ერთ სულზე, რომლის საფუძველზე ხორციელდება სიღარიბის საერთაშორისო შედარებები. 1990 წელს მსოფლიო ბანკმა დაადგინა სიღარიბის საერთაშორისო ზღვარი 1 აშშ-ს დოლარის ოდენობით, 2008 წელს სიღარიბის ზღვარი შეესაბამებოდა 1,25 აშშ-ს დოლარს, ხოლო 2015 წლიდან სიღარიბის საერთაშორისო ზღვარი შეადგენს 1,90 აშშ-ს დოლარს და ვალუტის კურსი განისაზღვრება სამომხმარებლო პარიტეტის მიხედვით.

სიღარიბის ეროვნული ზღვარი - წარმოადგენს ფულად მაჩვენებელს, რომელიც გამოხატავს მოხმარების მინიმალურ მოცულობას მოსახლეობის ერთ სულზე ერთი დღის განმავლობაში, რომლის ქვემოთ ადამიანი ან შიდა მეურნეობა ღარიბად ითვლება და რომელსაც ადგენს ცალკეული ქვეყანა მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონიდან გამომდინარე. სიღარიბის ეროვნული ზღვარი, რომელსაც

ადგენენ ღარიბი ქვეყნები, როგორც წესი, მნიშვნელოვნად უფრო დაბალია, ვიდრე მდიდარ ქვეყნებში [234, გვ.41].

საქართველოში, ისევე, როგორც მრავალ სხვა ქვეყანაში, სიღარიბის ზღვარის დადგენისათვის ხორციელდება საარსებო მინიმუმის გაანგარიშება, რომელიც გამოხატავს ადამიანის არსებობისათვის მეცნიერულად დასაბუთებული მატერიალური სიკეთისა და მომსახურების მინიმალური ნაკრების შემენისათვის აუცილებელ შემოსავლის დონეს.

საარსებო მინიმუნი განიხილება, როგორც ერთ-ერთი კრიტერიუმი, რომლის საფუძველზე ხდება მოსახლეობის მატერიალური და სოციალური დიფერენციაციის შეფასება. ზოგიერთ ქვეყანაში საარსებო მინიმუმის საფუძველზე ხდება პიროვნების ან შინამეურნეობის მიკუთვნება სიღარიბის რომელიმე სახისადმი (აბსოლუტური, უკიდურესი და სხვ.) იმის მიხედვით, თუ რამდენჯერ ნაკლებია ამ ინდივიდის ან შინამეურნეობის შემოსავალი და, მაშასადამე, მოხმარება, საარსებო მინიმუმზე [242].

საქართველოში სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ სიღარიბის აბსოლუტური მაჩვენებლების გაანგარიშება ხდება მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული "საბაზისო მოთხოვნილებების მეთოდის" მიხედვით. ეს მეთოდი გამოიყენება მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში. "საბაზისო მოთხოვნილებების მეთოდი" სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს განსაზღვრავს საკვები პროდუქტების კალორიების მინიმალური რაოდენობის მიხედვით, რომელიც რეკომენდებულია შრომისუნარიანი მამაკაცისთვის. 2017 წლიდან საქართველოში სიღარიბის აბსოლუტური მაჩვენებლები უნდა დადგინდეს ყოველწლიურად, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე ქალაქებისა და სოფლებისათვის და უნდა მოხდეს ამ მონაცემების გავრცელება [geostat.ge].

სიღარიბის გაზომვის მაჩვენებელთა შორის გამოიყოფა ე.წ. „**სიღარიბის ძირითადი მაჩვენებელი**“, რომლის ფორმულა შემუშავებულია ჯეიმს ფოსტერის (*James Foster*), ჯოელ გრიელისა (*Joel Greer*) და ერიკ ტორბეკეს (*Erik Thorbecke*) მიერ, რის გამო ამ ფორმულამ მიიღო **ფოსტერი-გრიელი-ტორბეკეს სიღარიბის ძირითადი მაჩვენებლის** სახელწოდება.

ჟ.ფოსტერის, ჯ.გრიელისა და ე.ტორბეკეს მიერ შემოთავაზებული სიღარიბის გაზომვის ზოგად ფორმულას აქვს შემდეგი სახე:

$$Pa = \frac{1}{H} \sum_{h=1}^q \left(\frac{Zh - Yh}{Zh} \right)^a$$

სადაც

P – არის სიღარიბის ზოგადი მაჩვენებელი;

a - პარამეტრი, რომელიც აღნიშნავს სიღარიბის კონკრეტულ მაჩვენებელს;

h - შინამეურნეობა;

Z_h - ცალკეული შინამეურნეობის (h) სიღარიბის ზღვარი, რომელიც დამოკიდებულია შინამეურნეობის შემადგენლობაზე;

Y_h - ცალკეული შინამეურნეობის (h) შემოსავლის დონე;

Q – ღარიბ შინამეურნეობათა რაოდენობა;

H - შინამეურნეობების საერთო რაოდენობა.

სიღარიბის ზოგადი მაჩვენებლის ფოსტერი-გრიელი-ტორბეკეს ფორმულის გამოყენებით გამოიანგარიშება სიღარიბის ისეთი ძირითადი მაჩვენებლები, როგორებიცაა სიღარიბის კოეფიციენტი და სიღარიბის დონე, სიღარიბის სიღრმის ინდექსი და სიღარიბის სიმწვავის ინდექსი.

სიღარიბის კოეფიციენტი, სიღარიბის დონე (P_0 , როცა $a=0$) გამოხატავს ღარიბი შინამეურნეობების წილს შინამეურნეობების საერთო რაოდენობაში და გამოიხატება ფორმულით:

$$P_0 = \frac{1}{H} \sum_{h=1}^q \left(\frac{Zh - Yh}{Zh} \right)^0$$

სიღარიბის კოეფიციენტი გამოხატავს შინამეურნეობებათა საერთო რაოდენობაში თუ რამდენია ღარიბი ანუ გამოხატავს სიღარიბის გავრცელების მასშტაბს. ამასთან, ამ მაჩვენებლის საფუძველზე შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ

რამდენად ღარიბი არიბეი ერიან შინამეურნეობები ანუ რამდენად დაბალია მათი შემოსავლები.

ამ პრობლემის დასაძლევად გამოიყენება სხვა მაჩვენებლები, რომლებიც იძლევიან შემოსავლების მიხედვით სიღარიბის უფრო სიღრმისეულ დახასიათებას. ეს მაჩვენებლებია სიღარიბის სიღრმის ინდექსი და სიღარიბის სიმწვავის ინდექსი.

სიღარიბის სიღრმის ინდექსი (P_1 , როცა $a=1$) - არის მაჩვენებელი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რამდენად დაბალია სიღარიბის ზღვართან შედარებით ღარიბი შინამეურნეობების შემოსავლები:

$$P_1 = \frac{1}{H} \sum_{h=1}^q \left(\frac{Z_h - Y_h}{Z_h} \right)^1$$

სიღარიბის სიღრმის ინდექსი გამოხატავს ღარიბი მოსახლეობის (ღარიბი შინამეურნეობების) შემოსავლების დეფიციტს და აჩვენებს, თუ რამდენად ღარიბია ღარიბი მოსახლეობა (ღარიბი შინამეურნეობები).

სიღარიბის სიმწვავის ინდექსი (P_2 , როცა $a=2$) - გამოხატავს უთანასწორობას ღარიბ მოსახლეობას (შინამეურნეობებს) შორის. ეს არის მაჩვენებელი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რამდენად ღარიბია ყველაზე ღარიბი ადამიანი ან შინამეურნეობა.

$$P_2 = \frac{1}{H} \sum_{h=1}^q \left(\frac{Z_h - Y_h}{Z_h} \right)^2$$

სიღარიბის სიღრმისა და სიმწვავის ინდექსების გადიდება მიუთითებს ღარიბ ადამიანთა (შინამეურნეობების) მდგომარეობის გაუარესებაზე [224, გვ.56-58].

ცალკე უნდა აღინიშნოს სიღარიბის სხვა მაჩვენებელი, რომელიც შემუშავებულია ამარტია სენის მიერ და მიიღო სიღარიბის სინთეტიკური ინდიკატორის სახელწოდება.

ამარტია სენის **სიღარიბის სინთეტიკური ინდიკატორი** ანუ **სენის ინდექსი** აერთიანებს სამ ინდიკატორს, როგორცაა სიღარიბის გავრცელება, ღარიბ ადამიანთა

მატერიალური უკმარისობა და ღარიბ ადამიანთა შემოსავლების მიხედვის დაყოფა. სენის ინდექსი გამოიანგარიშება ფორმულით:

$$S = L \left(N + \frac{d}{P} Gp \right),$$

სადაც

S - სენის ინდექსი;

L - ღარიბი მოსახლეობის წილი;

N - შემოსავლის საშუალო დეფიციტის შეფარდება სიღარიბის ზღვართან;

d - ღარიბი შინამეურნეობების საშუალო შემოსავალი;

P - სიღარიბის ზღვარი;

Gp - ჯინის კოეფიციენტი ღარიბი შინამეურნეობებისათვის.

სენის ინდექსი მერყეობს ინტერვალში 0-დან 1-მდე. რაც უფრო ნაკლებია ღარიბი მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაცია და რაც ნაკლებია სიღარიბის დონე (გავრცელება), მით ახლოს მიდის სენის ინდექსი ნულთან. შემოსავლების დეფიციტისა და ღარიბი მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდა ანუ სიღარიბის პრობლემის გამწვავება, რომელსაც მოჰყვება ღარიბი მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაციის გაღრმავება, იწვევს სენის ინდექსის ზრდას და ის 1-სკენ მიისწრაფვის.

სენის ინდექსი ფართოდ გამოიყენება განსაზღვრულ დროით მონაკვეთებში სიღარიბის ტერიტორიული შედარებებისათვის.

მცირეშემოსავლიანი მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერის პროგრამების შემუშავებისას გამოიყენება ისეთი მონაცემი, როგორცაა ღარიბი შინამეურნეობების შემოსავლების დეფიციტი.

შინამეურნეობების შემოსავლების დეფიციტის მაჩვენებელი განისაზღვრება [242], როგორც ფულადი სახსრების ჯამი, რომელიც საჭიროა ღარიბი შინამეურნეობების შემოსავლების სიღარიბის ზღვრამდე გადიდებისათვის. შინამეურნეობების შემოსავლების დეფიციტის მაჩვენებელი განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$\Delta = C_{\min} \cdot P(U_{\min}) \cdot N_p - S_{\min} \cdot \mu \cdot N_p,$$

სადაც

- Δ - შინამეურნეობების შემოსავლების დეფიციტის მაჩვენებელია;
- C_{\min} - მოსახლეობის ყველა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით საშუალო საარსებო მინიმუმის მოცულობა;
- $P(U_{\min})$ - საარსებო მინიმუმზე დაბალი შემოსავლების მქონე მოსახლეობის ნაწილი;
- N_p - მოსახლეობის საერთო რაოდენობა;
- S_{\min} - საარსებო მინიმუმზე დაბალი შემოსავლების მქონე მოსახლეობის ჯამობრივი შემოსავლის წილი;
- μ - ფულადი შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე.

იმის გამო, რომ შემოსავლის დეფიციტის მოცულობაზე გავლენას ახდენენ ისეთი ფაქტორები, როგორცაა შინამეურნეობების შემადგენლობა, მასში შემავალი ადანიანების ასაკობრივი და სქესობრივი სტრუქტურა, შინამეურნეობების შემოსავლების დეფიციტის მაჩვენებლის გაანგარიშება ხდება ცალკეული შინამეურნეობების სახეების მიხედვით. ასეთი მიდგომიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს გაანგარიშებული შინამეურნეობების შემოსავლების დეფიციტის შემდეგი მაჩვენებლები:

- ფულადი შემოსავალი ერთ შინამეურნეობაზე;
- ფულადი შემოსავალი შინამეურნეობების ერთ წევრზე;
- მთელი მოსახლეობის ფულადი შემოსავალი, რომელიც გამოიანგარიშება ან აბსოლუტურ მონაცემებში, ან პროცენტებში მოსახლეობის მთელი ფულადი შემოსავლებიდან;
- დეფიციტის მოცულობის სტრუქტურა შინამეურნეობების განსხვავებული ჯგუფების მიხედვით;
- არსებული რესურსები ერთ შინამეურნეობაზე;

- არსებული რესურსები შინამეურნეობების ერთ წევრზე.

აღსანიშნავია, რომ სიღარიბე განიხილება უფრო ფართოდ, ვიდრე მხოლოდ შემოსავლების არასაკმარისობა. სიღარიბისადმი ფართო მიდგომიდან გამომდინარე შემუშავებულია ე.წ. „სიღარიბის ინდექსი“.

სიღარიბის ინდექსი (Human Poverty Index (HPI)) წარმოადგენს ინტეგრალურ მაჩვენებელს, რომელიც გამოხატავს ადამიანის ცხოვრების ხელმოკლეობის განსხვავებულ ასპექტებს ისეთი ძირითადი მახასიათებლების მიხედვით, როგორცაა განათლება, ცხოვრების ადეკვატური პირობები და სიცოცხლის ხანგრძლივობა.

ამასთან, სიღარიბის ინდექსის (HPI) განსაზღვრისათვის არსებობს ორი მეთოდიკა - ერთი განვითარებადი ქვეყნებისათვის (HPI-1) და მეორე - გარკვეული მაღალშემოსავლიანი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში (OECD) შემავალ ქვეყნებისათვის (HPI-2).

სიღარიბის ინდექსი განვითარებადი ქვეყნებისათვის (HPI-1) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$HPI - 1 = \left[\frac{1}{3} (P_1^\alpha + P_2^\alpha + P_3^\alpha) \right]^{\frac{1}{\alpha}}$$

სადაც


P_1 - მოსახლეობის წილი, რომელთა სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას 40 წელზე ნაკლებია;

P_2 - ზრდასრულთა წერა-კითხვის უცოდინარობის დონე;

P_3 - ღირსეული ცხოვრების დონის მაჩვენებელი, რომელიც მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორცაა 1). მოსახლეობის წილი, რომელთათვის ხელმიუწვდომია გაუმჯობესებული წყლის წყაროები და 2). ბავშვების წილი, რომელთაც მათი ასაკთან შედარებით აქვთ დაბალი წონა (იხ. სქემა 2.2.1.).

სიღარიბის ინდექსი განვითარებადი ქვეყნებისათვის (HPI-1)

სქემა 2.2.1:



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ [117] საფუძველზე

სიღარიბის ინდექსი განვითარებული ქვეყნებისათვის (HPI-2) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$HPI - 2 = \left[\frac{1}{4} (P_1^\alpha + P_2^\alpha + P_3^\alpha + P_4^\alpha) \right]^{\frac{1}{\alpha}}$$


სადაც

- P₁ - მოსახლეობის წილი, რომელთა სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას 60 წელზე ნაკლებია;
- P₂ - ზრდასრულ მოსახლეობას შორის ფუნქციონალურად წერა-კითხვის უცოდინართა დონე (ანუ, წაკითხვის გაგების შეუძლებლობა);
- P₃ - შემოსავლებით ღარიბთა წილი; სიღარიბის ზღვარი დგინდება პირადი შემოსავლის 50%-იან მედიანურ ზღვარზე;

P4 - გრძელვადიანი (12 თვე და მეტი) უმუშევრობის დონე (იხ.სქემა 2.2.2.):

სიღარიბის ინდექსი განვითარებული ქვეყნებისათვის (HPI-2)

სქემა 2.2.2:



სიღარიბის ინდექსი განვითარებული ქვეყნებისათვის (HPI-2)

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ [117] საფუძველზე

სიღარიბის ინდექსი იყო შემუშავებული გაეროს მიერ, როგორც ადამიანის განვითარების ინდექსის შემავსებელი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის (United Nations Development Programme (UNDP)) მიერ ეს ინდექსი გამოიყენებოდა 1997 წლიდან 2010 წლამდე, როცა მოხდა მისი ჩანაცვლება სხვა მაჩვენებლთ - სიღარიბის მრავალგანზომილებიანი გლობალური ინდექსით, რომელიც შემუშავებულია ოქსფორდის სიღარიბისა და ადამიანის განვითარების ინიციატივითა (Oxford Poverty & Human Development Initiative) და გაეროს განვითარების პროგრამით (UNDP).

სიღარიბის მრავალგანზომილებიანი გლობალური ინდექსი (Global Multidimensional Poverty Index (MPI)) [51; 52] წარმოადგენს სიღარიბის გაზომვის საერთაშორისო საზომს, რომელიც მოიცავს მსოფლიოს 100-ზე მეტ განვითარებად ქვეყანას. სიღარიბის გაზომვის შემოსავალზე დაფუძნებულ ტრადიციულ მიდგომისა და განსხვავებით, ამ ინდექსში დამატებით შეყვანილია განათლებასთან, ჯანმრთელობასთან და ცხოვრების სტანდარტებთან დაკავშირებული დანაკარგები, რომლებიც სიღარიბით არის გამოწვეული.

სიღარიბის მრავალგანზომილებიანი გლობალური ინდექსი სიღარიბეს განიხილავს ინდივიდის დონეზე.

სიღარიბის ინდექსის (HPI) მსგავსად, სიღარიბის მრავალგანზომილებიანი გლობალური ინდექსი მოიცავს სამ მაჩვენებელს: ჯანმრთელობას, განათლებას და ცხოვრების სტანდარტებს. ამასთან, ჯანმრთელობის მაჩვენებელი შედგება ორი ინდიკატორისგან - ბავშვთა სიკვდილიანობა და კვება; განათლების მაჩვენებელი, აგრეთვე, მოიცავს ორ ინდიკატორს - სკოლაში გატარებულ წლებს და სკოლაში დასწრებას, ხოლო ცხოვრების სტანდარტების მაჩვენებელი მოიცავს ექვს ინდიკატორს - კერძის მომზადებისთვის საწვავ მასალას, ტუალეტს, წყალს, ელექტროენერჯიას, საცხოვრებელს და აქტივებს (იხ.სქემა 2.2.3.).


ამასთან, თითოეულ მაჩვენებელს და ყოველ ინდიკატორს აქვთ ერთნაირი მნიშვნელობა და, შესაბამისად, ერთნაირი წონალობა (შეფასება).

განვსაზღვროთ, თუ რას ნიშნავს თითოეული ინდიკატორი, რომელიც გამოიყენება სიღარიბის მრავალგანზომილებიანი გლობალური ინდექსიში (MPI).

თუ პიროვნება მოკლებულია ათი ინდიკატორიდან სამს და მეტს, გლობალური ინდექსი განიხილავს მას, როგორც „ღარიბს MPI-ს მიხედვით“ და მისი სიღარიბე იზომება იმ ინდიკატორების რაოდენობით, რამდენსაც ის არის მოკლებული.

სიღარიბის მრავალგანზომილებიანი გლობალური ინდექსი (MPI)

სქემა 2.2.3:



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ [117; 51; 52] საფუძველზე

სიღარიბის მრავალგანზომილებიანი ინდექსი (MPI) გამოიყენება სიღარიბეში მცხოვრებ ადამიანთა შესახებ სრული სურათის შესაქმნელად. ამ ინდექსის მეშვეობით შესაძლებელია სიღარიბეში მცხოვრებ ადამიანთა შესახებ შედარებითი ანალიზის გაკეთება ქვეყნებს შორის, რეგიონებს შორის, ცალკეული ქვეყნის ფარგლებში განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფებს შორის, ქალაქ-სოფლის დონეზე, შიდამეურნეობებისა და სხვადასხვა საზოგადოებებს (თემებს) შორის.

ასეთი შესაძლებლობების გამო სიღარიბის მრავალგანზომილებიანი ინდექსი (MPI) გვევლინება ძალზე სასარგებლო ინსტრუმენტად სიღარიბის და დროში ღარიბთა

შორის უღარიბეს ადამიანთა გამოყოფისათვის და ადეკვატური სიღარიბის საწინააღმდეგო პროგრამების შემუშავებისათვის.

სიღარიბის მრავალგანზომილებიანი გლობალური ინდექსი განისაზღვრება ფორმულით:

$$MPI = H \times A,$$

სადაც

H - ადამიანთა წილი (%-ში), რომლებიც MPI-ს მიხედვით არიან ღარიბები;

A - MPI-ს მიხედვით ღარიბთა შორის სიღარიბის საშუალო ინტენსიურობა.

ამასთან, პირველი კომპონენტის - H - გაანგარიშება ხდება ფორმულით:

$$H = \frac{q}{n},$$

სადაც

H - ადამიანთა წილი (%-ში), რომლებიც MPI-ს მიხედვით არიან ღარიბები;

q - მრავალმხრივად ღარიბები ადამიანთა რაოდენობა,

n - მოსახლეობის საერთო რაოდენობა.

მეორე კომპონენტი - A, ანუ სიღარიბის საშუალო ინტენსიურობა, გამოისახება ფორმულით:

$$A = \frac{\sum_{i=1}^n c_i(k)}{q}$$

სადაც

A - სიღარიბის საშუალო ინტენსიურობა;

$c_i(k)$ – i ინდივიდის შემოწმებული დანაკარგების ქულა;

q – მრავალმხრივად ღარიბ ადამიანთა რაოდენობა.

არსებობს საარსებო სიღარიბის გაზომვის კიდევ ერთი მეთოდი, რომელიც ეფუძნება საარსებო მინიმუმის ფორმირებას და რომელსაც ეწოდება **ფარდობითი**

მეთოდი ან მედიანული შემოსავლის გაანგარიშების მეთოდი. ეს მეთოდი გამოიყენება ძირითადად განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში.

მედიანული შემოსავალი წარმოადგენს ისეთ შემოსავალს, რომლის დროს ქვეყნის მოსახლეობის ერთ ნახევარს აქვს ამ ზღვარზე მაღალი შემოსავალი, ხოლო მეორე ნახევარს გააჩნია ამ ზღვარზე დაბალი შემოსავალი. მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, აშშ-ში, ბრიტანეთსა და გერმანიაში საარსებო მინიმუმი დგინდება 40%-ან ზღვარზე, ფინეთში, იტალიაში, საბერძნეთსა და ესპანეთში - 50%-ან ზღვარზე, ხოლო პორტუგალიასა და ირლანდიაში - 60%-ან ზღვარზე [230].

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [40, გვ.49] ავრცელებს სიღარიბის გაზომვის ისეთ მაჩვენებლებს, როგორცაა ფარდობითი სიღარიბე, აბსოლუტური სიღარიბე, რეგისტრირებული სიღარიბე და, აგრეთვე, ჯინის კოეფიციენტი და განსაზღვრავს ამ მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგიას.


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური განასხვავებს სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილს როგორც მთლიანად ქვეყნის მასშტაბით, ასევე ქალაქ-სოფლის ჭრილში.

როგორც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებიდან ჩანს, 2011-დან 2016 წლამდე აბსოლუტური სიღარიბის პირობებში მცხოვრები მოსახლეობის წილი მცირდება, როგორც ქალაქებში, ასევე სოფლად, თუმცა სოფლებში სიღარიბის ზღვარს ქვევით ცხოვრობს მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილი, ვიდრე ქალაქებში (იხ.დიაგრამა 2.2.1.):

ფარდობითი სიღარიბე, რომელიც შეფასებულია შინამეურნეობების მთლიანი მოხმარების საფუძველზე ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ მოსახლეზე გადაანგარიშებით ერთობლივი მოხმარების (თანაცხოვრების) ეფექტის გათვალისწინებით, ეფუძნება ისეთ ორ განსხვავებულ ზღვარს, როგორცაა მედიანური მოხმარების 60 პროცენტი და მედიანური მოხმარების 40 პროცენტი.

აბსოლუტური სიღარიბე (საქართველო, %)

დიაგრამა 2.2.1.:



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ [<http://geostat.ge>] საფუძველზე

მედიანური მოხმარების 60 პროცენტი და მედიანური მოხმარების 40 პროცენტი

- ეს არის ფარდობითი ზღვრები, რომლებიც მთლიანი მოხმარების მიხედვით მოსახლეობის განაწილების მედიანიდან აითვლება.

- მედიანური მოხმარების 60 პროცენტი არის მოხმარების მიხედვით მოსახლეობის განაწილების მედიანა მოხმარების ისეთი სიდიდე, როდესაც მოსახლეობის ნახევარი (50 პროცენტი) მასზე არანაკლებს მოიხმარს.
- მედიანური მოხმარების 40 პროცენტი არის მოხმარების მიხედვით მოსახლეობის განაწილების მედიანა მოხმარების ისეთი სიდიდე, როდესაც მოსახლეობის ნახევარი (50 პროცენტი) მასზე არაუმეტესს მოიხმარს.


ამასთან, ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებელი გამოიანგარიშება, როგორც მთლიანად სახელმწიფოსათვის, ასევე ცალკე ქალაქსა და სოფლისათვის. ამ

მაჩვენებლის დინამიკა 2004-დან 2016-თ წლამდე მოცემულია დიაგრამებზე 2.2.2. და 2.2.3.

როგორც მოცემული დიაგრამიდან ჩანს (იხ.დიაგრამა 2.2.2.), მედიანური მოხმარების 60%-ის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი საქართველოს ქალაქებში ავლენენ შემცირების ტენდენციას და 2004 წლის 22%-ანი მაჩვენებლიდან 2016 წელს 14%-მდე შემცირდა, მაშინ როცა სოფლად ამ მაჩვენებლისთვის დამახასიათებელია გარკვეული სტაბილურობა და ეს მაჩვენებელი მერყეობდა 19%-23%-ის ფარგლებში, რამაც იმოქმედა საქართველოს მასშტაბით მედიანური მოხმარების 60%-იან ზღვარს ქვევით მცხოვრებ მოსახლეობის რაოდენობაზე და მოცემული პერიოდის მანძილზე ამ მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა 24%-დან 20%-მდე.

**მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი
(%, საქართველო, 2004-2016 წწ)**

დიაგრამა 2.2.2:




წყარო: შედგენილია ავტორის მიერ [<http://geostat.ge>] საფუძველზე

რაც შეეხება მედიანური მოხმარების 40%-ის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილს, 2004-დან 2016 წლამდე ეს მაჩვენებელი საქართველოს ქალაქებში შემცირდა 8,5%-დან 4,2%-მდე, ხოლო სოფლად შემცირდა 12,5%-დან 9%-მდე (იხ. დიაგრამა 2.2.3.):

**მედიანური მოხმარების 40 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი, %
(საქართველო, 2004-2016 წწ.)**

დიაგრამა 2.2.3:



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ [<http://geostat.ge>] საფუძველზე

რეგისტრირებული სიღარიბე საქართველოში ორი მაჩვენებლის - საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობისა და ქვეყნის მთელ მოსახლეობაში შემწეობის მიმღები მოსახლეობის წილის - საფუძველზე გამოიანგარიშება. ამ მონაცემებს ავრცელებს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ინფორმაციის წყაროს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტო წარმოადგენს.

საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობის დადგენა ხდება სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების საფუძველზე. საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობის მეთოდოლოგია მუშავდება საქართველოს მთავრობის მიერ²⁵.

საქართველოში გამოიყენება სიღარიბის გაზომვის კიდევ ერთი მაჩვენებელი - ჯინის კოეფიციენტი.

ჯინის კოეფიციენტი (Gini coefficient) - ეს არის რაოდენობრივი მაჩვენებელი, რომელიც განსაზღვრავს შემოსავლების განაწილების განსხვავებული ვარიანტების უთანაბრობის ხარისხს. ჯინის კოეფიციენტი მერყეობს 0-დან 1-მდე და რაც უფრო ახლოს არის მაჩვენებელი 0-თან, მით უფრო თანაბრად არის განაწილებული შემოსავლები ქვეყანაში ან რეგიონში, ხოლო რაც უფრო ახლოს არის ჯინის კოეფიციენტი 1-თან, მით უფრო დიდია განსხვავება შემოსავლების განაწილებაში ანუ აბსოლუტურად თანაბარი განაწილების პირობებში ჯინის კოეფიციენტი ნულის ტოლია, ხოლო აბსოლუტური უთანაბრობის დროს ჯინის კოეფიციენტი უდრის 1-ს.

ჯინის კოეფიციენტი გაიანგარიშება ფორმულით [222]:

$$G = \frac{\sum_{i=1}^n \sum_{j=1}^n |y_i - y_j|}{2n^2 \bar{y}}$$

სადაც

G - ჯინის კოეფიციენტი;

\bar{y} - შინამეურნეობების შემოსავლების წილების საშუალო არითმეტიკული;

n - შინამეურნეობების რაოდენობა.

ჯინის კოეფიციენტის გაიანგარიშება, აგრეთვე, **ბრაუნის ფორმულით**:

$$G = |1 - \sum_{k=2}^n (X_k - X_{k-1})(Y_k - Y_{k-1})|,$$

სადაც

G - ჯინის კოეფიციენტი;

²⁵ დაწვრილებით იხ. მოცემული ნაშრომის მესამე თავის მეორე პარაგრაფი.

X_k - მოსახლეობის აკუმულირებული წილი (მოსახლეობა წინასწარ არის რანჟირებული შემოსავლების ზრდის მიხედვით);

Y_k - შემოსავლების წილი, რომელსაც იღებს X_k ;

n - საოჯახო მეურნეობების რაოდენობა [222].

შემოსავლის განაწილება არათანაბრად ხდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. შემოსავლების განაწილების უთანაბრობის ყველაზე მაღალი დონით გამოირჩევა ნამიბია, ბოტსვანა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, სადაც ჯინის კოეფიციენტი აღემატება 0.60 ანუ $G \geq 0.60$. შემოსავლების განაწილების უთანაბრობა ასევე მაღალია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ჩილეში, კოლუმბიაში, პანამაში, სადაც ჯინის კოეფიციენტი მერყეობს 0.55-დან 0.69-მდე ანუ $G(0.55-0.59)$ (იხ.ნახაზი 2.2.1.).

ავსტრალიაში, ფინეთში, ნორვეგიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ხორვატიაში, უზბეკეთში შემოსავლების უთანაბრობა შედარებით რბილ ფორმას იღებს და ამ ქვეყნებში ჯინის კოეფიციენტი მერყეობს 0.25-დან 0.29-მდე ანუ $G(0.55-0.59)$.

შემოსავლების განაწილების უთანაბრობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება გრენლანდია, იაპონია, შვედეთი და ავსტრია. ამ ქვეყნებში ჯინის კოეფიციენტი 0.25-ზე ნაკლებია ($G < 0.25$).



საქართველოში სტატისტიკის ეროვნული სამსახური განსაზღვრავს ჯინის კოეფიციენტს, როგორც უთანაბრობის მაჩვენებელს, რომელიც გვიჩვენებს რაიმე მაჩვენებლის ფაქტობრივი განაწილების გადახრას მათი თანაბარი განაწილების ხაზიდან. ამასთან თანაბარი განაწილებისას ჯინის კოეფიციენტი ნულის ტოლია, აბსოლუტური უთანაბრობისას კი – ერთის [40, გვ.48].

ამასთან, საქართველოში სტატისტიკის ეროვნული სამსახური განსაზღვრავს ჯინის კოეფიციენტებს სხვადასხვა კრიტერიუმების საფუძველზე, კერძოდ: მთლიანი შემოსავლების, მთლიანი ფულადი სახსრების, მთლიანი სახსრების, მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების, მთლიანი ფულადი ხარჯების და მთლიანი ხარჯების მიხედვით [40, გვ.57].

ჯინის კოეფიციენტი მსოფლიოს რუკაზე

(თუ $G=1$, ყველა შემოსავალი კონცენტრირებულია ერთი ადამიანის ხელში)


ნახაზი 2.2.1.



ჯინის კოეფიციენტი, გაანგარიშებული მთლიანი შემოსავლების, მთლიანი ფულადი სახსრების და, აგრეთვე, მთლიანი სახსრების მიხედვის (იხ. დიაგრამა 2.2.4.) 2009-დან 2016-მდე შემცირდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ მაჩვენებლების მიხედვით საქართველოს მოსახლეობა უფრო თანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვინაიდან ჯინის კოეფიციენტის ეს კრიტერიუმები შემცირდნენ დაახლოებით 0,05-ით. რაც შეეხება სხვა კრიტერიუმებით გაანგარიშებულ ჯინის კოეფიციენტს, ისინი თითქმის შეუცვლელი დარჩნენ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში.

ჯინის კოეფიციენტები საქართველოში

დიაგრამა 2.2.4:



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ [<http://geostat.ge>] საფუძველზე

სიღარიბის გაზომვის ზემოთ მოყვანილი მიდგომები გამომდინარეობს, პირველ რიგში, ფულადი შემოსავლის არასაკმარისობიდან ანუ ეფუძნება სიღარიბის გაგების მონეტარულ მიდგომას. ამ მიდგომასთან ახლოს დგას სიღარიბის მატერიალური მიდგომა (იხ. სიღარიბის მონეტარული და მატერიალური ტიპები). გარდა ამისა, უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო გავრცელებული ხდება სხვა მიდგომა, რომელიც სიღარიბის განსაზღვრის მატერიალური შემადგენლების გარდა მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორცაა ჯანმრთელობის დაცვა, განათლების მიღება, სუფთა წყლის ხელმისაწვდომლობა და ა.შ. (მაგ., სიღარიბის ინდექსი (HPI-1) და (HPI-2), სიღარიბის მრავალგანზომილებიანი გლობალური ინდექსი (MPI) და სხვ.).

სიღარიბის გაზომვის ცალკე აღებული არც ერთი ზემოთ აღნიშნული მაჩვენებელი არ იძლევა სრულყოფილ წარმოდგენას ამ რთულ და მრავალწახნაგოვან მოვლენაზე და მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას სიღარიბის გაზომვისადმი. ამ თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიგვაჩნია მივმართოთ მსოფლიოს რიგი ქვეყნების პრაქტიკას და სიღარიბის კვლევისა და შეფასებისას გამოვიყენოთ სიღარიბის რამდენიმე ზღვრის შემუშავების მეთოდი.


2.3. სიღარიბის გამომწვევი მიზეზების განსაზღვრის პრობლემა

მიუხედავად იმისა, რომ დღეს სამყარო უფრო მდიდარია, ვიდრე ის ორასი წლის წინ იყო [105], ეკონომიკური უთანასწორობა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის, უთანასწორობა თვით განვითარებულ ქვეყნებში და განვითარებად ქვეყნებში კიდევ უფრო გაიზარდა. 1980-ან წლებიდან და, განსაკუთრებით, 2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდგომ პერიოდში, ქონებრივი უთანაბრობა უფრო მეტად გაძლიერდა [204] და დღეს მსოფლიო მოსახლეობის 70% ცხოვრობს ქვეყნებში, რომლებშიც ეკონომიკური უთანასწორობა გაღრმავდა უკანასკნელ 30 წლის მანძილზე. თუ მე-19 საუკუნის დამდეგს დასავლეთის სამყაროს ქვეყნების სიმდიდრე 90%-ით აღემატებოდა სხვა დანარჩენი სამყაროს სიმდიდრეს, 21 საუკუნისთვის ამ განსხვავებამ 750%-ს მიაღწია [97, გვ.9].

ქვეყნებს შორის ეკონომიკური არათანაბარი განვითარება შეიძლება განხილული იქნას, როგორც *ისტორიულ ჭრილში*, ასევე *მიმდინარე პერიოდში*. *ისტორიულ ჭრილში* ეკონომიკის არათანაბარი განვითარება გამოისახება, პირველ რიგში, მოსახლეობის ერთ სულზე ქვეყნებში დაგროვებული სიმდიდრის მოცულობის არათანაბარ განაწილებაში, ხოლო *მიმდინარე პერიოდში* - მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის არათანაბარ განაწილებაში ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის არა აბსოლუტურ, არამედ შეფარდებით მოცულობაში (იხ.ნახაზი 2.3.1.):

მშპ და სიმდიდრის განაწილება ერთ ზრდასრულ მოსახლეზე ქვეყნების მიხედვით (აშშ დოლარებში, 2016 წელი)

ნახაზი 2.3.1.:




წყარო: შედგენილია ავტორის მიერ. საფუძველი:

- 1). GDP: World Development Indicators, World Bank
- 2). Credit Suisse Global Wealth Databook 2016

არათანაბრად არის განაწილებული, აგრეთვე, ქვეყნებს შორის მსოფლიო სიმდიდრე. მსოფლიო სიმდიდრის ყველაზე დიდი წილი - 33,2% - თავმოყრილია აშშ-ში. მსოფლიოს კიდევ 13 ქვეყანა ფლობს თითოეული მსოფლიო სიმდიდრის 1%-ზე მეტს (კერძოდ, იაპონია ფლობს მსოფლიო სიმდიდრის 9,4%-ს, ჩინეთი - 9.1%-ს, გაერთიანებული სამეფო - 5,5%-ს, იტალია - 3,9%-ს, გერმანია - 4,9%-ს, საფრანგეთი - 4,7%-ს, კორეა - 2,5%-ს, ავსტრალია - 2,5%-ს, ტაივანი - 1,3%-ს, ინდოეთი - 1,2%-ს, ბრაზილია 1%-ს), რაც საერთო ჯამში 49,1% შეადგენს, ხოლო მსოფლიოს დანარჩენი 202 ქვეყანა, Global Wealth Databook მიხედვით, ფლობს მსოფლიო სიმდიდრის დარჩენილ 17,7%-ს (იხ. დიაგრამა 2.3.5.):

ქვეყნების წილი მსოფლიოს სიმდიდრეში (%-ში, 2016 წელი)

დიაგრამა 2.3.5.:



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ. საფუძველი:

- 1). GDP: World Development Indicators, World Bank
- 2). Credit Suisse Global Wealth Databook 2016

კითხვაზე, თუ რატომ არიან ზოგი ქვეყნები მდიდრები და სხვები სიღარიბეში აგრძელებენ ცხოვრებას, ცალსახა პასუხის გაცემა რთულია. ამერიკელი ეკონომისტი, პოლონეთში, ბოლივიასა და რუსეთში გატარებული „შოკური თერაპიის“ პოლიტიკის ერთ-ერთი ავტორი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანის მრჩეველი მდგრადი განვითარების საკითხებში ჯეფრი დევიდ საქსი (*Jeffrey David Sachs*) გამოყოფს ქვეყნების სიღარიბეში დარჩენის შვიდ მიზეზს [239]:

1. „სიღარიბის ხაფანგი“: როცა ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისათვის ქვეყანას საკუთარ ეკონომიკაში ინვესტიციების განხორციელება არ შეუძლია, ის „სიღარიბის ხაფანგში“ რჩება;

2. *მცდარი ეკონომიკური პოლიტიკა*: როცა ქვეყანა უარს ამბობს საბაზრო ურთიერთობებსა და საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვაზე;
3. *ფინანსური გადახდისუუნარობა*, როცა მოუწესრიგებელია სახელმწიფოს ხარჯები, დაბალია გადასახადები, ადგილი აქვს საომარ მდგომარეობას;
4. *ცუდი მმართველობა*, როცა მძვინვარებს კორუფცია, მართვა არის არაეფექტიანი და ხორციელდება არაკომპეტენტური პირების მიერ;
5. *არახელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობა*, რაც გამოიხატება ბუნებრივი რესურსების სიმწირეში, ცენტრალური სატრანსპორტო სისტემებიდან დაცილებაში, ცუდი კლიმატური პირობებში;
6. *კულტურული ბარიერები*, რაც გამოიხატება გენდერულ უთანასწორობაში და დისკრიმინაციაში;
7. *გეოპოლიტიკა* ანუ ურთიერთობები მეზობლებთან, მოკავშირეებთან თუ მოწინააღმდეგეებთან, ქვეყნის კოლონიალური ისტორია.

სიღარიბის პრობლემის ყოველმხრივი და საფუძვლიანი კვლევისათვის მეთოდოლოგიურად მიზანშეწონილია მისი განხილვა ორი პოზიციის საფუძველზე: პიროვნების ან შინამეურნეობის პოზიციიდან გამომდინარე და საზოგადოების პოზიციიდან გამომდინარე ანუ მიკრო-დონეზე და, მაკრო/მეზო-დონეზე. ამგვარი მიდგომიდან გამომდინარე, პასუხი უნდა გაეცეს შემგედ კითხვებს:

1. საზოგადოების პოზიციიდან გამომდინარე: რა იწვევს ქვეყნებისა და ერების სიღარიბეს? რატომ არიან ერთი სახელმწიფოებები მდიდრები, ხოლო მეორენი - ღარიბები? რატომ მდიდრდებიან მდიდარი სახელმწიფოები უფრო მეტად მაშინ, როცა ღარიბი ქვეყნები სულ უფრო ღარიბები ხდებიან? როგორ შეიძლება ღარიბმა ქვეყნებმა და ერებმა თავი დააღწიონ საღარიბეს?
2. *ინდივიდის* (ცალკეული პიროვნების ან ადამიანთა ჯგუფის, შინამეურნეობის) პოზიციიდან გამომდინარე: რა იწვევს ადამიანთა სიღარიბეს? რატომ არიან ადამიანები ღარიბები და რატომ არ შეუძლიათ მათ დააღწიონ თავი სიღარიბეს? რატომ არიან ზოგი ადამიანები ძალიან მდიდრები და სხვები ძალიან ღარიბები?

რატომ ხდება, რომ მდიდარი ადამიანები უფრო მდიდრდებიან, ხოლო ღარიბი ადამიანები კიდევ მეტად ღარიბდებიან? რა უნდა გაკეთდეს, რათა ღარიბმა ადამიანებმა დაძლიონ თავიანთი სიღარიბე? ვინ აგებს პასუხს სიღარიბეზე - თავად ღარიბი ადამიანები თუ საზოგადოება?

სიღარიბის პრობლემის გაგება და მის დაძლევაზე მიმართული ღონისძიებების განსაზღვრა დიდწილად დამოკიდებულია სიღარიბის გამომწვევი მიზეზების გაგებაზე.

სიღარიბის გამომწვევი მიზეზების გაგებითვის მიზანშეწონილია ამ მიზეზების განხილვა განსხვავებული კრიტერიუმების მიხედვით. ამ კრიტერიუმების ჩამოყალიბებას განვახორციელებთ სიღარიბის განსხვავებული თეორიების²⁶ საფუძველზე. ამასთან, განვსაზღვრავთ თითოეული კრიტერიუმის დამახასიათებელ ნიშნებს.

სიღარიბის მრავალი გამომწვევი მიზეზი შეიძლება პირობითად დავაჯგუფოთ ამ მიზეზების გამოვლენის მასშტაბისა და გამოვლენის ხასიათის მიხედვით.


გამოვლენის მასშტაბის მიხედვით სიღარიბის გამომწვევი მიზეზები შეიძლება განხილული იყოს საზოგადოების და ინდივიდის დონეზე²⁷ ანუ მაკრო/მეზოეკონომიკურ დონეზე და მიკროეკონომიკურ დონეზე, ხოლო *გამოვლენის ხასიათის მიხედვით* სიღარიბის გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს დაყოფილი ობიექტური ხასიათის მქონე მიზეზებად და სუბიექტური ხასიათის მქონე მიზეზებად (იხ.სქემა 2.3.5.):

²⁶ იხ. მოცემული კვლევის პირველი თავი.

²⁷ რაც შეესაბამება სიღარიბის კლასიფიკაციის კრიტერიუმს “სიღარიბის გავრცელების მასშტაბი“ და სიღარიბის შესაბამის ტიპებს (იხ. მოცემული ნაშრომის მეორე თავის პირველი პარაგრაფი და ცხრილი 2.1.2.).

სიღარიბის გამომწვევი მიზეზები

სქემა 2.3.5.



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

ობიექტური ხასიათის მქონე მიზეზებში იგულისხმება ადამიანების ნება-სურვილისაგან მეტწილად დამოუკიდებელი მიზეზებით გამოწვეული სიღარიბე ანუ ე.წ. გარე ფაქტორებით გამოწვეული სიღარიბე, ხოლო სუბიექტური ხასიათის მქონე მიზეზებში ვგულისხმობთ ადამიანებზე მეტწილად დამოკიდებული ან მათთან უშუალოდ დაკავშირებული მიზეზებით გამოწვეული სიღარიბე.

საზოგადოების დონეზე გამოვლენილი სიღარიბის მიზეზებს შორის შეიძლება აღინიშნოს (მაკრო/მეზოეკონომიკური დონე):

- საზოგადოებაში არსებული *არახელსაყრელი ეკონომიკური კონიუნქტურა* და მის მიერ გამოწვეული უმუშევრობა, დაბალი ხელფასები ან ხელფასების გაუცემლობა, ინფლაცია და სხვ.;

- პოლიტიკური არასტაბილურობა - ომები, ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტები და სხვ.;
- სამთავრობო ორგანოების არასწორი პოლიტიკა - ეკონომიკაში შექმნილ სიტუაციაზე არაადეკვატური ან/და დაგვიანებული რეაგირება;
- ეკოლოგიური კატაკლიზმები - მიწისძვრები, ცუნამი, ზვავი და სხვ.;
- რეგიონულ-გეოგრაფიული განსხვავებები (ღარიბი ადგილები) - ცალკეული რეგიონებისა და ტერიტორიების არათანაბარი ეკონომიკური განვითარება, ბუნებრივი რესურსების არათანაბარი განლაგება, მიწის დაბალი ნაყოფიერება და სხვ.;
- კლიმატური განსხვავებები - უდაბნოები, გვალვა და სხვ.;
- სამუშაოს სეზონურობა - საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე დასაქმების და, მაშასადამე, შემოსავლების არასტაბილურობა წლის მანძილზე;
- კულტურული განსხვავებები - ცალკეულ ადგილებზე (ტერიტორიებზე) ანდა ადამიანთა ჯგუფებში ჩამოყალიბებული რელიგიურ-ფილოსოფიური ცხოვრების წესი, რომელიც უარყოფს სწრაფვას მატერიალურ კეთილდღეობისკენ;
- შემოსავლების დაბალი დონე - ხელფასის, პენსიების, შემწეობების არასაკმარისობა, მინიმალური ხელფასის არდაწესება;
- მდიდარი ადამიანთა მიერ გადასახადების გადაუხდელობა (დაფარვა) - ზღუდავს შესაძლებლობას შემოსავლების გადანაწილებისათვის ღარიბთა სასარგებლოდ.

ინდივიდის დონეზე გამოვლენილი სიღარიბის მიზეზებს შორის შეიძლება იქნეს დასახელებული (მიკროეკონომიკური დონე):

- განათლების დაბალი დონე - ადამიანს არ აძლევს საშუალებას დაიკავოს მაღალშემოსავლიანი სამუშაო ადგილები;
- ჯანმრთელობის მდგომარეობა - სხვადასხვა მიზეზებით ჯანმრთელობის გაუარესება ადამიანს ზოგჯერ (საერთოდ ან ნაწილობრივად) აკარგვინებს უნარს

სრულფასოვნად მიიღოს მონაწილეობა შრომით საქმიანობაში და, მაშასადამე, შემოსავალი;

– *ხანდაზმულობა* - უფროსი თაობების ადამიანებს ასაკის მომატებასთან ერთად შეიძლება დაუქვეითდეს შრომისუნარიანობა და, შესაბამისად, შემოსავლის მიღების შესაძლებლობა;

– *სოციალური კაპიტალის (სოციალური ურთიერთობების, სოციალური კავშირების) დაბალი დონე* – მათ, ვისაც არ გააჩნია საჭირო სოციალური კონტაქტები (კავშირები)²⁸, ნაკლებად არიან ინფორმირებულები კარგი სამუშაო ადგილების არსებობის შესახებ, მათ ნაკლებად შეუძლიათ კარგი სამუშაო ადგილების დაკავება და, მაშასადამე, შემოსავლების მიღება;

– *სიღარიბის თვითწარმოშობა* - ადამიანის, ოჯახის (სოციალური ჯგუფის, ქვეყნის) ცხოვრების დაბალი დონის აღწარმოება და ე.წ. „სიღარიბის მანკიერი წრის“ წარმოშობა, როცა ღარიბი ოჯახები თუ სოციალური ჯგუფები ვერ უზრუნველყოფენ თავისი შვილების (ჯგუფის წევრების) მომავალში შემოსავლის მაღალი დონის მიღწევისათვის საჭირო სასტარტო პირობებს (მატერიალურ მდგომარეობას და, აქედან - განათლების საჭირო დონესა და აგრეთვე საჭირო სოციალურ კონტაქტებსა და სხვ.). იგივე ეხება ღარიბ ქვეყნებს. ამ ქვეყნების მოსახლეობა ვერ იძენს წარმოებულ პროდუქციას, რასაც მოყვება წარმოების პროცესის შეფერხება, დასაქმების პრობლემის ზრდასა და, აქედან გამომდინარე - შემოსავლების შემცირება. ღარიბი ოჯახებისთვის, სოციალურ ჯგუფებისა თუ ქვეყნებისათვის ძალზე გართულებულია სიღარიბიდან გამოსვლა.

– *ასოციალური თვისებები (ინდივიდის ასოციალური ქცევა)* - ნარკოტიკების მოხმარება, ლოთობა, სიზარმაცე, პარაზიტიზმი და ა.შ.;

²⁸ როგორც აღნიშნავდა **ამარტია სენი** (Amartya Sen, დაბ. 1933წ.), 1988 წლის ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატი, რომელიც მას მიენიჭა კეთილდღეობის თეორიის განვითარებაში შეტანილი წვლილის გამო, თავის ცნობილ წიგნში „შიმშილის პოლიტიკური ეკონომია“, სიღარიბე არ არის დაკავშირებული საქონლის რაოდენობასთან, არამედ განისაზღვრება სოციალური შესაძლებლობებით მიიღონ წვდომა ამ რესურსებთან [166; 167; 168].

- ინერტულობა - რეალობის პასიური აღქმა, არსებული (დარიბული) ცხოვრების წესის შეცვლის სურვილის უქონლობა, ცხოვრებისადმი შეუგუებლობა და სხვ.

სიღარიბის გამომწვევი მიზეზების კლასიფიკაცია

ცხრილი 2.3.1.

	<i>საზოგადოების დონის მიზეზები</i> (მაკრო/მეზოეკონომიკური დონე):	<i>ინდივიდის დონის მიზეზები</i> (მიკროეკონომიკური დონე):
ობიექტური ხასიათის მიზეზები	<ul style="list-style-type: none"> ▪ არახელსაყრელი ეკონომიკური კონიუნქტურა ▪ პოლიტიკური არასტაბილურობა ▪ ეკოლოგიური კატაკლიზმები ▪ მუშაობის სეზონურობა ▪ კულტურული განსხვავებები ▪ კლიმატური განსხვავებები ▪ შემოსავლების დაბალი დონე 	<ul style="list-style-type: none"> ▪ განათლების დაბალი დონე ▪ ჯანმრთელობის მდგომარეობა ▪ ხანდაზმულობა
სუბიექტური ხასიათის მიზეზები	<ul style="list-style-type: none"> ▪ სამთავრობო ორგანოების არასწორი პოლიტიკა ▪ მდიდარი ადამიანთა მიერ გადასახადების გადაუხდელობა 	<ul style="list-style-type: none"> ▪ განათლების დაბალი დონე ▪ ხანდაზმულობა ▪ სოციალური კაპიტალის დაბალი დონე ▪ სიღარიბის თვითწარმოშობა ▪ ასოციალური თვისებები და ქცევა ▪ ინერტულობა

წყარო: შედენილია ავტორის მიერ

ამგვარად, ჩვენს მიერ გამოყოფილი იქნა სიღარიბის გამომწვევი მიზეზების ოთხი ჯგუფი:

- **საზოგადოების დონის ობიექტური ხასიათის მიზეზები ანუ** მაკრო/მეზოეკონომიკური დონის ობიექტური ხასიათის მიზეზები;
- **საზოგადოების დონის სუბიექტური ხასიათის მიზეზები ანუ** მაკრო/მეზოეკონომიკური დონის სუბიექტური ხასიათის მიზეზები;

- *ინდივიდის ღონის ობიექტური ხასიათის მიზეზები ანუ* მიკროეკონომიკური ღონის ობიექტური ხასიათის მიზეზები;
- *ინდივიდის ღონის სუბიექტური ხასიათის მიზეზები ანუ* მიკროეკონომიკური ღონის სუბიექტური ხასიათის მიზეზები.

განათლების დაბალი დონე (იხ. ცხრილი 2.3.1.) განიხილება სიღარიბის არსებობის როგორც ობიექტური, ისევე სუბიექტური ხასიათის მიზეზი, ვინაიდან განათლების დაბალი დონე შეიძლება იყოს გამოწვეული (ა) სწავლისთვის საჭირო პირობების არარსებობით (ობიექტური მიზეზი) ან (ბ) სწავლის სურვილის უქონლობით ან უნიჭობით (სუბიექტური მიზეზი).

ხანდაზმულობა ერთდროულად განიხილება, როგორც სიღარიბის არსებობის ობიექტური და როგორც სუბიექტური ხასიათის მქონე მიზეზი. როგორც ობიექტური მიზეზი, ხანდაზმულობა განიხილება იმის გამო, რომ (1) საზოგადოებაში შეიძლება იყოს პენსიების დაბალი დონე და (2) ხანდაზნულ ადამიანს გააჩნია ჯანმრთელობის პრობლემები (ამ შემთხვევებში ხანდაზმულობა, როგორც სიღარიბის მიზეზი, საზოგადოების პასუხისმგებლობას არის დაქვემდებარებული), ხოლო როგორც სუბიექტური ხასიათის მიზეზი ხანდაზმული ადამიანის პენსიების დაბალი დონე შეიძლება გამოწვეული იყოს ამ ხანდაზმულის შრომის უნარიან ასაკში ნებაყოფლობითი დაუსაქმებლობით და სხვ.

სიღარიბის გამოწვევისა და შენარჩუნების მრავალი მიზეზის არსებობა მოითხოვს სიღარიბის საფუძვლიან შესწავლას, სიღარიბის მიზეზების მიხედვით ღარიბი ფენების დაჯგუფებას და ყოველი კონკრეტული ჯგუფისთვის სიღარიბესთან ბრძოლის სპეციალური ღონისძიებების შემუშავებასა და გატარებას, რათა მოხდეს არა შედეგების „მკურნალობა“, არამედ სიღარიბის ფესვების აღმოფხვრა.

თავი 3. სიღარიბის დაძლევა როგორც მისი კვლევის მიზანი

სიღარიბის კვლევა თავისი თეორიული ფორმის მიუხედავად მიმართულია სამყაროს ერთ-ერთ ყველაზე რთულად დასაძლევ პრობლემის შესწავლაზე, რათა შესაძლებელი გახდეს მიღებული ახალი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.

მოცემულ თავში განხილულია ის გზები, რომელსაც მიმართა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ნაწილმა სიღარიბის დაძლევისათვის. ამასთან, შესწავლილია სიღარიბის დაძლევისაკენ მიმართული საქართველოს სამთავრობო ღონისძიებები..

3.1. სიღარიბის დაძლევის გამოცდილება განვითარებულ ქვეყნებში

სიღარიბე განიხილება, როგორც აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკისა და ტრანზიტული ეკონომიკის მქონე ქვეყნების ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა.

21-ე საუკუნის დამდეგს ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული იქნა „ათასწლეულის დეკლარაცია“ (რეზოლუცია № A/RES/52/2), რომელსაც ხელი მოაწერა 189 ქვეყანამ და რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით რვა ამოცანის გადაჭრას, რომელთაგან პირველ ამოცანად დასახელდა სიღატაკისა და შიმშილის აღმოფხვრა.

მეცნიერთა მხრიდან სიღარიბისადმი მზარდი ყურადღების მიუხედავად, ამ პრობლემის ცალკეული მხარეები კვლავინდებურად მოითხოვს განსაკუთრებულ და სიღრმისეულ შესწავლას. ამ საკითხთა შორის პირველ რიგში სიღარიბის დაძლევის მიმართულებების განსაზღვრა და სპეციალური პროგრამებისა და პროექტების წარმატებული განხორციელებაა აღსანიშნავი.

ფართოდ აღიარებულია, რომ სიღარიბის შემცირებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკონომიკურ განვითარებასა და ეფექტიან ეკონომიკურ პოლიტიკას უჭირავს. ამასთან, ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი ქვეყნებისათვის სიღარიბის პრობლემა განსხვავებულია. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გლობალურ მასშტაბში შეიძლება გამოვყოთ სამი ჯგუფის პრობლემა:


1. ღარიბი ქვეყნების პრობლემა
2. ღარიბი ადამიანთა პრობლემა ღარიბ ქვეყნებში
3. ღარიბი ადამიანთა პრობლემა მდიდარ ქვეყნებში

სიღარიბის პრობლემის განხილვა მიზანშეწონილია მიკრო და მაკრო დონეებზე. ამ თვალსაზრისით, სიღარიბესთან დაკავშირებული სამი ჯგუფის პრობლემა შეიძლება იყოს განაწილებული შემდეგნაირად: მაკრო-დონეზე - ეს არის ღარიბი ქვეყნების პრობლემა, ხოლო მიკრო-დონეზე - ღარიბი ადამიანთა პრობლემა ღარიბ ქვეყნებში და ღარიბი ადამიანთა პრობლემა მდიდარ ქვეყნებში (იხ. სქემა 3.1.1.).

მოყვანილი გრადაცია ცხადყოფს, რომ თუ მდიდარი ქვეყნების წინაშე საკუთარი ეკონომიკური კეთილდღეობის შემდგომი ხელშეწყობის პირობებში დგას მხოლოდ ერთი პრობლემა - ღარიბი ადამიანების პრობლემის გადაჭრა, ღარიბი ქვეყნები გაცილებით უფრო რთულ მდგომარეობაში იმყოფებიან და მათთვის საჭირობო როტოა არა მარტო ღარიბი ადამიანების პრობლემის გადაჭრა, არამედ უფრო რთული და მასშტაბური პრობლემის - ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენილობისა და უთანასწორობის დაძლევა, რის გარეშე შეუძლებელია ამ ქვეყნებში მცხოვრებ ადამიანთა სიღარიბესთან ბრძოლა. ამგვარად, ქვეყნების ნაწილისთვის სიღარიბესთან ბრძოლა წარმოადგენს თავისებურ პრევენციულ ღონისძიებას საკუთარი კეთილდღეობის შენარჩუნებისათვის, ხოლო მსოფლიოს მეორე ნაწილისთვის - ეს არის ამ ქვეყნების ძირითადი ამოცანა, გადარჩენის საშუალება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმთავრესი სტრატეგიული მიმართულება.

სიღარიბის კვლევის დონეები და სიღარიბის პრობლემის გრადაცია

სქემა 3.1.1.:



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ წინა თავებში განხორციელებული კვლევის საფუძველზე

ეკონომიკური ზრდა, დასაქმების მაღალი დონე და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება აღინიშნება იმ ქვეყნებში, რომლებიც ხასიათდებიან სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკით. სწორედ ეს ქვეყნები და მათი გამოცდილება წარმოადგენს ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს.

განვითარებულ ქვეყნებში, რომლებიც ხასიათდებიან მაღალი ცხოვრების დონით და სოციალური უზრუნველყოფის მაღალი მაჩვენებლებით, მიეკუთვნებიან ე.წ. სოციალურ სახელმწიფოს, საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოთა რიცხვს. სოციალური სახელმწიფო²⁹ და საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო

²⁹ ტერმინი „სოციალური სახელმწიფო“ (*Welfare State*) პირველად იყო გამოყენებული მე-19 საუკუნის შუა პერიოდში გერმანელი ფილოსოფოსის, ისტორიკოსისა და ეკონომისტის ლორენც ფონ შტეინის

წარმოადგენს მოდელს, რომლის ძირითადი პრინციპები, როგორცაა შერეული (და არა საბაზრო) ეკონომიკა, სოციალური პრობლემების გადაჭრაში მონაწილეობა და სხვ., რეალიზებულია თანამედროვე მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების მიერ. არსებობს სოციალური სახელმწიფოსა და საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს მოდელების მრავალი განსხვავებული ვარიანტი, რომელთა კლასიფიკაცია მოახდინა დანიელმა სოციოლოგმა გოსმა ესპინგ-ანდერსენმა (Gøsta Esping-Andersen, დაბ. 1947წ.) 1990 წელს დაწერილ ნაშრომში „კეთილდღეობის კაპიტალიზმის სამი სამყარო“³⁰, რომელშიც სახელმწიფოს მხრიდან სოციალურ დაცვის მიმართ განსხვავებული მიდგომების საფუძველზე ავტორი გამოყოფს სოციალური სახელმწიფოს მოდელების ან, მისი ტერმინოლოგიით „კეთილდღეობის სახელმწიფოს რეჟიმების“ (Welfare-State Regimes) სხვადასხვა ტიპებს (იხ. ნახაზი 3.1.2.), კერძოდ [86]:


1. **ლიბერალური კეთილდღეობის სახელმწიფო (Liberal' Welfare-State) ან ლიბერალური მოდელი**, რომლისთვის დამახასიათებელია კერძო საკუთრების და საბაზრო ურთიერთობების დომინირება. ეს მოდელი ფუნქციონირებს სახელმწიფოს მინიმალური ჩარევისა და სახელმწიფოს მარეგულირებელი ღონისძიებების შეზღუდვის პირობებში. სახელმწიფოს მარეგულირებელი ღონისძიებები არ სცილდება მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების ფარგლებს. სოციალურ დაცვის ლიბერალური მოდელი დამახასიათებელია ისეთი ქვეყნებისათვის, როგორცაა აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი და ავსტრალია. ლიბერალური კეთილდღეობის სახელმწიფოს მოდელს გააჩნია შემდეგი მახასიათებლები:

(Lorenz von Stein, 1815-1890) მიერ, რომელიც თვლიდა, რომ სახელმწიფოს იდეა თანასწორობისა და თავისუფლების დაცვაში, ღარიბი ადამიანების მდიდრების მდგომარეობამდე აყვანაში მდგომარეოს, რომ სახელმწიფომ უნდა განახორციელოს მისი ყველა წევრის ეკონომიკური და საზოგადოებრივი პროგრესი, ვინაიდან „ერთის განვითარება წარმოადგენს სხვების განვითარების პირობას და შედეგს“.

³⁰ იხ. **Esping-Andersen, Gøsta**, 1990. The three worlds of welfare capitalism. Princeton, New Jersey: Princeton University Press.

„კეთილდღეობის სახელმწიფოს რეჟიმები“ გ. ესპინგ-ანდერსენის მიხედვით

ნახაზი 3.1.2.:



წყარო: Esping-Andersen, Gøsta, 1990. *The three worlds of welfare capitalism*. Princeton, New Jersey: Princeton University Press [86].

- მთლიან შიდა პროდუქტში სახელმწიფო სექტორის მინიმალური წილი;
- განვითარებული სადაზღვევო სისტემის არსებობა, რომელიც მიმართულია მოსახლეობის სოციალურ მხარდაჭერაზე და ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან ამ პროცესში მინიმალურ ჩარევას, რომელიც იფარგლება გარკვეული გარანტიების უზრუნველყოფით;
- სადაზღვევო ანარიცხების და ტრანსფერების სისტემის არსებობა, რომელიც ხასიათდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოსახლეობისათვის სუბსიდიებისა და შემწეობების სახით ფულადი გადარიცხვების სიმწირით და გაიცემა დახმარების მიღების პრეტენდენტის მდგომარეობის საფუძველიანი შესწავლის შემდეგ;

- შემწეობების სპეციფიკური სისტემის არსებობა, რომლის მოცულობა ზღუდავს სიღარიბის დონის გაღრმავებას, მაგრამ, ამავდროულად, არ იძლევა საშუალებას სიღარიბის დაძლევისათვის. ამგვარი მიდგომა აიხსნება იმ გარემოებით, რომ სიღარიბის მდგომარეობა არის ადამიანის ინდივიდუალური არჩევანი და სახელმწიფო არ ერევა ადამიანის პირად გადაწყვეტილებაში.

2. **კორპორატიული კეთილდღეობის სახელმწიფო (Corporatist' Welfare-State)** ან **კონსერვატიული, ან კონტინენტალური მოდელი**, რომელიც გავრცელებულია ევროპულ ქვეყნებში - საფრანგეთში, გერმანიაში, შვეიცარიაში, ჰოლანდიაში, ბელგიაში - სადაც ეროვნულ ეკონომიკას გააჩნია შემდეგი მახასიათებლები:

- ეროვნული ეკონომიკის ორიენტირება სოციალურ მოთხოვნილებებზე;
- ეროვნულ ეკონომიკაში სახელმწიფოს ძლიერი პოზიცია, როდესაც სახელმწიფო გამოდის სოციალური დაზღვევის ორგანოების მხრიდან ვალდებულებების შესრულების გარანტად;
- სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობისათვის შემწეობის გაწევის უზრუნველყოფა სადაზღვეო სისტემის მეშვეობით, როდესაც მოსახლეობისათვის შემწეობა გაიცემა მოქალაქეთა შემოსავლებისა და, შესაბამისად, სადაზღვეო ანარიცხების პროპორციულად. სადაზღვეო ორგანიზაციები წარმოადგენენ თვითრეგულირებად ერთეულებს, რომლებიც ექვემდებარებიან საწარმოთა მფლობელებსა და პროფკავშირებს. უმუშევრობის შემთხვევაში შემწეობის მოცულობა განისაზღვრება მუშაობის სტაჟით, ხოლო შემწეობის გაცემის ვადა - მომუშავის ასაკით და მის მიერ გადასახადების გადახდის ხანგრძლივობით;
- სახელმწიფოს მხრიდან შრომის ბაზრის დაცვა იაფი სამუშაო ძალის რაოდენობრივი ზრდისაგან;
- სახელმწიფოს მხრიდან დამსაქმებელთა მიმართ გარანტირებული მინიმალური ხელფასის უზრუნველყოფის მოთხოვნა. მინიმალური ხელფასი უნდა უზრუნველყოს მომუშავის ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. გერმანიაში, შვეიცარიაში, ჰოლანდიაში და ბელგიაში მინიმალური ხელფასი განისაზღვრება საშუალო ხელფასის 50%-ით, ხოლო საფრანგეთში - 60%-ით.

3.სოციალ-დემოკრატიული კეთილდღეობის სახელმწიფო (Social Democratic Welfare-State) ან სოლიდარული მოდელი, რომელიც დამახასიათებელია ჩრდილოეთ ევროპის - დანია, შვედეთი, ნორვეგია, ფინეთი - ქვეყნებისათვის, სადაც სიღარიბე განიხილება, როგორც საბაზრო სისტემისა და შრომის ბაზრის პირობების ცვლილებებისადმი ადამიანთა ადაპტირების გართულების შედეგი და როგორც საზოგადოების სენი. ეს არის ქვეყნები, სადაც სოციალური დაცვის მაღალმა დონემ სიღარიბე ყველაზე დაბალ მაჩვენებლამდე დაიყვანა მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით. ამ ქვეყნების ეროვნულ ეკონომიკას გააჩნია შემდეგი მახასიათებლები:

- *მაღალია სახელმწიფოს როლი და მოსახლეობის სოციალური დაცვა მთლიანად ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს;*
- *მაღალია საშემოსავლო გადასახადების დონე, რაც უზრუნველყოფს სოციალურ სფეროში მიმდინარე პროცესების დაფინანსებას;*
- *მთლიანი შიდა პროდუქტის დიდი წილი (ფინეთში 55%, დანიაში 61%, შვედეთში 66%) მიმართულია სოციალურ სფეროზე;*
- *სოციალური სფეროს მოთხოვნილებების მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის ტრანსფერებზე, რომელთა მეშვეობით ხდება ეროვნული პროდუქტის გადანაწილება მატერიალურად შეზღუდული ფენების სასარგებლოდ;*
- *სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებას მოსახლეობის სრული დასაქმების და ყველა ფენის შემოსავლების გამოთანაბრების უზრუნველყოფა წარმოადგენს.*

მიუხედავდ იმისა, რომ გ. ესპინგ-ანდერსენის ზემოთ აღნიშნული ნაშრომის სახელწოდების თანახმად „კეთილდღეობის კაპიტალიზმის“ მხოლოდ „სამ სამყაროზე“ უნდა იყოს მსჯელობა, ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ, აგრეთვე, მეოთხე „სამყაროც“³¹, რომელსაც შეესაბამება სოციალური დაცვის მეოთხე ტიპი, კერძოდ კი სამხრეთ ევროპული (რუდიმენტული) ტიპი.

³¹ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს მოხდა იმ გარემოების გამო, რომ სახელმწიფოს ეს ტიპი არ წარმოადგენს „სოციალური სახელმწიფოს“ ან „სოციალური კეთილდღეობის სახელმწიფოს“.

4. *სამხრეთ ევროპული (რუდიმენტული) მოდელი*, რომელსაც ჯერ კიდევ არ გააჩნია ჩამოყალიბებული სახე და რომელიც დამახასიათებელია იტალიის, ესპანეთის, საბერძნეთისა და პორტუგალიისათვის, სადაც

- არსებობს სოციალური დაცვის შედარებით დაბალი დონე;

- სოციალური დაცვა წარმოადგენს არა სახელმწიფოს, არამედ ოჯახის ვალდებულებას;

- ადგილი აქვს სოციალური დანახარჯების ასიმეტრიულობას ანუ სოციალური სფეროს ცალკეულ მიმართულებებს გააჩნია უპირატესობა სხვა, ზოგადი შეხედულებით, არანაკლებად მნიშვნელოვანი მიმართულებებთან შედარებით. ასე, მაგალითად, იტალიაში პენსიაზე იხარჯება მთლიანი შიდა პროდუქტის 14,7%, მაშინ, როცა განათლებაზე, დასაქმებაზე და ა.შ. იხარჯება მშპ-ის დაახლოებით 1% [147].

რა თქმა უნდა, გოსმა ესპინგ-ანდერსენის მიერ ამგვარად ჩამოყალიბებული ტიპოლოგიზაცია ბევრ კითხვას ბადებს, რომელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე ხშირია: ეს ტიპოლოგიზაცია რეალურია თუ იდეალური³²?

მოკლედ განვიხილოთ ცალკეულ ქვეყნაში სიღარიბის დაძლევისა და კეთილდღეობის მიღწევაზე მიმართული ღონისძიებები.

საფრანგეთი

სიღარიბესთან ბრძოლისა და კეთილდღეობის სახელმწიფოს ჩამოყალიბების მიზნით საფრანგეთში შემუშავებულია განსხვავებული კონცეფციები, რომლებიც ინტეგრირებულნი არიან „ოჯახის და სოციალური ხელშეწყობის კოდექსში“. სოციალური დახმარება განსაზღვრულია კანონით და მოქმედებს საფრანგეთის მთელ ტერიტორიაზე. ის იმართება და ფინანსდება, როგორც წესი, რეგიონული საბჭოების მიერ.

³² იხ., მაგალითად, Ebbinghaus Bernhard, 2012, Comparing Welfare State Regimes: Are Typologies an Ideal or Realistic Strategy? Draft Paper presented at European Social Policy Analysis Network, ESPAnet Conference, Edinburgh, UK, September 6-8, 2012.


კანონით დადგენილი სოციალური დახმარების გარდა საფრანგეთში მოქმედებს ე.წ. „გაფართოებული სოციალური მხარდაჭერის“ ღონისძიებები, რომლებიც „ავსებენ“ იმას, რაც საკანონმდებლო აქტებში არ არის მკაფიოდ და სრულყოფილად გაწერილი და ამგვარად აფართოებენ „სოციალურ ქმედებებს“ ისეთი მიმართულებებით, როგორცაა პროფილაქტიკური ღონისძიებები, ალიმენტები, სუსტი ჯანმრთელობის მქონე ადამიანთა ნათესავებისათვის დახმარებები, შეღავათიანი ტარიფები სასკოლო სასადილოებში და სხვ. ამგვარი მხარდაჭერის განხორციელება შეუძლია სახელმწიფო ხელისუფლების ნებისმიერ სუბიექტს, როგორცაა თავად სახელმწიფო, რეგიონული ხელისუფლება, მუნიციპალური და მუნიციპალიტეტთაშორისი გაერთიანებები, სოციალური დაზღვევის სალონები და სხვ.

სოციალური დახმარებისა და მხარდაჭერის სხვადასხვა პასუხისმგებელი სუბიექტების წილი არის არათანაბარი [220]: ყველაზე დიდი წილი - 50% - ეკუთვნის დეპარტამენტებს, სახელმწიფოს წილი ამ საქმიანობაში შეადგენს 9%-ს, სოციალური დაზღვევის დაწესებულებების წილი - 38% (აქედან სამედიცინო დაზღვევაზე მოდის 25%, საპენსიო დაზღვევაზე - 2%, საოჯახო პოლიტიკის გატარებაზე - 10%, სხვა სახის დაზღვევაზე - 1%) და დანარჩენი 3% - მუნიციპალურ და მუნიციპალიტეტთაშორისო გაერთიანებებზე (იხ. დიაგრამა 3.1.1.):

საოჯახო პოლიტიკის გატარება საფრანგეთში მოიცავს 15-ზე მეტი სახეობისაგან შემდგარ შეღავათებისა და შემწეობების სისტემას, რომელიც მუდმივად ფართოვდება, რაც ხელს უწყობს ოჯახებს „არ გადაეშვან“ სიღარიბეში ბავშვების დაბადების შემდეგ. ამჟამად საფრანგეთში ღარიბი ბავშვების რაოდენობა შეადგენს 7%. ოფიციალური მონაცემების მიხედვით, სოციალური დახმარების არ არსებობის შემთხვევაში ღარიბი ბავშვების რაოდენობა იქნებოდა დაახლოებით 27% [241, გვ. 6].

სოციალურ დახმარება და მხარდაჭერა საფრანგეთში (2016 წ.)

დიაგრამა 3.1.1.:



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ [241] საფუძველზე

სახელმწიფო ახორციელებს მუდმივ კონტროლს სოციალური დახმარებისა და სოციალური მხარდაჭერის ღონისძიებებზე. კონტროლი ეფუძნება სხვადასხვა სახის კვლევებს. „სოციალური დახმარების“ კვლევა მოიცავს შემწეობების მიმღებთა რაოდენობისა და შესაბამისი ხარჯების ყოველწლიურ მონიტორინგს, სოციალური დახმარების განხორციელების ზოგიერთი მექანიზმის კვარტალურ კვლევებს. მუნიციპალური და მუნიციპალიტეტთაშორისო გაერთიანებების საქმიანობის კვლევები ტარდება ერთჯერადად შერჩევითობის პრინციპის საფუძველზე და ახორციელებს არსებული პარტნიორობის, ხარჯების, ადგილობრივი

თვითმართველობის ორგანოებში სოციალური მხარდაჭერის ინსტრუმენტებისა და ფუნქციონირების წინასწარ ანალიზს.

გერმანია

გერმანიის სოციალური დაცვის სისტემა მრავალი ათწლეულის განმავლობაში ყალიბდებოდა და დღეს გერმანია ცნობილია, როგორც ქვეყანა, რომელსაც გააჩნია სოციალური დაცვის კარგად განვითარებული სისტემა. სოციალური დაცვის სისტემა გერმანიაში მიზნად ისახავს მოქალაქეების დაცვას უმუშევრობის ან შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში, ბავშვთა და ახალგაზრდათა დაცვას და სხვ. შემწეობებისა და დახმარებების მიღების უფლებას იცავს ე.წ. „სოციალური უფლების კანონი“ (Sozialgesetzbuch, SGB), რომელიც შედგება თორმეტი განყოფილებისაგან ანუ თორმეტი კანონისგან (SGB-II, SGB-III და ა.შ.), რომელთაგან თითოეული არეგულირებს სოციალური დახმარების ცალკეულ სახეს და, აქედან გამომდინარე, სოციალური დახმარების თითოეული სახე შესაბამისი კანონის ნომერს ან სახელწოდებას ატარებს.

გერმანიაში სოციალური შემწეობის ძირითადი სახეებია:


- სოციალური დახმარება,
- უმუშევრობის შემწეობა,
- ძირითადი (საბაზო) შემწეობა ხანდაზმულობისა და შრომისუნარიანობის გამო.

ეს სოციალური შემწეობები უზრუნველყოფენ ადამიანის ძირითად მინიმალურ საჭიროებებს, ხოლო კონკრეტული ადამიანის რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე, მას ეძლევა დამატებითი დახმარება.

გერმანიის შრომისა და სოციალური დახმარების სამინისტროს მონაცემების თანახმად, სოციალური შემწეობების მოცულობა გერმანიაში მუდმივად იზრდება და 2005 წლიდან 2017 წლამდე გაიზარდა 18,8%-ით (იხ. გრაფიკი 3.1.1.):

სოციალური შემწეობის ცვლილების დინამიკა გერმანიაში (2005-2017)

დიაგრამა 3.1.1:



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ [178] საფუძველზე


სახელმწიფო შემწეობები, „სოციალური უფლების კანონის“ მეორე განყოფილების (SGB-II) თანახმად, უზრუნველყოფენ ადამიანთა არსებობისათვის ისეთ აუცილებელ პირობებს, როგორცაა საკვები, ტანსაცმელი, სხეულის მოვლა, საყოფაცხოვრებო ნივთები, ელექტროენერგია, საზოგადოების სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობა და სხვა აუცილებელი საჭიროებები (იხ. დიაგრამა 3.1.2.).

სახელმწიფოს ზრუნავა სკოლების მოსწავლეებსა და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სტუდენტებზე ხორციელდება განათლების მიღების ხელშეწყობის ფედერალური კანონის (BAföG) საფუძველზე. ამ კანონის თანახმად, მოსწავლეებს შეუძლიათ მიიღონ სტიპენდიები, სესხები ან შემწეობა სწავლისათვის.

სწავლის შემწეობა დამოკიდებულია სწავლის სახეზე, სტუდენტის საცხოვრებლის ღირებულებასა და სხვა პირობებზე. 2017 წელს იმ სტუდენტთა შემწეობის მაქსიმალური ოდენობა, რომლებიც არ ცხოვრობენ მშობლებთან, თვეში

სოციალური შემწეობა: მოთხოვნილებათა შემადგენლობა თვეში (2017 წ.)

დიაგრამა 3.1.2.:



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ [178] საფუძველზე

735 ევროს შეადგენდა. ამასთან, სტუდენტებს უფლება აქვთ იმუშაონ და შემწეობის დაკარგვის გარეშე მიიღონ ხელფასის სახით თვეში 450 ევრომდე [68].

დიდი ბრიტანეთი

ბრიტანეთის სოციალური დაცვის სისტემის ჩამოყალიბება დაიწყო 1908 წელს პენსიებზე კანონის მიღებით, ხოლო 1911 წელს მიღებულ იქნა სახელმწიფო დაზღვევის შესახებ კანონი, რომელმაც დააწესა შემწეობები ავადმყოფობაზე, მშობიარობაზე და უმუშევრობაზე. მას შემდეგ სოციალური დაცვის სისტემამ მრავალი რეფორმა განიცადა. 2011 წელს მიღებულ იქნა დიდი ბრიტანეთის კანონი პენსიების შესახებ, 2012 წელს - კეთილდღეობის რეფორმის კანონი.

2013 წლიდან დიდ ბრიტანეთში დაიწყო შემწეობების უმრავლესობის თანდათანობითი შენაცვლება უნივერსალური დაკრედიტების სისტემით.

უნივერსალური დაკრედიტების სისტემა მოიცავს ექვსი სახის შემწეობას: საბინაო შემწეობა (Housing Benefit), შემწეობა უმუშევრობაზე ანუ სამუშაოს მაძიებლის დახმარება (Jobseeker's Allowance), სამუშაო საგადასახადო კრედიტი (Working Tax Credit), ბავშვთა საგადასახადო კრედიტი (Child Tax Credit), შემოსავალზე დამოკიდებულ გაჭირვებულთა და უმუშევართა შემწეობა (Income-based Employment and Support Allowance) და დაბალი შემოსავლების მქონეთა შემწეობა (Income Support).

სხვა შემწეობებისაგან განსხვავებით, უნივერსალური კრედიტის მიღება შეიძლება ყოველთვიურად, ხოლო მისი მოცულობა დამოკიდებულია ადამიანის შემოსავალზე და იმ კონკრეტულ მდგომარეობაზე, რომელშიც ეს პიროვნება იმყოფება. ჩვეულებრივ, 25 წელზე უფროსი ასაკის ადამიანთა შემწეობა შეადგენს 317,82 გირვანქა სტერლინგს (ანუ 443,13 აშშ დოლარი) თვეში ან უფრო მეტს, თუ კი ამისათვის შესაბამისი მიზეზი (საფუძველი) არსებობს.

დიდ ბრიტანეთში შემწეობების უმრავლესობა ფინანსდება მომუშავეების, დამსაქმებლებისა და მთავრობის შენატანებით.

დიდ ბრიტანეთში ყველა დაქირავებული და თვითდასაქმებული მოქალაქე, რომელთაც გააჩნია აუცილებელი მინიმალური შემოსავალი, ვალდებულია გააკეთოს შენატანები ე.წ. ეროვნული დაზღვევის ფონდებში. 2016 წელს ამ შემოსავლის ლიმიტი შეადგენდა დაქირავებით მომუშავეებისათვის 112 გირვანქა სტერლინგს (ანუ 156,16 აშშ დოლარი) კვირაში, ხოლო თვითდასაქმებულთათვის - 5965 გირვანქა სტერლინგს (ანუ 8316,94 აშშ დოლარი) წელიწადში. თუ ადამიანის შემოსავალი დაწესებული მინიმუმზე დაბალია, მას შეუძლია გააკეთოს შენატანები ნებაყოფლობით.

ბრიტანეთში არსებობს სამი სახის პენსია: სახელმწიფო პენსია, კომპანიის პენსია და კერძო საპენსიო ფონდი.

აშშ

დღეს აშშ-ში არსებული სოციალური დახმარების სისტემის თანახმად განსხვავებული შემწეობის მიღება შეუძლია ადამიანთა რამოდენიმე კატეგორიას, ამასთან, შემწეობა გაიცემა როგორც ფულადი, ასევე ნატურალური ფორმით სხვადასხვა სასურსათო ბარათების, ან უფასო საკვების ტალონების, ან კომუნალური მომსახურების სერტიფიკატების სახით. ის მოიცავს, აგრეთვე, ხანდაზმულთა სამედიცინო მომსახურებას, მცირეწლოვანთა მოვლას და სხვ. [87; 170].

2017 წელს აშშ-ში მცხოვრებ ადამიანებს შეეძლოთ მიეღოთ შემდეგი სახის დახმარებები:

- უმუშევრობის შემწეობა;
- ბავშთა შემწეობა;
- „ველფერი“ (welfare);
- სოციალური შემწეობა ქონების არმქონე ხანდაზმულებისა და ინვალიდებისათვის (SSI);
- სოციალური დაზღვევა შრომისუნარიანობის დაკარგვაზე (SSDI);
- გათბობის ღირებულების გადახდაზე დახმარების პროგრამა (HEAD);
- არალეგალური იმიგრანტების დახმარებები.

უმუშევრობის შემწეობის მიღების პროცედურა მრავალ ფორმალურ ღონისძიებასთან არის დაკავშირებული და მისი მაქსიმალური მოცულობა შეადგენს ადამიანის ბოლო სამუშაო ადგილზე მიღებული ხელფასის 49%, ამასთან ეს შემწეობა არ უნდა აღემატოს 2700 აშშ-ს დოლარს თვეში. უმუშევრობის შემწეობა გაიცემა მხოლოდ 6,5 თვის განმავლობაში და მერე წყდება იმისდამიუხედავად ნახა თუ არა პიროვნებამ ახალი სამსახური. ამასთან, შემწეობის მიღების პერიოდში პიროვნება ვალდებულია ყოველკვირეულად შეხვდეს სოციალური სამსახურის თანამშრომლებს, მიიღოს მონაწილეობა გასაუბრებებსა და ტრენინგებში და გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა, რათა შესაფერისი სამსახური გამონახოს. პირობების დარღვევის შემთხვევაში შემწეობის გაცემა შეიძლება შეჩერდეს ან შეწყდეს.

სიღარიბესთან ბრძოლის აშშ-ში მოქმედი პროგრამები მოიცავს მოსახლეობის 15-20%. ამასთან, დახმარება მიეწოდება იმ შემთხვევაში, როცა ადამიანი ღარიბია და მიეკუთვნება ერთ-ერთ სუბსიდიების გაცემას დაქვემდებარე ჯგუფს, მაგალითად: ოჯახები მცირეწლოვანი ბავშვებით და, განსაკუთრებით, მარტოხელა მშობლით ან უმუშევარი მარჩენალით, 65 წელს გადაცილებული და გაჭირვებული ადამიანები, ინვალიდები, მხედველობა დაკარგული ომის ვეტერანები და მათი ოჯახის წევრები, ან ადამიანები, რომელთა შემოსავალი კანონით დაწესებულ ზღვარზე ნაკლებია.

ნორვეგია

ნორვეგიის სოციალური პოლიტიკა მოიცავს ისეთ პროგრამებს, როგორებიცაა:

- სპეციალური „ბინების“ პროგრამები;
- სპეციალური სამედიცინო პროგრამები;
- უცხოური ენების შესწავლის უფასო პროგრამები;
- ახალშობილებზე შემწეობის პროგრამები;
- უმუშევრობის შემწეობის პროგრამები.

ნავთობი და ყველა ბუნებრივი წიაღისეული წარმოადგენს ხალხის საკუთრებას. ნავთობიდან მიღებული შემოსავალი მიემართება სოციალური პროგრამების უზრუნველყოფაზე და საყოველთაო კეთილდღეობის ფონდში.

მთლიანი შიდა პროდუქტის 20% მოდის ნავთობისა და გაზის მრეწველობაზე, მშპ-ის წილი მოსახლეობის ერთ სულზე ნორვეგიაში შეადგენს 40000 დოლარს. ნავთობით ვაჭრობიდან მიღებული მოგების ნაწილი ერიცხება ნორვეგიის თითოეული ადამიანის ანგარიშზე, რომელთა მოცულობა შეადგენს დღეისათვის 100 000 დოლარს ერთ ნორვეგიელზე. დაბადებისას თითოეული ახალშობილის სახელზე იხსნება ანგარიში, რომელზეც ირიცხება 3000 დოლარი მოგების გადასახადიდან მიღებულ შემოსავლიდან.

სამედიცინო მომსახურება არის სახელმწიფო და მუნიციპალური და გამოირჩევა მაღალი დონით. სამედიცინო მომსახურებას თანაბრად იყენებს

ნორვეგიის ყველა მოქალაქე, დაწყებული მეფისაგან დამთავრებული ნორვეგიის რიგითი მოქალაქით. სამედიცინო მომსახურება სრულიად უფასოა, არ არსებობს „განსაკუთრებული“ კლინიკები. მაღალია დანახარჯები განათლებაზე. ყოველი ბავშვი 17 წლის მიღწევამდე ყოველწლიურად იღებს შემწეობას 1620 დოლარის ოდენობით.

65 წლინად თითოეული ნორვეგიელი იღებს საბაზისო პენსიას, ხოლო დამატებითი პენსია დამოკიდებულია ადამიანის შემოსავალზე და შრომის სტაჟზე. პენსიის საშუალო მოცულობა შეადგენს ხელფასის ორ მესამედს.

ნორვეგიაში ყველაზე დაბალია უმუშევრობის დონე, რომელიც შეადგენს 1%. ამასთანავე, მაღალია უმუშევრობის შემწეობა, რომელიც მერყეობს 800-დან 1500 ევრომდე (ანუ 983-1844 აშშ დოლარი). ამასთან, სახელმწიფო სრულად უფარავს უმუშევრებს კომუნალურ და სატრანსპორტო ხარჯებს [226].

ამრიგად, სიღარიბის დაძლევის მიმართ გამოყენებული პოლიტიკა შეიძლება დაიყოს ორ ძირითად მიმართულებად, რომელიც ეფუძნება ორ კარდინალურად განსხვავებულ კონცეპტუალურ მიდგომას: ერთის მხრივ, ეს არის სახელმწიფო დახმარებაზე დაფუძნებული სოციალური პოლიტიკა, ხოლო მეორე მხრივ, ლიბერალურ პრინციპებზე აგებული სოციალური პოლიტიკა. ამასთან, „წმინდა“ ლიბერალური ანუ სახელმწიფოს ჩარევისაგან სრულად დამოკიდებულ სოციალურ პოლიტიკას არ აქვს ადგილი ეკონომიკურად განვითარებულ იმ ქვეყნებშიც კი, რომლებიც გამოირჩევიან ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მინიმალური დონით.

ამ თვალსაზრისით სასარგებლოა გავიხსენოთ ჯ.სტიგლიცის, გ.მიურდალის, ე.რაინერტის და სხვათა³³ მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომელიც აფართოვებს ჩვენს წარმოდგენას ეკონომიკურ განვითარებაზე და სიღარიბესთან ბრძოლის მეთოდებზე, განსაკუთრებით განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მიმართებით და რომელიც ეფუძნება სახელმწიფოს მხრიდან აქტიური მხარდაჭერის აუცილებლობას სიღარიბესთან ბრძოლის საკითხებთან დაკავშირებით.

³³ იხ. მოცემული ნაშრომის პირველი თავის მეოთხე პარაგრაფის 5.3.2., 5.3.3. და 5.4.2 ქვეპარაგრაფები.

მიუხედავად იმისა, რომ „კეთილდღეობის სახელმწიფოსა“ და „სოციალური სახელმწიფოს“ სხვადასხვა მოდელებში კეთილდღეობის მიღწევისა და სიღარიბის დაძლევისათვის განსხვავებულ ეკონომიკურ პოლიტიკას მიმართავენ, ყველა მათგანს აერთიანებს ღარიბ ადამიანთა რაოდენობის შემცირებისკენ სწრაფვა, რაც უნდა იყოს მიღწეული, ერთი მხრივ, ეროვნული წარმოების განვითარებისა და, მაშასადამე, შემოსავლის ზრდის და, მეორე მხრივ, ნაკლებად შეძლებული ადამიანების სასარგებლოდ შემოსავლების გონივრულ გადანაწილებაზე მიმართულ ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე. ასეთი მიდგომა მნიშვნელოვანია, მაგრამ არ არის საკმარისი.

3.2. სიღარიბესთან ბრძოლის ინსტიტუციონალური საფუძვლები საქართველოში და მათი სრულყოფის აუცილებლობა

საქართველო სიღარიბის წინაშე პირველად მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს აღმოჩნდა. საბჭოთა კავშირის ნგრევამ საფუძველი გამოაცალა საქართველოს ახლად ჩამოყალიბებულ ეკონომიკას და როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირის უმრავლეს რესპუბლიკაში, სრულ ქაოსში აღმოჩნდა. ამ პერიოდში პენსიის სახით ყოველთვიური შემოსავალი დაახლოებით 2 აშშ დოლარს შეადგენდა, როდესაც მსოფლიოს სხვა განვითარებულ ქვეყნებში მინიმალური პენსიად მიჩნეული იყო 30 აშშ დოლარი [185].

საქართველოს მთავრობისთვის, სხვა ქვეყნების მმართველი ორგანოების მსგავსად, ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ქვეყანაში სოციალური დაცვის მხარდაჭერა, სიღატაკის დაძლევა და სიღარიბესთან ბრძოლა.

სოციალური დაცვის სისტემა საქართველოში მოიცავს ორ ძირითად ელემენტს: (1) საპენსიო სისტემას და (2) მიზნობრივ სოციალურ დახმარებას (TSA) სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისთვის.

2004 წელს საქართველოში შეიქმნა სოციალური უზრუნველყოფის ქსელი, 2006 წელს კი დაინერგა მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა. ეს პროგრამა მიმართული იყო ფინანსური დახმარების გაწევაზე მოწყვლადი ოჯახებისთვის და მოსახლეობის იმ ნაწილსთვის, რომელიც სიღარიბის ზღვარს მიღმა არის მოქცეული. როგორც ზოგიერთი ოფიციალური წყარო იუწყება, მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის ამოქმედების შედეგად 2009-2011 წლებში საქართველოში მოხდა სიღარიბის ფარდობითი მაჩვენებლის შემცირება, მაგრამ 2011 წ. საქართველოს ოჯახების 21,8% ფარდობითი სიღარიბის ზღვარს მიღმა ისევ აღმოჩნდა. 2012 წლის ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 141 მლნ. ლარი სოციალური დახმარებებისთვის, რაც შეადგენს მშპ-ს 0,7%-ს, მომდევნო წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა 213 მლნ. ლარი ანუ მშპ-ს 0,5%-ი [24, გვ.55-56].

სოციალური დახმარების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება რიგი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან და მოიცავს საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო შეთანხმებებს და ხელშეკრულებებს, რომელთაც საქართველომ ხელი მოაწერა და, აგრეთვე, 2006 წლის 29 დეკემბერს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ კანონს „სოციალური დახმარების შესახებ“, რომელიც მიზნად ისახავდა „სოციალური დახმარების მწყობრი სისტემის“ ჩამოყალიბებას და „მოსახლეონის სამართლიანი, მიზნობრივი და ეფექტიანი დახმარებით უზრუნველყოფას“ [26]. ამ მიზნის უფრო სრული მიღწევისათვის ამ კანონში რამდენჯერმე (2008³⁴, 2009³⁵ და 2010³⁶ წლებში) ცვლილებები იყო შეტანილი.

რა იგულისხმება საქართველოს კანონმდებლობაში სოციალურ დახმარებაში? სოციალური დახმარება განისაზღვრება, როგორც ნებისმიერი სახის, ფულადი ან არაფულადი სარგებელი, რომელიც განკუთვნილია ღატაკი ოჯახისათვის, სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე ან უსახლკარო პირისათვის. სოციალური დახმარების სისტემა წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ,

³⁴ 26.12.2008. N884

³⁵ 18.12.2009. N2386

³⁶ 16.07.2010. N3441

ორგანიზებულ ან/და მისი მეთვალყურეობით განხორციელებულ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც მიმართულია სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე და უსახლკარო პირის ან ღატაკი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. [26].


მიზნობრივი სოციალური დახმარების სახელმწიფო პროგრამა საქართველოში, რომელიც ამოქმედდა 2006 წელს, შეეხო სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრებ მოსახლეობას. სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება ხორციელდება სპეციალურად შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომელიც ადგენს ოჯახის სარეიტინგო ქულას და წარმოადგენს სამი ძირითადი ელემენტისგან (ოჯახის შემოსავალისგან, ოჯახის ქონებისგან და ოჯახის საჭიროებებისაგან) შემდგარ ფორმულას.

ამ ფორმულის მეშვეობით განისაზღვრება სოციალური შემწეობის მიღების პრეტენდენტი ოჯახების სარეიტინგო ქულა. თუ ოჯახის სარეიტინგო ქულა 100 ათასი და მეტი იქნება, ეს ნიშნავს, რომ ოჯახი საარსებო მინიმუმს სრულად აკმაყოფილებს. ფულად სოციალურ დახმარებას კი მხოლოდ ის ოჯახები იღებდნენ, რომელთა სარეიტინგო ქულა 57 000 ქულაზე ნაკლები იქნებოდა. ამ პროგრამით შემწეობის მიმღები ოჯახების პირველი წევრი იღებდა 30 ლარს, ხოლო ყოველი მომდევნო წევრი - 24 ლარს. 2013 წლის პირველი ივლისიდან შემწეობის მოცულობა 2-ჯერ გაიზარდა [31].

2015 წლის მაისიდან ძალაში შევიდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ახალი მეთოდოლოგია. ეს მეთოდოლოგია შემუშავებული იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების მიერ UNICEF-ის მხარდაჭერით, რომელმაც იმოქმედა შემწეობის მიღებისთვის რეგისტრირებული ოჯახთა რაოდენობის ცვლილებაზე (დიაგრამა 3.2.1.):

რეგისტრირებული და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა

დიაგრამა 3.2.1.



წყარო: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები http://geostat.ge/?action=page&p_id=199&lang=geo

ახალი მეთოდოლოგიის თანახმად, თუ ოჯახის სარეიტინგო ქულა 30 000-ზე ნაკლებია, მისი ყოველი წევრი იღებს შემწეობას 60 ლარის ოდენობით, თუ ოჯახის სარეიტინგო ქულა 30 000-დან 57 000-ს ქულამდე მერყეობს, ეს ოჯახი იღებს 50 ლარს ოჯახის თითოეულ წევრზე, 57 000-დან 60 000-მდე სარეიტინგო ქულის შემთხვევაში შემწეობა შეადგებს 40 ლარს ოჯახის ერთ წევრზე და როდესაც სარეიტინგო ქულა 60 000-დან 65 000-მდეა, შემწეობა 30 ლარის ტოლია. ამასთან, როცა ოჯახის სარეიტინგო ქულა 100 ათასზე ნაკლებია, ოჯახი თითოეულ ბავშვზე 10-ლარიან დანამატს იღებს [32].

სოციალური მომსახურების სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების სახით საქართველოში გამოდიან ადმინისტრაციული ორგანოები, ფიზიკური ან/და იურიდიული პირები. კეძოდ:

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სამსახურები;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოები სოციალური დახმარების სფეროში.

სოციალური დახმარების დაფინანსების წყაროებს საქართველოში წარმოადგენენ [29, მუხლი 24]:

- ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი;
- ბ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტები;
- გ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები;
- დ) ბენეფიციარის ან მისი წარმომადგენლის მიერ გადახდილი თანხა;
- ე) შემოწირულებები;
- ვ) სხვა წყაროები, რომლებიც დაშვებულია საქართველოს კანონმდებლობით.

ამასთან, ფულადი სოციალური დახმარების დაფინანსების ძირითადი წყაროს წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი.

სოციალური მომსახურების მიმწოდებელი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით უზრუნველყოფს სოციალური მომსახურების მიწოდებას.

საქართველოს სოციალური დახმარების შესახებ კანონის [29] თანახმად, საქართველოში მოქმედებს სოციალური დახმარების შემდეგი სახეები:

- ა). *საარსებო შემწეობა* ანუ ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც განკუთვნილია შეფასების სისტემით იდენტიფიცირებული დატაკი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის [29, მუხლი 7];
- ბ). *რეინტეგრაციის შემწეობა* ანუ ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც მიეცემა სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირის ბიოლოგიურ ოჯახს, მეურვეს (მზრუნველს), რომელიც ამ პირს

- სპეციალიზებული დაწესებულებიდან გაიყვანს ოჯახურ გარემოში საცხოვრებლად და გაუწევს მას სათანადო მზრუნველობას [29, მუხლი 9];
- გ). *მინდობით აღზრდის ანაზღაურება* ანუ ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც მიეცემა დედობილს/მამობილს შვილობილის მოსავლელად და აღსაზრდელად [29, მუხლი 10];
- დ). *სრულწლოვანზე ოჯახური მზრუნველობის ანაზღაურება* ანუ ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც მიეცემა პირს, რომელიც სრულწლოვანს სპეციალიზებული დაწესებულებიდან გაიყვანს ოჯახურ გარემოში საცხოვრებლად და გაუწევს მას სათანადო მზრუნველობას [29, მუხლი 11];
- ე). *არაფულადი სოციალური დახმარება* ანუ დახმარება, რომელსაც გაჩნია ფულისაგან განსხვავებული ფორმა, რომელიც გაიცემა სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირზე ან ბავშვზე, ან/და მის ოჯახზე, როდესაც ოჯახში არსებული მდგომარეობა ბავშვის მზრუნველობამოკლებულად ცნობის დასაბუთებული წინაპირობაა, ან მზრუნველობამოკლებული ბავშვსთვის ოჯახურ გარემოში ცხოვრების უზრუნველსაყოფად [29, მუხლი 12, 18.12.2009. N2386];
- ვ). *სოციალური პაკეტი* ანუ ყოველთვიური ფულადი სარგებელი ან/და სარგებლების (ფულადი და არაფულადი სარგებლები) ერთობლიობა, რომლის მოცულობა, მიმღებ პირთა წრე, გაცემის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით [29, მუხლი 12].

საარსებო შემწეობის, რეინტეგრაციის შემწეობის, მინდობით აღზრდის ანაზღაურების და სრულწლოვანზე ოჯახური მზრუნველობის ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა, ხოლო შემწეობის დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესი და პირობები, აგრეთვე მის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობები რეგულირდება მინისტრის ბრძანებით [29, მუხლი 7, მუხლი 9, მუხლი 10, მუხლი 11]. არაფულადი სოციალური მომსახურების სახეები, აგრეთვე ოჯახში არსებული მდგომარეობის შეფასების კრიტერიუმები,

რომელთა მეშვეობითაც დგინდება ბავშვის მზრუნველობამოკლებულად ცნობის რისკის მაჩვენებელი, განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით [29, მუხლი 12].

2010 წელს საქართველოში მოქმედი სოციალური დახმარების სისტემის ეფექტიანობის ამაღლების, აღრიცხვიანობის მოწესრიგებისა და მიზანდასახულობის მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული იყო დადგენილება „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №93) [31], რომელიც ძალადაკარგულად ჩაითვალა 2014 წელს 31 დეკემბერს საქართველოს მთავრობის მიერ ახალი დადგენილების (დადგენილება №758) [32] მიღებასთან დაკავშირებით, რომელშიც, თავის მხრივ, გარკვეული ცვლილებები იყო შეტანილი 2015 წლის 31 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული №145 დადგენილებით (დადგენილება №145) და 2015 წლის 17 მაისის №216 დადგენილებით (დადგენილება №216).

ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების განახლებული მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება.

ამ მეთოდოლოგიის თანახმად, სოციალური დახმარების მიღების მიზნით ოჯახი (შინამეურნეობა) უნდა დარეგისტრირდეს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) იდენტიფიკაციისა და მათი კეთილდღეობის დონის შეფასების მიზნად გამოყენებულია **შინამეურნეობის კეთილდღეობის ინდექსი**, რომლის გაანგარიშება ხორციელდება იმ მონაცემთა საფუძველზე, რომელსაც ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი აფიქსირებს სპეციალურ კითხვარში ანუ ე.წ. ოჯახის დეკლარაციაში. ოჯახის დეკლარაციაში მოცემულია ყველა ის მნიშვნელობა, რომლებიც გამოიყენება კეთილდღეობის ინდექსის გამოსათვლელ ფორმულაში [31, მუხლი 2]:

$$I = \frac{C}{N}$$

სადაც:

I - არის კეთილდღეობის ინდექსი

C- არის შინამეურნეობის სამომხმარებლო ინდექსი;

N - შინამეურნეობის საჭიროების ინდექსი.

შინამეურნეობის სამომხმარებლო ინდექსის გაანგარიშება ხდება ფორმულით
[31, მუხლი 3]:

$$C = \exp(K_0 + \sum_{i=1}^{10} C_i) - C_0$$

სადაც:

K_0 - მუდმივი კოეფიციენტი;

C_1 - სასოფლო-სამეურნეო ქონების (მიწის) ინდექსი;

C_2 - სასოფლო-სამეურნეო ქონების (პირუტყვის) ინდექსი;

C_3 - მოძრავი ქონების ინდექსი;

C_4 - შემოსავლების ინდექსი;

C_5 - კომუნალური ხარჯების ინდექსი;

C_6 - დემოგრაფიული ინდექსი;

C_7 - განათლებისა და დასაქმების ინდექსი;

C_8 - ტერიტორიული ინდექსი;

C_9 - ძირითადი საცხოვრებლის მდგომარეობის ინდექსი;

C_{10} - სხვა უძრავი ქონების ინდექსი;


C_0 - გასული პერიოდის განმავლობაში ოჯახის ან მისი რომელიმე წევრის მიერ მიღებული (ან მისაღები) ფულადი სოციალური დახმარება, „საარსებო შემწეობა“³⁷ ან სხვა ფულადი სოციალური გასაცემელი, რომლის გაცემა „საარსებო შემწეობის“ მიღების შემთხვევაში შეიძლება შეწყდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; ან სხვა ფულადი დახმარება, რომლის გაცემა დამოკიდებულია სარეიტინგო ქულაზე.

³⁷ ამ ინდექსების გამოთვლის წესი მოცემულია დანართში. იხ. დანართი 4.

სიღარიბის დაძლევის მიზნით საქართველოში იზრდება საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობა (იხ. დიაგრამა 3.2.2.).

საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობა

დიაგრამა 3.2.2.



წყარო: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები http://geostat.ge/?action=page&p_id=199&lang=geo

როგორც დიაგრამაში მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, 2007 წლიდან 2016 წლამდე საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა თითქმის 165%-ით და შეადგინა 2016 წელს 459 619 ადამიანი ანუ საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობა საქართველოს მთელი მოსახლეობის 6,4%-დან 12,4%-მდე გაიზარდა.

სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური უთანასწორობის გათანაბრებაზე მიმართული მთელი რიგი ღონისძიებათა მიღებისა და განხორციელების მიუხედავად საქართველოში სიღარიბის მაჩვენებლები თითქმის არ შეცვლილა და „საქართველო ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის უთანასწორობის მაჩვენებლის მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე უთანასწორო სახელმწიფოა, რაც იმის ნიშანია, რომ

ბოლო წლებში მომხდარმა ეკონომიკურმა ძვრებმა საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილამდე არ მიაღწია“ [24, გვ.5].

როგორც აღინიშნა, სოციალური დაცვის სისტემა საქართველოში მოიცავს ორ ძირითად ელემენტს და მიზნობრივი სოციალური დახმარების (TSA) გარდა მოიცავს, აგრეთვე, საპენსიო სისტემას.

აღსანიშნავია, რომ საპენსიო ასაკის ადამიანთა რაოდენობა საქართველოში განუხრელად იზრდება. 1990 წელს ამ ასაკის მოსახლეობის რაოდენობა საქართველოში შეადგენდა 497,3 ათას კაცს, 1995 წელს ამ ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა 518,1 ათას კაცამდე, 2000 წელს საპენსიო ასაკის მოსახლეობის რაოდენობა უკვე 550,4 ათას კაცს შეადგენდა, 2005 წელს - 605,0 ათას კაცს, 2010 წელს - 621,9 ათას კაცს, 2011 წელს - 616,6 ათას კაცს, 2012 წელს - 615,9 ათას კაცს, 2013 წელს - 620,7 ათას კაცს, 2014 წელს - 627,1 ათას კაცს, 2015 წელს - 528,6 ათას კაცს, 2016 წელს - 534,5 ათას კაცს, 2017 წელს - 537,4 ათას კაცს [geostat.ge].

საქართველოს დემოგრაფიული პროგნოზის შეფასების საშუალო ვარიანტის თანახმად³⁸, 2020 წლისათვის 65 წელზე უფროსი მოსახლეობის რაოდენობამ უნდა შეადგინოს 567 ათასი კაცი, ხოლო ხუთი წლის შემდეგ, ანუ 2025 წელს, მათმა რაოდენობამ უნდა მიაღწიოს 598 ათას კაცს, რაც, 2020 წელთან შედარებით, 31 ათასი კაცით მეტი იქნება [4; 15, გვ.474; 49; 54], ხოლო 2050 წლისთვის, გაეროს მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 25% იქნება 65 წელზე უფროსი და „ადგილი ექნება სოციალური დანახარჯების მუდმივ ზრდას“ [24, გვ.57]. საპენსიო ასაკის მოსახლეობის ზრდა შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის შემცირების პირობებში კიდევ უფრო ზრდის დემოგრაფიულ³⁹ და ეკონომიკურ დატვირთვას⁴⁰

³⁸ საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივები [49] მოცემულია სამი ვარიანტის მიხედვით: დაბალი (ოპტიმისტური), საშუალო და მაღალი (პესიმისტური). მოცემულ ნაშრომში გაანგარიშება ეფუძნება პროგნოზის საშუალო ვარიანტს.

³⁹ დემოგრაფიული დატვირთვა (DB) წარმოადგენს შრომისუნარიან ასაკზე უმცროსი (-15) (UW) და შრომისუნარიან ასაკზე უფროსი (60/65+) (OW) მოსახლეობის რაოდენობის შეფარდებას შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (W) რაოდენობასთან [54]:

$$DB = \frac{UW + OW}{W}$$

შრომიუნარიან ასაკში მყოფ მოსახლეობაზე, რაც ხელფასის დაბალი დონის შენარჩუნების პირობებში ნეგატიურად იმოქმედებს საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობაზე და, სავარაუდოთ, გაზრდის საარსებო შემწეობის მიმღები პირებისა და ოჯახების რაოდენობას და გაართულებს სიღარიბესთან ბრძოლის შესაძლებლობებს.

მომუშავე მოსახლეობის როგორც რეალური, ასევე ნომინალური შემოსავლების დაბალი დონე, უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლები, სიღარიბის პრობლემის არასაკმარისი შესწავლა და გაანალიზება, სიღარიბის გამომწვევი მიზეზების მრავალსახეობის უგულებელყოფა და სტანდარტული მიდგომა მის აღმოფხვრის მეთოდების მიმართ, სოციალური პროგრამების არასრულყოფილება და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დაუცველობა იწვევს სიღარიბის ზრდისა და ეკონომიკური უთანასწორობის გაღრმავების პირობებს, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება საშუალო კლასის ფორმირებაზე და მოსახლეობის მსყიდველუნარიანობაზე, ხელს შეუშლის შიდა ბაზრის გაფართოებას და საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას, შეაფერხებს საქართველოს, როგორც სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოს, ჩამოყალიბებას.

ასეთ ვითარებაში საჭირო ხდება უფრო გონივრულად მივუდგეთ სიღარიბის დაძლევის პრობლემას და მკაფიოდ განვსაზღვროთ სიღარიბესთან ბრძოლის მიმართულებები და მეთოდები, გავხადოთ ისინი მეცნიერულად დასაბუთებული და მეთოდოლოგიურად გამართლებული. აღნიშნული მიდგომა მიმართული უნდა იყოს არა სიღარიბის გამოვლენასთან ბრძოლაზე, არამედ სიღარიბის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრაზე, არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მატერიალური დახმარების გაწევით, არამედ უნდა დაეფუძნოს ღონისძიებათა ფართო სისტემას.

⁴⁰ ეკონომიკური დატვირტვა (DE) წარმოადგენს არადასაქმებული შრომიუნარიან ასაკზე უმცროსი (-15) (UW), შრომიუნარიან ასაკზე უფროსი (60/65+) (OW) და უმუშევარი (U) მოსახლეობის რაოდენობის შეფარდებას დასაქმებულ მოსახლეობის (W):რაოდენობასთან [54]:

$$DE = \frac{UW + OW + U}{E}$$

**სიღარიბის თეორიები, როგორც სიღარიბის მიზეზების ახსნისა და
სიღარიბესთან ბრძოლის საფუძველი**

სქემა 3.2.1.

საზოგადოების დონის
(მაკრო/მეზოეკონომიკური
დონის)
**ობიექტური ხასიათის
მიზეზები**

- **სიღარიბის პოლიტიკური თეორია:** კონსერვატორული მიდგომა; სამართლიანობის თეორია; ადგილზე დაფუძნებული პოლიტიკა; პოლიტიკური მონაწილეობის თეორია
- **სიღარიბის ანთროპოლოგიური თეორია:** ეთნოგრაფიული მიდგომა; ეთიკური მიდგომა
- **სიღარიბის ეკონომიკური თეორია:** ეკონომიკური წყობის არასრულყოფილება (ჟ.პრუდონი, კ.მარქსი, სხვ.), ეკონომიკური ზრდის პოლიტიკა, ეკონომიკური კეთილდღეობის თეორია, სოციალური სახელმწიფოს თეორია და სხვ. გ.მურდალი, ჯ.სტიგლიცი, ე.რაინერტი და სხვ.

საზოგადოების დონის
(მაკრო/მეზოეკონომიკური
დონის)
**სუბიექტური ხასიათის
მიზეზები**

- **სიღარიბის ფსიქოლოგიური თეორია:** კლასიზმის ფსიქოლოგიური თეორია; დისტანცირების თეორია
- **სიღარიბის ანთროპოლოგიური თეორია:** სიღარიბე, როგორც გარდამავალი მოვლენა
- **სიღარიბის ანთროპოლოგიური თეორია:** სიღარიბე, როგორც კანონზომიერება
- **სიღარიბის ეკონომიკური თეორია:** გადანაწილების პოლიტიკა, შემწეობის პოლიტიკა (უ.ჯევონსი სხვ.),

ინდივიდის დონის
(მიკროეკონომიკური
დონის)
**ობიექტური ხასიათის
მიზეზები**

- **სიღარიბის პოლიტიკური თეორია:** უპირატესად კონსერვატორული მიდგომა; ადამიანზე დაფუძნებული პოლიტიკა; განაწილების პოლიტიკა;
- **სიღარიბის ეკონომიკური თეორია:** სიმდიდრის გადანაწილების საკითხი, ქველმოქმედების პოლიტიკა (ა.პიგუ და სხვ.)

ინდივიდის დონის
(მიკროეკონომიკური
დონის)
**სუბიექტური ხასიათის
მიზეზები**

- **სიღარიბის პოლიტიკური თეორია:** ლიბერარული და კონსერვატორული მიდგომის კომბინირება; ადამიანებზე დაფუძნებულ პოლიტიკა
- **სიღარიბის სოციოლოგიური თეორია:** სიღარიბის (სუბ)კულტურის თეორია;
- **სიღარიბის ფსიქოლოგიური თეორია:** ატრიბუციის თეორია; ამოწურვადი თვითკონტროლის თეორია; განაწილების პოლიტიკა და სხვ.
- **სიღარიბის ანთროპოლოგიური თეორია:** ემიკური მიდგომა
- **სიღარიბის ეკონომიკური თეორია:** მენტალობა, ეკონომიკური ქვევა (ი.ფიშერი, ა.პიგუ და სხვ.)

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

სიღარიბის გამომწვევი მიზეზების გამოყოფისა და ჩვენს მიერ მოცემული მათ კლასიფიკაციაზე⁴¹, სიღარიბის ტიპების განსაზღვრასა და მათ თავისებურებათა გათვალისწინებაზე⁴² დაყრდნობით შესაძლებელია გამოკვეთილ იქნეს ის თეორიული მიდგომები, მიმართულებები და კონცეფციები, ცალკეული მეცნიერის მიერ შემუშავებული შეხედულებები⁴³ და ა. შ., რომლებიც ყველაზე საუკეთესოდ მიესადაგება სიღარიბის გამომწვევი მიზეზებისა და ტიპების კლასიფიკაციის თითოეულ ჯგუფს (იხ. სქემა 3.2.1.). ეს ხელს შეუწყობს სიღარიბის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენის უკეთ გაგებას და მასთან ბრძოლისათვის დიფერენცირებული და დაკონკრეტებული სტრატეგიის შემუშავებას, რათა არ მოხდეს, ერთი მხრივ, ოპორტუნისტული ქცევის მხარდაჭერა და პარაზიტობის გავრცელება⁴⁴, ხოლო მეორე მხრივ, ყურადღების მიღმა არ დარჩნენ ის პირები, რომლებიც საჭიროებენ⁴⁵ ასეთ დახმარებას.

ამგვარად, სიღარიბის გამომწვევი მიზეზების უფრო დეტალური და დაკონკრეტებული შესწავლა იძლევა შესაძლებლობას სიღარიბის კვლევისა და სიღარიბის საწინააღმდეგო ღონისძიებების დასახვისადმი დიფერენცირებული მიდგომის გამოყენებისათვის.

სიღარიბის ტიპების გამოყოფა, ინდივიდის და საზოგადოების დონეებზე განხილული ობიექტური და სუბიექტური ხასიათის მქონე მიზეზებად დაყოფა შესაძლებლობას იძლევა გარკვეულწილად გავმიჯნოთ, თუ ვინ აგებს პასუხს სიღარიბეზე - საზოგადოება თუ ცალკეული პიროვნება; თუ ვინ ან რა არის სიღარიბის მიზეზი და, მამასადამე, განსაზღვრულ იქნეს, ერთი მხრივ, ის პასუხისმგებელი სუბიექტი (სახელმწიფო ან ცალკეული პირი), რომელიც არის ვალდებული ამ პრობლემის დაძლევაზე, ხოლო მეორე მხრივ, შემუშავდეს

⁴¹ იხ. მოცემული ნაშრომის მეორე თავის მესამე პარაგრაფი.

⁴² იხ. მოცემული ნაშრომის მეორე თავის პირველი პარაგრაფი.

⁴³ იხ. მოცემული ნაშრომის პირველი თავი.

⁴⁴ ინდივიდის დონის სუბიექტური მიზეზების ჯგუფი (იხ. მოცემული ნაშრომის მეორე თავის მესამე პარაგრაფი).

⁴⁵ ინდივიდის დონის ობიექტური მიზეზების ჯგუფი (იხ. მოცემული ნაშრომის მეორე თავის მესამე პარაგრაფი).

სპეციფიკური ღონისძიებათა სისტემა, რომელიც იქნება მისადაგებული სიღარიბის მიზეზთა თითოეული (სობიექტური თუ ობიექტური) ჯგუფისათვის.

მაშასადამე, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და სიღარიბესთან ბრძოლაზე მიმართული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა ზოგადად, ისევე, როგორც ღარიბი მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე მიმართული განსხვავებული ღონისძიებათა ერთობლიობის ჩამოყალიბება, უნდა იყოს განხილული, როგორც სიღარიბის გამომწვევი მიზეზების დაძლევაზე ორიენტირებული ერთიანი სტრატეგიის ურთიერთ შემავსებელი მხარეები, რაც სიღარიბესთან ბრძოლაზე მიმართულ სტრატეგიას ანიჭებს კომპლექსურ და, ამავე დროს, დიფერენცირებულ ხასიათს, რომლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება სიღარიბესთან ბრძოლაში პროგრესის მიღწევა.

დასკვნები და წინადადებები

ამრიგად, სიღარიბე წარმოადგენს რთულ და მრავალწახნაგოვან სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენას, რომლის კვლევა დაკავშირებულია მთელ რიგ სირთულესთან, რის გამო დღის წესრიგში დგება სიღარიბის კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ თავისებურებათა განსაზღვრისა და შეფასების საკითხი.

სადისერტაციო თემაზე მუშაობის პროცესში სიღარიბის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური თავისებურებათა შესწავლა-შეფასების შედეგად შესაძლებელი გახდა შემდეგი დასკვნებისა და წინადადებების შემოთავაზება:

1. სიღარიბის, როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის, სიღრმისეული და ყოვლისმომცველი გაგება ეფუძნება პასუხის გაცემას ისეთ კითხვებზე, როგორცაა რატომ არიან ადამიანები ღარიბები და რატომ არ შეუძლიათ მათ თავი დააღწიონ სიღარიბეს? რა იწვევს სიღარიბეს? რა შედეგები მოჰყვება სიღარიბეს ცალკეული ადამიანისათვის, ოჯახებისათვის და მთლიანად საზოგადოებისათვის? ვინ აგებს პასუხს სიღარიბის არსებობაზე? რამდენად რეალურია სიღარიბესთან ბრძოლა და რამდენად რეალურია მისი დაძლევა? განსხვავებული იდეოლოგიისა და პოლიტიკური ძალების წარმომადგენლები განსხვავებულ პასუხს გასცემენ ამ კითხვებს.
2. სიღარიბის პრობლემას იკვლევენ განსხვავებული მეცნიერული მიმართულებები - ანთროპოლოგია, სოციოლოგია, პოლიტიკური და ეკონომიკური მეცნიერებანი და სხვ. - და თავიანთი მეცნიერული დისციპლინის ფარგლებში ავითარებენ განსხვავებულ თეორიებს და კონცეფციებს. მაგრამ ვერც ერთი მათგანი ცალკე ვერ აყალიბებს სიღარიბის სრულ და ყოველმხრივ სურათს, ვერ ავითარებს სიღარიბის ყოველმომცველ თეორიას და, მაშასადამე, სიღარიბის კვლევა არ შეიძლება იყოს განხორციელებული რომელიმე ცალკე აღებული მეცნიერული დისციპლინის ან ცალკეული თეორიული მიმართულების ფარგლებში. სიღარიბის კვლევა უნდა

განხორციელდეს ინტერდისციპლინარული მიდგომის საფუძველზე განსხვავებული მეცნიერული კონცეფციის ინტეგრირების და სიღრმისეული გააზრების საფუძველზე.

3. პოლიტიკურ მეცნიერებაში გამოიყოფა ორი განსახვავებული მიდგომა სიღარიბეზე პასუხისმგებელი მხარეების განსაზღვრის თვალსაზრისით - კონსერვატორული და ლიბერალური. ლიბერალური მიმართულების მკვლევარები სიღარიბეზე პასუხისმგებლობას აკისრებენ თვით ღარიბებს, ხოლო კონსერვატორული მიმართულების მეცნიერები თვლიან, რომ სიღარიბეზე პასუხი უნდა აგოს საზოგადოებამ და სხვადასხვა დონის სახელმწიფო ორგანოებმა.
4. სიღარიბის ფხიქოლოგიურმა თეორიებმა უკანასკნელ ორმოცდაათი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ევოლუციური ცვლილებები განიცადეს და მათი უმრავლესობა ფოკუსირებულია ინდივიდებზე და მათ შორის არსებულ განსხვავებებზე. სიღარიბის ფხიქოლოგიური თეორიები სიღარიბეს განიხილავენ, როგორც გადაწყვეტილებების მიღების გონებრივ (მენტალურ) მოდელს და სოციალური ჩართულობის თუ იზოლირების საფუძველს.
5. სიღარიბის ანთროპოლოგიური თეორია ეფუძნება სხვადასხვა სოციალურ დისციპლინებს და ადგენს კავშირს ადამიანთა ქცევისა და ადამიანის არსებობის კულტურულ (ხელოვნურ) გარემოს შორის. სიღარიბის ანთროპოლოგიური თეორია სიღარიბე განიხილავს, როგორც ადაპტიურ, თვითშენარჩუნებად სისტემას, რომელიც უკვდავყოფს საკუთარ მდგომარეობას.
6. სოციოლოგების მიერ სიღარიბის პრობლემის გააზრება ფოკუსირდება, ერთი მხრივ, საზოგადოების სტრუქტურასა და სოციალურ-ეკონომიკურ ორგანიზაციაზე და, მეორე მხრივ, ამ საზოგადოებაში ინდივიდის როლის გაგებაზე. სოციოლოგიაში სიღარიბე წარმოდგენილია, როგორც სოციო-კულტურული ფენომენი, როგორც ადამიანის მიერ დაკავებული ცხოვრებისეული პოზიცია, როგორც ადამიანის მიერ მიღებული ფასეულობათა სისტემა, როგორც საზოგადოებაში ჩამოყალიბებული მაკრო- და მიკრო- ურთიერთობების შედეგი და, მათსადაამე, განიხილება, როგორც

ინდივიდუალური ან/და საზოგადოებრივი (სახელმწიფოებრივი) კონსტრუირების შედეგი.

7. სიღარიბის პრობლემა პირველ რიგში გულისხმობს მის ეკონომიკურ გააზრებას. სიღარიბის კვლევას ცალკეული ეკონომიკური სკოლები ახორციელებენ საკუთარი მეთოდოლოგიის საფუძველზე და, მამასადამე, ავითარებენ საკუთარ შეხედულებებს ამ პრობლემაზე. ამასთან, თითოეული ეკონომიკური სკოლის ფარგლებში მეცნიერთა წარმოდგენა და სიღარიბისადმი დამოკიდებულება შეიძლება მნიშვნელოვნად იყოს განსხვავებული.
8. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლები (ა.სმიტი, დ.რიკარდო და სხვ.) განიხილავენ სიღარიბეს არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ მორალური თვალსაზრისით. ეკონომიკური თვალსაზრისით სიღარიბე - ეს არის მომუშავეს შემოსავლის ნაკლებობა, რომელიც გამოწვეულია შრომის მიწოდებისა და მასზე მოთხოვნას შორის არსებული დისპროპორციით. ამით კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლებს სიღარიბის პრობლემის ეკონომიკური ხედვა მოსახლეობის ზრდასა და საარსებო საშუალებათა შორის უბრალო თანაფარდობამდე დაჰყავთ. რაც შეეხება სიღარიბის მორალურ მხარეს, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლებს სიღარიბე გამოჰყავთ ადამიანის ბუნების ნაკლოვანებებიდან.
9. ნეოკლასიკური სკოლის ეკონომისტთა სამეცნიერო ინტერესის სფეროში მოქცეულია საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობის პრობლემა და მისი მიღწევის გზების გამოვლენა. სიღარიბე განიხილება, როგორც რეალურად არსებული ფაქტი, რომელიც გამოდის საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევის ხელისშემშლელ ფაქტორად. ნეოკლასიკური თეორია ეფუძნება სიღარიბის ბუნებრივი წარმოშობის იდეას, რომელიც გამომდინარეობს წარმოდგენიდან ადამიანთა განსხვავებული ბუნებრივი შესძლებლობების შესახებ. ნეოკლასიკოსები ხაზს უსვამენ ადამიანთა პიროვნული მახასიათებლების არაერთგვაროვნებას, განსხვავებას მათ უნარებში, განათლებაში და ა.შ., რაც განაპირობებს ადამიანთა საქმიანობის შედეგიანობას და, შესაბამისად, შემოსავლის დონეს. გარდა ამისა,

ნეოკლასიკური ეკონომიკური სკოლის ზოგიერთი წარმომადგენელი (მაგალითად, ა.მარშალი) თ.რ.მალთუსის მსგავსად სიღარიბის ბუნებრივი წარმოშობის იდეის ფარგლებში სიღარიბის გამომწვევ მიზეზთა შორის აღინიშნავენ მოსახლეობის სწრაფ ზრდას და მის გავლენას შრომის მიწოდებასა და, შესაბამისად, ხელფასის დონეზე. ნეოკლასიკური ეკონომიკური სკოლის ფართო დისკუსიის საგანს წარმოადგენს საგადასახადო პოლიტიკისა და საქველმოქმედო საქმიანობის მეშვეობით ღარიბების სასარგებლოდ შემოსავლების გადანაწილების შესაძლებლობა და ღარიბების მიერ მათი შემოსავლების გონევერული ხარჯვის პრობლემა.

10. მაკროეკონომიკური ანალიზის ფუძემდებელი ჯ.მ.კეინზი სიღარიბის არსებობას განიხილავს მის მიერ ჩამოყალიბებულ ეფექტიან მოთხოვნის, მოხმარებისადმი მიდრეკილების, ძირითადი ფსიქოლოგიური კანონისა და მულტიპლიკატორის თეორიებთან უშუალო კავშირში. სიღარიბის პრობლემას ჯ.მ.კეინზი აკავშირებს დასაქმებასთან და უმუშევრობასთან. მისი გაგებით, სწორედ განსხვავება დასაქმების დონეში არის ის მიზეზი, რომელიც განასხვავებს ერთ ღარიბ ქვეყანას ნაკლებად ღარიბისაგან. გარდა ამისა, სიღარიბე, ჯ.მ.კეინზის აზრით, შეიძლება იყოს გამოწვეული მომუშავეთა დაბალი კვალიფიკაციით, ცუდი ტექნიკური აღჭურველობით და მწირი კაპიტალდაბანდებებით.

11. ახალი კეიზელობის ლიდერი ჯ.ე.სტიგლიცი გამოდის ბაზრის წონასწორობისა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში რესურსების სრული გამოყენების კლასიკური ეკონომიკური იდეის წინააღმდეგ და ამ პოზიციიდან აფასებს სიღარიბის და უმუშევრობის პრობლემებს, განიხილავს მათ, როგორც ბაზრის ყველაზე საშიშ ჩავარდნას და უსამართლობისა და არასტაბილურობის ყველაზე მთავარ მიზეზს. ანალოგიურ შეხედულებებს გამოთქვამდა განვითარების ეკონომიკის წარმომადგენელი ერიკ ს.რაინერტი და ინსტიტუციონალურ-სოციოლოგიური მიმართულების წარმომადგენელი გუნარ მიურდალი.

12. სიღარიბის დაძლევისათვის დაკავშირებით ჯ.სტიგლიცის, გ.მიურდალის, ე.რაინერტის და სხვათა მიერ გამოთქმული მოსაზრება სახელმწიფოს მხრიდან აქტიური მხარდაჭერის აუცილებლობისა და მაქსიმალურად დამოუკიდებელი,

ეროვნული ინტერესების გატარებაზე მიმართული პოლიტიკის გატარების შესახებ აფართოვებს წარმოდგენას ეკონომიკურ განვითარებაზე და სიღარიმბესთან ბრძოლის მეთოდებზე, განსაკუთრებით განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის.

13. მეცნიერულ ლიტერატურაში არსებული შეხედულებების, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების თუ სხვა წყაროების მიერ მოცემულ სიღარიბის განმარტებათა ანალიზისა და სისტემატიზაციის საფუძველზე, გამოყოფილ იქნა სიღარიბის განსაზღვრის შვიდი განსხვავებული ჯგუფი, როგორცაა: (ა) სიღარიბის განსაზღვრა *მონეტარული გაგების* საფუძველზე; (ბ) სიღარიბის განსაზღვრა *მოსახლეობის სწრაფი ზრდისა და რესურსების სიმცირეს* შორის დისპროპორციის საფუძველზე; (გ) სიღარიბის განსაზღვრა *სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების* საფუძველზე; (დ) სიღარიბის განსაზღვრა კონკრეტული საზოგადოების საყოველთაოდ მიღებული ცხოვრების *სტანდარტებთან შეუსაბამობის* საფუძველზე; (ე) სიღარიბის განსაზღვრა ადამიანთა *თვითიდენტიფიკაციის* საფუძველზე; (ვ) სიღარიბის განსაზღვრა ფასეულობების გარკვეულ სისტემაზე დამყარებული *ცხოვრების წესის* საფუძველზე და (ზ) სიღარიბის განსაზღვრა *ადამიანის შესაძლებლობების* საფუძველზე.

14. აბსოლუტური სიღარიბე შეიძლება იყოს განხილული ვიწრო და ფართო გაგებით. აბსოლუტური სიღარიბის *ვიწრო გაგება* გამომდინარეობს იქედან, არის თუ არა ადამიანი მშვიერი ან თუ რამდენად არის ის მშვიერი. აბსოლუტური სიღარიბის *ფართო გაგება* განიხილავს სიღარიბეს, როგორც მდგომარეობას, როდესაც ადამიანები მოკლებულნი არიან ძირითად მოთხოვნილებებს არა მარტო საკვებზე, არამედ სუფთა წყალზე, სანიტარულ პირობებზე, ჯანდაცვაზე, თავშესაფარზე და ინფორმაციაზე.

15. საარსებო მინიმუმში (M) სასურსათო კალათის (C) წილი წარმოდგენილია "სასურსათო კალათა-საარსებო მინიმუმის პროპორციის კოეფიციენტით" (k), რომლის მეშვეობით განსაზღვრულია თანაფარდობა სასურსათო კალათასა (C) და საარსებო მინიმუმს (M) შორის: $C = kM$.

16. საარსებო მინიმუმის (M) საფუძველზე განსაზღვრულ აბსოლუტურ სიღარიბეს გააჩნია შინაგანი სტრუქტურა და მასში გამოყოფილია ისეთი ელემენტები, როგორცაა (1) უკიდურესი სიღატაკე (E), როცა ადამიანის ან შინამეურნეობის შემოსავალი და მოხმარება სასურსათო კალათაზე ნაკლებია და ნულისკენ მიისწრაფვის ($C > E \rightarrow 0$), (2) სიღატაკე (D), როდესაც ადამიანის ან შინამეურნეობის შემოსავალი და მოხმარება ვერ უზრუნველყოფს სასურსათო კალათით გათვალისწინებული მინიმალური ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ანუ $D < C$ ან $D < kM$, (3) უკიდურესი გაჭირვება (N), როდესაც ადამიანის ან შინამეურნეობის შემოსავალი და მოხმარება შეესაბამება ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ანუ უტოლდება სასურსათო კალათის მოცულობას, მაგრამ მიუწვდომელი რჩება სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ანუ $N = kM$ ან $N = C$ და (4) გაჭირვება (S), როდესაც ადამიანის ან შინამეურნეობის შემოსავალი და მოხმარება სასურსათო კალათაზე მეტია, მაგრამ არ აღემატება საარსებო მინიმუმს ანუ $kM < S \leq M$ ან $C < S \leq M$.
17. აბსოლუტური სიღარიბის სტრუქტურული ელემენტები ზომიერ სიღარიბესთან ერთად წარმოადგენს სიღარიბის განსხვავებულ დონეებს, რომელთა საფუძველზე ყალიბდება სიღარიბის განსხვავებული ზღვრები. ასეთი მიდგომა თანხვედრაში მოდის სიღარიბის ზღვართა სიმრავლის თეორიულ შეხედულებებთან.
18. სიღარიბის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენის, შესწავლისას გამოიკვეთა მისი 33 დასახელების 28 განსხვავებული ტიპი, რომელთა შორის არსებობს საკმაოდ რთული და არაერთგვაროვანი ურთიერთდამოკიდებულება.
19. სიღარიბის განსხვავებული ტიპების კლასიფიკაცია ეფუძნება ისეთ კრიტერიუმებს, როგორებიცაა *სიღარიბის წარმოშობის ხასიათი, გამოვლენის ხასიათი, აღქმის ხასიათი, სიღარიბის სიმყარე, გავრცელების მასშტაბი, გამოვლენის ფორმა და სპეციფიკური სახეები.*

20. სიღარიბის განსაზღვრის მიდგომებიდან გამომდინარე, სიღარიბე სხვადასხვა სახეს იღებს და გამოიხატება განსხვავებული ნიშნებით.

21. სიღარიბის გაზომვის მეთოდოლოგია პირველ რიგში ეფუძნება ფულადი შემოსავლის არასაკმარისობას ანუ გამომდინარეობს სიღარიბის გაგების მონეტარული მიდგომიდან. ამ მიდგომასთან ახლოს დგას სიღარიბის მატერიალური მიდგომა და მოიცავს ისეთ მაჩვენებლებს, როგორცაა ე.წ. „სიღარიბის ძირითადი მაჩვენებელი“, სიღარიბის კოეფიციენტი, სიღარიბის სიღრმის ინდექსი, სიღარიბის სიმწვავის ინდექსი, სიღარიბის სინთეტიკური ინდიკატორი (სენის ინდექსი) და შინამეურნეობების შემოსავლების დეფიციტის მაჩვენებელი.

22. უკანასკნელ პერიოდში სიღარიბის გაზომვის მეთოდოლოგია ეფუძნება სიღარიბის უფრო ფართო გაგებას და მატერიალური შემადგენლების გარდა მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორცაა ჯანმრთელობის დაცვა, განათლების მიღება, სუფთა წყლის მისაწვდომლობა და ა.შ. სიღარიბის გაზომვის ამგვარ მაჩვენებლებს მიეკუთვნება სიღარიბის ინდექსი (Human Poverty Index (HPI), სიღარიბის ინდექსი განვითარებადი ქვეყნებისთვის (HPI-1) და განვითარებული ქვეყნებისთვის (HPI-2), სიღარიბის მრავალგანზომილებიანი გლობალური ინდექსი (MPI) და სხვ.

23. სიღარიბის პრობლემის ყოველმხრივი და საფუძვლიანი კვლევისათვის მეთოდოლოგიურად მიზანშეწონილია მისი განხილვა ორი პოზიციიდან გამომდინარე: პიროვნების ან შინამეურნეობის პოზიციიდან გამომდინარე და საზოგადოების პოზიციიდან გამომდინარე ანუ მიკრო-დონეზე და, ასევე, მაკრო/მეზო დონეზე.

24. სიღარიბის პრობლემის გაგება და მის დაძლევაზე მიმართული ღონისძიებების განსაზღვრა დიდწილად დამოკიდებულია სიღარიბის გამომწვევი მიზეზების გაგებაზე. სიღარიბის გამომწვევი მიზეზები შეიძლება პირობითად შეიძლება დავეყოს: (1) *გამოვლენის მასშტაბის მიხედვით* სიღარიბის გამომწვევი მიზეზები განიხილება საზოგადოების მასშტაბით და ინდივიდის დონეზე ანუ მაკრო/მეზოეკონომიკურ დონეზე და მიკროეკონომიკურ დონეზე; (2) *გამოვლენის*

ხასიათის მიხედვით სიღარიბის გამომწვევი მიზეზები თავის მხრივ იყოფა ობიექტური ხასიათის მიზეზებად და სუბიექტური ხასიათის მიზეზებად. აქედან გამომდინარე შეიძლება გამოვყოთ სიღარიბის გამომწვევი მიზეზების ოთხი ჯგუფი:

- საზოგადოების დონის ობიექტური ხასიათის მიზეზები ანუ მაკრო/მეზოეკონომიკური დონის ობიექტური ხასიათის მიზეზები;
- საზოგადოების დონის სუბიექტური ხასიათის მიზეზები ანუ მაკრო/მეზოეკონომიკური დონის სუბიექტური ხასიათის მიზეზები;
- ინდივიდის დონის ობიექტური ხასიათის მიზეზები ანუ მიკროეკონომიკური დონის ობიექტური ხასიათის მიზეზები;
- ინდივიდის დონის სუბიექტური ხასიათის მიზეზები ანუ მიკროეკონომიკური დონის სუბიექტური ხასიათის მიზეზები.

25. სიღარიბის ობიექტური და სუბიექტური ხასიათის მიზეზებად დაყოფა შესაძლებლობას იძლევა გარკვეულწილად გავმიჯნოთ, თუ ვინ აგებს პასუხს სიღარიბეზე - საზოგადოება თუ ცალკეული პიროვნება; თუ ვინ ან რა არის სიღარიბის მიზეზი და, მაშასადამე, განსაზღვრულ იქნეს, ერთი მხრივ, ის პასუხისმგებელი სუბიექტი (სახელმწიფო ან ცალკეული პირი), რომელიც არის ვალდებული ამ პრობლემის დაძლევაზე, ხოლო მეორე მხრივ, შემუშავდეს სპეციფიკურ ღონისძიებათა სისტემა, რომელიც მისადაგებული იქნება სიღარიბის გამომწვევ მიზეზთა თითოეული (მიკრო თუ მაკროდონეზე განხილული სიღარიბის გამომწვევი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზები) ჯგუფისათვის.

26. სიღარიბის გამოწვევისა და შენარჩუნების მრავალი მიზეზის არსებობა მოითხოვს საზოგადოებაში არსებული სიღარიბის საფუძვლიანად შესწავლას, სიღარიბის მიზეზების მიხედვით ღარიბი ფენების დაჯგუფებას და ყოველი კონკრეტული ჯგუფისთვის სიღარიბესთან ბრძოლის სპეციალური ღონისძიებების შემუშავებასა და გატარებას, რათა მოხდეს არა შედეგების „მკურნალობა“, არამედ სიღარიბის ფესვების აღმოფხვრა.

27. სიღარიბის შემცირებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა უჭირავს ეკონომიკურ განვითარებასა და ეფექტიან ეკონომიკურ პოლიტიკას. ამასთან, ეკონომიკური

განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი ქვეყნებისათვის სიღარიბის პრობლემა განსხვავებულია. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გლობალური მასშტაბით შეიძლება გამოვყოთ სამი ჯგუფის პრობლემა: (1) ღარიბი ქვეყნების პრობლემა, (2) ღარიბ ადამიანთა პრობლემა ღარიბ ქვეყნებში, (3) ღარიბ ადამიანთა პრობლემა მდიდარ ქვეყნებში.

28. თუ მდიდარი ქვეყნების წინაშე ეკონომიკური კეთილდღეობის შემდგომი ზრდის თვალსაზრისით მხოლოდ ერთი პრობლემა - ღარიბი ადამიანების პრობლემა დგას, ღარიბი ქვეყნები გაცილებით უფრო რთულ მდგომარეობაში იმყოფებიან და მათთვის საჭირობო როტოა არა მარტო ღარიბი ადამიანების პრობლემის გადაჭრა, არამედ უფრო რთული და მასშტაბური პრობლემის - ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენილობისა და უთანასწორობის დაძლევა, რის გარეშე შეუძლებელია ამ ქვეყნებში მცხოვრებ ადამიანთა სიღარიბესთან ბრძოლა.

29. სიღარიბის დაძლევის მიმართ გამოყენებული პოლიტიკა შეიძლება დაიყოს ორ ძირითად მიმართულებად, რომელიც ეფუძნება ორ კარდინალურად განსხვავებულ კონცეპტუალურ მიდგომას: ერთი მხრივ, ეს არის სახელმწიფოს დახმარებაზე დაფუძნებული სოციალური პოლიტიკა, ხოლო მეორე მხრივ, ლიბერალურ პრინციპებზე აგებული სოციალური პოლიტიკა. ამასთან, „წმინდა“ ლიბერალურ ანუ სახელმწიფოს ჩარევისაგან სრულად დამოკიდებელ სოციალურ პოლიტიკას არ მიმართავენ ეკონომიკურად განვითარებულ იმ ქვეყნებშიც კი, რომლებიც გამოირჩევიან ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მინიმალური დონით.

30. მიუხედავად იმისა, რომ „კეთილდღეობის სახელმწიფოსა“ და „სოციალური სახელმწიფოს“ სხვადასხვა მოდელებში მიმართავენ განსხვავებულ ეკონომიკურ პოლიტიკას კეთილდღეობის მიღწევისა და სიღარიბის დაძლევისათვის, ყველა მათგანს აერთიანებს ღარიბ ადამიანთა რაოდენობის შემცირებისკენ სწრაფვა, რაც მიღწეული უნდა იყოს, ერთი მხრივ, ეროვნული წარმოების განვითარებისა და, მათთანადამე, შემოსავლის ზრდის და, მეორე მხრივ, ნაკლებად შეძლებული ადამიანების სასარგებლოდ შემოსავლების გონივრულ გადანაწილებაზე მიმართულ

ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე. ასეთი მიდგომა არის მნიშვნელოვანი, მაგრამ არ არის საკმარისი.

31. საქართველოს მთავრობისთვის, ისევე, როგორც სხვა ქვეყნების მმართველი ორგანოებისათვის, ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ქვეყანაში სოციალური დაცვის მხარდაჭერა, სიღატაკის დაძლევა და სიღარიბესთან ბრძოლა.
32. სოციალური დაცვის სისტემა საქართველოში მოიცავს ორ ძირითად ელემენტს: (1) საპენსიო სისტემას და (2) მიზნობრივი სოციალური დახმარებას (TSA) სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისთვის.
33. სოციალური მომსახურების განმახორციელებელი სუბიექტების სახით საქართველოში გამოდიან ადმინისტრაციული ორგანოები, ფიზიკური ან/და იურიდიული პირები. კერძოდ: (ა) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, (ბ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სამსახურები, (გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, (დ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოები სოციალური დახმარების სფეროში.
34. საქართველოში სოციალური დახმარების დაფინანსების წყაროებია: (ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, (ბ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტები, (გ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები, (დ) ბენეფიციარის ან მისი წარმომადგენლის მიერ გადახდილი თანხა, (ე) შემოწირულებები, (ვ) სხვა წყაროები, რომლებიც დაშვებულია საქართველოს კანონმდებლობით. ამასთან, ფულადი სოციალური დახმარების დაფინანსების ძირითადი წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი.
35. სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების განახლებული მეთოდოლოგია ეფუძნება სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) იდენტიფიკაციისა და

მათი კეთილდღეობის დონის შეფასებას შინამეურნეობის კეთილდღეობის ინდექსის გამოყენებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., *მოსახლეობის ცხოვრების დონე, სიღარიბე და უმუშევრობა საქართველოში*, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ.11, თბ., 2013, გვ. 34-41.
2. ანთაძე ც., *სიღარიბის დაძლევა და სოციალური სტაბილურობა, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო* (დამოუკიდებელ ექსპერტთა ანალიზი),
3. ასათიანი რ., 2001, *ახალი სოციალური საკითხი და სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა*, საქართველოს ეკონომიკური აკადემიის შრომები, ტ. II, თბ., საგამომცემლო ფირმა “სიახლე”.
4. არნანია-კეპულაძე თ., 2005, *სამუშაო ძალის ბაზრის ფუნქციონირების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები საქართველოში გარდამავალი ეკონომიკის პირობებში*, ISBN 99940-51-33-4, თბილისი. “უნივერსალი”.
5. არნანია-კეპულაძე თ., 2009, *ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია*. სასწავლო-მეთოდური კომპლექსი. ნაწილი I, ლექციათა კურსი. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. ISBN: 978-9941-408-44-1.
6. არნანია-კეპულაძე თ., ი. ხასაია, გ. კეპულაძე, 2015, *სიღარიბის პრობლემა იმერეთის რეგიონის სოფლებში და ტურიზმის როლი მის დაძლევაში*, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, “ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები”, თბილისი გვ.361-366. <http://pgie.tsu.ge/contentimage/konferenciebi/2015.pdf>(ნანახია 18.12.2016).
7. არნანია-კეპულაძე თ, გ.კეპულაძე, 2016, *სიღარიბე, როგორც თანამედროვე რეალობის გამოწვევა*, აწსუ-თვის უნივერსიტეტის სტატუსის მინიჭების 25 წლის იუბილისადმი მიძღვნილი პირველი რესპუბლიკური კონფერენცია „ახალგაზრდა აგრარიკოსები“, გვ.41-46.

8. ბურდული თ., 2015, *ეკონომიკური გარდაქმნები საქართველოში: გზა შოკური თერაპიიდან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო ზონამდე*, ეკონომიკური გარდაქმნები საქართველოში, ტომი 3, N2, გვ. 31-51.
https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2015/2015_2/statia3.pdf (ნანახია 15.10.2016).
9. დათუნაშვილი ლ., *სიღარიბე და მისი გამომწვევი მიზეზები საქართველოში*, თსუ პაატა გუგუშვილის თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული , თბილისი 2012, V , გვ.150-163.
10. *ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო: დამოუკიდებელ ექსპერტთა ანალიზი: პუბლიკაცია / ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობა საქ-ში, ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო", ფონდის "ქორდედი" წარმომადგენლობა საქ-ში, ISBN 978-99940-68-87-6, თბ., 2007.*
11. *ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამა*, თბილისი 2003.
12. *ინფლაციის გაანგარიშების მეთოდოლოგიის შესახებ, სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი),*
http://www.geostat.ge/cms/site_images/files/georgian/methodology/samomxmareblo%20kalis%20metodologiis%20shesaxeb%202017.pdf (ნანახია 7.12.2017).
13. კაკულია მ., ნ. კაპანაძე, ლ. ქურხული, 2017, *ქრონიკული სიღარიბე და შემოსავლების უთანაბრობა საქართველოში*, ეკონომიკურ-სტატისტიკური კვლევა, ISBN 978-9941-27-558-6, თბილისი,
<https://www.gfsis.org/files/library/pdf/Georgian-2509.pdf> (ნანახია 28.02.2018).
14. კახნიაშვილი ჯ., *სიღარიბესთან ბრძოლის სოციალური პოლიტიკა*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, „ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების

- პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში“, თბილისი, 1-2 ივლისი, 2016, გვ. 477-479.
15. **კეპულაძე გ.**, 2014, *დემოგრაფიული ცვლილებები და დემოგრაფიული პერსპექტივები საქართველოში*, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ISSN 1987 – 6904, თბილისი, 2014 წ., გვ. 470-476.
http://pgie.tsu.ge/contentimage/sxvadasxva/sromebis_krebuli/Gugushvili_economics_institute_Shromebis_krebuli_2014.pdf (ნანახია 18.12.2015).
 16. **კვარაცხელია მ.**, *ეკონომიკური უსაფრთხოება და სიღარიბის დაძლევა*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, „ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში „, თბილისი, 1-2 ივლისი, 2016, გვ. 58-62.
 17. **მინიმალური ხელფასის პოლიტიკის შესაბამისობის შემოწმება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და საერთაშორისო ვალდებულებების კრილში**, ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი, 2016, http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2016/Studie_GEO.pdf (ნანახია 28.09.2017).
 18. **რევიშვილი ზ.**, *სოციალური მდგომარეობა სოფლად*, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, VIII , თბილისი 2015, გვ. 239-248.
 19. **საარსებო მინიმუმი**, *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*, პრეს რელიზი, <http://convert.ge/ge/text.shtml> (ნანახია 18.12.2017).
 20. **საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/55534> (ნანახია 18.12.2016).**

21. სარჩიმელია რ., *პრივატიზება და სიღარიბის დაძლევის ზოგიერთი საკითხი საქართველოში*. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ. III, თბილისი, 2010, გვ. 210-222.
22. საქართველო: *ბავშვთა სიღარიბის შემცირება. სადისკუსიო დოკუმენტი*, 2012 წ. გაეროს ბავშვთა ფონდი.
23. საქართველის კანონი *საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ*, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/55534>
24. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია *საქართველო 2020*, საქართველოს მთავრობა, ნოემბერი, 2013, <https://napr.gov.ge/source/სტრატეგია/ViewFile.pdf> (ნანახია 02.02.2014).
25. საქართველოს კანონი *საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ*, ISBN 978-9941-0-8584-0, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/29824#!> (ნანახია 18.12.2017).
26. საქართველოს *სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020*, პროექტი, საქართველოს მთავრობა, ნოემბერი, 2013. <https://napr.gov.ge/source/სტრატეგია/ViewFile.pdf> (ნანახია 22.02.2015).
27. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გაჯანსაღებისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამის *დამტკიცების შესახებ*, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N89, სსმ, 35, 2001 წლის 10 მარტი, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1252986> (ნანახია 22.02.2014).
28. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და *სოციალური მომსახურების სააგენტოს განცხადება*, 2017.12.21, http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=99&info_id=1900 (ნანახია 28.12.2017).
29. საქართველოს კანონი *სოციალური დახმარების შესახებ*, N 4289 – რს, თბილისი, 2006 წლის 29 დეკემბერი.

<http://www.ilo.org/dyn/natlex/docs/ELECTRONIC/88318/100936/F1535188991/GEO88318.pdf> (ნანახია 18.12.2015).

30. საქართველოს მთავრობის დადგენილება, 2010 წლის 24 აპრილი, *ქვეყანაში სილატაკის ღონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ*, N126, ქ. თბილისი. http://ssa.gov.ge/files/01_GEO/KANONMDEBLOBA/Kanon%20Qvemdebare/86.pdf (ნანახია 18.12.2015).
31. საქართველოს მთავრობის დადგენილება, 2010 წლის 30 მარტი, *სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ*, №93, ქ. თბილისი, <http://ssa.gov.ge/files//2016/Sajaro/6/1/04/21.04.-2016.pdf> (ნანახია 18.12.2015).
32. საქართველოს მთავრობის დადგენილება, 2014 წლის 31 დეკემბერი, *სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ*, №758, ქ. თბილისი. http://ssa.gov.ge/files/01_GEO/KANONMDEBLOBA/Kanon%20Qvemdebare/112.pdf (ნანახია 18.12.2015).
33. საქართველოს მთავრობის დადგენილება, 2005 წლის 17 მარტი, *ქვეყანაში სილატაკის ღონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ*, 2005 წლის 17 მარტის №51.
34. საქართველოს მთავრობის დადგენილება, 2008, 10 თებერვალი, *ქვეყანაში სილატაკის ღონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ*“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 17 მარტის №51 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/7240> (ნანახია 18.12.2015).
35. საქართველოს მთავრობის დადგენილება, 2016 წლის 29 იანვარი, *2015 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების*

- ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის N262 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, N670, თბილისი, <http://ssa.gov.ge/files//2016/Sajaro/6/1/01/29.01.2016.pdf> (ნანახია 05.05.2015).
36. საქართველოს მთავრობის დადგენილება, 2015 წლის 30 დეკემბერი, 2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ, №660, ქ. თბილისი, http://ssa.gov.ge/files//2016/Sajaro/6/1/01/29_01.2016.pdf
37. საქართველოს მთავრობის დადგენილება, 2015 წლის 30 დეკემბერი, ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, №674, ქ. თბილისი, <http://ssa.gov.ge/files//2016/Sajaro/6/1/01/29.01-2015.pdf> (ნანახია 18.01.2016).
38. საქართველოს მთავრობის დადგენილება, 2010 წლის 30 მარტი, სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ, N93, ქ. თბილისი. http://ssa.gov.ge/files/01_GEO/KANONMDEBLOBA/Kanon%20Qvemdebare/24.pdf (ნანახია 18.12.2015).
39. საქართველოს მინისტრის ბრძანება, 2003. 08.05, საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ, N111/5, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/55534> (ნანახია 10.10.2013).
40. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2017 / საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. – თბილისი, 2017. – 278 გვ.
41. საქსტატი სიღარიბის აბსოლუტურ მაჩვენებლებს დაითვლის და გამოაქვეყნებს, ივნისი 1, 2017, BPI, <http://bpi.ge/index.php/saqstati-sigharibis-absolutur-machvenblebs-daitvlis-da-gamoaqveynebs/> (ნანახია 28.12.2017).

42. ხუნდაძე ტატო, 2016, *სიღარიბის დაძლევის მიზნობრივი პროგრამების სისუსტეები*, 27.12.2016, <http://european.ge/sigharibis-dadzlevis-miznobrivi-programebsis-sisusteebi/> (ნანახია 18.06.2017).
43. სოფლად სიღარიბის დაძლევის მოდელები, თბილისი 2012. <http://www.civilin.org/pdf/Agro.pdf> (ნანახია 18.12.2015).
44. სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2796538>
45. შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმის ღირებულების გაანგარიშების მეთოდი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, http://www.geostat.ge/cms/site_images/files/georgian/methodology/saaresebo%20minimumis%20gaangarisheba.pdf (ნანახია 18.12.2017).
46. თაობა გარდამავალ პერიოდში: ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, თბილისი 2017, http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2016/Geo_YouthStudy_Georgia_Web.pdf (ნანახია 18.12.2017).
47. ჩიქავა ლ., გ.პაპავა, *სიღარიბე და მისი დაძლევის გზები*. ეკონომიკა და ბიზნესი, 2008, N1.
48. პაპავა ვ., სიღარიბის შემცირება კერძო სექტორის განვითარების გზით: ქართული სინამდვილე და პერსპექტივები. „შრომები“, ტ. VII, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2009. http://www.papava.info/publications/sigharibs_Semcireba.pdf (ნანახია 22.08.2013).
49. წულაძე გ., მაღლაფერიძე ნ., ვადაჭკორია ა., 2003, *საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივები*. თბილისი.
50. Alcock Pete, *Poverty and Social Exclusion*, <http://www.blackwellpublishing.com/alcock4e/about/c26.pdf> (ნანახია 18.12.2016).

51. **Alkire Sabina, Roche J. M., Santos M. E., Seth S.**, 2011, *Multidimensional Poverty Index 2011: Brief Methodological Note*, Oxford Poverty & Human Development Initiative (OPHI), Oxford Department of International Development, Queen Elizabeth House (QEH), University of Oxford, DRAFT 4 November 2011, http://www.ophi.org.uk/wp-content/uploads/MPI_2011_Methodology_Note_4-11-2011_1500.pdf?cda6c1 (βσδσβσδ 23.11.2014).
52. **Alkire Sabina, Gaston Yalonetzky**, 2011, *Why Multidimensional Poverty Measures?*, OPHI-HDCA Summer School Delft, 24 August- 3 September 2011.
53. **American Psychological Association (APA)**, 2000, *Resolution on poverty and socioeconomic status*. www.apa.org/pi/urban/povres.html (βσδσβσδ 14.03.2014).
54. **Arnania-Kepuladze Tamila**, 2008, Gender Aspects and Perspectives of Demographic Problem in Georgia, Silesian University in Opava. International Scientific Conference. Karvina, 2008, σσ. 476-484.
